ქართველ მწერალ ქალთა

საბჭოთა სალიტერატურო ალმანახი

2

ტ ფ ი ლ ი ს ი
1926.

გამომცემელი: ქართველ მწერალ ქალთა ჯგუფი

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

ზე

ამზა.

.500.

პოეზია. პროზა

დარია ახვლედიანი

მწუხარე სახეებიდან

უხმოდ მივყვები ცხოვრების ხაზებს,
უსიხარულოდ მიდიან დღენი,
ჩემს ფერმკრთალს სახეს უფრო ანაზებს
ცრემლი გულიდან ამონადენი.

—

ვერ დავეშალე კაეშნის რკალებს
მუდამ ჩემს დარაჯს და შეუპოვარს,
და მწუხარებით დატვირთულ თვალებს
ვაყოლებ მხოლოდ ველებს უძოვარს.

—

ზამთარი მიდის და მე მარტო ვარ,
ისე ვითარცა უდაბნოს მწირი,
მხოლოდ ფიქრებმა არ მიმატოვა
ხან მეცინება, ხან უხმოდ ვტირი.

—

ვიცი გვეწვევა კვლავ გაზაფხული,
ვიცი ზამთარი მალე მოკვდება—
წარსული დღენი ერთად ნახული
ალბათ ორივეს მოგვაგონდება.

—

მე ხომ ვაკმევდი საამო ღალანგს—
ამისმეტს ვინმე რას დამავალებს?
ვერ ურიგდები მეგობრის ღალატს,
ცრემლის მარცვლები სწვავენ ჩემს თვალებს.

—

გული ღონდება არ ვიცი რათა;
ვიღაცას ველი, არავინ მოდის.
მე თვით არ ვიცი რა დამემართა?
გამითენდება ნეტავი როდის?

—

ალბად სიკვდილი მიახლოვდება,
კაცობრიობის სიცოცხლის მტერი,
იქ მწუხარების ხმები გროვდება—
აქ მაგიდაზე აყრია მტვერი.

დარია ახვლედიანი

***

არ მომასვენა სიავით ბედმა:
ჩემში სიკეთეს სიბნელით ფარავს.
ალღო ამიღო მე მხოლოდ ერთმა,
რომელიც ასე მიცავს, მიფარავს.

ეს მე ვარ თვითონ შავ-ბედო ავო,
ვერ შემაფერხებ მკაცრი ორტეგით,
რა გინდ ეცადო უხეშო სვავო,
ასჯერ ვერ მომკლავ, ერთხელ მოვკვდები.

მე მუდამ ჩემთვის ჩუმად და მარტო
ვითვლი ჩემი დღის საათებს, წამებს.
მინდა ციური ჩანგი მოვმართო,
უმღერო ქვეყნად ყველა ნაწამებს.

ყველა წავიდეს, ყველამ დამტოვოს,
ჩემს კაეშნიან უხმო ბინაზე,
დე, ქარმაც რისხვით შემოათოვოს
სევდით გაბზარულ სარკმლის მინაზე.

შემოვა დილა, ჩემს ვერანდაზე,
თვალ-ლურჯა სხივებს შემოალაგებს.
გადვიტან ფიქრებს ნისლიან მთაზე
და გავაყოლებ მაისის ლანქერს...

ისრაელის ასულმა გაიმარჯვა

(ებრაული ლეგენდა)

I.

ომ გარდახდილი ზვიადი მეფე მოზეიმე კრებულთ დასტოვებს და დასასვენებლად გამზადებულ სადგომში შებრძანდება.

— ზარი! — უბრძანებს ფარეშს, — შენ წახვალ და ტყვეთა ზედამხედველს ეტყვი, წარმომიდგინოს ისეთი ტყვე ქალი, რომელიც ცით მონატაცი სილამაზით გულს დაატყვევებს, მშვენიერ მეტყველებით უხილავ სამყაროსკენ წარმიტაცებს, მღერით აღმაფრთოვანებს და ჭკუით დამაფიქრებს... ჰო, მაგრამ უკანასკნელის გამოკლებითაც არა უშავს-რა... რას ვაქნევ ქალის ჭკუას! გესმის! გასწი, არ დააყოვნო.

მდაბალი თავდახრით, ფარეში ზარი ბრძანების აღსასრულებლათ გაეშურება.

ზარხოში მეფე, ოქრო-ბილიტონით ქსოვილ ლბილ ტახტ-ბალიშებზედ იდაყვ დაყრდნობით, მარგალიტის მსხვილ მარცვლოვან კრიალოსანს ათამაშებს.

II.

საპატიმროს კარი იღება. ტყვე-მხევალთა ნერვიულობა საცოდავ სურათს იძლევა: ყოველი კარის გაღება სიკვდილის მოსალოდნელობის თავზარსა სცემდათ.

— დამშვიდდით! —ბრძანა პატიმართა ზედამხედველმა, — ქალები მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა და ერთ მათგანზე შეჩერდა.

— წუხელ ყური მოვკარ, რომელიღაც ერთი თქვენგანი მშვენიერ ხლაპარეებს მოგითხრობდათ. ვინ იყო, ლამაზო?

წარმოდგენამ იმისამ, რომ ალბათ ხლაპარიც დანაშაული არისო, ყველანი შიშის მდუმარებამ მოიცვა.

— არ გესმით!

— მე გახლდით. მიუგო ლამაზმა.

— ძლიერ კარგი! მღერა იცით?

— ვიცოდი... სანამ სასიმღერო სიმებს, ომის მახვილი მიმიჭრიდა.

— არა უშავს, მაგ სიმებს ისევ ავაბამთ! იცით რა ბედი გეწვიათ? მეფეს თქვენთან საუბარი სურს! წამოდით.

ქალი ბრძანებას უსიტყვოთ დაებორჩილა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, სურნელოვან აუზში განბანილი, თხელ ფარფატა ლეჩაქ-ბაბთებში მორთული ნახევრათ შიშველი ქალი სამსხვერპლოთ მზად იყო.

ქალმა სხვის-და შეუმჩნევლათ ცალი საყურე ჩამოიხსნა, უცებ კუნწი მოხსნა, შიგ შენახული შხამით, მარწყვისფერი ტუჩები აიელვარა და მიჩენილ ყულაოზს გაჰყვა.

III.

მეფის საწოლი ოთახის კარი თავაზიანი კრძალვით შეიღო და მშვენიერების უნაკლო ქანდაკება მეფის წინ თავდახრით გაჩერდა.

ქალის სიმშვენიერემ მბრძანებლის მოლოდინს გადააჭარბა, ხარბათ შეაშტერდა და ჰკითხა.

— რა გქვიან ლამაზო? ან რა ტომისა ხარ აგეთი?

— რახილ ასული ისრაელისა...

— რა შემთხვევით გაჩნდი აქ?

— ომის საშინელებით, მეფეო! დედ-მამა, სამი ძმა, ნათესავ-მახლობელნი, ქონება და სიმდიდრე მეფეთა შესაკადრებელი დავკარგე ყველა და მე კი ტყვეთ მოვხვდი თქვენს უძლეველ სასახლეში.

—ბედი გქონია! ზღაპრები იცი?

— ვიცი, მფლობელთა-მფლობელო.

მაშ ჩამოჯექ და სთქვი ისეთი ზღაპარი, რომ დაღლილობა განმიქარვოს.

უბრძანა და მის წინ მდგარ სავარძელზედ უჩვენა.

ქალი ნაზად შეირხა, შავი დალალები გაისწორა, სავარძელში ჩაჯდა და ზღაპარი დაიწყო:

„ვინ არ იცის, და ვის არ სმენია ქვეყანა მშვენიერი, რომელსაც საქართველო ჰქვიან! ვის არ სმენია მისი წარმტაცი ბუნების სიკეკლუცე და ხალხის მშვენიერ-ხატება! შორეულ წარსულში მას ჰყავდა თურმე მეფე მშვენიერი, კეთილი და მშვიდი, ქველმოქმედი და უხვი, ბრძენი და რიტორი. მეფეს ერთად ერთი ასული ესვა თურმე. მშვენიერ ასულს მზე-ქალი ერქვა. ამაოდ სცდილობდნენ რჩეულნი ამა სოფლისა, მზე-ქალის გულის მიკერძებას. ასულის სიმშვენიერის ქება-დიდების სმენით გონება დატყვევებულმა რომის მეფის მემკვიდრემ გადასწყვიტა მშვენიერება იგი ენახა და გაურჩებული გული მისი დაემორჩილებია მოეხიბლა.

იმ დროის საქართველოს ჩვეულებით, პირველ მაისს საგაზაფხულო ზეიმი იცოდენ, რადგან თურმე ქართველები იტყოდენ: ბუნება თავის უხვ კალთას ისე თვალწარმტაც შემამკობლათ არც ერთი კუთხითვის არ იბერტყს, როგორც საქართველოსთვისო და სამაგიეროდ პირველ მაისს, ბუნებას ჩვენც, უნდა მიუძღვნათ მადლი და სალამი მხიარული ზეიმითო.

რომის მემკვიდრეც სწორეთ იმ დროს ეწვია სწორ-უპოვარ ასულის მამას მეფეს საქართველოისას, ოდეს საგაზაფხულო ზეიმისათვის მზადება იყო სასახლეში.

სტუმარი მემკვიდრე სასახლემ უმაღლესი დარბაისული სტუმართ-მოყვარეობით მიიღო.

მზექალის მშვენიერებამ გაგონილს გადააჭარბა.

მემკვიდრე რომის სრულად ტყვე-ქმნილ იქმნა. გადასწყვიტა სადღესასწაულო ნადიმზე თავისი სტუმრობის მიზეზის ხვაშიად-ყოფნა.

მემკვიდრის გული მოუთმენლობოთ, მძლავრად დაკრული ჩაქუჩივით სცემდა.

აღმობრწყინდა საქართველოს ცეცხლოვანი მზეც ისეთი როკვით, თითქოს მარტო საქართველოს პირველი მაისის მორთულობის დასახედავათ მოვდიეარო. კეკლუცი ერის ნიადაგმა გაფურჩქნული გულ-მკერდი საამბოროდ შეახვედრა და მზემაც მთვარისგან დაღვრილი ცრემლები ბაგით ასწუწნა, დღესასწაული მიულოცა და მხურვალედ ჩაეკონა. სადღესასწაულოთ მორთული სრა სასახლე და ბაღ-შადრევანები ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდა. თვით სასახლის დიდებულთა შემადგენლობა და სტუმართა კრებული იმ ღვთიურ ხატებას წარმოადგენდნენ, რომლის მგზავსებას მხოლოდ ხელოვანნი თუ დაინახვენ თავიანთ შემოქმედებითი ოცნების სამეფოში და არა დღევანდელ დაკნინებულ ჩიორა ხალხთა სინამდვილეში.

— საზეიმო სუფრა მზათ არის? — იკითხა მეფე მბრძანებელმა.

— მზათ გახლავთ ყოველივე მბრძანებელო. პასუხი ჰყო ჩურჩერახმა.

— მაშ მოახსენეთ ცოცხალს გვირგვინს მშვენიერებისას, სიყვარულს სამყაროისას და სიხარულს მამისას, ასულს ჩემსას მზექალს თავისი მობრძანებით გვირგვინოვან ჰყოს სუფრა ესე სასადიმოთ გამზადებულიო.

აიხსნა კართა საბურველი და გამოჩნდა ასული იგი მრავალ სეფე-ქალთა თანხლებით, რომელთა ძვირფას ქსოვილ სამოსელთა შრიალი, რაღაც საიდუმლოებით მოცულ ჩურჩულს გამოხატავდა. ყველამ მეფის ასულისადმი მისალმება ჩუმს მოკრძალებულ თაყვანის ცემაში გამოხატეს.

ყველანი სიმშვენიერის ძლევამოსილებამ მოიცვა. ამ დღეს ასულის სიმშვენიერე გაათკეცებულიყო: თითქოს გაზაფხულის ძალას მთელი თავისი ძლიერება ხორცსხმულ ხატებათ ამ ერთ არსებაში მოეთავსებიოს. ასული იგი თავაზიანი ნაბიჯით მამას მხარში ამოუდგა. სხივოსანი თვალები იქეთ-აქეთ მიმოავლო და რაღაც განსაკუთრებული ძალით თვალი იქვე მდგომ რომის მემკვიდრეზე შეაჩერა, რომელსაც იმ დროის ჭაბუკთა ვარსკვლავს ეძახდნენ

ასულის თვალთაგან გატყორცხილი ისარი ჭაბუკს თვალის სიღრმეში ჩაეჭდო და შეატორტმანა.

სმენად ქცეული მეფეც ტახტზე შეშმაშურდა და თვალები ჩანაბა...

— მერე, მერე, რა ჰქნა მემკვიდრემ, განაგრძე.

შეეკითხა დაინტერესებული მეფე მოზღაპრე ასულს. ქალმაც ზღაპარი განაგრძო:

„გული ისე აუტოკდა, ვით ირმის ნუკრი და გონება წამალს აზრობდა დასამშვიდებელს. ამ დღესასწაულის ჩვეულებით, ამ დღეს ყველა ხელოვანთ, თავთავიანთი ნაწარმოები უნდა წარედგინათ მეფის და ხალხის წინაშე, სადაც მრავალი ძლიერი ნიჭის შემოქმედება საგანგებოთ მოწყობილ ალაგს იყო გამოფენილი.

მეფის ასულის მთელი ყურადღება ერთმა საუცხოვო სურათმა მიიპყრო, რომელიც ცხოვრების არარაობას გამოხატავდა.

ასული სურათის შინაარსმა მყის დააფიქრა და სახეზე მჭმუნვარება აღბეჭდილმა მამას შეჰკითხა: მამაჩემო. ნუ თუ ჩვენ ყველა არარაობა ვართ?!“

— მაგ ხელოვანთა მსოფლმხედველობით კი.—უპასუხა მამამ.

— მართლა ხელოვანო? — მიუბრუნდა ასული იქვე მდგომ ხელოვანს.—

— ნუ თუ მეფეთა ძლიერებაც და ხელოვანთა შემოქმედებაც არარა არის?!

ხელოვანმა მოკრძალებით თავი ძირს დახარა, თავაზიანათ გაიღიმა და პასუხი შეჰკადრა:

— მსოფლიოს უძირო სტომაქისათვის და დროს დაუსრულებელი სივრცისათვის ყველა და ყოველივე წვეთია ცრემლის.

მსოფლიოში ყველაფერი ძველდება, ჰკარგავს პირველ ყოფილ სახეს და მნიშვნელობას და ბოლოს გახუნებულ ფერფლად ხდება — ოდესღაც უძლეველნი, ოდესღაც თაყვანსაცემი სახენი და მოვლენანი, სიკეთე და ბოროტებანი. აი ეს ფერფლები, მტვერი, სურათზე ასახული, სახეა ჩვენი საბოლო არარაობისა, ძლიერთა ძლიერო ასულო და მშვენირთა მშვენიერო ხელთუქმნელო გვირგვინო. მოახსენა ხელოვანმა.

— ჩემო ასულო! მწიგნობართა და ხელოვანთა ნააზროვნებს დიდ ხნობით არ უნდა შევეკედლოთ, თორემ დარიანი დღე მოგვეღრუბლება, წავიდეთ, ნადიმი გვიცდის! უთხრა მამამ და გაემართენ ნადიმისაკენ.

ნადიმი გაჩაღდა ბუნებრივ მოხალიჩებულ ყვავილოვან წალკოტთა შორის, რომლის მაჩრდილობელ კამარებზედ ათასგვარ მგალობელ ფრინველთა გუნდნი სამუსიკოთ იყვნენ შესეულნი. რა ნახა და მოისმინა ყოველივე რომის მემკვიდრემ, გადასწყვიტა მისი არა მიწიერი ხმაც ჰარმონიულად ჩაექსოვ-ჩაეწმახნა ამ ყოვლად სრულ ნადიმისათვის და აღმოხდა მშვენიერ ბაგეთაგან ისეთი ზეგარდმო მადლით მონიჭებული ხმა, რომ მთის ნაპრალთაგან გადმოხეთქილ მოჩუხჩუხე ნაკადულს, რამდენიმე წუთით სმენად შეაჩერებდა..

ირგვლივ მდუმარება გამეფდა, თითქოს სულიერნი და უსულონი ერთნაირი განცდით, მღერის ჯადოსნებით დატყვევდნენო.

ასულის მთელი გრძნობათა საუნჯეც სიყვარულის ოქროს წყარომ ავსო.

თვით მხცოვანი მეფის არსებაც რაღაც ყმაწვილური ექსტაზით გასხივოსნდა, და რომის მემკვიდრემაც იგრძნო, რომ მღერა მისი ცას მისწვდა და ცის მნათობთა ხეივანი განუსაზღვრელი სიამოვნებით შეირხა.

რას ვაქნევ დღევანდელ ნადიმს, — გაიფიქრა ჭაბუკმა — ჩემი განზრახვის გამოურკვევლობით ეს ნადიმი ხომ ზარია ჩემთვის სამგლოვიარო და გადადგა თავგანწირული ნაბიჯი მეფის ასულის წინაშე, მთელი თავის არსება

უსიტყვოთ აამეტყველა, გულთა ზრახვამ თვალებს ცეცხლი გაუჩინა, გად მოცვენილ ნაპერწკლები აბედს დაეცა და ცეცხლმა ცეცხლი წარმოშვა

გრძნობათა ოქროს ბადეში ჩაბმული ასული მყის აენთო და მამის თვალებს ნებართვა გამოსთხოვა. მამა დასტურის ნიშნათ შუბლზედ ეამბორა და ქალის თანხმობის ხელიც მემკვიდრის ხელს შეედუღა.

მაყურებელთა თვალ წინ დიდებული სურათი ჩამოქანდაკდა: თითქოს მზეს და მთვარეს სამიჯნურო ხელი ურთიერთისათვის მიუციათ და ზესკნელ-ქვესკნელი შურით დასცქერისო. მამას ასულისას და ერთობ იქ მყოფ კრებულთ, რომ მილოცვის ხმა უნდა აღმოხდესთ, უეცრათ მიწა განიპო — ასული მეფისა, მემკვიდრე რომისა და მეფე საქართველოისა უფსკრულმა შთანთქა. რამდენიმე წუთის შემდეგ სახტათ დარჩენილ ხალხის წინ იმ ადგილიდან აღმოცენდა ჯერ აღმოუცენებელი ვარდის ბუჩქნარი, რომელზედაც მოსხმული კუკური გაიფურჩქნ-გაიშალა და იქიდან პატარა ჩიტუნა, შემდეგ ბულბულათ წოდებული, გადმოფრინდა.

ბულბულმა ფრთები შეარხია, ვარდის რტოზე შეფრთხიალდა და აღმოხდა ჯადოსნური ხმა...

საიდგანაც უეცრად საუცხოო ტყის ფერია გაჩნდა და, ბულბულის ხმით აღტაცებული, ვარდის სიტურფით მოხიბლული ამეტყველდა:

„ეშმარიტად სიყვარული ჰქმნის მშვენიერებას, რომ მას მიწიერი შური და სიხარბე არ ანადგურებდეს, — ბუნება თვით ხარბია და ამ თვისებას სთესს მისგან შექმნილ ადამიანშიც. მან ვერ შესძლო სხვისთვის დაეთმო შენი ხორციელობა და თვით ჩაგიკრა თვისი გულის სიღრმეში, ხოლო შენი მშვენიერი სული აი ამ ყვავილებს შთაბერა. ამიერიდან შენ იქნები ყვავილთა შორის ისეთი რჩეული, ვით იყავი ასულთა შორისო. შენი სული ისეთი სურნელებით მოეფლინება ქვეყანას, რომლის ყნოსვით ძლიერნი და უძლურნი, ჭაბუკნი და მხცოვანნი, ჯანსაღნი და კეთროვანნი თანაბრათ სტკბებოდნენ. ეეტრფოდენო. ამ გაფაქიზებულ სახელის უხეშად და უშიშრათ ხელის ხლება, რომ ვერავინ შესძლოს, ამის დარაჯათ მამა მოგიჩინა ამ ეკლების სახით, ხოლო განუშორებელ უზენაეს მოტრფიალეთ მემკვიდრე რომისა, აწ ბულბულათ წოდებული— იგი სიცოცხლეს დაგიტკბობს, გაგიმშვენერებს თვის ჯადოსნური ჰანგებით, სიცოცხლეს უმეტყველოს, უასაკოს, მაგრამ მრავალფეროვანსო“.

დაათავა ფერიამ სიტყვა თუ არა, ხარბათ დაჰყნოსა ვარდის სურნელება ბულბულს ტკბილი ღიმილით გადახედა და სივრცეში მიიმალა.

მას აქეთ თურმე საქართველომ მრავალი ცეცხლი განიცადა, მაგრამ ვარდი მაინც თავისებურათ ჰყვავის თავის მცველ ეკალთა შორის, შეყვარებული ბულბული მოუწყინრად თავს დასტრიალებს და უგალობს თვისი მრავალმეტყველი ჰანგებით და ეს მოვლენა მის ირგვლივ არემარეს, ხამთრისგან დამძრალ გულში საგაზაფხულო იმედსა და სიხარულსა ჰფენსო“.

— ამ ზღაპრის მსმენელს ძლევა და ლხენა... ჩემი ზღაპარი დასრულდა დიდებულო მეფეო!

მეფემ ოდნავათ დანაბული თვალნი ზეაახილა და კრიალოსნის მარცვალ თვალს ნერვიულათ მიუმატა.

— მშვენიერი იყო, მაგრამ ზოფიერთი ადგილები ზღაპარს არა ჰგავს და რაღაც გულს ეხამუშება... მღერა და დაკვრა იცი? — შეეკითხა რახილს მეფე.

— ვიცი მეფეო. არა ეგოდენ მეფეთა შესაკადრებელი.

— აიღე ე მანდ საკრავი, დაუკარ და დაამღერე.

— მღერა და სასიმღერო შაირთა წყობა მხოლოდ ჩემს ენაზედ ვიცი მძლევთა მძლეო, და სიტყვებს, რომ ვერ გაიგებთ!?

— არა უშავს, ხმა თუ კარგი გაქვს ისიც დამატკბობს.

ქალმა იქვე ფანდურს ხელი გადაუწია, უცებ სიმები ააწყო, ზედ გველის ენებივით თითები აასრიალა და ბაგეს აღმოხდა სირინოზისებური წკრიალა ხმა.

რად მამღერებ, სასიმღერო
რაი დარჩა გულსა,
უსამართლოდ რისთვის გვიქმნი
ქვეყნის დასასრულსა!
იეღოვა ჰეერასუნ, ჰეერასუნ, ჰეერასუნ.

—

გველის ფიცით აღთქმა დავსდეთ
დიდი ლოცვის დღესა:
შურის ძებნა არ დააგდოს
ისრაელის თესლმა.
იეღოვა ჰეერასუნ, ჰეერასუნ, ჰეერასუნ.

—

მეწამულ ზღვას კიდევ დავკრავთ
ჩვენი მოსეს კვერთხსა,
დედის მკერდში შხამს ჩაგისხამთ,
მოგიწამლავთ რძესა!
იეღოვა ჰეერასუნ, ჰეერასუნ, ჰეერასუნ.

—

კბილის წილ თვალს ამოგიღებთ,
აგიკუწავთ გულსა,
ძმას ძმაზედან გაგილაშქრებთ,
შეგიმუსრავთ სულსა.
იეღოვა ჰეერასუნ, ჰეერასუნ, ჰეერასუნ.

მღერის გაელვნის ქვეშ მყოფ ქალის ანაპერწკლებულმა თვალებმა ამაყ მეფეს ზვიადი სახე გაუსათნოიანა, ქალს ფანდური ჩამოართვა და პაწია ლამაზ ხელზე შეეხო.

— მშვენიერი რამ ყოფილხარ, ჩემო რახილ, და შენ ჩემი საყვარელი არსება იქნები დღეიდან... მაგრამ პირველი კოცნით რომელ ნაწილს შევეხო შენი მშვენიერი სახისას?

— საიდანაც სიკვდილ-სიცოცხლე და სიავ-სიკეთე გადმოსჩქეფს!

— ო! საუკეთესო ნაწილია...

სთქვა ავხორცმა მამაკაცმა და რახილის აელვარებულ მშვენიერ ბაგეს დაეწაფა...

ისრაელის ასულმა გაიმრჯვა, — რამოენიმე წუთის შემდეგ შხამით ზიარებული მეფე-მბრძანებელი სასიკვდილოთ სარეცელზე გაიშხლართა.

ეკ. გაბაშვილისა

სოფლის მევახშენი

ბაღდასარა დანდურიშვილი ყოველი მხრით შესანიშნავი კაცი იყო. წარმოსადეგი, სასიამოვნო შეხედულობისა თვალად, თუ ტანად. ამასთან ჭკვიანი, დამზნილი, დარბაისელი და ტკბილად მოუბარი, წმინდა ქართულის ენით. ჩამომავლობით სომეხი და გრიგორიანის სარწმუნოების მოწიწებით აღმასრულებელი.

ტანთ ეცვა გრძელი ყურთმაჯეგბიანი შავი მაუდის კაბა, გულჩამოსხნილი ლურჯი შალის ახალუხი და მუქი მწვანე აბრეშუმის გულისპირი. მაღალყელიანი, წვეტიანი, უქუსლო წაღები, რომელშიაც ჩაკეცილი ჰქონდა განიერი შარვლის ტოტები ლამაზი ნაქსოვი ჩასაკრავებით მოკერილი.

ბაღდასარას ტანისამოსი სწორეთ იმისთანავე იყო, როგორსაც იცვაჰდნენ მაშინდელნი დარბაისელნი თავადნი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბაღდასარას კაბის ყურთმაჯები ყოველთვის დაშვებული ჰქონდა და ქამარხანჯლის მაგივრად წელზედ, რამდენსამე პირად შემორტყმული ქირმან—შალის სარტყელი ჰქონდა. თავზედაც მაღალი კალმუხის ქუდი ეხურა, მაგრამ არა თავადურად კოხტად, გვერდზედ მოდებული, არამედ ყურებამდე, ჩამოფხატული.

ამ მორთულობას ბაღდასარი ძრიელ უფთხილდებოდა და აფასებდა, იცვავდა მხოლოდ კვირა-უქმობით, როდესაც წირვა-ლოცვაზედ დაირებოდა, ან მაშინ, როდესაც თავადებს ეწვეოდა ნისიების დავთრებით ხელში. უიმისოთ კი, მუშაობის დროს, ვაჭრობაში, მარტო ახალუხს ატარებდა, ყელამდინ ყაითნის ღილკილოთი, შეკრულ, შავი დიბეტის ახალუხს და წელზედ განიერ ტყავის ქამარს, მაგრა მოკერილს, წელის სიმაგრის დასაჭერად.

ხელში ბაღდასარას, თუ რკინის არშინი, ან სპილენძის ჩანახი არ ეჭირა, ყოველთვის ქარვის კრიალოსანს, გრძელფოჩებიან კრიალოსანს, ათამაშებდა და პირში კიდევ კევი ედო და განუყრელად ატლაშუნებდა.

— ბაღდასარ, რა არის რომ პირიდგან კევს ვერ გამოიღებ? ლაპარაკს გიშლის, დედაკაცს ჰგევხარ, უსიამონოთ ატლაშუნეფ ეტყოდა ხოლმე ან. სალომე, მეგბატონე სოფელი ილევისა, რომელშიაც ბაღდასარა აღებ-მიცემას აწარმოებდა და პატრონი წისქვილის და დუქნისა სოფ. ალისუბანში, სადაც ბაღდასარას სამუდამო სავაჭრო საფუძველი ჰქონდა დადებული.

— კნეინაჯან, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ ხომ გაგიგონია? მეც

ბავშვობიდანვე ასე ვარ დაჩვეული. ცხონებული ბებია ჩემი, რიფსიმე ასე მეტყოდა ხოლმე „აჰა, კევი ღეჭე, შე ჰარამზადავ, ლუკმა ნაკლებად მოგინდებაო“. რვა სული ობლები დავრჩით დედმამას დიდ ხოლვერობის შემდეგ და რიფსიმე გვაცხოვრებდა, გვზდიდა ლუკმას ვაი ილაჯით შოულობდა. აბა ყველას პირი დაგვეღო და გვეყლაპნა? კევით, კი სასას ვისველებდით და ჩუმად ვეყარენით.

— მაშინ სხვა იყო, ჩემო ბაღდასარ! ეხლა ქეთხული კაცი ხარ, დიდი სარჩოს პატრონი, სულ მუდამ ცხვარივით ცოხნა აღარ შეგფერის.

— იჰ, ქალბატონო! მოგიცლია და მაგეებზედ ლაპარაკობ! საქმეზედ მითხარ რამე, საქეზედა! აბა შენი „დარდუბალის კიდობანი“ როგორ არის? შიგ ფულები ბლომად ჩხრიალებენ? ჩემი სარგებელი მზად არის? ხომ იცი გუშინდელს აქეთ ვადა გადასულია, თამამად მიუკეებდა ბაღდასარა ყელამდე ვალებით სავსე, სალომეს.

— შენ და შენი ფულების ჩხრიალი! რით ვერ მოგწყინდა სულ ოქროებზედ ლაპარაკი! ერთხელ სხვა რამე სთქვი, სასიამოვნო რამ გვიანბე ახლად ქალაქიდან მოსული ხარ, შეუტევდა ხოლმე სიამოვნების მოტრფიალე კნეინა.

— სასიანოვნო?! ამაზე სასიამოვნო და სანატრელი რა არის, ქალბატონო, რომ უშველებელი მამულის პატრონი ხარ, რომ უშველებელ სოფელს განაგებ, ღვთის მოწყალებით ოჯახი სავსე გაქვს! დაჯექ, ჭამე და ისიამოვნე! შენ კი მშიერი კაცივით სულ ხელი გაგიშვერია, წისქვილის, დუქნის იჯარას წინდა წინ მართმევ და ბევრად წინად ნასესხები ფულის სარგებლის თხოვნისთვის კი მიჯავრდები!

— კარგი, კარგი! ბევრს ნუ ყბედობ, შენ თავს მაგდენ ნებას ნუ აძლევ, თორემ სოფელშიაც აღარ შემოვაშვებინებ შენ თავს. ახლა კი ნამდვილად განრისხებით შეუტევდა ხოლმე კნეინა და ბაღდასარაც კუდამოძუებული სასახლიდგან სოფლისაკენ ჩაივლიდა; სოფლისაკენ, სადაც ბაღდასარას ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული და რომლის დაკარგვა ამისთვის სიკვდილი იქნებოდა, სალომეს რომ მუქარა აესრულოს.

— სულელი „გიჟ-ვრაცუე სოფელში აღარ შემოგიშვეფო“ ვითომ არ იცის რამდენი ნისია მაქვს ამ ილევში ჩაბნეული! მაგის გარდა ერთი სახლი არ არის აქ, რომ ჩემი ფართალი არა ჰქონდეს წაღებული! და ეხლა, როდესაც ჭირნახული კარზეა მოტანილი, „არ შემოგიშვეფო... მაგრამ, მაგან ეგრე იცის! არ გამიწყრება, ჩემი კეთილი კნეინა არის.

ბაღდასარას სავაჭროდ მისული ილევში ნამდვილი დღესასწაული იყო მთელი სოფლისთვის. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა სიხარულით აღფრთოვანდებოდა, როდესაც იმისი იორღა ლურჯი ფაშატი დიდროვანის ბოღჩებით დატვირთული და ზედ ყეენივით მჯდომი ბაღდასარი შემოგოგმანდებოდა სოფელში.

გაშლიდა ბაღდასარა კვირა დღით თავის ბოხჩებს სარდანაანთ ფართო დერეფანში, გვერდით მოიდგამდა სპილენძის 25 გირვანქიან ჩანახს და მხიარულად, სიცილ-ხარხარით, ათასის ლექსებით და შაირებით, შეუდგებოდა ვაჭრობას.

სოფლის ქალი და რძალი ხომ ცას ეწეოდნენ ამის დანახვაზედ. რა გინდა სულო და გულო, რომ არ იყო ბაღდასარას ბოხჩებში ქალების გასახარებელი: დაბასმული ლეჩაქი, აბრეშუმის ბაღდადები, ოქრომკედით ნაკერი სარტყელი გულისპირი, ფერუმარილი, წითელი ჩითის თავშალები, ყინვარი შაქარი, კამფეტი, ილი, დარიჩინი, პიტნის კაპლი და მრავალი სხვა რამ ცხოვრებისთვის საპირო და თვალის გასახარი!

ყველა ერთგვარის სიყვარულით და ნდობით ხვდებოდა ბაღდასარას. სოფლის პატარძლები, ეს ყველასაგან დაჩაგრულნი, დიდის და პატარის ბრძანებლობაში მყოფნი მონებიც კი თამამად ებაასებოდნენ ოხუნჯს და ტკბილის სიტყვით გამამხნევებელ ვაჭარს.

— აი, მშვენიერო პატარძალო, ეს ერთი დაღეკვა კევი შენი ფეშქაში იყვეს! ისეთია, ისეთი ტკბილი როგორც დედიშენის რძე! ხომ კარგათ გახსოვს დედის რძის გემო? ჩემო ბალღო? ღმეკით და აღერსით ეტყოდა ბაღდასარა დედმამას უდროოთ მოშორებულ მართლაც, ჯერ ისევ ბალღ პატარძალს და ამათში სიცილ-ტირილს იწვევდა.

— ბაღდასარ! გულს მეპიდება. შენი ღვთისგულისათვის, ერთი კაპლი ჩამაყლაპე, ღრეჯით მიმართავდა ბებერი დედამთილი ვაჭარს და თან ჯიბიდგან ახლად დადებულ კვერცხებს ამოალაგებდა.

ასე კევის ღეკით და მასხარაობით გრძელდებოდა მთელი კვირა ბაღდასარას ვაჭრობა და იმის გვერდით სარდანაანთ დერეფანი მარჯვნივ და მარცხნივ ქერის და პურის ხვავებით ჭერამდე ივსებოდა. შაბათს კი ბაღდასარი აჰკეცდა ბოხჩებს და ყელამდე ავსილი ჭირნახულით, კვერცხებით, ქათმით, კარაქით, თაფლით, ლობიო-მუხუდოთი და სხვა მრავალი სანოვაგით, სარდანისავე ურმით და სოფლის ლოცვა კურთხევით და „ღვთის ნაბოძებით“ გაუდგებოდა ალისუბნის გზას, სადაც დანდურაშვილს დუქანი ჰქონდა და დუქანთან დიდრონი ხის ამბრები, ბეღლები, ძარები, ნავაჭრი ჭირნახულის შესანახავად ალისუბნის დუქანი და მეტადრე წისქვილი მშვენიერ ალაგას მდგომარეობდნენ, ნამდვილი, პოეტური კუნჭული იყო. წისქვილის რუ მთლად მაღალის იფნის და ცაცხვის ხეების ჩრდილებით იყო დაფარული და მაყვლის და ჟოლის ტოტებ გადაბმულ ბუჩქებით შეკრულ-შებოჭილი და ეს თითქმის გაუვალი მწვანის ზღვა, თავდებოდა პატარა, ყავრით დახურულ ხის წისქვილის სათავესთან, და იქიდგან ორი ხის ღარით საშინელის სისწრაფით, ვარდებოდა წისქვილ ქვეშ ბორბლებზე, რომელთა სწრაფი ტრიალის ხმაურობა, წყალვარდნილის შხრიალი, სარეკელის მწყობრი რაკა-რუკი და წისქვილის ქვების რიხინ-რიხინი, მთელს გარმონიით შეხმატკბილებული კაცის ყურს ატკბობდნენ და იმის გულ'ში, რაღაც საოცნებო, საიდუმლოებით სავსე ფიქრთა დენას გამოიწვევდნენ.

მუდამ წისქვილის კარებში მჯდომი, ნახევრედ ბრმა და ფქვილის ფიფქით თავით ფეხამდე თეთრად შებურვილი ბერუაკ, თითქო ამ ფიქრებით იყო შეპყრობილი. ის მთელის საათობით იჯდა ჩუმათ, გაუნძრეველად, გაყურებუ-

ლი, მუხლებზედ ხელებ დაწყობილი, ათასში ერთხელ თუ დაარღვევდნენ ბერუ-ას მყუდროობას დასაფქვავად მოტანილი ხორბლით: სავსე ურმები.

რაც შეეხება დანდურაშვილის დუქანს, არც ის იყო საიდუმლოებით სავსე შეხედულობას მოკლებული: მიწაში ჩამჯდარი, განიერი დერეფნით წამოხუ-რული რომელზედაც დიდი თავის ზვინი იყო წამომდგარი და დუქანს ისე აბ-ნელებდა, რომ კაცი პირველ შესვლაზედ ვერაფერს გაარჩევდა და მხოლოდ, როცა თვალი სიბნელეს შეეჩვევოდა, ბევრს რასმე დაინახავდა და შეამჩნევდა.

ჯერ ერთი იმას დუქნის სამ მიწურ კედელში, სამი პატარა, მინაში გა-მოთხრილი კარი შედიოდა და ამ კარებებით მხოლოდ ბაღდასარა შედიოდ-გადიოდა, უცხო, გარეშე თავისდღეში აქ ვერ შეიხედავდა და ამიტომ ამ მი-მალულ კუნჭულებზედ სახლში ხმა იყო გავრცელებული, რომ დანდურიშვილს აქ ამოთხრილ ორმოებში ოქრო-ვერცხლი ჰქონდა დამარხული. ნამდვილად კი ეს ბაღდასარას საკუნაო იყო, სავსე ყოველის სანოვაგით:, უცეცხლო თაფ-ლის ქილებიდგან დაწყობილი, ხალასი ერბოთი და ოსური ყველით ავსებული. იქნებ, ქილებ და ქილებ შუა, ოქროს პარკებიც იყო მიკუნჭული, მაგრამ ეს ნამდვილად არავინ იცოდა და ამისათვის მხოლოდ ზღაპრად იყო დარჩენილი.

შიგ დუქანში იპოვნიდით ყოველ საჭირო სავაჭროს გლეხის-კაცის ცხო-ვრებისთვის გამოსადეგს. შალის ჩოხა, ლეინის ახალუხი, ხარის ტყავის საქალა-ბნე ჩანაჭრები, ღორის ჯაგრის დაგრეხილი აპეურები, ნამგლები, ცელები, სა-ყევრების ჯაჭვები, გუთნის სახნის-საკვეთი გროვა გროვათ იყვნენ დაყენებუ-ლები.

რასაკვირველია, ღვინო არაყიც მოეძებნებოდა ბაღდასარას თავის სალა-როში და კვირა-უქმეებით ამისათვის ყოველთვის ხალხით სავსე იყო, ეს შესა-ნიშნავი სავაჭრო სახლი.

ვაჭრობის გარდა, დანდურიშვილის დერეფანი სალაყბოთაც გადაიქცეოდა ხოლმე მაშინ, როდესაც საერთო სასოფლო ჭირ-ვარამზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. აქ შეიყრებოდნენ ხოლმე არამც თუ ილევისუბნელი დარბაისელნი, სხვა ამ სოფელზედ მიწერილნი სოფლის მოხელენიც და ბაასობდნენ, ბჭობდნენ, თავისებურად სწყვეტდნენ სასოფლო კითხვებს და ბოლოს საერთო ხარჯით კიდეც საუზმობდნენ და ბაღდასარის დუქნის დერეფანში „სუფრულის“ ხმა, შეუერთდებოდა ხოლმე, წისქვილის ვაიუშველებელს და ერთმანეთს ეცილე-ბოდნენ ტკბილხმოვანების სიძლიერეს.

ბაღდასარა ყოველთვის უხვი მასპინძელი იყო, იმას ამ შემთხვევისთვის, ყოველთვის მზად ჰქონდა ცხვრის ხორცის, ხახვ-პილპილით შეზავებული ბას-ტურმა, კომბოსტოს და ჭარხლის წნილი წიწაკით შეზავებული და პანტის არაყი და ნამდვილის სტუმართ მოყვარეობით უმასპინძლდებოდა მთელი დღით ყაყანით დაღალულ და დამშეულ გლეხებს.

ნასადილევს ბაღდასარა თავის დღეში არ წარუდგენდა ანგარიშებს თა-ვის სტუმრებს „მერე როდისმე“, როდესაც ჭირნახული მომწიფდებოდა და ბაღ-დასარა თავის ჩანახ-ტომრებით კალოებზედ გაისეირნებდა ნისიების ასაკრე-ფათ, მაშინ ყოველი ოჯახი თავის მოვალეობათ სთვლიდა, თითო ჩანახი „დეეყარათ“ ტომრის ასავსებათ და დუქანში ნაქეიფარის აღსადგენათ.

— ღმერთმა ბარაქა მოქცეთ! გულწრფელად ეტყოდა მაშინ ბაღდუა და თან კმაყოფილებით იმ მოსაზრებით, რომ ამ დანაყარით, ერთი ათად აინაზღაურებდა იმ სადილებზედ დანახარჯს; კომბოსტო, ბასტურმა, პანტის არაყზე საფასურს, ასე ერთ მანეთის კმაყოფილნი და ბედნიერნი, თავისებურად, მიაჩნჩალებდენ დროს ალისუბნელები და მის მეზობლად მდებარე სოფლები, თავის ვაჭარ—ნეთლი-მამა ბაღდასარასთან ერთად.

წელიწადში ერთხელ, შემოდგომის დასაწყისში, როდესაც სოფელი აივსებოდა ყოველის დოვლათით, დანდურიშვილს ეწვევოდა ხოლმე მეუღლე ბაღდოს ნისიების აკრეფაში დასახმარებლად.

ქაქალა, დიდი გიგბერაანთ ქალი, როგორც ის თავგამოდებით უწოდებდა ხოლმე თავისთავს, ნამდვილი მეუღლე იყო თავისი თანამემცხედრესი: მხნე, დაუღალავი, მომხვეჭი ყოველის მოსახვეჭელისა. ის ცოტა ფიზიკურად არ შეეფერებოდა ბაღდოს საროსტანს, თავისის ბაჯაჯღლანა ტანადობით. ძრიელ დაბალი და სქელი იყო, მუცელ მკერდ გადმოვარდნილი მოკლე ხელფეხით და მეტად გრძელ ცხვირა, რომელიც ალისუბნელების თქმით, ოროტოტოს მიემგზავსებოდა და მისავით შეუყენებლივ ხმაურობდა-უსტვენდა.

ცოტა არ იყოს, ქაქალას ენაც მეტად პრტყელი ჰქონდა, ბუდეში არ ეტეოდა და ლაპარაკის დროს ბლუთ და ნახევრად დაგლეჯილ სიტყვებს ასვრეინებდა საუბედურო, ძრიელ სწრაფად მოლაპარაკე ქაქალას.

— დე..და...და...თვალო კო.ნი..ა, რა უყ....ვი ჩემი კაპაქი..ჰაქი! დორბლების ყრით უსაყვედურებდა ნათლიდედა კონიას, თუ დაპირებულს ახალშედღვებილ კარაქს საჩქაროთ არ მოუტანდა.

— მო...ი ..ტა, მო...ი...ტა აღა დედალი ხო ხედა...მ შუა.. დღე მოტ.. ლებულია. სადილი როდისღა გაუკეთო ბაყას...ხელების ქნევით და თვალების ბრიალით დაუტატანებდა ნათლიანთ ნინუას, თუ დაბეკებულ ძველ დედალს ერთის წამით დააგვიანებდა.

ქაქალა მოსვლისავე გაიხდიდა ქიშმირის კაბას, ატლასის ქათიბს, ჩიხტი-კოპს-ლეჩაქ-ბაღდადს მაღლა სადმე, შეჰკიდებდა, ჩაიცვავდა ჩითის „ბლუზას“ რომელიც ქაქალას ფართე ტანს წისქვილის მოტრიალე ბორბლის შეხედულებას მისცემდა ხოლმე და ბორბლისავე საჩქაროთ დატრიალდებოდა დუქანში.

მიალაგ-მოალაგებდა, დაკვიდა დასწმენდდა ,ქაურებას აბლაბუდებს მოსწმენდდა.

— უი ქა! კაცის ბინა უდედაკაცოთ სწორეთ საჰღოჰეა უწმინდური, ერთმანეთშია არეული, ავიდა კარგი ერთმანეთში აღარ გაირჩევა. ტიტინებდა ენის მძიმე მძიმეთ, მაგრამ შეუყენებლივ ტრიალით და ტრიალებდა თითონაც შეუყენებლივ. რომელიმე ბაღდუას ნათლული სოფლელი გოგო წყალს უზიდავდა, შეშას უმზადებდა, გასახერხს უხერხავდა, გასაწმენდს უწმინდავდა.

— ჰერე, ჰერე! გაჰკთე! ჩარა, ჩალა! აჩქარებუდა ქაქალა გოგოს და ისიც ციბრუტივით ტრიალებდა და საღამოზედ ყველაფერი მზად იყო. ფანჯრებიდან მოზრდილი, ტახტი გამართული ქეჩა ნალიჩადა, [illegible] ბალიშებით გაწყობილი

და ტახტის ბოლოს ლურჯ გაშლილ სუზანზედ საშოვარი, თავისის ჩაის იარა-ღით გამართული... და რა არ იდგა სამოვრის წინ: მურაბა, ნათლიდედასგან მოტანილი ქადა-ნაზუქი, ჯამით ნაღები, კოჭებით თაფლი და ქაქალა ხილაბან-დით თავწაკრული, ხელებ-პირ დაბანილი იქვე საპოვრის გვერდით, ყეენივით გამოჭიმული.

— ოჰ! ღმერთიც გიშველის, ჩემო! მე და ჩემმა ღმერთმა! პური ძრიელ მშიან! იტყოდა ბაღდასარ კალოებიდგან დაბრუნებული და მოუჯდებოდა ცოლს გვერდით.

— ასოცი კოდი ავრწყე დღეს! ასოცი! გესმის! წელში გავწყდი ჩანახის გადაგდებ-გადმოგდებით ხვავიდან ტომარაში... ხელები მიკანკალებს, მხრები მტეხავს ...

— რა ვქნათ, ბაჰოჯან! შემოდგომა წელიწადში ერთხელ მოდის, უნდა დავეჩქარდეთ. მეც დავიღალე მთელი შენი ბინა გავწმინდ ე „გავჩისტე«. ხედავ. ბოსელი ადამიანის სადგურს დავამსგავსე და თან რა დასტალული მოგიმზადე?! აბა შეექეც და დაისვენე.... გენცვალე!

— აი, გოგო, ნუშიკო, ე ჩაი დალიე! „კრიპუსტით“ ხომ იცი?! აი ე ნა-ზუქიც შეატანე და მერე შინ წადი. მადლობელი ვარ ხვალ, ნათლულო, ისეთი მძივი მოგცე, ისეთი რომ სულ ჩირაღდანივით ანათებდეს!

ნუშიკომ საშინელი ხითხით მორთო და თან მორცხვათ პირზედ ხელი აიფარა, ვკონებ ხითხითი უფრო ქაქალას ლიფლიფით იყო გამოწვეული, ვიდრე „ჩირაღდან“ მძივის ალერსით და კარებისაკენ გაექანა, რომ იქ თავის ამხანაგებისთვის გადაეცა ქაქალას „ჩაიიდან, აათებს“ დიალეკტი. მაგრამ ქა-ქალამ კიდევ გააჩერა და შემდეგი დააბარა.

— გოგოებს, პატარძლებს უთხარი, რომ იმდენი რამ, იმდენი რამ მოვი-ტანე, რომ კაცს თვალს მოსტაცებს! ქორწილებისთვის სამკაული: ოქრო-მკე-დი გვირგინები, ფოთლებით მორთულ მოკაზული, ბეჭდები ფირუზისა, ლალის ქინძისთავები, შუბლისა, თაღლითის ასხმულები, მარჯნის კრიალოსნები, ჩულ-ქები, ფელჩატკები, ოქროში დაფერილი. ნათლობის ჯვრები და ყველას ამას. ისეთის დამახინჯებით და გამოთქმით ამობდა, ოო ნუშიკოს სიცილს ბოლო არა ჰქონდა.

— ისიც უთხარი, რომ მე სავაჭრო ნაღდ ოქრო ვერცხლზე მაქვს აღე-ბული. ჭინახულ-მინახული, კვერცხი, ერბო-კარაქი არ ვიცი. ვისაც ყიდვა უნდა რისამე „ნაღდი“ უნდა ჩამაბარონ და გაიმართებოდა მეორე დღეს ბა-ღდუას დუქან დერეფანში ქალთა სამფლობელო: თამაში და გამოფენა.

მიდიოდა—მოდიოდა ქალია გროვა და ქაქალას „ზანდუკი“ თიღლისმის ყუთად იქცეოდა, საიდგანაც უხვათ ამოდიოდა ზიზილ-პიპილები და „სადაც შაბაშად, პირისანახავად“ მირთმეული პატარძლებისთვის ოქრო-ვერცხლის მანათები ცვიოდა სამაგიეროთ.

მთელი ოცდა ხუთი წელიწადი ვაჭრობდნენ ცოლი და ქმარი ამ მხარე-ზედ და ამ დიდი ხნის განმამავლობაში თითქმის მაგალითი არ ყოფილა, რომ ბაღდასარას ეჩივლოს ვისთვისმე, ან ვისთანმე ჩხუბი და აურზაური მოსვლო-დეს:

ათასში ერთხელ თუ ცოტა ოდენი უთანხმოება მოუხდებოდათ ვაჭარს და მყიდველს ანგარიშის იანღლისში, ისევ ბაღდასარა დაუთმობდა ხოლმე, ხუმრობაში გაუტარებდა:

— კარგი, კაოგი, მამაცხონებულო! ეტყოდა შეფხუკიანებულ ნათლი მამას, ერთ ჩანახ ქერს შენი ჭირიც ხაუღია! განა მაგისათვის ნათელ მირონობა უნდა გავაუპატიუროთ! დეე, ისევ ჩემი წამოვიდეს შენზედ, ღმერთმა შეგარგოს, წვრილშვილი კაცი ხარ!

— რათა, ნათლი, რათა! მაშინვე მოლბებოდა გლეხი თუ სამართლიანად გერგება, მიირთვი, რად მინდა შენი ნაცოდვარი შევირჩინო... და ბაღდასარაც კმაყოფილის ღიმილით მიიღებდა ამ დათმობას და ეტყოდა:

— აგაშენოს ჩემო ნათლიმამა, აგაშენოს და აი ეს ყინვარი შაქარის ლუკლაც, ჩემ ნათლულ ლექსუას წაუღე.

მანათის საფასურზე ხელის აღება ერთის მხრით და კაპეიკის ფეშქაში მეორისას, სრულ კმაყოფილების იწვევდა ურთიერთ და ისე თანხმობით და პატივისცემით მიიდიოდა დღო და ქამი.

ბაღდასარ დანდურიშვილი ბდიდრდებოდა, ამის გადაჭიმულ ბეღლებს კვლავ ახალი მუხის ჭდეული ბეღელი ემატებოდა და არც თუ გლეხკაცობა იყო ღვთის და თავის ვაჭრის მომდურავი.

სულ სხვა ხასიათის და მიმართულებისა დადგა ბაღდასარას მშმკვიდრე, იმისი ერთად ერთი შვილი, გეორქა ბაღდუიჩი „გიქოთ" წოდებული, რომელიც მამის სიცოცხლეში ალისუბანს ძრიელ იშვიათად ეწვევოდა ხოლმე. ის გორში ვიღაც ტერტერასთან იყო ჯერ მგალობლად და მერმე დიაკვნობასაც ასრულებდა. კოხტა-ჰრუწა ვაჟი იყო, გავაქსულ ჩექმებ „კრახმალ" საყელოიანი და სოფელს არა კადრულობდა, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ კი სოფელს ჩინაკათ გაუხდა.

გიქო მამას სრულიად არაფერში არ ემგზავსებოდა:: ჯერ ერთი, რომ დანდურაშვილის მაგივრად დანდურიანის გვარად, ან ქართული ტანისამოსის მაგივრად, მოკლე პიჯაკს ატარებდა, მართალია, პიდჟაკის ქვეშ, იმასაც ახალუხი ეცვა და წელზედ დასევადებული ქამარი ეკრა, მაგრა პიდჟაკი „კარტუზიანი" რუსული ქუდი სულ სხვა იერს და შეხედულობას აძლევდა. ოქროს ძეწკვი, ვერცხლის საათი, ვიწრო შალვარი „პოლსაპოჟკი" უფრო ვინმე დიდ კაცს ამგვანებდა და გიქოც მართლაც. „დიდ ვინმესავით" გაბერილი დადიოდა ცხვირ დაშვერილი, გაბღენძილი პირმოკუმული, ქანგიანი! სად იყო ბაღდასარას ტკბილი, მამაშვილური ბაასი ყველასთან, ავის და კარგის მოთმინებით მოსმენა!! გიქუა ყველას ზემოდგან ქვემოდ უყურებდა, რიგიან პასუხს არავის აღირსებდა.

„კარგი ერთი „ტუტუც ვრაცი", ნუ მამიყვები ლათაიებს! მე ნისია, მისია, არ ვიცი! სავაჭრო გინდა! ფული მოიტანე, ფული არა გაქვს ჰური იყვეს, ქერი, სიმინდი:.. უკან სადევნელი რათ მინდა რომ გამიხდეს! ცხონებული მამაჩემი ქალაჩუნა იყო, დედაკაცებში ჯდომა უყვარდა, ლაქლაქი გაუთავებელი.მე თქვენთან საერთო არა მაქვს რა! მოტა და წაიღე. არა? შენ შენთვის, მე ჩემთვის, „მერესიკ" არა მინდა რა!

მამის გაცემულების შეკრებას მოსვლის უმალ შეუდგა და ვინც მაშინვე არ მისცა, „ზაფხულამდე დამაცადეს“ სასამართლოს კარი აპოვნინა და სულ „სუდებნი პრისტავებით“ გადაახდევინა. ბატონსაც და გლეხსაც სასამართლოს კარისაკენ გზა დაათელინა და „ადუკანტების“ სახელი აწყევლინა.

პირველში ამ გვარი საქციელი ყველამ დიდად გაიოცა და ყველამ პირი უბრუნა გიქუას. მაგრამ სოფელი ისე მჭიდროთ არის დაკავშირებული თავის მედუქნესთან, რომ იმის იქით გზა არა აქვს. ისევ და ისევ იმას უნდა მიმართოს და ჭირში, თუ ლხინში ხელი იმით გაიმართოს და ალისუბნელებმაც ნელა ნელა გიქუას მძიმე უღელი დაიდგეს. კნეინა სალომეს ვალი, უბრალო ქაღალდზედ დაწერილი ბაღდასარას ხელით და კნეინას ხელმოწერილი, ღერბიან ქაღალდით შეიცვალა, ვექსილზედ „ნასლედნიკების“ ხელმოწერაც საჭირო გახდა. და „ნეუსტოიკას“ ქაღალდიც დეეწერათ, წლის თავზედ თამასუქი და „ნეუსტოიკა“ „ზაკლადნოით“ შეიცვალა და მესამე წელს ალის უბნის წისქვილი და დუქან-დერეფან-კარმიდამო, უკვე გიქუას საკუთრებათ გამოცხადდა.

იმას მოჰყვა კნ. სალომეს დიდი ზვარი, სამოცი კაკლის ხით ჩარახტული თვით კნ. სალომეს სადგური-ციხე-დარბაზი ალევში თავის საოცნებო გადასახედ-გადმოსახედით მტკვრის ჭალებზედ და „ცხრა-წყაროთი“ გიქუას. „ზაკლადნოით“ დაისალტა, გალავანს კედლები შემოენგრა... შესავალი მზად იყო.

საზოგადოთ, გიქომ ალისუბნის ბუდეს ძლიერ შორს გაუწია სამზღვრებიათ თხუთმეტ სოფელს შეუკრა კამარა. აქ ქერები დაიკვეთა, იქ სიმინდი არყის „ზავოდისათვის“, იქ ბზე, თივა ჯარებისთვის და სოფლის მედუქნის გარდა, ფოდრადჩიკიც შეიქნა.

რკინის გზისთვის ტყეების ჩეხასაც მიჰყო ხელი და გარშემო სოფლებისულ „ტრავერსების“ საზიდ ბეებით აავსო და სულ ათ წელიწადს არ გაუვლია, რომ ჩვენი „გიქო ბაღდუიჩი“ დანდურიანი, პირველ გილდის ვაჭრად გადაიქცა. ღიპი ჩამოეკიდა, ღაბაბი გულამდინ ჩამოეფინა, ცხვირი და ლოყები მწიფე დამასხისფერი გაუხდა, ბარძაყები დაუწვრილდა, ნაბიჯი დაუმძიმდა და თავის საზიდათ ლურჯი იორღა გაიჩინა, რომელზედ შეჯდომას ყოველთვის ორი კაცი შველოდა.

სად არ იყო გიქოს ხელი, სად არ დაგოგმანობდა გიქოს იორღა, სად არ ისმოდა გიქოს კიჟინა-მუქარა, მათრახის შლაპუნი, თავზარ დამცემი ლანძღვა, გინება.

— აბა ხვალვე ოცდა ათი ტრავერსი სტანციაზედ არ იყვეს და მე შენ გიჩვენებ სეირს, შე ბრუციანო, ციხგლიანო, გუდამშიერო! თვალების ტრიალით და მათრახის ქნევით, ეუბნევოდა, მარჯვე, ჯანით და ღონით სავსე ვაჟკაცს სესიაშვილს, რომელიც თავჩაღუნულ-დარცხვენილი იდგა იმის წინ.

— გესმის! ხვალ დილაზედ ას ოცი ურემი სხვა მოვა და თუ შენც არ მოხველ სათვალავში დამაკლდება შტრაფს მომაწერენ და მერე იმ შტრაფს ერთი ათად შენი კისრიდან ამოვიღებ.

უშვებდა კალოდან სესიაშვილი ხარებს „ტრავერსები» მიჰქონდა, მიჰქონდა, იმიტომ, რომ იცოდა გიქუა თავის მუქარას აასრულებდა. სუდი“ „ნაჩა-

ლნიკი", „პოლკის კამანდირი", სულ გიქუას დოსტები იყვნენ, და ყველა იმის ბრძანებას ემორჩილებოდა.

მეტი რა გზაა! უნდა წავიდე, თორემ ჩაფრები ძალით გამაგდებენ და საქონელსაც მათრახებით დამიხოკენ, და მიდიოდა, გაშლილ კალოს ღორების საწეწათ სტოვებდა.

მამისეული მიწები, დუქანი, საკუჭნაოებით და ველური მიდამოებით შემკული, პატარა ხის წისქვილი, გიქუამ დიდი ხანია რაც დააქცია და ერთის მაგივრად ცხრა-თვალიანი, ორ სართულიანი მაღაზიები გამართა, ხის ბეღლების მაგივრად დიდრონ-დიდრონი ქვითკირის „სარაები" ააგო და შიგ უთვალავი ჭირნახულის ზიდვა დაიწყო, „ფოდრიაჩიკობა" უფრო გააფართოვა და მთელი მაზრის აღებ მიცემა ხელში ჩაიგდო.

რაც შეეხება ზნეს, ჩვეულების, მამის ნაანდერძევს ტკბილ განწყობილებას იმ ხალხთან, რომელთანაც აღებ მიცემობა ჰქონდა, გიქუამ იმ თავითვე გადაუხვია და თან უფრო და უფრო გაამაყდა, მიუკარებელი შეიქნა.

მარტო აქა იქ, სხვა და სხვა სოფელში, თითო ოროლა ოჯახს შეეჩვია, ბინა დაიდო და ჭირნახულის აკრეფის დროს, ან სხვა რამ საქმის გამოისობით რომ მივიდოდა, იქ ჩამოხტებოდა და თან მისატანიც მიჰქონდა: დოშა, ზურგიელი, ცოტა რამ ზინათიც ნათლი დედისათვის, არა შურდა. ნათლი მამები კი ნოქრებად გაიხადა, აღებ-მიცემობას შეაჩვია, ზედამხედველად დანიშნა.

ლამაზ ნათლი დედებს ჩირქი მოსცხო, საყვარლებათ გაიხადა და მანამდე მაღალზნეობით სახელ განთქმული ის მხარე, წაბილწა. რამდენიმე ოჯახი გახრწნა და თუმცა გაამდიდრა და სარჩოთი აავსო, ზნეობრივად უდროოდ დააქცია და მოსწამლა.

— ცეცხლი მოედოს იმ დროს, როდესაც ეგ ჩვენ სოფელში გაჩნდა! იტყოდნენ ხოლმე ხნიერი დედაკაცები.

— ნამუსის ლეჩაქი აგვეხადა. ოჯახის სიწმინდეზედ ნაცარტუტა დაგვეყარა! ღმერთმა აცხონოს მაგისი მამა ბაღდასარა, გლეხის ოჯახი იმისათვის წმინდა ეკლესია იყო. ყველა დედაკაცი იმისი დაი და შვილი. ეგ, ეგ არამზადა კი, ფულით ყველას თვალებს უხვევს, ფულის საშუალებით ყველა თავის პრჭყალებში უჭირავს: საითაც უნდა იქით მიჰყავს- რასაც უნდა იმას აქნევინებს.

— აი საწყალი პეტრე კაპანაძე, ბეჩავი კაცი, ღვთის შვილი, ვითომ ამხანაგად გაიხადა, აქეთ იქით გზავნიდა საქმეებზედ, „ფოდრადის" ჩაბარებას ავალებდა, ქალაქიდან სავაჭროს აზიდვინებდა და ამასობაში თვალები კი დაუყენა ლამაზი და სათნო ცოლი დარეჯანი ხელიდგან გამოაცალა, წაბილწა და ცუდი სენი შეჰყარა. სენი მერე პეტრესაც გადაედო და ცეცხლი მოედო მთელ ოჯახს, დაიწვა და დაიდაგა, ცოცხლად დასამარხი გახდა, სოფელმა კარი გამოუხურა, მეზობლობა შეუკრა და თითქმის შეაჩვენა.

გიქუა კი, ყველაფრის მომქმედი და ყველაფერში დამნაშავე, არხეინად დადიოდა, ჩვეულებრივ აღებ-მიცემობას ეწეოდა...

მაგრამ სოფლის ბოლმა თანდათან ივსებოდა. დედა-კაცების წყევლა

კრულვა, საერთო ყიჟინით გადაიქცა. ყველას გული სავსე იყო სიმძულვარით, საერთო შურის ძიებისთვის ჰაერი იჟღინთებოდა.

დადგა 1905 წელი. სოფელში სამართლის. მძებნელთა ხმა გაისმა. სოფელი შეინძრა, იმის ჩვეულებრივი, გარინდებული ცხოვრება ადუღდა. თითოულმა თავის ტკივილზედ ხმა ამოიღო და საერთო ტკივილებზედ, ერთმანეთს ხმა მისცეს. ალისუბანიც გამოფხიზლდა და პირველად სოფლის სხეულის მწუწვნელი გიქუა დაინახა მთელის თავისის ძრიელებით: მჭრელის კლანჭებით, ობობისებურის გაბმულის ქსელებით და იმის მყრალის ოშხივარით მოწამლული მსხვერპლებით და იმას პირველს ჰკრა დიდი ხნიდგან გესლით ავსებული ისარი.

ჯარებისთვის გამზადებული თვალ გადუწვდენელ თივის ზვინებს და ბზით გატენილ საბძლებს, ერთ მშვენიერ ღამეს ცეცხლი მოეკიდა და ჯოჯოხეთურმა ალმა გაანიავა დიდ მანძილზე გაშლილი გიქუას სამფლობელო.

თივებიდგან ცეცხლი გადაედო‘ ბეღლებს, დუქნებს და მრავალი სხვა შენობებს.

გიქუა მაშინვე, ახლო მდგომ ჯარის უფროსთან გაფრინდა თავის „პროლეტკით“ და თავის უბედურობის ბრალი, რასაკვირველია, სოფელს დააბრალა. საჩქაროზედ ყაზახები გაჩნდნენ და დაიწყო ალი -უბნის „ზეკუცია“ და თუ რა არის „ეგზეკუცია“ სოფლისა, ის ღმერთმა ჩემ მტერსაც ნუ აჩვენოს! მათრახების შლაპა შლუპი, რბევა, ნგრევა, აფორიაქება.

სოფლის კივილ-წივილი ზეცის კიდეებამდე ადიოდა. მთელი იმის საზრდო საბადებელი კაზაკებმა და მათ ცხენებმა შთანთქეს. სოფლის აოხრებამ გიქოს მხოლოდ გული მოუფონა, თორებ დაკარგულ ქონებას რაღას უშველიდა და ერთ საღამოს ბინდბუნდზედ, გიქო ჩუმათ გავიდა ალისუბნიდგან მახლობელ სადგურზედ წასასვლელად.

შავფერებით სავსე, თავჩაღუნული, ძლივ-ძლიობით მოჩანჩალებდა მტვრით გატენილ ორღობეზედ. უცბათ გზაზედ პეტრეს შეეყარა, თვალი მოარიდა, გზა უნდა აექცია როგორმე, მაგრამ პეტრე მუდამ ჟამს უაზრო და ბეჩავი, დღეს როგორღაც სხვა გუნებაზედ იყო და გიქია გააჩერა.

— რო მიხვალ, სად მიბძანდები? თვალების ბრიალით შეეკითხა ის თავის ოჯახის დამქცეველს.

— რა შენი საქმეა, ოხერო! შეუტია გიქომ და უნდოდა გაეგრძელებინა გზა, მაგრამ პეტრემ მაგრად ჩაბოჭა. იმისი მარჯვენა და თავისი ხანჯალი ამოიძრო.

— ტყუილათ ირჯებით, ნათლია გიქო, ტყუილათ! შენ აქ უნდა დასტოვო შენ ცხოვრებასთან ერთად, შენი ბილწი სულიც... და ხანჯალი მოუქნია...

მაგრამ, პეტრეს დასნეულებული ჯანი სუსტი აღმოჩნდა გიქუას ბუღა კისრის წასაჭრელად. იმან მხოლოდ ოდნავ ჩამოათალა წითლად დაჯორჯილი დიდი ცხვირი და ქონით ჩასხმულ წინწამოდგმული ნიკაპი.

— ვაგლახ მე, სთქვა საკოდავმა კვნესით: ხანჯლის მოქნევის უნარიც კი წამართვი, შე მყრალო, ჩემი ოჯახის დამქცევო ვირ ეშმაკავ. მაგრამ წადი და ეგ სამარცხვინო დამლაც თან წაიღე შენი ვაჟ-კაცობის სადიდებლად და სასახელოდ.

ნინო თარიფვილი

სიკვდილი ლოდინით

მზეს ნატრულობენ გიაცინტები
და ჩემი სუნთქვა უეცარ მოსვლას,
მე სიყვარულით ვერ დაგცილდები
და ფიქრი სხეულს გადაიმოსავს.

—

წელღია მთვარე—ღამის ნოქარი
სიზმარს დაეცა ნაზი გვირილა,
ცამ ყვითელ თაგვებს გაულო კარი,
სურვილმა ყოფნა გადაგვირია.

—

ჩამოჭკნა დარდი, როგორც ზაფრანა,
დანგრეულ ღიმილს შეჰყურებს სარკე
ოცნება კლდეზე გადასაფრენი
ჩემს გულში დარჩა მზესავით ცალკე.

—

გზა სიმწუხარით არის მორთული,
სიცოცხლეს უცდი დიდიხანია,
როგორც პატარა სპილოს ხორთუმი
მე მზის ამოსვლაც არ მიხარია.

—

ლოდინი ფიქრით ვერ დაიშრიტა
ისევ მარტო ვარ, როგორც კუნძული.
მაქვს თეთრი დარდი ცისფერ გიშრიდან
მკერდზე მტევნები გადაკინძული.

—

სდგას ქანდაკება ძვირფას როდენით,
თვალებს აანთებს ალერსის მზევა
და თითებს დაღლილს ამდენ ლოდინით
ალბად, სიკვდილი გადაესევა.

ნინო თარიშვილი

თეთრი მძივები

ვერ გაიქცევა დღე ბინდის სირცხვილს,
ცა გაიხსნება, ვით სახარება
ვიცი შეტყობა ბედნიერ რიცხვის,
გულში ნაფიქრის დასახელება.

—

ვირთვები ზოგჯერ ლალით და მარჯნით
ჩემს სურვილს ნეტა ვინ დაიმონებს?
ამოდის მთვარე ცისფერ ყავარჯნით.
დაისხამს ლამე ფერმკრთალ ლიმონებს.

—

და ძილი იტყვის მძიმე სამძიმარს,
ვით წამწამებზე დამდნარი თოვლი
და მე კი ერთი დარდი ჩამძირავს,
როგორც ქვის სარკე ზღვაზე ნაპოვნი.

—

მითხარ, თუ ჩემთან შეხვედრა გნებავს
სხვის მონაცემი არ მინდა გული,
ცხელ უდაბნოში გავყვები ვნებას
შენი ფიქრისგან ალმოდებული.—

წიგნიდან: შემთხვევითი თემები

1. უარი ჩემს დღიურებს. „პირუტყვი თავის ნაძოვარს არ უბრუნდება.“ ადამიანის აღდგენა. კარგი წიგნი და კარგი მეგობარი.

შეშთსყვა არა ჩემი ყოფნის მომა მოკარნასე.
მ ა რ ი ჯ ა ნ.

„დაკინვისა ეშინიან იმასაც კი, ვისაც საზოგადოდ არაფრისა არ ეშინიან.“

სთქვა ვიღაცამ ოდესღაც.

და ალბად მეც იმიტომ ვარ ასეთი გულჩახვეული, ვერავის ვერ გავენდობი, ვშიშობ არ დამცინონ.

ალბად სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩემი დღიურები დატვირთულია ჩემი პირადი განცდებით. ერთი და იგივე საგანზე მიხდება ფიქრი და წერა.

და მომბეზრდა. აღარ მინდა მათთან საუბარი...

უარი ჩემს დღიურებს.

უარი გაყვითლებულ ფურცლებს.

ახალი რვეული.

ახალი წიგნი ძველი კანონებით არ იწერება.

გრძელ პერიოდებს მეც ვეღარ ვიტან.

მაგრამ ახალიც არაფერია:

ვინც იცის „ქებათა ქება“ სოლომონისა, „Ars amandie,“ და „Remedia amoris“ ოვიდჲი ნაზონისა მისთვის გასაგებია, რომ ლაკონიური თქმა, შეკვეცილი დაწურული ფრაზა და აზრი უძველესი თქმაა.

მე რომ ეს რვეული ვიყიდე, არა ჩვეულებრივი გრძნობა დამებადა: გული თითქოს გაგანიერდა, ათასი აზრი მომაწყდა. მეჩქარებოდა სახლში მისვლა. მენატრებოდა ჩემი ოთახის მყუდროება და სიმარტოვე.

მე მხოლოდ სიმარტოვეში შემიძლიან წერა.

ღამის ფრთები ჩემთვის საუკეთესო საფარია. არც ერთი ლექსი მე დღისით არ დამიწერია.

ჯადოსნურ რკალში მოჰყვა ლექსაობა.

„პირუტყვი თავის ნაძოვარს არ უბრუნდება“.

ჩვენ კი ისევ პირველ სიტყვასთან ვართ.

საქართველოში ყველა დიდი თუ პატარა, ნიჭიერი თუ უნიჭო, თავის თავიდან იწყებს მწერლობის ახალ ხანას, ახალ ეპოქას.

ყველას თავისი სიტყვა, ღვთის პირველ სიტყვად მიაჩნია.

სინამდვილეში კი ყოველივე წარსულის გადამღერებაა. გადახალისება ძველის და სიძველის.

მე ძველი წიგნები უფრო მიყვარს.

ძველში მე ახალს უფრო ვპოვებ.

ძველი მე მაკვირვებს: სიღრმით, სიბრძნით.

ძველი წიგნის სურნელება! საუკუნეების მანძილი!

ლექსს თუ ჭუჭყის სუნი დაჰკრავს, ჩემთვის მიუღებელია.

დრო და მანძილია საჭირო რომ ისინი ვიგრძნო.

ეს არ არის ლიტერატურული მიდგომა. მაგრამ მე ჩემს თავს ხომ ვერ მოვატყუებ.

ქართველი პოეტესა, როცა პროვინციალურ ეარგონით ლაპარაკობს—მე ტანში მაჟრიალებს.

მე ქართველი სიტყვის სიდარბაისლე მწამს.

სიტყვა როგორც ფოლადი და მსუბუქი როგორც ეთერი.

კონტრასტების შეფარდება.

გულში ჩახედვა. განცდების გამზევება.

მე.

და ჩემს გარეშე ისევ „მე“.

ადამიანის აღდგენა.

ადამიანი გაითქვიფა კოლექტივში.

წინათ ადამიანი, როგორც პიროვნება, ძლიერი იყო. ის იყო ბელადი. ის ჰქმნიდა ეპოქას.

ეხლა ეპოქა ჰქმნის პიროვნებას.

დრო ჰქმნის ბელადებს.

მე კი მინდა რომ თვით დროც შევაჩერო.

იყოს ერთგვარი ანტრაქტი ჟამთა აღრიცხვაში.

შეუძლებელია.

როცა დიდი პიროვნება კვდება, ტრაურის აღსანიშნავად, განსაზღვრულ დრომდე შეაჩერებენ ხოლმე მუშაობას, მიმოსვლას, მოძრაობას.

ეს სიმბოლიურია.

შეწყდა მაჯის ცემა.

მე კი მინდა თვით დროც შეაჩერონ, რომ ეს შეწყვეტა არ განიზომებოდეს წუთებით, რომ წუთები არ განისაზღვრებოდეს წამებით, ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა დაუსრულებელ წამების.

წამებიდან შემდგარი წამება.

შკლოვსკიმ სთქვა: „საგნები ისევე ჩნდებიან, როგორც ბავშვები. ისინი ისახვიან მხიარულად და ურცხვად, მათი ტარება სამძიმოა, გაჩენა მტკივნეული, არსებობა.—წამება“.

და სწორედ ამ წამებამ, ცხოვრების ტლანქ და უგულო კანონებმა, ორჯერ თვითმკვლელობამდე მიმიყვანა.

მაგრამ, არც ტყვიამ, არც დანამ და არც ჭლექმა, არ მომკლა.

ალბად ქინძისთავისაგან მიწერია სიკვდილი.

ბედი არ არსებობსო.

მე კი ფატალისტკა ვარ.

ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო.

მეც უნდა ვიცხოვრო, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცასთვის და რაღაცისათვის ეს საჭიროა.

მე თვითონ გარკვეული პასუხი ჯერ კიდევ არა მაქვს ამაზე. რა საჭიროა სიცოცხლე ან სიკვდილი, რათ ვჯღაბნი ამ სტრიქონებს, სტრიქონებს უაზრობისას!?

სტრიქონებს ჩემი სულიერი სიღატაკის გამომსახველებს.

მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა მაიძულებს წერას.

ეს წერის სურვილი ისეთივე ძლიერია ჩემში, როგორც ყოველივე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება.

საბრალო მკითხველი!

თუმცა ჩვენში მკითხველიც არ არსებობს. ქართულ წიგნს ისევე ქართველი მწერალი კითხულობს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, ხოლო კრიტიკოსები ისინი არიან, ვინც მწერლობაში არ გამოდგნენ.

კარგი წიგნი კი კარგს მეგობარს უდრის.

ახლა აღარც კარგი წიგნი იწერება და აღარც კარგი მეგობრობა არსებობს.

ჩვენი ხანა ეგოისტურია, ხანა უნდობლობის.

უნდობლობაზე სამძიმო კი არაფერია.

მე ვიცოდი მეგობრობა და მეც მაიძულებენ ამის დავიწყებას... დავრწმუნდი, რომ სხვისათვას თავგანწირვა—სისულელეა.

„ბედი ყოველთვის იმას სჯის მკაცრად, ვინც სხვას ერთგულობს და ღალატობს საკუთარ თავსა“.

2. უნაური ბანცდა. მე, სიყვარული
და დღევანდელი მომენტი. ანა ახმატოვა
პლაგიატი. ჩემი გაბოროტება. ბუნების
წიაღში. შემთხვევა.

მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება.

თითქოს მიწის და ცის შუა თავდაღმა ვიყო დაკიდული.

ნიადაგი გამომეცალა.

რაღაცნაირი მდგომარეობაა, ჩემთვის სრულიად გაუგებარი.

სივრცისა და დროს გარეშე დავრჩენილვარ თითქოს.

არაფრის გაგების უნარი არა მაქვს.

მხოლოდ ესენინის სიტყვები მიელავენ: „ჩემს ჩანგს არავის დაუთმობ“. და ვამბობ სასოწარკვეთილი:

— ეხ, ვის რათ უნდა ჩემი ლექსები,
ჩემი მკითხველი არავინ არი...

დღევანდელი მომენტი უარყოფს ლირიკას, უარყოფს სიყვარულს.

მე კი როცა ნაკლებად ვგრძნობ სიყვარულს, უფრო ნაკლებად ვგრძნობ ჩემში შემოქმედებითი ძალას.

იქ სადაც სიყვარული ისპობა, იქ მე ადგილი არა მაქვს.

ერთხელ სპარსეთის მეფე ბერხებ-ჰგური თავის საყვარლის ფეხთით იჯდა, ლამაზ დილა არამის ფეხთით.

მეფე თავის სიყვარულზე ელაპარაკებოდა. ორთავეს გული უცემდათ და წარმოიშვა ახალი სიტყვები. ქალის გულში გამოძახილი ჰპოვეს. ასე შეიქმნა სპარსეთში პოეზია, რიტმი და რითმა.

ეს სპარსული ლეგენდაა—პოეზიის წარმოშობის შესახებ.

ამისთანა ლეგენდებს ყოველი ჩვენთაგანი განიცდის.

მე ცოცხლად ვიმარხები.

ეხლა სხვა მოთხოვნილებაა. ახალი მიდგომა. ახალი გაგება.

ჩვენ აღარა ვართ საპირო.

რატომ არ შეიძლება, რომ ამ სისხლის და რკინის დრომ ჩვენც შეგვიყვაროს; ჩვენ, უკანასკნელი ოქრომჭედლები სიყვარულისა?

— ჩემს საუკუნეს მაჩანჩალად მე არ გავყვები
თუნდაც პატარა უმნიშვნელო ვიყო ატომი.

ჩემი გულის ნანგრევებზე სხვა თუ ააშენებს სასახლეს, თორემ მე არ ძალმიძს არაფრის გაკეთება. ჩემი სული ისევე დამახინჯებულია, როგორც ჩინელი ქალის ფეხები.

თანაც ვფიქრობ: მეორედ ხომ არ დავიბადები?

ერთს დროს ვფიქრობდი, რომ ეს სიცოცხლე არ მეყოფოდა. მეგონა ჩემთვის სამი სიცოცხლე იყო საჭირო, რომ ყოველივე ჩემი გულის წადილი შემესრულებინა. დღეში 24 საათი კი არა—48 საათი უნდა ყოფილიყო, რომ ყოველივე მომესწრო.

ვამბობდი დაჟინებით:

— ერთხელ სიცოცხლე საკმარისი არ არის ჩემთვის,
მე უსათოოდ რამდენჯერმე უნდა ვიცოცხლო!

დღეს კი შემოდგომის ფოთოლივით პირველ ქარს გავყვები, რომ ერთხელ კიდევ ავცილდე მიწას და ხის მწვერვალის სიახლოვე ვიგრძნო. შემოდგომის, დიაღ, შემოდგომის ფოთოლს დავემსგავსე. უმიზნოდ დამაქროლებს ქარი და ერთ-და-იმავე დროს ვბანაობ როგორც მტვერში, აგრედვე განელებულ მზის სხივებში.

მტვერი და მზე ერთად.

სულ სხვაა ხასხასა ფოთოლი ლამაზ ხეზე.

ის მხოლოდ მზეს ჰხედავს.

მტვერი მას არ ეხება.

ჩემი სულის ანარეკლს ახმატოვას ლექსებში ვპოულობ. მისი ლექსები არ არის შემკული თვალწარმტაც სათაურებით. ყველა მისი ლექსი კენესა და ლხენაა მისი გულის და ერთი მეორის გაგრძელება.

ყველაზე უფრო მისი ერთი კრებული მომწონს: „კრიალოსანი“. მისი განცდები სწორედ კრიალოსნის მარცვლებადაა აკინძული:

რომელი ლექსიც არ უნდა წაიკითხო, ყველა მის განცდებთან განათესავებენ და მისი გულის ცემას გაგრძნობინებენ.

მე მიყვარს ახმატოვა.

საინტერესო წიგნი ის არის, რომელიც საკუთარ თავზე იწერება. საუკეთესო ლექსი უსათუოდ ლირიულია.

კარგი ლექსი განცდით იწერება.

სილამაზე უნდა იგრძნო, რომ დააფასო.

ჩვენში ნაკლებ განიცდიან ნამდვილ სილამაზეს: სილამაზეს—ფესტის, ცხოვრების, განცდის, გაქანების.

ეს ყოველივე წიგნებშია მხოლოდ, ამაზე მხოლოდ სწერენ. ჩვენი ხელოვანი უბრალო მომაკვდავზე მდარეა და უნიათო.

ჩვენ გვიყვარს მხოლოდ მყვირალა სათაურები. ერთ დროს სათაურებით ამოიწურებოდნენ ლექსები.

თემების ძიებით უფრო ვიყავით გატაცებულნი, ვიდრე თემების დამუშავებით.

მშვენიერი სათაურები. ლამაზი წარწერები. თვალწარელი შემოქმედება.

მაგრამ არის ხოლმე ლექსი, რომელსაც სათაური არ უდგება. სათაური ვერ გამოგინახავს.

ზოგი ლექსი პირდაპირ სათაურისთვის და რითმებისთვის იწერება.

ეს ყოველივე პოეტის და მწერლის საიდუმლოებას შეადგენს.

ჩვენი პოეტები იმდენად დაუნდობელნი არიან, რომ ერთმანეთს არამც თუ დაუბეჭდავ ლექსებს, ახალ რითმასაც არ გაანდობენ, ზოგიერთისათვის ახალი რითმა ისეთივე განძია, როგორც უმშვენიერესი მარგალიტის პოვნა, და ვაი იმისი ბრალი, თუ შემთხვევით ეს სიტყვა, სხვის ლექსში აღმოჩნდა. ისუსათუოდ ქურდის ან პლაგიატორის სახელით ინათლება.

ვინც მკვდარს სცარცვავს—მარადიორია.

ცოცხალს—შანტაჟისტი.

შარა გზაზე მონავარდე—ყაჩაღია.

გემების მძარცველი—მეკობრე.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან ვისარგებლოთ სხვისი აზრით თუ სიტყვით ისევე, როგორც ვსარგებლობთ ავტომობილით, გემით, ჰაეროპლანით.

ყოველი აღმოჩენა და დასტამბული სიტყვა შორდება პატრონს და ყველას ეკუთვნის.

იაპონიაში პლაგიატი, როგორც დანაშაულობა არ არის შეტანილი ხალხის მორალურ კოდექსში. იაპონიაში ეს ერუდიციად არის მიღებული.

ჩვენში კი ამ ნიადაგზე, ორ პოეტს ერთმანეთის სისხლის დალევაც კი შეუძლინათ.

რატომ არ შეიძლება, რომ ორ პოეტს ერთი-და-იგივე აზრი დაებადოს?

ბავშვობაში დედა მასწავლიდა: „ლამე, როცა იძინებ მოიგონე შენი ყო—

ველი საქციელი: რა გააკეთე, რა ილაპარაკე, ხომ არავის არ აწყენინე, და თუ რამე ცუდი ჩაიდინე, ერიდე რომ მეორე დღეს არ გაიმეოროო".

და მართლაც, ამხანაგებისათვის თუ ტოლებისთვის იშვიათად მიმიყენებია ვნება.

ყოველ ჩემს სიტყვას ანგარიშს ვუწევდი.

ჩემში ბავშობიდანვე პასუხისმგებლობა იყო.

ღმერთო ჩემო, რა კეთილი ვიყავი.

ახლა კი გავბოროტდი.

ვფიქრობ: ნუ თუ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი ადამიანი, რომელმაც ჩემი სულის შიმშილი სავსებით გაიგოს?..

მე არ მინდა ჩემს გრძნობებს დავემონო.

სიყვარული, რომელიც ერთს აფერადებს და მეორეს—სჩაგრავს დასაგმობია.

ასეთი სიყვარული მე არა მწამს.

მე სიძულვილი მენატრება! სიძულვილი, ყოველივე ჩემი უჯრედით, ყოველივე ჩემი ნერვის ძაფებით, ყოველივე ჩემი სისხლის წვეთით.

ჩემი სიტყვა შხამით უნდა იყოს გაჟღენთილი, რომ სწამლავდეს ატმოსფერას.

ჩემი ბოროტი სუნთქვა უნდა ახმობდეს ყვავილებს, ჩემი მწარე ღიმილი უნდა სერავდეს მიწას...

ოხ, ისე უნდა გაივსოს ჩემი გული სიბოროტით, რომ ველარ დაეტიოს გულის ფოსოში, გასკდეს, ბალღამად გადმოიღვაროს და მთლად წამლეკოს...

ჩემი სუსტი ხმა თავშემზარავ ჭექა-ქუხილად უნდა გადაიქცეს.

ჩემი მსუბუქი სიარული, ისე უნდა დამძიმდეს, რომ საუკუნოებით დამარხულ ძვლებმაც იგრძნონ ტკივილი და შეიშმუშნონ.

ახ! ჩემ სურვილებს ვერ დაჰფარავს თვით ოკეანე.

მე წარსულს მივაფურთხე.

მე აწმყო უარ-ყავი.

მომავალს ვწვავ ათებულ თვალებით და მინდა ყველა პლანეტები შევაჯახო, რომ ახალი მსოფლიო შევქმნა:

ჩემი საკუთარი კანონებით.

აღარ იყოს ნასახი ადამიანის, „ანდაზასავით გაცვეთილ ადამიანის", რომელსაც დაჰკარგვია დიდი ხანია სახე და ზღვის დონედან მოგლეჯილ ღრუბელივით ისრუტავს ყოველივე სიბილწეს.

უპატიოსნო ადამიანს არც სხვისი პატიოსნება სწამს.

მაგრამ ვარსკვლავები რომ აშუქებენ, ალბად ესეც ვისმესთვის საჭიროა.

ბუნების წიაღში ადამიანი კეთილშობილდება.

ბუნება ურცხვია და ადამიანში ატავისტურ გრძნობებს იწვევს.

ბუნება ხსნის ადამიანის სახიდან ფარისევლობის პირბადეს. ამიტომ არის რომ აგარაკზე უფრო ადვილად ეჩვევა ხალხი ერთმანეთს. აგარაკზე ადამიანი უფრო გულწრფელი და გულახდილია.

ბულბული ხეზედ უფრო ლაღად მღერის.

ყოველი ლამაზი განცდა ზაფხულის განძია. აყვავებული ბუნება, ეს ის საუკეთესო თაიგულია, რომელიც აამოძრავებს ხოლმე ჩვენს ემოციებს.

რასაც ადამიანი ზამთარში ვერ გაბედავს, გაზაფხული და ზაფხული შეასრულებინებს.

დიდი ხნით ნატარები სურვილი უფერულია და უგემური.

ბუნების წიაღში მრავალი ახალი აზრი თავისთავად იბადება.

ბისმარკმა იცოდა თქმა: „მე უნდა გაგიზიაროთ აზრი, რომელიც მწვანე მაგიდასთან კი არ მეწვია, არამედ მწვანე ყანებსშორის.“

ბუნება ხშირად წიგნზე მეტყველია.

ბუნების კარნახი ჩვენი ცხოვრების კოდექსებზე ძლიერია.

მთის ხალხი უფრო ინტენსიურია, თამამი, გონიერი და ფხიზელი—ვიდრე დაბლობის.

ჟაობის მცხოვრებლებს მუდამ დაღვრემილი სახე აქვთ. მათი გონება ჩლუნგია, გული—დახშული.

როცა მთის მწვერვალზე ადიხარ, თავს თითქოს ზეკაცად გრძნობ.

ადამიანი თავის თავს უფრო სრულყოფილ ცნებად აღიარებს, ვიდრე ბუნებას.

ადამიანმა თითქოს დაიმორჩილა ხმელეთი, ზღვა და ჰაერი.

აღარაფერი აღარ დარჩა გაუგებარი და მიუწვდომელი.

მაგრამ საკმარისია, მიწამ ერთი ღრმათ ამოისუნთქოს და... დაინგრევა ქალაქები, სოფლები, ქვეყნები.

საკმარისია დაიწიოს ზღვის დონემ და... გაქრებიან კუნძულები, იღუპება ქონება, ხალხი, კულტურა.

მე მიყვარს სტიქია!

უდაბნოს ხორშაკი მთელ ქარავნებს ასამარებს.

ზღვა გიგანტიურ გემებს ჰყლაპავს. ზღვას მსხვერპლი უყვარს.

ბუნებას საკუთარი კანონები აქვს: უფრო რთული და ძლიერი.

ის თითქოს დასცინის ადამიანს: „მომაკვდავო, მე შენსავით არ მეჩქარება“.

ჯერ ჯერობით გამარჯვება ისევ ბუნების ძალას ეკუთვნის.

შემთხვევა, უბრალო შემთხვევა, ხშირად სპობს ყოველივეს.

ერთმა ცნობილმა მეცნიერმა და არქეოლოგმა ეგვიპტეში უძველესი აკლდამა აღმოაჩინა. მისი დიდიხნის ცდები გამარჯვებით დაგვირგვინდნენ.

კმაყოფილი და ბედნიერია მეცნიერი. მაგრამ მიწიდან მოულოდნელად გველი გამოძვრება და სასიკვდილოდ დაჰკბენს მეცნიერს.

იწამლება გველის შხამით. შველა შეუძლებელი ხდება. მეცნიერება უძლურია.

გველის შხამიანი შეხება დიდტანიან წიგნებს ამარცხებს. კვდება დიდი ადამიანი.

ადამიანი ყველაფერს ვერ გაუმკლავდება.

ხშირათ უბრალო ბაცილა უფრო გამძლეა, ვიდრე სრულყოფილი ქმნილება—ადამიანი.

3. ქორწინება. შვილი. სიყვარულის ცვალებადობა. მეგობრობა. ქალი და ხელოვნება. ანატოლ ფრანსის აზრი ქალის დანიშნულებაზე. სიბერე. სიყვარულის და მწერლის ბედი იგივეა. ბავშვი მოხუცთან არ დაიძინება. ჩვენი ნერვიულობა. ფეტიშიზმი. თვითეული ჩვენთაგანი რამოდენიმე აქტიან დრამას ატარებს თავის სულში..

გაუთხოვარი ქალის ბედი იგივეა, რაც დაუბეჭდავი ლექსის.

იაპონელ იეაზუმ სთქვა: ნურავინ დარჩება უცოლოთ და უქმროდ. უმაღლესი ზნეობრივი კანონი მოითხოვს, რომ ყოველი მამაკაცი და ქალი დაქორწინდესო.

როგორც ზაფხულის პეპელები უდარდელად დანავარდობენ და ყვავილების თასებიდან სწუწნიან ნექტარს, თქვენც ასევე დალიეთ ნექტარების ბარბათი. როგორც აბრეშუმის ჭიაა ნაყოფიერი, თქვენც გამრავლდით და შეჭმენით თქვენი ჩამომავლობაო.

მე არა მწამს ოჯახი—უბავშვოდ.

არა მრწამს უშინაარსო სიყვარული.

სიყვარულის შედეგი მხოლოდ ბავშვია.

ბავშვი—ეს სულისა და ხორცის შეერთება.

უაღრესი ბედნიერება ადამიანისათვის — არის შვილი საყვარელ ადამიანისაგან. სხვანაირად სრული ბედნიერება ვერ წარმომიდგენია.

სქესობრივი აუცილებლობა ჩემთვის არ არსებობს.

მხოლოდ სიყვარულით შეიძლება დაკავშირება. დანარჩენი—პირუტყვობაა.

ძლიერ ვნებიანი ადამიანი სხვას არაუერს ხედავს. მისთვის ვნება—ცხოვრების ქვაკუთხედია.

კულტურული ადამიანი სრულ ქმნილებისაკენ მიისწრაფვის. ამავე დროს ადამიანი დაკნინდა და ცალმხრივია. ჰარმონია აღარ არსებობს.

ამიტომ არის რომ ზოგისა სული გვხიბლავს და ზოგისა კიდევ გარეგნობა.

მთლიანი არსება ჩვენში იშვიათია. ადამშანი შემკული სულით, გონებით ნებისყოფით და გარეგნული პროპორციით—საძებნელია.

ერთში ვერ ვპოვე ყველა ღირსება
და მინდა ნაკლი შევავსო სხვებით.

ამბობს ჩემი მეგობარი პოეტი.

რთულია თანამედროვე ადამიანის პსიხიკა.

ქალი სავსებით არასოდეს არ არის ბედნიერი. ის ვერ ჭქმნის თავის მომავალს, თავის თავს არ ეკუთვნის. ის მონაა საკუთარ გრძნობების და შინაგან განცდებზეა გადაყოლილი.

ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი ლტოლვა სიცოცხლის საძირკველია.

ქალს სიყვარული ალამაზებს.

გასუქებულ ადამიანს სიყვარული ნაკლებად შეუძლიან.

მსუქანი ქათამი კვერცხს არ იძლევა. ხშირად მსუქანი ქალი—უშვილოა.

გაქონილს გულს და ქონმორეულ მკერდს მგრძნობელობა აკლიათ.

ალტენბერგმა სთქვა: „მე დავკარგე ჩემი სატრფო: ის სუქდებაო!“

ერთმა მეგობარმა კი მითხრა: „ნუ გახდები, თორემ შეგიძულებო.“

ადამიანის აღრზდა ეს არის სქესობრივი მოთხოვნილების სულიერად გარდაქმნა.

ყოველი გატაცება ადამიანში შემოქმედებას უნდა იწვევდეს.

მე უარვყავი ერთი ერთგული მეგობარი, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სიყვარული ჩემში არასფერს არ იწვევდა. დაუწერე:

— რად გინდა დარჩე ჩემს რვეულში ცარიელ ფურცლად?

იგრძნო და სულ წავიდა აქედან.

მე მხოლოდ მასთან შემიძლიან მეგობრობა, ვინც სულიერ საზრდოს მაძლევს.

ოჯახის შექმნა, მეგობრების უარყოფაა — ერთის გულისათვის და ეს ერთი უსათუოდ ღირსეული უნდა იყოს.

ტოლსტოის ცოლი სწერს თავინ მეუღლის წიგნის წინასიტყვაობაში:

„ჩემი სუსტი მხრებისათვის სამძიძო ტვირთი იყო გენიოსის და დიდი მწერლის მეუღლეობა.“

სვირსკის ერთ პატარა მოთხრობაში, ცოლი უსაყვედურებს მწერალ ქმარს:

„შენი დიდი პიროვნების ჩრდილში მე მცივა და ვიყინებიო“

ქალი ხელოვანის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს.

ქალი სულის ჩამდგმელია ყოველივე საუკეთესო ნაწარმოების, ყოველივე დიდი საქმის.

გოეტეს და კორნელია ყველასათვის ცნობილია. კორნელიას დიდი გავლენა ჰქონდა თავის ძმაზე. გოეტე ამას გრძნობდა და განსაკუთრებით უყვარდა. როცა კორნელია გათხოვდა, გოეტე სწუხდა ბავშურად და თანაც ეშვიანობდა.

მიქელ ანჯელოს სიბერემდის შერჩა სიყვარული თავის სატრფოსადმი.

ანატოლ ფრანსი ასე ლაპარაკობდა თავის მეგობარ ქალბატონ არმან-დეკაიავაზე: „მე უიმისოდ ვერასოდეს ვერასფერს ვერ გავაკეთებდი. მე იმ ქალის ძალდატანებით ვსაქმიანობდი. სუფთა ცარიელი ქაღალდის დანახვაზე თავს ბრუ მესხმოდა.“

როცა ანატოლ ფრანსი მუშაობდა, ქალბატონი არმანი შორიახლოს მაგიდასთან იჯდა და თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას, ამხნევებდა და თითქმის ძალით აწერინებდა. მათი მეგობრობა ხანგრძლივი და საინტერესო იყო. ისინი მუდამ ერთად მოგზაურობდნენ. ამას ანატოლ ფრანსისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ისეთ ადამიანს უნდა ჰმეგობრობდე, რომ განშორების დროს უფრო იგრძნო მისი სიშორე, ვიდრე ერთად ყოფნის დროს—მის სიახლოვე.

განშორება საუკეთესო საზომია სიყვარულისა. ნამდვილი, დიდი გრძნობა ღრმავდება და ძლიერდება, პატარა—ნელდება და ჰქრება.

მე პატივსა ვცემ იმ ქალებს, რომელნიც ჩემ შეხვედრამდე უყვარდათ, მძულს ისინი, ვინც ჩემს სიყვარულში ეჩხირება და მეშინიან მათი, რომელნიც ჩემი მოადგილენი გახდებიან.

ალტენბერგს ასეთი ნაზი სტრიქონები აქვს:

„მე ვეუბნები ჩემს მომავალ მოადგილეს: ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეახეთ შიშველი ფეხი, იმ პატარა ხალიჩას, რომელიც თქვენი სატრფოს საწოლთან ჰფენია: ის ხალიჩა ჩემი ცრემლებით არის მოქარგული.“

არც ერთ ქალს, ვინც უნდა იყოს იგი, მამაკაცის ღალატი და გულგრილობა არ ასცდება. ამას ქალი ძნელად ურიგდება.

„ერთს მდინარის პირად—სწერს ბელგიელი მხატვარი და პოეტი ჟანდე ბოშერი — იდგა უბედური ქალი. ის რომ წყალში შედიოდა გასაბანად, წყალი ტალღებს ანელებდა, მოძრაობას უკლებდა, თითქოს ჩერდებოდა. ქალი მოხუცი იყო. ის დასცქეროდა თავის სახეს, რომელსაც ანარეკლად ხედავდა წყალის ზვირთებში. ეს ტალღები უფრო ანაოკებდნენ მის ხატებას. მისი დარდი იკუმშებოდა ამ ტალღებში, იზრდებოდა და სპობდა ყოველივეს. ის დამჭკნარი დედაკაცი იყო, მისი ცრემლები, როგორც დასერილი ხის სისხლი, ნელინელ ჟონავდა მის დანაოკებულ სახეზე. ცრემლის ნაკადი და წყალის ნაკადი ერთდებოდნენ მღელვარე მდინარეში.“

სევდას უამრავი ლექსი აქვს გამოწვეული.

მთელი ფილოსოფიური ძიებანი, აღმოჩენანი.

სუსტი ადამიანის სევდის შედეგი — ცრემლია. ცრემლი ხშირად შვებაა, მალამო.

ცრემლები რომ არ არსებობდნენ, ხალხი დაიხრჩობოდა საკუთარ სულის მორევში.

მე ერთი საშინელი ნაკლი მაქვს: ცუდ გუნებაზე უნდა ვიყო, რომ ქალამი ავიღო ხელში.

ჩემი სასიხარულო ლექსებიც კი გაჯავრებით არის გამოწვეული.

ამიტომ არის, რომ ხშირად შეგხვდებათ ჩემს ნაწერებში: „გახსოვს!“

მე მოგონებაში გადავარდები ხოლმე.

ასეთ წუთებში მე ვწერ, ვწერ ყველაფერს, რაც კი გამიელვებს თავში.

ეს აზრები არ არის დალაგებული მსჯელობის ნაყოფი. არეულია გონება. და ამიტომაც ასოციაციებით გამოწვეულ სახეებს ვეხები და ‘მხოლოდ მწვავე განცდებით თვრება ეს ფურცლები.

ჩემი აზრი ელავს და ჰქრება... ელავს და ჰქრება.

მე გაშიშვლებულ ნერვებით ვწერ.

წერა შეიძლება მხოლოდ გულახდილად, წრფელად, ნაძალადევი და შეკვეთილი არა ვარგა-რა.

ადამიანის ხასიათი სიყვარულის განელების დროს აშკარავდება.

უპატივცემულო სიყვარული ჩემთვის არა-რაა.

მარტო პატივისცემა უსიყვარულოდ მისაღებია. ცარიელი სიყვარული მე არა მწამს.

ერთმა ახალგაზრდა პოეტესსამ — (ლამაზი იყო ეს ქალი.) შესჩივლა ანატოლ ფრანს, რომელიც მას მფარველობას უწევდა:

„მე უპატივცემულოდ მომექცნენო“ და დაუსახელა ის ვაჟი, რომელიც თურმე ანთებულის თვალებით უცქეროდა ქალს. — განა შეიძლება აქ უპატივცემულობაზე ლაპარაკი? — ამშვიდებდა ანატოლ ფრანსი — საუკეთესო შეფასება სილამაზისა, არის სურვილის გამოწვევა!... რად გინდათ ის პატივისცემა, რომელიც თავისთავად. ჟამთა ვითარებით მოდის. აი, როცა ყველანი მხოლოდ პატივისცემით მოგეპყრობათ, მაშინ იგრძნობთ ამ პატივისცემის მთელ საშინელებას. დღეს კი მხოლოდ სანატრელი და სასურველი უნდა იყოთ ყოველ მამაკაცისათვის. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ბუნებამ იმიტომ მოგცათ ეგ ცეცხლიანი თვალები, ეგ შუბლი, ეგ ტუჩები, შექმნილი კოცნისათვის, რომ მხოლოდ პატივისცემა გამოიწვიოთ!“

აი, მამაკაცური შეხედულება ქალის დანიშნულებაზე.

ისიც მართალია, რომ უსახური და ბედმოძვირებული ქალი უფრო კეთილზნიანი, თუ კიდევ შეიძლება საზოგადოდ ზნეობაზე ლაპარაკი.

ქალის გამბედაობა და სითამამე უაღრესად სიყვარულში გამოიხატება.

სიყვარულში, ისევე როგორც ხელოვნებაში, გაუბედავობა ადამიანს არას არგებს.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ პატიოსანი მწერალი თავისი მოკრძალებული ხასიათით მუდამ დაჩაგრულია; ღრიალა, თავხედი და აბეზარი — უფრო პოპულიარულია.

საკმარისია სახელმოხვეჭილი იყოს მწერალი, რომ მის ყოველ სისულელეს გასაავალი ჰქონდეს. თითქოს მისი ტვინის აპარატი ისეა მოწყობილი რომ შეცდომები არასოდეს არ მოუვა!

პატარა ადამიანის სიბრძნეც კი უარყოფილია.

მაგონდება ერთი კურიოზი რუსულ მწერლობიდან: ერთს ახალგაზრდა მწერალს ჟურნალის რედაქტორმა მასალა დაუბრუნა. სასოწარკვეთილმა ავტორმა თავის მეგობარს, უკვე ცნობილ მწერალს, შესჩივლა. მეგობარი არწმუნებდა რომ მასალა მშვენიერი იყო და დასამტკიცებლად, მან ამ დაწუნებულ მასალას, თავისი გვარი მოაწერა და ისე გადაგზავნა რედაქციაში.

მეორე დღეს წერილი დაიბეჭდა.

სიყვარულშიაც ასე ხდება ხოლმე.

ყველაზე უბედური სიყვარულში სწორედ ისინი არიან, ვინც უფრო ყველაზე ღირსია სიყვარულისა.

ადამიანი, რომელიც გიყვარს, ეს სწორედ ის ადამიანია, რომელიც ყველაზე მეტად გტანჯავს.

ქალი სიყვარულს წინასწარ გრძნობს ისევე, როგორც პოეტი ლექსის რიტმს და ზომას.

გრძნობას მრავალ-სიტყვაობა არ უყვარს. ის უსათუოდ თვალებით ლაპარაკობს.

ბოკაჩიო ამბობდა: „არაფერი არ ალამაზებს ქალის ტანს ისე, როგორც ალერსი. ტუჩები კოცნისაგან ხალასდებიან და ახლდებიან“.

ერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ „ახალგაზდური ელემენტები ბებრებსაც აკაბუკებსო“ ამიტომ არის რომ მოხუცებს მუდამ შინაგანი მისწრაფება აქვთ ახალგაზრდებისადმი. ,ამითვე აიხსნება დიდედების გადაჭარბებული სიყვარული თავიანთ შვილიშვილებისადმი.

დედამ სასტიკად უნდა ადევნოს თვალყური, რომ მის პატარა ბავშვს მოხუცებულებთან ერთად არ ეძინოს. ბავშვის ნორჩი სხეულის ძალა გამოფიტულ უსისხლო უჯრედების სიახლოვით — იჩაგრება.

კულტურულ ქვეყნებმა, სადაც ათასნაირი სენი მძვინვარებს ხალხს სიყვარული დაავიწყებინა...

იქ სიყვარული აღარ არსებობს სადაც დაავადების საშიშროება წამოიჭრება.

გერმანეთში ქალებს უფრო პრაქტიკულ ცხოვრებისათვის ზრდიან.

მათ არ უყვართ გადაჭარბებული ნების და გონების განვითარება, რაც გერმანელების აზრით ნევრასტენიას წარმოშობს.

კაცობრიობისათვის უფრო შეუგნებელი და ჟანსაღი მოდგმაა საჭირო.

ჩვენ კი, დღენიადაგ ჩვენი სულში ვფათურობთ და საგიჟეთებს ვავსებთ.

საქართველოში ერთი ოჯახი აღარ არის, სადაც სულით დაავადებული ვინმე არ იყოს. ამან უკვე სოციალური ხასიათი მიიღო. ჩვენ სრული დეგენერაციისაკენ მივდივართ:

განდიდების მანია ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა!

ჩვენში პატარა არავინ არ არის. სულ დიდი ადამიანები ვართ. გენიალობამდის ასული შემოქმედება. კოსმოსი.

სულ ცარიელი სიტყვები. საქართველოს ვიწრო ფარგლებს დიდი მაშტაბი არ უდგება.

ძველი ელლინები აღარც ფიზიკურად და აღარც სულიერად აღარ არსებობენ. მათ კულტურული ნაშთები მაინც დარჩა.

ადამიანის სული შემოქმედებაში გადადის. ხოლო მისი პირადი ყოფა მის სახლში, მის ბინაზე, მის ნივთებში. ამიტომ გვიყვარს ძვირფასს ადამიანის ყოველი ნახელავი, გამოჩენილი ხალხის ნივთები, წიგნები.

გოეტეს კალამი.

პუშკინის სავარძელი.

ნიცშეს სახლი.

თამარ მეფის ქოში.

აკაკის ჯკვანი.

ილიას აგარაკი.

ქრისტეს პერანგი, რომ დაინახა მცხეთელმა ქალმა სიდონიამ, გულში ჩაეკრა და გარდაიცვალა.

აქედან წარმოიშვა ფეტიშიზმი.

მეც ვერ ავცდი ამას:

— და ფეტიშად დავისახავ რა ვქნა მარჯნის კრიალოსანს

ნუ დამცინით! ეს სჩვევია, ყოველ გიჟს და... ყოველ მგოსანს!

კიდევ საილლუსტრაციოდ.

მაგონდება ერთი პოემა.

ცოლ-ქარი ჩხუბობენ. ერთმანეთს ლანძღავენ: იყრებიან.

დაიწყო ნივთების განაწილება.

— ეს ჩემია.

— არა ჩემია!

აი, სკივრის ძირიდან ამოიღო ცოლმა პატარა ბოღჩა.

გააფთრებული ქმარი მივარდება, ხელიდან წაგლეჯს და იატაკზე მიმოიპნევა:

პატარა კაბები,

პატარა წინდები,

პატარა გაცვეთილი ფეხსაცმელები...

ორთავენი შეხედავენ ერთმანეთს და... აქვითინდებიან.

ამ ნივთებმა გააცოცხლა მათში გარდაცვლილ შვილის არსებობა და ეს ორი, მტრულად განწყობილნი ცოლქმარი, შერიგდნენ.

ერთს წუთში ათასი იარა გაიხსნება.

ერთს წუთში წლობით ტანჯული სული იკურნება.

თვითეული ჩვენთაგანი რამოდენიმე აქტიან დრამას ატარებს თავის სულში.

ოხ, არასოდეს, არავის არ გადმოუცია ნამდვილი დრამა.

ის მუდამ მუნჯია და მის გადმოცემა შეუძლებელია.

1925 წ.

საფო მგელაძე

ქარიშხლის ფრთეგზე

I

იყო საღამო, მოხსენება, ხალხი მრავალი
მეც იქვე ვიდექ, ვიდექ უცხოდ, უცხო დარბაზში,
უცქერდი მგოსნებს, ხელოვანებს გამომცდელ თვალით,
მაგრამ შენ ერთი სულს სხვა გვარად სჩანდი ამ რაზმში.
ბევრი რაც ითქვა საგულისხმო, ლამაზი, წმინდა,
შენ ისევ სდუმდი, შემდეგისთვის თავს ინახავდი,
ადექ... სიტყვები აელვარდა, დატყდა, დაცვინდა,
შენ მეფე იყავ ხალხთა შორის, შენ.. ღმერთებს ჰგავდი.

II

გული ვერ იტევს ამ სიხარულს, ამ განცდას მწვავეს
და ვიცი ეხლა ვინ მიყვარდეს, ავტირდე ვისზე?
ოკეანეში მიმოვცურავ გაბზარულ ნავით
და ქარიშხლის ფრთით დავნავარდობ უფსკრულის პირზე.
იწვება სული, იხლართება ცეცხლის რკალები,
მაკრთობს ლეგენდა, ლეგენდა, საფო, ფაონი,
მოდის ლანდები შესუდრული, ჩუმი, მკრთალები,
ჰკრთის სახეები, ჰკრთის ფერები, იზრდება ფონი.

III

ო, როგორ მხიბლავ მაგ უცნაურ ლაღ ღიმილებით
მაგ გამოხედვით მირღვევ სულში უვალ ნაპრალებს,
მოგირთავს პორფირს უძვირფასეს ოქროს ღილებით
თუ სინამდვილე არ გამწირავს და შემიბრალებს.
ცამ მე მაჩუქა შენი სული სათანამგზავროთ
და მგზავრს ვინ ეტყვის: „ნუ გხიბლავსო შენ ოაზისი“,
გზა უდაბური უნდა მარტოთ გადავატარო
ცამ ჩემთვის შეგქმნა და შენ ,,ქარგო რადა ხარ.. სხვისი?!„

IV

იყო ოდესღაც მწუხარება, იყო და გაჰქრა...
მე ეხლა მინდა რომ მივეცე მაისურ ლხენას,
ისევ ვიგონებ ძველ ელლინებს, რომს, მელეაგრას,
და მის საყვარელს, მის პატარა აისიგენას.
აისიგენა.. ეს სათუთი, ნაზი ყვავილი
ბედის გრიგალმა რომ დახია, დასწვა, გასრისა,
მეც მისი ხვედრი არ ამცდება, მეც მის ხვედრს ველი,
თუ შენ, ძვირფასო, ვინც მგონიხარ არა ხარ.. ისა!

V

მეძახი. მე კი ვეჩირვეულობ ჯიუტ ბავშვივით,
მესმის: „მოდი აქ საყვარელო“, იმ გვარად თქმული,
რომ ამათრთოლებს ეს სიტყვები, ამავსებს შიშით
თუმც მხიბლავს ისე ვით მუსიკა ნაზი, ქართული.
„მოდი აქ კარგო, საყვარელო“. მომესმის ისევ
ო, მინდა ეს ხმა მუდამ ბგერდეს, მუდამ მიყვარდეს,
თვალებ გავახელ, სიზმარია, ვგრძნობ უხალისოთ
ვხედავ ჩემს ოთახს, წიგნებს, ვაზას და.. დამჭკნარ ვარდებს.

VI

სად იყავ დღემდის, რომელ კალთას ეფარებოდი?
ვის ყავდი ტყვეთა, ამორძალებს თუ... ჯადოქარებს?
გაჩენის დღიდან შენ მიყვარდი, შენ ერთს გელოდი,
გიპოვე და მეც შემოვანგრევ მაგ გულის კარებს,
რომ გრიგალივით შევიჭრა იქ და ჩემი ლექსით
აგაზვიადო, მოგცე კვერთხი მეფური ხელში.
მაგ ამაყ სახეს მე გადავწვავ გიჟურ ალერსით
და ცეცხლის ფრთებით გაგიტაცებ მზიურ მხარეში.

1922 წ.
ხელოვნების სასახლე.

საფო მგელაძე

ნაწყვეტი პოემიდან

I

ოდესღაც მე შენ სოფელში მახლდი,
შევსვით პეშვებით ანკარა წყარო,
ავლაპარაკდით, ავზვავდით, ავწყდით
და ძაღლის ყეფამ ვერ დაგვაწყნარა.
ჩვენ გვაღელვებდა ცა უცნაური,
ნისლი, მინდვრებს რომ გადაეფარა,
ძეწნის შრიალი, წყაროს ხმაური
მწყემსები... და ცხვრის გაშლილი ფარა.

II

მზე ჩადის. სოფლის გარუჯულ ბიჭებს
გადაუგდიათ წყალში ანკესი.
საცაა ღამე გადმოაბიჯებს,
საცაა გარეკს საქონელს მწყემსი.
ჩვენს თავზე ძერამ გადაიქროლა—
ალბად ძილს უფრთხობს ნაცრის ფერ ღალღებს;
მივყვებით უხმოთ მდინარის სრბოლას
და ვატანთ ფიქრებს მის მღვრივე ტალღებს.

III

ხშირად სჭრის შარას რუ მორაკრაკე
და გადებული პატარა ხიდი,
ტყეში ბულბული საყვარელს აქებს,
ურემი წყნარი ჭრიალით მიდის.
აქ ყველაფერი შრომაზე მღერის,
წითლად და ყვითლად მინდვრები ელავს,
ვიღაც მოხუცი გამშვარტულ წვერით
ნამგალით ხელში ბალახებს სცელავს.

IV

გამძღარა მინდვრად ტიღურა ძროხა;
იკოხნის, მოდის მძიმე ნაბიჯით,
პატარა გოგოს ხბოები მოჰყავს,
მორეკავს ბატებს პატარა ბიჭი.
ცა არის თეთრი, ულრუბლო, მკრთალი,
სდგას გზის ნაპირად ობოლი ვერხვი,
სადღაც საქონელს ეძახის ქალი
და მიდის სახლში ყანიდან გლები.

1926 წელი.
ივლისი.

საფო მგელაძე

* * *

შენ ისე არხევ მაგ წამწამთ ტევრებს,
როგორც მებრძოლი მჭრელ ლიპანდაკებს;
მე შენი თვალი გადამემტერა
და გულს ანათრთოლს ლახვარზე აგებს.
წადი, ეგ სახე ჩამომაშორე:
მინდა სიცოცხლე ვატარო წყნარი
იქ ზევით, ზევით ჩამიხვევს ბორი
და დაშვენდება მხრებს ლევტონარი.
იქ ყრუ სენაკი მომიალერსებს,
იქ წელს გასწურავს შავი ქამარი,
იქვე დავმარხავ ჩემ მხურვალ ლექსებს
და არც შემაკრთობს ჩრდილი თამარის.
თუ იქაც მოვა ვნება მწველ სენად
და მესტუმრები ფრთა შავ დემონად,
ავალ ჰაერში ზღაპრულ სელენად
და შენც გარდაქმნი ენდიმიონად.
რომ თავს არ ვგრძნობდე მუდამ შენს მონად
და არ შევსცქერდე მაგ ღია თვალებს,
დავხუჭავ იმათ მზის დასაკონად
და შემოგახვევ სიკვდილის რკალებს.
შენს ჭრელ სიზმრებს კი წავიღებ მე თან
და როცა მთვარე აანთებს ლამპრებს,
ჩამოვფრინდები ისევე შენთან
და მოგიყვები მომხიბლავ ზღაპრებს.
გეტყვი, თუ ღამით ტბისა ნაპირად
რაზე ოცნებობს ტანწვრილი ლელი,
ან ვით თარეშობს გზის განაპირად
ნორჩი ლიკლიკა, კვერნა და შველი.
წვრილი ფეხებით რა კოხტად გარბის
შავ თვალა მალი ნიამორები,
ვით დაკოდილა კლდეებზე ბარბი
და შავი ფრთებით დაჰქრის ქორები

დღის სინათლემ რომ არ გამაწამოს
შენ ფერმკრთალ სახეს მივეფერები,
ერთხილად ვაკოცებ დახრილ წამწამებს
და ისევ მთვარეს მოვეფარები.
გავხდები მითი, ოღონდ გიყვარდე
სიცხადე მომკლავს, რადა ძგონია?!.
გული ეძლევა დანისნულ დარდებს,
სული დაჭრილი იადონია.
წადი, ეს სახე ჩამომაშორე.
მინდა სიცოცხლე ვატარო წყნარი,
გავხდები სასძლო ქარიშხლის, ბორის
და დავიმშვენებ მხრებს ლევტონარით.

1923 წ.
ხელოვნების სასახლე.

მეგრელიძე ლიდია (მიმძრალი)

ახალი მემკვიდრე

I

რკინის გზის სადგურის საბარგო დერეფანის გვერდით, კოფოზე შესკუპებული მეეტლეები რაღაცაზე ცხარობდენ. უწმაწური სიტყვებით იგინებოდენ. ერთმანეთს ლანძღავდენ.

და...

იქვე მგზავრები ჩემოდნებით, კალათებით, ბოხჩებით, ბარგი-ბარხანით, ფუსფუს-ვაგლახით გადმოდიოდენ კახეთის მატარებლიდან. ზოგი მათგანი ტრამვაისკენ მიეშურებოდენ. უმცირესობა ეტლს ათვალიერებდა. იყვნენ კიდევ სხვა ტიპის და სხვა რანგის მგზავრებიც, რომელნიც ტომრებით შეზვინულ იეზიდებს ფეხდაფეხ მისდევდენ დეზერტირის ბაზრისკენ. როდესაც მეეტლეების ლანძღვა-გინება და მგზავრების აუტანელი განგაში მისწყდა, ორნი—ქალ-ვაჟი ხელიხელ გაყრილნი სადგურის დარბაზიდან გამოვიდენ კოხტა სამგზავრო ჩემოდანით და რიგში ჩამდგარ ეტლს მიუახლოვდენ. ახალგაზრდა მეეტლემ მათრახი შეათამაშა. მგზავრებს თვალი აავლო და, უეცარი ინსტიქტიური სიმპატია მგზავრი ქალისკენ გადაიხარა.

— სად მიბრძანდებით ქალბატონო?

— სადმე სასტუმროში გვინდა ჩამოვხტეედ.

— გნებავთ საუკეთესო სასტუმრო, აქვე ახლოს. მყუდრო ქუჩა, მყუდრო ოთახები. მასპინძელი,—ნამდვილი ქართველი.

ახალგაზრდა მეეტლემ ისევ შეათამაშა მათრახი და შავი ჯიშიანი ცხენები აპიხვინდენ, გიშრის ფაფარი წამოიყარეს, ფოლადის ფლოქოები მაგრად შემოჰკრეს ქვაფენილს და შურდულივით გაფრინდენ, თითქოს არაბეთის მცხუნარე ჰაერეთში მიჰქროდენ. ახალგაზრდა მეეტლე ყარაჩოღულად იქნევდა მათრახს. სადავეს ზომაზე მეტად სჭიმავდა და ცალ მხარეზე იხრებოდა. არ ვიცი, იქნებ მგზავრი ქალის თვალები სწვავდა ბამბის ქურქით გასქელებულ ზურგს, არ ვიცი... მაგრამ... მოკლე გზა გაგრძელდა. ხუთი მოსახვევის მაგიერ ათ მოსახვევს მოუარეს და,— აჰა!—

სასტუმრო ინფორმაცია.

ორ სართულიანი ვებერთელა ძველებური შენობა. სპარსული სტილის ფანჯრები. სპარსული სტილის ჩუქურთმები, რამოდენიმე ღია აივანი. ფათალოებით გადახლართულ-გადაბლანდული ხის სვეტები. კიბიდან გრძელი ბნელი დერე-

ფანი. და დაბლა სართულში უზარმაზარი სასადილო სპარსული სტილის ნახატებით. ალბათ ოდესღაც დიდებულ სპარსელს აუგია ეს სახლი ლალ-ფირუზებში ჩაყვინთულ საქართველოს ცის ქვეშ. იქნებ ვინმე წარჩინებულმა ქართველმა ქალმა მოხიბდა ის სპარსელი, ქართული ეშხით დაატყვევა და ძალად მიაჯაჭვა საქართველოს მიწას... გოგირდის აბანოებით აორთქლილ ჰაერს. ტფილისის ძველ ისტორიულ კუთხეს, სადაც ეხლა გიო დიდებულიძის ხელით დანომრილი ოთახები უმარილ შეცხებულ კაროჟნებივით იმზირებოდენ ახლად შეთეთრებულ სპარსული სტილის კედლებიდან. სასადილოში ევროპიული იერით უღიმოდენ სტუმრებს თეთრებით გადაფარებული პატარა მაგიდები, ასამდე თავებმოღუნული ქსელის სკამები, ნავთით და პარაფინით გაწმენდილი იატაკი. და ძველებური, სანთლებ შამომწკრივებული ფერადი ბროლის ჭაღი.

ყვითლად გალაქულ დახლის იქით მოსჩანდა თაროში შემწკრივებული ბრეკვიალა ბოთლები, ქართული და ევროპიულ სასმელებით აწითლებული, კახურით და ხვანჭკარით აყირმიზებულნი.

საანგარიშო მაგიდასთან იჯდა გიო დიდებულიძე ჩვეულებრივად მომღიმარი. მარჯვენა ხელით რაღაცას სწერდა, ანგარიშობდა... მარცხენა ხელს, ხან მოზრდილ ბურთივით რგვალ მელოტ თავზე გადაისვავდა, ხან გრძელ ჭაღარა ულვაშებს წიწკნიდა და აწვალებდა.

თვრამეტი წლის ბიჭი მურზანკალა ეტლს შამოეგება. მეეტლეს ჩემოდანი ჩამოართვა და სტუმრებს სასადილოში შეუძღვა.

— აჰა, თქვენ გნებავთ დაბინავდეთ? ძალიან კარგი... გიო დიდებულიძე წამოდგა, ზორბა ბეჭები გაისწორა, წელში გაიმართა. სტუმრებს გაუღიმა.

— თქვენი ვინაობის საბუთი?

ვაჟმა ჯიბეზე გაიკრა ხელი.

— ბარნაბ ბერიაშვილი—იმერელი. პროფესიით თავისუფალი. ესეც ჩემი დანიშნული, ნონა კარბელი, კახელი გახლავთ.—ქალაქის პირველი სტუმარი.

— მიტომაც თან ჩამოუტანია თქვენს საცოლეს კახეთის სილამაზე, ალაზნის ველის სუნთქვა და გომბორის სიამაყე ხე, ხე, ხე... დალოცვილი მურზანკალა! წაიღე ჩემოდანი მე-16-ტე ოთახში. მშვენიერი ოთახია, მყუდრო, მტკვარს მაღლიდან დაჰყურებს. სწორედ ახალ დანიშნულებისთვის შესაფერისი... მიაძახა გიომ ბნელ დერეფანში მიმავალ სტუმრებს. გიო შამობრუნდა ახალ სტუმრებთან, მაგრამ გიო დიდებულიძის გული ბნელ დერეფანში დარჩა: ნონა კარბელს გაჰყვა.

კარებთან კიდევ ჩამოდგა მეორე ეტლი. ვიღაც ორი ხნიერი სპარსელი ჩამოხტა ეტლიდან. ჩადრებში გახვეული ქალები ჩამოსხეს.

II

პატარა ამბავი იმის შესახებ, რაც იყო და რაც შეეხება

სასტუმრო ინფორმაციას,

რომლის არსებობა ქალაქში დღეს არავის აღარ ახსოვს.—სასტუმრო „ინფორმაციას“ აუარებელი ხალხი ეხვია: წამსვლელნი, მომსვლელნი, ტფილისელნი

პროვინციელნი... ბუზიკით ირეოდენ მის კარებზე, გუზგუზებდენ და ბუზბუზებდენ.

ძველი კუთხე... ძველი ტფილისი... საუკუნოების ამბებით დატვირთული მეტეხი. კალთებ შემოკვართული მტკვარი მუდამ რომ დუდუნებს რაღაც ძველს... მამა-პაპურს... თითქოს აქ ჩაძირული ზღაპრულ დროიდან ქართველის მწუხარე სული და სიხარული... აქეთ ილტვოდენ ქალაქში მომავალი პროვინციელნი. არ ვიცი, იქნებ მართლა გიო დიდებულიძის ქართველურმა ხასიათმა შექმნა სასტუმრო „ინფორმაციის“ გარშემო ასეთი დამოკიდებულება... თუ... გიო დიდებულიძის მოხერხებულად გადასროლილ ბადეში უნებლიედ მოყვებოდენ ოქროს თევზები... ასე იყო თუ ისე, ხსენებულ სასტუმროში ჭრელი ხალხი ირეოდა. უცხოელთა შორის განსაკუთრებით აღმოსავლეთის მგზავრები ეტანებოდენ სასტუმრო „ინფორმაციას“. იწონებდენ იაფფასიან უბრალო გასადავებულ ოთახებს. თვეობით რჩებოდენ, რაღაც საქმეებს აწყობდენ... რაღაცას აწესრიგებდენ... მეგობრული ნდობა-განდობა... ფარჩა—აბრეშუმი... სპირტი—არაყი... კონტრაბანდა და აუარებელი ბანდი...

გიო დიდებულიძის უძირო ჭურივით გული, უთვალავ საიდუმლო ამბებს იტევდა. მარჯვნით თუ მარცხნით... ასე... ისე... თუ, ისე... შეღამებისას შვიდივე ცისკენ იმზირებოდა გიო დიდებულიძე. შვიდივე ცის მნათობები მისთვის ნაცნობ თვალებით იჭყიტებოდენ.

ყველაფერზე უფრო გიოს აღელვებდა სპირტის გატანის საქმე. დიდ მოსაგებს წინადვე ანგარიშობდა. მაგრამ... უფრო საოცარი: გიო დიდებულიძე მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლებსაც ატარებდა ჯიბით. თუ ვინმე შეეკითხებოდა გიოს: საიდან მოსდის ეს „საფრთხობელა“, გიო მაშინვე იმართლებდა თავს:

— რა ვიცი ღმერთმანი!. ათასი ოხერი დაეთრევა სასადილოში. ხან საანგარიშო დავთრის ქვეშ შემომიდებენ, ხან გაზეთებში შეაჩოჩებენ. და... ვის ენაღვლება თუ გიო დიდებულიძე მაზეში მოყვება. წაიკითხეთ მაინც, საინტერესო ამბებია. და გიო თვალს მოარიდებს. თითქოს გადაავიწყდა. განზე გაუხვევს სპარსელებში შეერევა. ხელს ჩაიქნევს და მოყვება სხვა ამბავს. ფარჩა-აბრეშუმებით მოვაჭრე სპარსელები თვეობით ლაზღანდარობდეს სასტუმრო „ინფორმაციის“ კეკელა ქალებთან. ღვინის მაგიერ ოპიუმით თვრებოდენ. გოგირდის აბანოში ბანაობდენ. შეითანა ბაზარში დადიოდენ. საქმეს არიგებდენ.

სასადილო დარბაზში ქურდები და ჯიბგირები დათარეშობდენ პატიოსანი მოხელის ტანისამოსით, ან პროვინციელი აზნაურის სახელით. ხშირად შემოდიოდენ უმუშევარნიც, თავიანთი ცარიელი ჯიბეებით. კუთხეში მიგდებულ მაგიდებს აათვალიერებდენ. უცნობ-ნაცნობს თვალებში ჩახედავდენ. ვინმე შემთვრალ ფულიანს გვერდით აეტმასნებოდენ და გაჩაღდებოდა ახალი სადღეგრძელო. ახალი მრავალჟამიერ. მთვრალი ტუჩების კოკნა-ტლაშუნი. კეკელა ქალების სიცილ-კისკისი... ბოხი ხარხარი და მთელი ვაკხანალია. გრძელი აბდა-უბდა სიტყვებით მშვიდსა და საქმიან მგზავრს თავს აბეზრებდენ. აქვე შემოდიოდენ გაზეთების წვრილფეხა თანამშრომელნიც. ქრონიკის ამბებს აგროვებდენ. პატა-

რა. რამეს დიდათ ბერავდენ. გაზეთებს ტყუილ-მართლით აჭრელებდენ. ასეთი წვრილი ამბებით მუდამ სავსე იყო სასტუმრო „ინფორმაცია“. მოდიოდენ პროვინციელები და გუდით მოჰქონდათ ჭორები:

„ქახეთი აჯანყდა“.

„ციმბირში გურიის ემინგრანტები დახოცეს“.

„ხევსურებმა აბჯარი აისხეს“.

„სამეგრელოში საქონლის ჭირი გაჩნდა“

„აშორდიას გაახნაურებულმა ბანდელმა ღაჟონიამ ცხენი მოიპარა“

„სოფელ ომფარეთში ნავთმა ამოხეთქა“

„დასავლეთი საქართველო ამერიკელებმა შეისყიდეს“...

ასეთი ამბები მოჰქონდათ სვანეთიდან, ჭანეთიდან; სწერდენ, ახალციხეში დიდძალ სპილენძის შესახებ.

და,—შიში... „დაღუპვის“ შიში დაძრწოდა საქართველოს ჰაერეთში. არც ბაქო-ბალახანა რჩებოდა ქრონიკის გარეშე. ბარცხანა და ციხისძირი ხომ... უუუ... რევოლიუციონურ ამბების მთავარ პუნქტად ითვლებოდა:

„დიდი რუსეთის ტონის მიმცემი—ჯადოსნური კამერტონი“ ასე სწერდენ ბარცხანა—ციხისძირზე პოლიტიკური პატრიოტები. უმავთულო დეპეშების ფანტასტიური აპარატი, რომელიც თვითეულ კონდუქტორის და ვატმანის გულში მომართულიყო, სასტუმრო „ინფორმაციის“ საგანგებო სალაროში ელაგა; რასაც თან მოყვებოდა რკინის გზაზე დანაყბედი, საბარგო რონოდებში თვეობით ნათრევი და ნალაყბობი მყრალი უწმაწური ანეკდოტები.

სასტუმროს პატრონი გიო დიდებულიძე თავს იწონებდა გაზეთების თანამშრომლებთან. თან თვალებით ეუბნებოდა ყველას: ოღონდ ჩემზე ნურაფერს დასწერთ და აი, ერთი-ორი ბოთლი წითელი ღვინოც... ღმერთმა შეგარგოთ!

— აბა ერთი ცხელი მწვადი... ბიჭო, მურზანკალა!—უბრძანებდა გიო მოსამსახურეებს. მყუდრო კუთხეში საანგარიშო მაგიდის გვერდით აორთქლდებოდა ცხელი სუკები. წერწეტა „ბაკალში“ კახური ალივლივდებოდა. თეთრი ფაიფურის თეფშებზე ბოლოკის მოგრძო-მორგვალო თავები ყირმიზდებოდა. ცოცხალი კალმახის გვერდით მდოგვი და წიწმატი აზურმუხტდებოდა.

და... ორ ბოთლ წითელ ღვინოს—ორი მოყვებოდა. ორს—ოთხი... მათ ერთი, ან ორი მორიგე პოლიციელიც შემოესტუმრებოდათ. გადავიდოდა შუაღამე,—“ოფოფებიც“ მოგროვდებოდენ და გაჩაღდებოდა „ბახუსის“ ქეიფი. მაღლა სართულში სპარსელები აბოლებდენ გრძელტარიან ჭარვის ყალიონს.

ასე გაჰქონდა გიო დიდებულიძეს თავი: უწესოებას მარილს მოუყრიდა და პურ-ღვინით დააშშმინებდა.

გაზეთების თანამშრომლები მაინცა და მაინც არაფერს ჰკარგავდენ.

III

— ბიჭო, მურ-ზან-კა-ლა!.. შე ყურუმსა ძაღლო! სად დაძვრები მეთქი? დატრიალდი ჩქარა: ღვინო, მწვადი, მწვანილი...

ჩვეულებრივად დასჭყივლა გიო დიდებულიძემ ერთ დღეს მურზანკალას და

ულვაშები თავადურად გადიგრიხა. წელზე უცაბედათ შეშვებული ქამარი გაისწორა, (უკაცრავად, ეს მოხდა ინგლისურ პიჯაკის ქვეშ,) მაგრამ გიოს, „ღალსტუკის“ და „მანჟეტების“ გასწორებაც არ გამორჩა, შემდეგ მომენტის შესაფერი მოქნილი სიტყვებით მიუბრუნდა დიდიხნის მეგობრებს. ისინი საგაზეთო მასალას ასწორებდენ. სუფრას უსხდნენ და ქინძიან ძმარს ელოდენ.

მდოგვიც მოიტანეს.

— ძმებო და მეგობრებო!!. სანამდის გვაქვს, ვჭამოთ, ვსვათ, ვიმხიარულოთ... ვიმხიარულოდ, რადგან ჩვენი მზე დღეს ანათებს—ამბობს გიო.—ხვალ რა ვიცი ვისთვის გაანათებს ეს მზე. რა ვიცი რა მომელის?.. გუშინწინ აზნაური ვიყავი, გუშინ პოლიციის მოხელე, დღეს მიკიტანი ვარ!.. ხვალ იქნებ ქალის ექმი გავხდე, ან, კომისარი? ხე, ხე, ხე...

თებერვლის რევოლიუცია მძიმე კომბალს ურახუნებდა თავში გიო დიდებულიძეს. ყოფილი გაქონილი მოხელის დაგეშილი ცხვირი წინადვე გრძნობდა რევოლიუციის დაჩირქებულ ადგილებიდან ანაორთქლ სიმყრალის სუნს. ამიტომაც დღეს სხვა ტონით და სხვა მანერით ლაპარაკობდა: კომერსანტის ცილინდრს მიკიტანის სახეზე სცვლიდა. აზნაურის წოდებას მუშის ხარისხზე ახურდავებდა. „დღეს მიკიტანი, გუშინ პოლიციელი, გუშინწინ აზნაური,“ ხვალ კომისრის საპატიო სკამზე ფიქრობს დასკუპებას. გულს ზორბა მკერდ ქვეშ სჭმუნის, თავს იკატუნებს:

— მეც მუშა ვარ ძმებო, მა რა ვარ! მეც ჩემი შრომით ვცხოვრობ. მეც მიხარია რევოლიუცია. ხომ გახსოვთ?—ათი წელი ვატარებდი „საფრთხობელებს“ ჯიბით.—დალიეთ თქვენი ჭირიმე!.. მოკვდეს გიო დიდებულიძე, მოკვდეს, თუ ის სხვებზე ნაკლები მებრძოლი იყოს. რა დამრჩენია სავალალო: ერთი, საწყალი ცოლი მყავდა, და ისიც უდროოდ მომიკვდა.

აცრემლდა და აიფუფა გიო დიდებულიძე. თვალები ცხვირსახოცით აიწითლა და, როცა მიცვალებულ მეუღლის სულის შესანდობარი—ერთი ჭიქა წითური პირისკენ წაიღო, ჭერისკენ აპყრობილ თვალებში, გიოს ხუთმა ცოლმა გადიკისკისეს. ისინი ყოფილ ქმრებზე უკვე აღარ ფიქრობდენ. გიო დიდებულიძის ცეცხლიანი ტანი, რასაც მუდამ ანოყივრებდა ღვინისა და არაყის საუცხოო სუნელება—საკმაოდ აკმაყოფილებდა ხუთივე ცოლებს, (რომელთაც ერთმანეთი არასოდეს არ ენახათ.) ვინაიდან ზედნადები, ან წინნართავი მსუქანი ძმრიანი ინდაური, დატკბილული ვაშლის წვენი, სპარსული ფლავი და ტკბილი სასმელები, პირველ ყოვლისა ამსუყებდა საყვარელ ქალების გულს.

ზინა, სონა, ლენკა, ნონა და მანანა...

ნავახშმევს მხარზე მიწოლილ გიოს თავზე ეხვევიან საყვარელი სახელები. წაბლის ფერი, შავი, და ცისფერი თვალები ერთმანეთში ირევიან. გიშრის ნაწნავები, წითელი ქოჩორი და ოქროს კულულები გაღეღილ გულზე ელამუნებიან. ბროწეულის, შინდის და ლალის ბაგეები სახეს ულოკავენ და... ო... რატომ არ არის გიო დიდებულიძე „ალლაჰის“ ქვეშერდომი? შაჰხხი—შაჰი... ან... მაშინ ხომ სასტუმრო „ინფორმაცია“ უზარმაზარი ჰარამხანა იქნებოდა.—გიო დიდებულიძის საკუთარი სამფლობელო: ლურჯი მონტევიდე... ეთერში აწვდი-

ლი პაწია კუნძული... პაწია კუნძული რომელსაც, აქვს საკუთარი მთვარე: ღამის ჩირაღდანი... და არა აქვს ნავთსაყუდელი... მიდიან გემები შორს, სადღაც... სილურჯეში .. მოდიან გემები და, როგორც სიზმარი ისინი შთაინთქმებიან ავერცხლილ-ასვეტილ ზვირთებში... და, გიო თვალებს მოიფშვნეტს. სტუმრებს სწყურიათ: ელიან .. წერწეტა ბაკალ'ში ღვინო აფუფუნდება. გიო პირველი:

— ეს ღმერთმა განუსვენოს... ჩემი ცოლი კეთილი დედაკაცი იყო. ღარიბი ხალხი ებრალებოდა. მათხოვრებს უმასპინძლდებოდა... მაგრამ...

— ჰეი, ძმებო, ამხანაგებო მოქალაქენო!!. ნუ მოგიწყენიათ მეთქი.

გიო ხმას უდაბლებს და სანტიმენტალურად ლაპარაკობს:

— ქუჩებში ბიჭები სალტომორტალეს გადადიან.

კონტრევოლიუციონერები გარბიან.

უნდა საქმეს დროზე უშველოთ .. გაუმარჯოს ჩვენს ძმობას, მეგობრობას... გაუმარჯოს ჩვენს სიყვარულს!

ჭიქები-ჭიქებს შეაჯახეს. ტუჩები-ტუჩებს შეაწებეს. შეთვრენ და აჟინჟღილდენ. გიომ გოჭის თავს ყურები ააგლიჯა და მეგობრებს შესთავაზა.

— წინეთ ასე ამბობდენ: „ყური-ყურთან, გული-გულთანაო. ერთხელ თურმე კრიალოსანს სთვლიდა სულთანი და ასე ფიქრობდა: საქართველოს ხალხს ერთი გული აქვს, ერთი ყური და ერთი თვალიო. ეხლა ზოგი ყური დაყრუვდა, ზოგი დაგრძელდა. თვალები აჭრელდა. გულები... ხე... ხე... ხე... გიო სავარძელზე გადითხლაშა, მეგობრებს ხელი გადასდო და ქართველურად შამოსძახა:

დალიეთ, დამალევინეთ... ეს ღვინო, ოხ-ერ-ტი-ა-ლი-ი...
ეგების წაღმა-მობრუნდეს ჩვე-ნ-ი... უკუღმა-ა-ტრიალი...

IV

ნაშუაღამევია. გიო დიდებულიძე გულაღმა წევს და კომისრის თანამდებობაზე ფიქრობს. სასტუმრო „ინფორმაციაში“ სპარსელი მოვაჭრეები აღარ სჩანან. ალბათ ისინი ეხლა ბაქოს გზით გარბიან თავიანთი ფარჩა-აბრეშუმებით... ხალებით... ყალიონებით...

ჩვენი პროვინციელი ჩარჩებიც აღარ მოდიან. მოქეიფენი სადღაც გაქრენ. „ოფოფებიც“ გაიფანტენ. ქურდები და ჯიბგირები ფანჯრებიდან იქვრიტებიან. უშუშევრებმა საქმე იშოვნეს. ოო, მადლობა ღმერთსო!. იტყოდა ვინმე კეთილი ადამიანი, რომ ისევ არ გაჩენილიყვნენ ახალი ტიპის უმუშევარნი, რომელნიც ეხლა გროვდებოდენ სასტუმრო „ინფორმაციაში.“ ახალი სტუმრები ოთახებში ჩუმათ იკეტდენ კარებს და არავის არ ნახულობდენ. ეს ახალმოდის სტუმრები გახლდათ პროვინციის დაბა-ქალაქებიდან: ყოფილი ბოქაულები, ყოფილი მაზრის უფროსები. შეშინებული მემამულეები, გაძევებული მოიჯარადრეები, დათხოვნილი ტეხნიკები... თანამედროვე „აზეფები“ და მსგავსი სიმშვენიერენი ცხოვრების ნაძირალებისა. ეს ახალმოდის სტუმრები არასოდეს სასადილოში არ ჩამოდიოდენ. თავიანთ ოთახში შესჭამდნენ თითო თეფშს იაფასიანს საჭამადს და დამღლიავებული იდგენ ფარდა დაშვებულ ფანჯრებთან, თითქოს ვიღაცას ელოდენ... რაღაცას უცდიდენ... მხოლოდ ხანდახან წითელი სტეფანე

გამოყოფდა თავს კაკადუს ქოჩორიერით, გამოცოცდებოდა ბნელ დერეფანში და რომელიმე მეზობლის კარებს ფრთხილად დაუკაკუნებდა.—ეს მაშინ, როცა გაზეთები ახალ ამბავს მოიტანდენ კოლჩაკ-დენიკინის ფრონტის გაფართოვების შესახებ. სასადილო დარბაზში ხან და ხან კრებებზე ჩამორჩენილი მუშები შემოდიოდენ საეახშმოდ. მაგრამ ეხლა აქ სხვა სიტყვა და სხვა იერი ტრიალებდა. იშვიათად შემოდიოდენ მატარებელზე დაგვიანებული გიოს ნაცნობი კონდუქტორები. სიამოვნებით შეექცეოდენ მოლესილ პილპილიან ლობიოს და ცივ მჭადს. შუაღამისას ფანარში სანთელს ჩადგამდენ და სადგურზე ბრუნდებოდენ.

გიო დიდებულიძე ისევ ოცნებობდა ბომისრის თანამდებობაზე. ერთ-ორჯერ მორიგე მილიციონერი მიიწვია ეახშამზე. ერთხელ ოთხი-ხუთი სოციალისტიც დაჰპატიჟა საგანგებოთ გამართულ სადილზე. სურვილს არ მალავს: ყველასთან გაბედულად ამბობს, რომ მას სხვებზე კარგათ ესმის ხალხის საქმე. მაგრამ არაფერი არ შველის. გიო დიდებულიძეს იმედი უცრუვდება. ცნობილი ჟურნალისტები სასტუმრო "ინფორმაციას" აღარ ეკარებიან. ერთ დილას კარის მეგაზეთემ გაზეთი „ერთობა" შამოუტანა, გიო ცხელ ჩაის სვამდა. ჩოთქზე შემოსაავალ-გასავალს ანგარიშობდა.

— ასეთი კრიზისი არავის ახსოვს. ამ თვეში სალაროს დეფიციტი მოელის.

ეუბნება გიო მოსამსახურეებს.

მოსამსახურეები ყურს არ იბერტყენ.

ბაზარზე ნიკოლოზის მანეთიანების ნაცვლად მილიონნიანი ბონები გაჩნდენ.

ვაჭრებმა საქონელი სარდაფში ჩაათრიეს. დაცარიელებული ვიტრინები უფლება ახლილ მხედრებივით დგანან მწკრივში და ახალ განკარგულებას ელიან.

— მოგვიმატეთ შრომის ფასი. თორემ გავიფიცებით.—ემუქრებიან გიოს მზარეულები და მოსამსახურეები. ერთად-ერთი მეურზანკალა სდგას მორჩილ მონასავით და შუაღამის საჩუქარზე ფიქრობს.

გიო ანგარიშს ბორჩა, მეორე ჭიქა ჩაი გამოსცალა და გაზეთი „ერთობა" გაშალა. განცხადებები აათვალიერა. ადგილობრივ ამბებში ჩახედა და... გიო დიდებულიძე მოულოდნელად წაწყდა მეტად კურიოზულ წერილს: გიოსთან წლობით ნაპურ-მარილევი ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომელი აღწერდა სასტუმროს „ინფორმაციაში" მომხდარ წარსულ უწესოებას და მოითხოვდა მის დაკეტას.

— ეს, უსინდისო... უსინდისო... უსინდისო...—ბრაზით წამოიძახა გიომ.

ულვაშები გადიგრიხა და დილის უსიამოვნო გამოღვიძების შემდეგ, ერთიორი ჭიქა ჭაჭის არაყი გადაჭკრა, მაგრამ როცა გიომ გაიგო: არა მარტო გაზეთი „ერთობა". იყო მისი წინააღმდეგი, არამედ რკინის გზელთა გაზეთიც უნდობლობას უცხადებდა სასტუმრო „ინფორმაციას" და სწერდა ხსენებულ სასტუმროში არა საიმედო ელემენტები ბინადრობენო, გიომ ორ ჭიქა ჭაჭის არაყს, ორი ჭიქა სარაჯიშვილის კონიაკი დააყოლა და ბინიატ-ოღლის 1 ორდენის მაგარი თუთუნი ააბოლა.

ეს იყო დილით.

საღამოს გიო და მურზანკალა მაღლა სართულში ავიდენ დასაძინებლად. როცა ვიწრო დერეფანში მიდიოდენ, მურზანკალამ მის ოთახზე მიუთითა გიოს. რაღაცნაირად გაიღრიჭა და მოკრძალებით სთქვა:—ამხანაგო ბატონო, მე ეხლა გავიხარდე. მთელი ღამე ცუდ სიზმრებში ვარ, რადგან ამ ოთახში ფეხს ვეღარ ემართავ და გადიხარხარა მურზანკალამ.

ცუღლუტი თვალები ეშმაკურად გადაატრიალა. თეთრი კბილები სასახლის მსახურ ზანგივით გადმოსვანცა. გიოს ოთახში შევიდენ.

— რა გინდა ბიჭო დღეს, რომ ჩამომაცივდი... ეხლაც პატარა ხომ აღარ ხარ.

— ჰო, მეც ამას ვამბობ ამხანაგო ბატონო, რომ პატარა აღარ ვარ და ყურის ნახვრეტებში რევოლიუციის ქარი მიბერავს...

— მერე, ჩემგან რა გინდა.

— არაფერი, ამხანაგო ბატონო! ფეხსაცმელების ზონრები ცუდათ ჩაგისკვნიათ. მე გაგიხსნით. მე თქვენზე კარგი ფრჩხილები მაქვს.

პაუზა. გიო პაპიროსს აბოლებს.

— დღეს გაზეთში წავიკითხე: რუსეთში ძაღლის ხორცს სჭამენო. ჰა, ჰა, ჰა... მე რომ შემეძლოს დავსწერდი ამხანაგო, ბატონო, საქართველოში კაცის ხორცს სჭამენ მეთქი! ასე ამბობდა გუშინ ერთი შეშლილი ორატორი მიტინგზე: ადამიანები არა პირდაპირი კბილებით სჭამენ ერთმანეთის ხორცსაო. ეხ, ამხანაგო ბატონო, ჰა, ჰა, ჰა...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა და სიცილს გადააყოლა, მიჩქმალა, ნაქურდალ კიტრივით უბეში ჩაიგდო და ისევ გადიხარხარა. ოთახის ევროპულ მორთულობას სამი ფერის „ჭაღი„ აფერადებს.

ხუმარა მოსამსახურის სახეს სამი ფერი სცვლის. გიოს თავში საშიში აზრები ეცადება. ყველაზე უფრო წითელი სახე აშინებს გიოს, საიდანაც ფერების თამაშზე უცნაურად მოსჩანს თეთრ კბილებში სისხლიანი ენის ოდნავი ლივლივი. გიო იქვით გადახედავს მურზანკალას.

— არა, მურზანკალავ, მე ვიცი, შენ რაღაც სხვა გინდოდა გეთქვა.

— დიახ, ამხანაგო ბატონო! დღეს უკანასკნელი აპრილია. კალენდარს შევხედე და 30-თმა რიცხვმა მომაგონა ბარნაბ ბერიაშვილი. დღეს წელიწადი შესრულდა... ამხანაგო, ბატონო. გესმის?.. წელიწადი შესრულდა...

30-თი აპრილი 1917 წელი. ასეთი ღამე იყო. მთვარე ასე გვიმზერდა ამ ფანჯრიდან. თქვენ მიკარნახებდით და მე ვსწერდი წერილს... წერილს, რომლითაც ვიპარავდით ნონა კარბელის გულს:

წერილი რომელიც ასე იწყებოდა:

„უკაცრავად ქალბატონო, თქვენ ალბათ უფრო ადრე მოელოდით მადლობას... მაგრამ მე უზრდელი, გაფხეკილი იმერელი გლეხის შვილი ვარ და ვფიქრობდი: ასეთი მადლობა კახურ ჩურჩხელის ფასად არ ეღირება მეთქი.

ბარნაბ ბერიაშვილი

— და...

ამხანაგო ბატონო, მე ოთხი თითი მივიფარე თვალებზე, როცა თქვენ ათეულ ოქროს უჩხრიალებდით მუჭაში ბარნაბ ბერიაშვილს ღალატისთვის... ჰმ!.. ღალატით... და ნონა კარბელი ეხლა ცხრა თვალიან ქუჩაზე დაეხეტება. მოგბეზრდათ... იშვიათად ეძახით...

— არა, არ მომბეზრდა, მაგრამ... შენ მაინც რაღაც სხვა გინდოდა გეთქვა.

— დიახ, სულ უბრალო ამხანაგო ბატონო! ბაზარზე საშინელი ყიძვირია...

გუშინ იგივე ორატორი ამბობდა: „ყველაფერი ძველი სისხლის ბრალიაო... დამეკავებული სისხლი არ გაწითლდებაო. ცხოვრების გასაახლებლათ საჭიროა ახალი სისხლიო. ჰა, ჰა, ჰა... ახალი სისხლი... ვიღაც გიჟი ოხერი კი იყო სწორედ.

— ჰო, მაგრამ... შენ კიდევ სხვა გინდოდა გეთქვა.

— ის რომ ახლა გლახა დროა...

— მერე? ვიცი გლახა დროა.

— ჰო, და ამას—იმას თავი უნდა გაანებო.

— ეს კი მართალია. მაგრამ ეხლა ხომ სადილებზე აღარავის ვპატიჟობ.. ვფიქრობ მოსამსახურეების რიცხვიც შევამცირო. პირველად რომ შენ დაგითხოვო, რას იტყვი მურზანკალავ?

— უჰ, ამხანაგო ბატონო, ეს არასოდეს არ მოხდება. სხვა რამეს იტყოდი მეგონა.

— სხვა რამეს... რას?

—იმას რომ...

—რომ, რა?

—საყვარლების რიცხვი შეგემცირებიათ უმჯობესი იქნებოდა.

—ხე, ხე, ხე... კარგი რჩევა არის. ოღონდაც, როგორ მოიფიქრა შენმა სუბუქმა თავმა!?

—ისე ამხანაგო ბატონო, აბა რა საჭიროა ახლა მანანა? მისი ყვითელი თმით ჭაობის ციებას ჰგავს. ან ის ლენკა და ზინა... ჰა, ჰა...

ზინასთან ამასწინეთ მთვრალი ბიჭები ლაზღანდარობდენ. ლენკა გუშინ ნამდვილ გიჟს ჰგავდა. გაწეწილ თმებზე წითელი ჭინჭი წაეკრა და სასახლისკენ მიმავალ პროცესიას მიჰ.დევდა. წინ რომ ჩაგომიარა, ისე შევსძახე: გაუმარჯოს ამხანაგ ლენკას მეთქი, და... იმდენი ვიცინე ნაღველი კინაღამ გამისკდა. ლენკა ისე კიოდა: „ზურგი ვაქციოთ ძველ წესებსაო... ჰმ!, ალბათ ეხლა თავი მოსწონს.— სოციალისტი ქალია!

—სონაზე და ნონაზე რაღას იტყვი მურზანკალა? შენ რომელს აირჩევდი. საცოლეთ?

—მე... ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა... ა... მე... მდიდარი რომ ვიყო...

—ჰო!

—ნონას, ამხანაგო ბატონო. ჯეირანს ჰგავს კურთხეული შვილი. ნონა კარბელი... თქვენ რომ შეისყიდეთ მისი გული... და... მერე მოგბეზრდათ...

—ჰო, კარგი მურზანკალავ! პირველად შენ დაგითხოვ და შემდეგ...

—უჰ, ამხანაგო ბატონო, ეს არასოდეს არ მოხდება!

როცა კარებში მიდიოდა მურზანკალა, ავტომატიურად მოუბრუნდა ამხანაგ ბატონს წვრილი ცუღლუტი თვალები მრისხანეთ გადაატრიალა გველივით გასკვნილ წარბებს ქვეშ და დერეფანში მიიმალა. თავში ალბათ „ამხანაგ ბატონის“ უკანასკნელი სიტყვა უტრიალებდა.

V

გიომ რაღაც მოიფიქრა, ირიბულად გაიღიმა და მარცხენა მხარზე გადაბრუნდა. მთელი კვირის უსიამოვნო ამბების შემდეგ, ღამე უსიამოვნო სიზმრებში გაატარა. დილით მარჯვენა მხარეზე გამოიღვიძა. ლოგინიდან წამოიწია, ფანჯარა გამოაღო.

მაისის მზე...

მაისის ჟუჟუნა თვალები...

იასამანის სურნელება...

აზურმუხტებული ატლასის ფათალოები...

აკაციის თეთრი მტევნები...

უნაზეს სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი.

გიომ შუბლი მოისრისა—და, გულის სიღრმიდან წარმოსთქვა:

„ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს!..“

— ეხ, ეხ. ნეტარხსენებულო ჩემო წინაპრებო“..

მძიმედ ამოიოხრა გიომ და უკანასკნელი სინანული გადმოანთხია. თეთრეულის ამარა ზეზე წამოდგა და მეორე სართულიდან მშვიდად გადახედა ქალაქს. ჯერ დილაა, მაგრამ, მთელი ტფილისი ფეხზე დამდგარა.—რა ამბავია?!.—ჰოო...—მოაგონდა გიოს:

„პირველი მაისი“ ალბათ მიტინგზე ემზადებიან: რაზმი რაზმს მისდევს, ჯგუფი-ჯგუფს, პროცესია-პროცესიას...

დროშები...

პლაკატები...

მარსელიეზა...

მუსიკა...

ინტერნაციონალი...

ყვავილებით დატვირთული ეტლი...

ყვავილებით დატვირთული ქალები...

მოკისკისე ბავშები წითელ ბუშტებით.

ქურდები და ჯიბგირები ღიათ დარჩენილ ჯიბეებთან...

მეძავი ქალები გახელებული შურისძიებით.

მოხუცებულები აბოლებული ჩიბუხით.

თავშეხვეული დედაბრები.

ცხვირაწეული დამები.

მოხეტიალე მათხოვრები.

ხალხი... ხალხი...

ხალხი, ყოველი კუთხიდან, ყოველი ქუჩიდან, ყოველი კიბიდან...

ხალხი გამზირებზე...

ხალხი მოედნებზე...

ბავშები რიგ რიგობით, მწკრივად, ფეხშეწყობით, სიმღერით...

ტრამვაი გირლიანდებით...

ავტომობილი წარწერებით...

გიო დგას გარინდებული. ყოველი მხრიდან ესმის სიტყვა, თავისუფლების... სიტყვა სუბუქი და სასიამოვნო ბავშის წკრიალივით. სიტყვა გამზადებული და გადამხალისებელი და... გიო დიდებულიძემ გაიზმორა ფერისცვალებასავით! თითქოს გულში რაღაც ჩაუძვრა ახალი სხვანაირი... ძარღვებში ქართველური სისხლი აუჩქრიალდა. ტვინში მურმან ყრუს დროის ომებმა გაუღიტინა. მკლავზე ერეკლეს ხმალი აეკიდა. ყურში ვიღაც ჩასძახის: (ნუ თუ ბაბუა მისი გაცოცხლდა?)

— ჰეი, შენ გიო დიდებულიძევ! — შენ ლაჩარო, შენ ზანტო, ზარმაცო, გადაგვარებულო!.. რას გდიხარ მტვერის საწმენდ მჩვარივით? ადეგ, აიღე პაპიშენის ჯავშანი, მუზარადი, ფარი და ხმალი. წადი იქ დანგრეულ ტაძრებთან, დანგრეულ სასახლეებთან, განადგურებულ კოშკებთან, სადაც ბრწყინვალე თამარის ლაშქარი ეკვეთებოდა მოვარდნილ მტერს.

ჰეი გიო დიდებულიძევ!..

ფანტასტიურო დილავ!..

დიდება და ძლიერება შენს სახეს 1917-ტი წლის პირველო მაისო! — საუკუნეთა უკუნეთში ხარ მარგალიტი გველის პირიდან გადმოკაკლული, რომელმაც ბნელ სულშიაც გაიკრიალე წამით მაგრამ, მაინც...

გიო უფრო ღრმად გაიტაცა ოცნებამ: წარსული აწმყოში მოათავსა. პირველი მაისი ოსმალოს ხანებთან ბრძოლის დღეთ მოეჩვენა, ბუღა ხარივით წელში გაიმართა და ანგარიშ მიუცემლად ამოჰკიდა ნელი სიმღერა: — ქართველო. ხელი ხმალს იკა-ა-რ. დრო ძმობის და ერთობი-ი-ს.

ჩემი სისხლის და ხორცის ხა-არ, თუმც სხვა და სხვა გვყავს ღმერთებ-ი-ი. ერთი... ორი... სამი...

გიო დიდებულიძეს გაღეღილ მკერდზე დილის სიგრილე მოხვდა. სამი ცხვირი დააცემინა და ახირებული აზრები გულიდან ამოუარდა. გონს მოვიდა: გაკომერსანტებული ყოფილი პოლიციელი და აზნაური, რომელიც დღეს მიკიტანს უწოდებს თავისთავს. ჩვეულებრივი ორჭოფი სიძულვილით გადახედავს ძველის უარმყოფელ ცხოვრებას. კეთილი საქმე, მეგობრობა, პურმარილი არავისთან აღარ გადის. პატივისცემა ყველასთან დაეკარგა გიოს. „ახ, ის გაიძვერა ჟურნალისტები“, წლობით რომ უმასპინძლდებოდა გიო მათ. ეხლა ყველანი მტრად გადაეკიდენ. ეს ცინგლიანი მოსამსახურეებიც... ბაზრის ნაგვიან ყუთიდან ამოათრია გიომ თვითეული მათგანი. ახლა სხვადასხვა მოთხოვნილებებს უყენებენ. ჰა, ჰა, მოდი და ნუ გაგეცინება! რა დარჩენია ნეტავი გიო დიდებუ-

ლიძეს მაგათი? რას სთხოვენ? სულელი მურზანკალაც... ჰი, ჰი, ჰი, ჰი-ი... მურზანკალა, რომელიც ჩემს ფინჩხაზე გამოიზარდა მურზანკალა...

რამოდენიმეჯერ გაიმეორა გიომ მურზანკალას სახელი, თითქოს ამ სახელთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო... ისევ მიწვა, ფიქრებში გარინდდა. ხუთი საყვარელი სახელები ისევ შემოეხვიენ გიოს თავზე. რომელი მათგანი შეიძლება დასთმოს გიომ?

თუ მურზანკალას დაეჯერებს... მაგრამ, რაღა ლაწირაკი მურზანკალა! ნონა მაროლაც სჯობს ყველას. ნონას ძსუქანი ძუძუები აქვს, კუნთები მაგარი. ტანი ბხურვალე... ვნებიანი მოძრაობა, ქართველური ექსტაზი. ნონა მშვენიერია და უფრო წარმტაცი, როცა ორ ჭიქა მაგარ სასმელს გადაჰკრავს. ფართე თვალებს მელანქოლიურად მიაპყრობს სადღაც... და, ვნების ამშლელად წამოიწყებს:

„ერთხელ მეც ვიყავ მშვენიერი-ი...

მეც მყავდა სატრფო-ო“...

— ოო, ბარნაბ ბერიაშვილო, კოტრო, უსინდისო, აფერისტო!.. (ალბათ ოქროები უფრო ენანებოდა გიოს, ვიდრე...) მაგრამ გიოს ისევ მოაგონდა პირველი ღამე 30 აპრილი 1917 წელი.

ნაშუაღამევი იყო. ღვინით გალეშილი გიო მე-16-ტე ოთახის კარებს მიადგა. ნონა თეთრებში იწვა და შეგვიანებულ საქმროს ელოდა. რაღაც ფიქრი და სირცხვილი უნებლიეთ აწვებოდა გულზე:

ნონა ჯვარის წერას დაესწრო... „რათ ჩაიდინე ნონა ეს, რათ? რათ მიენდვე?..“ ეჩურჩულება ვიღაც ნონას საკუთარ სულიდან,—თავი იჭვეებით უხურს. და... ნონა კარბელს შიშის ჟრუანტელმა დაურბინა: კარებს სხვისი თითები მოხვდა: სამის მაგიერ ხუთი... ათი... ოცი...

— ვინა ხართ?

ჩურჩულით და კანკალით ამბობს ნონა კარბელი.

— გააღეთ კარი, ახალი ამბავი უნდა გითხრათ.

ნონამ იცნო გიოს ხმა. თრთოლამ აიტანა.

— „რაღაც ავია...“

— მოითმინეთ... დამშვიდდით!.. ბერიაშვილი... ჰმ!.. ბარნაბ ბერიაშვილი შენი საქმრო მშვენიერო ქალო, უსინდისო ყოფილა, გაიძვერა, აფერისტი... აჰა, წერილი დაგიტოვათ, და...

როცა ნონა კარბელმა წერილი წაიკითხა, ღრუბლებში ჩაწოლილ ავადმყოფ მთვარესავით ატირდა. (ზღვის პირად იცის მთვარემ ზაფხულში ასეთი ტირილი) უღონოთ დაეშვა ლოგინზე და აზრი დაჰკარგა.

მაშინ გიო დიდებულიძე გავარდნილ მხეკს დაემსგავსა: ბამბის ქულასავით დაბურთა ნონა კარბელი და მაგარ კლანჭებში მოიგდო.

— იტირე რამდენიც გენებოს... იკვნესე... აქ ქალაქია და გიო დიდებულიძე, სხვა არავინ...“

— უჰ ის ლაჭე!.. ოცი ოქრო...

გიომ პაპიროსი გააბოლა. გიო დიდებულიძეს მოსწყინდა ქალაქის გაცრეცილი ქალები.

„კახური ღვინო... კახელი ქალი... ტუჩებ-წითელი. მტევნების ნაჟური.

თვალები—ალაზნის ველის ლურჯი ზღვა.

ღაწვები—გომბორზე ანაგლეჯი ცისკარი.

ნაწნავები—სათი ნახვეწი აბრეშუმი.

გიომ ისევ გააბოლა პაპიროსი.

მეორე დღეს მჩვარივით მიგდებულ უგვირგვინო ცოლს ერთი გირვანქა შოკოლადი შეუტანა გიომ.

ნონა თეთრ ჯვარსაწერ საკაბეს დასცქერის, რომელიც ბერიაშვილმა უყიდა. წამწამებს დაბლა ხრის.

ცრემლები მარგალიტებივით მოგორავენ.

— ნუ სტირი!—ეუბნება გიო.— შენ ეხლა ჩემი ხარ-ვერსად წამიხვალ.

ნონას არც უფიქრია სადმე წასვლა. კახეთს გამოექცა. ქალწულების ორდენი დაჰკარგა. სად უნდა წავიდეს?

ნონამ თავი წამოსწია: მთვარეულივით გარინდებული დააშტერდა გიო დიდებულიძის გასუქებულ კინჩხს.

— შენი ფიქრები დიახ შენი...—ირონიით წარმოსთქვა და,—ნონა კარბელის სახეზე ორთაჭალის პროსტიტუტკამ გადიხარხარა.

VI

უნაყოფოთ დაქვრივების შემდეგ გიო დიდებულიძემ განიძრახა ვინმე დიდი შთამომავლობის ქალი ეთხოვა. ბევრი ეძია. ბევრი იხლაფორთა: აქეთ მაჰანკლებს მიმართა. იქით პროვინციელებს გამოჰკითხა. რამოდენიმე დაბერწებული თავადის ქალებიც მოინახულა. ზოგიერთი სოფლის გულგამოფიტული აზნაურის კაროჟნებიც არ დაუტოვებია თვალშეუვლები, მაგრამ გიოს არც ერთი მათგანი არ მოეწონა. ბოლოს სულ გადაიფიქრა ცოლის შერთვა.

ვითომ რათ უნდა აიკიდოს გიომ ზედმეტი ბარგი? ერთ ცოლს ხუთი ხასა არა სჯობს? ხუთი მხურვალე ტანი... ხუთი სურნელოვანი ბაგე... ხუთი...ო, რატომ ხუთი და არა ათი?!. ეს ტიტველი მკლავები... მარმარილოს ხელები... ანთებულ პაპიროსივით მწველი თითები.—თითები, რომელნიც წურბელივით წუწნიან გიოს ტანიდან ქონს და სისხლს,—თითები... მარტო თითები... ათი... ათი.., ოცი... ორმოცი... და, გიო დიდებულიძეს ტანზე ახოხდენ თითები...

გიო ნერვიულად წამოიჭრა ლოგინიდან. შეკრთა... თვალები მოიჩიჩქნა: —ყურები გამოჩიჩა: ისევ ხმაური, სიმღერა, გუგუნი...—რას მღერიან! —ჰო... ჰო... ისევ „წყევლა... კრულვა... მტერი... ბრძოლის ველი...“

— ეს ვინღაა?—აა, ლენკა!—ლენკას წითელი ჩიჩქით წაკრული თავმა გიოს თვალებში გაიელვა. აგერ მურზანკალაც, გამოირბინა სასტუმროს ეზოდან. ხელში წითელი პლაკატი უჭირავს. მზარეულები რაღაცას ფუსფუსებენ. გიოს ყელში ბრაზი მოაწვა, საჩქაროდ ჩაიცვა და კიბეზე ხვნეშით ჩაირბინა.

სასადილოს კარებზე:

„დღეს სამზარეულო დაკეტილია.
სასადილო არ გაიღება.“

გიოს თავში სისხლი აუვარდა. მძიმედ ამოახველა და ხრინწიანი ხმით წაიბუტბუტა: არა უშავს... ესეც გაივლის!

VII

გიო ფიქრობს, როგორ უშველოს საქმეს. რით მოიგოს ხალხის გული. როგორ, მოიშოროს თავიდან ეს არამზადა, თვითნება მოსამსახურეები. ან ეს ქალები... ქალები...ოო...

გიომ ლაგამ მიშვებული გრძნობა მოკვეცა, დაჭმუჭნა და გულის უჯრედებში ჩატენა.

ახლა სხვა დროა...

— შენ შემეწიე წმინდაო გიორგი! მომეც სიმხნევე მამა-პაპური, რომ პანტასავით შემოვირეკო ყველა ქვემძრომნი და მაწანწალები.

— აა თქვენ, ბატონო ჯობა?!.

გიოს მაღლიდან გადმოსძახა ნათავადარმა ჯობამ.

— სადილი? გვექნება მაშ! მოკვდეს გიო დიდებულიძე თუ მაგ ჩათლახებზე უკეთესი სადილი არ გააკეთოს.

გიო მართლაც დატრიალდა კუთხიდან-კუთხეში. გაპირვებისთვის შემონახული სანოვაგე გამოალაგა და მდგმურებისთვის ცოტაოდენი ღარიბული სადილი შეამზადა. (მდიდრული ვის უნდა!) მორჩა.

დაიღალა. მკლავები ჩაეთუთქა. სახეზე სიმწრის ოფლი გადაესხა. ჭურჭლებიან ტახტზე მიწვა. მელოტ თავზე ხელი გადაისვა და უხეიროდ გაიღიმა, თითქოს თავისთავს დასცინოდა.

— არა, გიო დიდებულიძეს დიასახლისობა აღარ შეუძლია თურმე. არც მზარეულობა. გიოს მარტო ცხოვრებაც არ შეუძლია. ჯანდაბას მაგათი თავი.

პაუზა...

გიო სთვლემს. „სემიჩკის“ ზეთი შიშხინებს. კართოფილი იწვის. გიოს დამწვარის სუნი მოხვდება. ძლივს დგება. ბარბაცით მიდის. ტაფას გადმოდგამს. არა, გიო ასეთ შემთხვევებს ვერ აიტანს. „ცუდია... დიასახლისია“ (ჩურჩულებს თავისთვის) ისევ მიწვება ტახტზე ისევ მოხუჭავს თვალებს და ფიქრობს: ისევ მოხუჭავს თვალებს.

— ეხლა ნონა კარბელი გამოაწყობს სადილს. მყუდრო ოთახში ჩემთვის გადამიფენს თეთრ სუფრას. სახეზე ორ თითს დამადებს და მეტყვის:—საყვარელო ქმარო, გამოიღვიძე ვისადილოთ.

გიოს გააზმორებს. თვალებს გააღებს მაგრამ... ნონა...

— სად არის ახლა ნეტავი? ნუ თუ ისიც?.. ჰო, ალბათ ახლა.

ნონაც პროცესიას მისდევს. შურს თუ იძიებს?

და,—

გიოს აგონდება მურზანკალას სიტყვები: „ნონა კარბელი ცხრათვალიან ქუჩაზე დაეხეტებაო. გული სინანულით ევსება.

ნონა კარბელი ექვსი თვის წინად გაასახლა გიომ სასტუმრო „ინფორმაციიდან“.

— ქალბატონო, ახლა დრო არის... მუცელი წამოგეზარდა. სხვის დანაშაულს მე ვერ მოვიხვევ თავზე. ბერიაშვილის ბუშს მე ვერ უპატრონებ. და ნონამ ახალ ბინაზე გადასვლის შემდეგ საშინელი უმწეობა იგრძნო.

— რა ვქნა ქალბატონო ამინადარ, რა ვქნაა?..

ცრემლით შეევედრა ერთ დღეს ნონა გვერდით მცხოვრებ ქვრივ დედაკაცს.

— ეს სხვისი ნაგავი უნდა მოიშორო ჩემო ბავშო;

შემდეგ...

— ახ, როგორ უნდა მოვიშორო?.. ამინადარ... ამინადარმა რაღაც მცენარის ძირი გამოიღო განჯინიდან, სუფთად გაფხიკა და უბრძანა:

— დაწექი!

ორი საათის შემდეგ ნონა კარბელი ტანიდან დაცლილ სისხლში იწვა და ამინადარი სახეზე წყალს ასხამდა.—აჰა, ესეც შენი ბერიაშვილის ნაგავი!..

ნონა მოსულიერდა, მოკოცხლდა და თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ ლურჯ თვალებზე აგონისებული ცრემლი ვერ დამალა. როცა გიო მოვიდა მასთან ღამით, ნონა ატირდა.

— რათ სტირი?

ნონას უფრო მოაწვა ბოღმა გულზე და თავისთვის დაიწყო რაღაც ლუღლუღი... ჩურჩული... ყვედრება .. მხოლოდ ამ ყვედრებიდან ისმოდა ორი ჩათუთქული სიტყვა:—ის შვილი იყო ჩემი... შვილი...

— მერე მე რათ მაყვედრი? ჩემი ხომ არ იყო?

— მიბრძანდით... მე თქვენთან აღარ წამოვალ.

უმჯობესია მეეზოვე თაზიდს მივსთხოვდე.

კანონიერი ქმარი მაინც იქნება.

—შენი ნებაა.

უთხრა გიომ.

გიო წავიდა.

ზინა, სონა, ლენკა და მანანა...

გიო ყველასთან აცხოველებს გრძნობას. ყველა „უყვარს“ ყველასთან ლაზღანდარაობს. ყველას უმასპინძლდება. მაგრამ, ნონა?

გიო თვალებს მილულავს. ოთხი მხევალი ერთად შემოუსხდება მის ლოგინს. და,—ორმოცი მისტიური თითები ისევ ახოხდებიან გიოს ტანზე. ფუ!. ფუ!. ჩვენთან არს უფალი! რას ჩამაცივდით? ახლა სხვადროა მეთქი, არ გესმით?

და გიო ისევ გააღებს თვალებს. ახ, ეს ჭურჭლები როგორ მისევიან გიოს: ქვაბები, ტაფები ტაშტები, კოვზები, დანები, ჩანგლები, გობი და ხელგობი. გიოს უყვარს თვითეული ნივთი. (თუ უყვარდა?) არ იცის. მგონი უყვარდა.

მაგრამ ეხლა სხვა დროა. ვის სცალიან ნივთებისთვის? ქვეყანა ზანზარებს. ხალხი გიჟდება. ხალხი გადავარდნას აპირობს... უთვალავი შეშლილი თვალები უცქერიან გიოს თვალებს. და საშინელია ეს ცქერა. თითქოს მთელი საუკუნის ბოროტება მოკალათებულა ამ ცქერაში. მგოლის კბილებით ილრინებიან და უფრო საშიშარია ეს ღრენა,—გალესილი კბილების ღრენა!,.. ოო, სად დაემალოს გიო ამ კბირებს, ამ თვალებს?

VIII

„ახლა სხვა დროა". ხალხი ამბობს: „შორის გზიდან მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო". გიოც დაადგა: შორი გზიდან დემოკრატიზმისკენ...

ახალი გეგმა: ჩამოშორება ყველა ხასების.

ცოლის შერთვა.
ნივთების მოვლა-შენახვა..
მოსამსახურეების შემცირება.
ბაღლა სართულიდან დაბლა ჩამოსვლა.
რევოლიუციის საქმეში ჩარევა.
ხალხში თავის გამოჩენა.

პაუზა.

გიო დიდ პრეტენზიებს თავს ანებებს. ძველი კედელი დაინგრა. საჭიროა ახალი კედელი...

ახალი წრე...

ახალი ხალხი... ცოლ-შვილ, ოჯახი,—მაგარი სადავე თავაშვებული ვაცის.—ეს გიოს აზრით.

მაშ ასე ჩემო მეუღლევ!

გიო შეკრთა. კარისკენ მიიხედა.

ნონას ლანდი... იგივე კაბა: რუხი ფოტური სატინი, თავზე მუსტაფას ნაჩუქარი ჭრელი შარფი. ფეხზე ტანისფერი ჩულქი და ბანტით გასკვნილი ბაშმაკი, რომელიც გიომ უყიდა შარშან. გაცრეცილა, გახუნებულა შარფი... სახეს რათ მალავს?

ნონა, ნონა, ძვირფასო ქალო!

გიო ლოგინიდან წამოდგა, უნდა ნონას წინ დაემხოს, ატირდეს.

და, ო, საოცრებავ: გიოს ხელში ავადმყოფობა შეპარულა! გულში „სიყვარულს" გაუთხრია ორმო, სადაც ოცი ოქრო ქრისტეს წამებულ სისხლის წვეთების სიმძიმით ჩალაგებულან. არა გიო ვერ მოეშვება ნონას, სინანულით ატირდება და ეტყვის:

—მიყვარხარ მშვენიერო ქალო! ჰა, ჰა, ჰა...

განა გიოს თავის სიცოცხლეში უთქვამს ვისმესთვის ეს სიტყვა? მაგრამ ახლა სხვა დროა... ცოლი... ჰმ!.; სად უნდა ეძიოს ეხლა გიომ ახალი ცოლი? ისევ შენ ნონა, შენ!.. დეე სინანულმა ჩამორეცხოს გიო დიდებულიძეს ცოდვები. დღეიდან შენ იქნები ჩემი დედოფალი. კანონიერი ცოლი. და მე გეტყვი ყვე-

ლაფერს... ჰო... ყველაფერს, რადგან შენ იქნები ჩემი მარცხენა გვერდი: ასეთია ცოლ-ქმრობის ისტორია. და ასე: გიომ გადასწყვიტა ნონაზე დაქორწინება.

დღეც დანიშნა.

წვეულება გამართა.

როდესაც მეფე-დედოფალი ჯვარსაწერად წარსდგენ ღვთისმშობლის ტაძარში, ნონა ნამდვილ უცოდველ ქალწულს დაემსგავსა. სიხარულით და სათნოებით აღივსო. მღვდლის ბუტბუტზედ თავს დაბლათ ხრის. ფართედ გაღებულ თვალებით ღვთისმშობელს შესცქერის, ევედრება, რაღაცას ჩუმათ ფურჩულობს: —დედა მარიამ, მომეც ნაყოფი, ვითარ ეძლევა ყველა ქალწულს გვირგვინითა შენითა. ედაო მ—ა—რი—ა—მ.. და, ღვთაებრივ სილამაზით უბრწყინავს ნონას თვალები. მღვდელმა წიგნი დახურა, სცენა დამთავრდა.

ძველი ჩვეულების აღთქმით დაბრუნდენ ცოლ-ქმარი ახალი ცხოვრების შესახვედრათ. გრძელი თეთრი სუფრის გარშემო უკვე დამწკრივებულან საგანგებოთ მოწვეული სტუმრები. მისალმება... მილოცვა... ტაში... ნრავალჟამიერ,.. ჰქუხს დარბაზი!

გიომ სამადლობელისთვის აივსო სასმისი. სტუმრებს სათითაოდ მოაველო თვალი. ახალი ხალხი:

ზეინკალი.

პარიკმახერი.

თამბაქოს ქარხნის მემანქანე.

კონდუქტორები.

ხუთიოდე მუშა სადგურიდან. (ამ მუშებს ბევრჯერ გადმოუზიდავს გიოს ბარგი-ბარხანა საწყობის კარებში).

ხუთიოდე ტრამვაის მოსამსახურე.

ერთი—ორი ნაცნობი მეეტლე.

ერთი კარის მრეცხავი დედაკაცი.

ნაცნობი მკერვალი.

ერთი—ორი ახლად გასოციალისტებული მზარეულის თანაშემწენი.

ორი—სამი მოსამსახურე ქალის ნათესავები.

ოთხი ნასაყვარლევი ქალები. და მათი ახალი „ქმრები,—" ესენიც ახალ გასოციალისტებული.

ყველანი კოხტად ჩაცმულები. მამაკაცებს სოციალისტის წითელი ნიშნები უმშვენებენ გულს. ქალებში ლენკას წაუკრავს თავი წითელი ატლასით. ლენკა ამაყობს, მამაკაცებს ეტმასნება. მათთან საუბრობს. ქალებს ირიბულათ გადახედავს.

მხიარული სტუმრები ხელმარდათ შეექცევიან სადილს. ჩქარ-ჩქარა სვამენ კახურს, მღერიან რევოლიუციონურ სიმღერებს,.. ლექსებს და ანეგდოტებს პირიდან სტაცებენ ერთმანეთს.

სადღეგრძელო...
მრავალჟამიერ...
სიტყვები...
და...

—სსს... გაისმა ვიღაცის ხმა ბატის სისინივით. სუფრა ერთი კაცივით მიყუჩდა. ხელები დანა—ჩანგლებს შეაცივდა, თვალები სუფრისთავისკენ მისჩერებიან. სკამიდან წარმოდგა ოდნავ წელში მოხრილი მაღალი გამხდარი კაცი:

—ვინ არის ის?

—თამბაქოს ქარხნის მენანქანეა...

—თუ... სსს... სიტყვას ამბობს.

—ამხანაგებო, ნურავის გაგიკვირდებათ, როდესაც მე ვამბობ, რომ, დიდკაცს დიდ პლიუსად ჩაეთვლება: მაღალ საფეხურიდან დაბლა, ხალხთან დაახლოება და ხალხისნობა. ასეთი გახლავთ დღეს გიო დიდებულიძე. მე ვსვამ მის სადღეგრძელოს და ვისურვებ, გიო დიდებულიძე მუდამ დარჩენილიყოს ჩვენთან.

—ვაშა, ვაშა, ამხანაგებო!—ამბობს ვიღაც სუფრის ბოლოდან.

„ვაშა... ვაშა...“ ხმაურობს სუფრა.

ტაში...
სიცილი...
სიმღერა...

გიო თასმასავით იგრიხება. ხან ირონიით გადახედავს სუფრას, ხან ფიქრობს: თითქოს დღეიდან მართლაც ამ ხალხთან შეაერთებს ბედის ტრიალი. სვამს ღვინოს და ხარხოში, დანჯღრეული ხმით მღერის:

მასპინძელსა მხიარულსა—ა... ყავს სტუმრები—ი... საყვარლები—ი...

ჭამა—სმაში გატიალდა.

სასტუმრო „ინფორმაციის“ მაღლა სართული სდუმს, როგორც დიდი ხნით მიტოვებული სასაფლაო, თავებ გადამტვრეული ხის თეთრი ჯვრებით. ო, რამდენი სევდა დაგუბებულა თვითეულ ოთახში!

—ადამიანო, სადახარ?!. უშველეთ ამ ხალხს: ლპება ამდენი სხეული და იხრწნება ამდენი ღვთაებრივი ტანი. რამოდენიმე კვირა კიდევ და სასტუმრო „ინფორმაცია“ აყროლდება.

არწმუნებს ერთგული მურზანკალა გიოს. წითელი სტეფანეც აღარ გამოდის კიბეებზე. დღეს მგლოვიარეა: დეპეშებმა ახალი ამბავი მოიტანა რუსეთიდან თეთრი გენერლების დამარცხების შესახებ. გამარჯვების ხმამ კიევილით გადაირბინა საქართველოს ცაზე.

ნაქორწილები ხალხი მიიფანტ—მოიფანტა. ნონამ გასაღებები აიღო და დიასახლისის მოვალეობას შეუდგა.

გიომ ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა. წელში გასწორდა და დოინჯშემოყრილი მაღლა ჰერს აჰხედა. მაღლა სართული რაღაც გამოუცნობ სიმძიმით დააწვა გიოს მხრებზე.

—საყვარელო ცოლო! (პირველად მიმართა ისეთი სიტყვით გიომ მეუღლეს) მაღლა სართული უნდა მოვიშოროთ, თორემ დაგვსრესს...

— ჩვენი ოთახი?!

გაოცებული წამოიძახა ნონამ.

— მე ხომ მაღალი სართულებიდან დაბლა ჩამოვდივარ!

ნონამ უკმაყოფილოდ გადაჰხედა ქმარს და წყენით წარმოსთქვა:

— მე-კი მინდა მაღლა ავიდე...

— ჰა, ჰა, ჰა... მაშ ჩვენ ფუნიკულიორის სადგურზე შევხვედრივართ ერთმანეთს.

ნონამ გაიღიმა. წყენის კილო ალერსით შესცვალა. ორი თითი ლოყაზე დაადო და გულზე მიეკრა, როგორც ნამდვილ მეუღლეს.

— ნუ ჩქარობ გენაცვალე, მიწაზე განართხვას ყოველთვის მოვესწრებით.

IX

თეთრ არშიებიანი „პენუარი“ არაჩვეულებრივათ უხდება ნონას. ტუალეტთან ზის და საჩუქრებს ათვალიერებს.

სპილენძის ფერდაკრული სავსე გულ-მკერდი.

თაფლის სანთელიკით მუქი, აქნილი მკლავები.

ჯეირანივით თავ-ყელი.

მოხდენილი მხარ-ბეჭი. სავსე თეძოები და, ოდნავ მოგრძო, ღვინონარევი სახე.

ღია შუბლზე გველივით გაწოლილი შავი წარბები..

წამწამებით დაყურული ლურჯი მელანქოლიური თვალები.

მარწყვივით ტუჩები...

ღიმილით უცქერის საჩუქრებს. არ იცის, რომელი უფრო უყვარს: თეთრი შიფონის შარფი, „დუხი“, „პუდრი“, შავი ლიბერტინის კაბა თუ გიო. ჯვარის წერას „არსებითად“ ახალი არაფერი არ მიუცია მისთვის. გარდა იმისა, რომ ნონა გახდა კანონიერი ცოლი გიო დიდებულიძის. იცის, ეხლა ცუდათ ვერავინ ჩახედავს თვალში. არ მოშივდება... არ შესცივდება... ოჯახი აქვს... მაგრამ...

ღია ფანჯრიდან თბილი ბორიო უბერავს. ტიტველ ძუძუებზე მაჯისოდენა ნაწნავები ესალტება. ტიტველ ფეხებს წითელი ქოში ულოკავს. დუხის წვეთებით ცხვირის ნესტოებს ისრეს, სარკეს უცქერის და ნელა ღიღინებს:

„საყვარლისა ბაღჩაში ვარდი აყვავებულა...“

ამაღამ ნონა რაღაც სხვა ხასიათზეა... თითქოს მობეზრებია ყველაფერი და მოგონებებისთვის გაუხსნია ტვინის უჯრედები.—წარსული დღეებისთვის გაუღია გულის კარები. იგონებს კახეთს, დაკარგულ სატრფოს, ეზოს, ბაღს, ბოსტანს და ისევ ღიღინებს:

„საყვაოლისა ბაღჩაში, ვარდი აყვავებულა.“

უცებ სიმღერას შესწყვეტს და მძიმედ ამოიოხრებს. გულზე ხელებს დაიკრეფს და თვალებს სასოებით აღაპყრობს:

— უფალო, რომელი ხარ ცათაშინა! მე მწამხარ უზენაესო!..

მომეც ნაყოფი გვირგვინის... მომეცი შვილი...

ნონა შეკოთა!

ოდნავ გამოღებულ კარებში მურზანკალამ ჩაიხითხითა.

— ოო, წითელო თავადო, ვინ გამოგგზავნა ამ ღამეს?!.

— რატომ პატონის შესახვედრათ არ წასულხარ ბატარეელზე?

— ჯერ ადრეა...

— ასე გგონია?

(მურზანკალა უახლოვდება ნონას)

— ამხანაგო ქალბატონო, ნუ გამიწყრებით... მე მოვედი ისე...

— ისე?!.

— დიახ: ყური მოკკარი, ღმერთს ეევედრებოდი...

— მერე შენ რა?

— ისა, ამხანაგო ქალბატონო, რომ ღმერთი დაყრუვდა. ამბობენ დიდ-ხანს იკოცხლაო.

— მერე?

— მერე ისა რომ... კაცი რომელიც მუდამ ხუთად ნაწილდებოდა გამოიფიტა, და სისხლი მისი დამქავდა პრასის წნილივით.

აკრეკილებული მურზანკალა, თავზე ხელაღებულივით მიუახლოვდა ნონას, ძუძუებში სელი ჩაავლო და თვალებში ჩააშტერდა.

— შენ შვილი გინდა... ჩემი სისხლი ახალია... ლალივით წითელი... ცხრა წლის კახურივით ტკბილი და ძლიერი. ნუ ენდობი დამქავებულ სისხლს!

ახალი სისხლი...

მე მოკცემ შვილს!

ნონა აცახცახდა. მურზანკალას სიტყვები ღვთაებრივ ქეშმარიტებათ ჩაეწვეთა ყურში. დათვრა. გაბრუვდა. ბალიშზე გადიზნიქა და თვალები მილულა.

„ახალი სისალი... შვილი...“ ძლივს არჩევს მურზანკალას სუნთქვა შეგუბებულ ჩურჩულს.

X

ნოემბერს ყვითელი ფარჩები შემოეხია.

ზამთარი...

დეკემბრის ქარი...

ყინვა...

სუსხი...

— ლურჯი ცა ღრუბლების გუნდით დაიბურა. ქედებს ტყვიისფერი ბურუსი ჩამოაწვა. ზამთრის სიცივემ უდროოდ მოატანა.

გიო დიდებულიძე სადარაჯოზე. ვინტოვკით მხარზე გაჰყურებს ტფილისს. მას უბრძანეს: ღამის ავსულებიდან დაიცვას ქალაქი. რაიონულ რიგში მოაყოლეს. გიო შორიახლოს უვლის სასტუმრო „ინფორმაციას.“ მაღლა სართულის დარაბები დაკეტილია. იქ შავი ადამიანები ვახშმობენ. ვინ იცის ახლა რაზე არ ფიქრობენ... სამოთხიდან გაძევებულ ქიმერებივით იცქირებიან ჯურღმულიდან. „მზის ჩასვლას უცდიან...“

ო, მადლობა ღმერთს რომ გიო დიდებულიძე არ არის გაძევებულთა

რიგში. გუშინ წითელმა სტეფანემ თეთრი მანდატი მიიღო „ცენტრიდან“ მანდატი ჩექმის ყელში ჩაიგდო. გიოს ერთი მუჭი ფული ჩაუტენა ჯიბეში. ოთახის გასაღები მიაბარა. საიდუმლო დააბარა და სადღაც წავიდა. ხვალ ღამის მატარებლით დაგბრუნდებიო...

გიო შიშით შეჰყურებს სასტუმრო „ინფორმაციის“ მაღლა სართულს. აგონდება მურზანკალას სიტყვები... მაგრამ ნონა ჯიუტობს, გადაჭრით ეუბნება ქმარს: პატარა მემკვიდრეს, რომელსაც ამ მომავალ თვეებში მოელის, დაბლა სართულში არ ჩამოიყვანს.

გიოს უხარია პატარა მემკვიდრე. არც ისე უბედური ყოფილა თურმე დიდებულიძეანთ გვარი. ორი უფროსი ძმა გადაშენდა. გიომ გაიმარჯვა. შვილი ეყოლება.—პატარა მემკვიდრე. მაგრამ... გიო ორპოფი გრძნობით გაჰყურებს უმთვარო, თეთრი ღამის კალთებში გახვეულ ქალაქს. სიხარული და დარდი ერთმანეთში არევია: ყოველი დღე, ყოველი დილა უკუღმართად უმზერს გიოს თვალებს.

ნაშუაღამევია...

მშრალი თოვლი მსუბუქად ბარდნის ქუჩებს, გამზირებს, ეზოებს, სახლის სახურავებს...

შორიდან ისმის გაჭენებული ცხენების თქრიალი. კანტიკუნტად ჩქარი მგზავრის ფეხის ხმა. ხანგამოშვებით ავტომობილების სრიალი.

გიო დიდებულიძე იცავს ქალაქს! ჰმ!.. რატომ ეშმაკს არ გაეცინება? ამას წინად ნაცნობი ზეინკალი ამტკიცებდა ერთ-ერთ კრებაზე: გიო დიდებულიძე უპარტიო სოციალისტი არისო. თავდაცვის კომიტეტმა იარაღი ანდო. იქ თეთრმა ჯაშუშმა რაღათ ჩაუჯიბა ფულები?

გიოს ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. და უნებლიეთ წამოიძახა:

— ოხ, ზედა სართულო, ჩამოინგერი ბარემ... და ისევ მოაგონდა მურზანკალას სიტყვები: „უშველეთ ამ ხალხს! ლპება, ისრწნება ზედა სართული. უშველეო სანამ აყროლდებოდეს.“

მაგრამ, ნონა... ეხ, ქალი... ქალი... ტყვილად კი არარის ნათქვამი: თუ ქალი მოინდომებს მკვდარსაც გააცინებსო.

ნონა გუშინ შიშით და სირცხვილით შეჰყურებდა გიოს ხელში აწრიალებულ ვერცხლს. ახლა ამაყია და მედიდური: კანონიეური ცოლია. ჩქარა შვილის დედა იქნება.

— ახლა ნონას ალბათ სძინავს... გაიფიქრა გიომ.

ნონას არ ეძინა. მხარზე იწვა. გვერდით მურზანკალა უჯდა და მუცელზე ხელს უსვამდა. თან ალერსით ეუბნებოდა:

— ახლა თავი გაანძრია ჩემმა შვილმა, ახლა მკლავი, ახლა ფეხი...

ნონა ჭერს უცქეროდა. რაღაცაზე ფიქრობდა... ხან მურზანკალას მოხვევდა მკლავებს და ტანში თბილი სიამოვნება დაუვლიდა. მურზანკალა სრულიად გამოიცვალა ამ რამოდენიმე თვეში. ახლა მურზაყანს ეძახიან. ამ ბოლო დროს გიომ სალარო ჩააბარა. გუშინდელ „სულელს“ დღეს ჭკვიანს ეძახის. ენდობა.

მურზაყანს უხდება კოხტა ბაშმაკები... დიაგანალის შარვალი, საყელო გადმოკეცილი ლურჯი ბლუზი, ბორდოსფერი ღალსტუკი და სოციალისტის წითელი ნიშანი. შვენის თეთრ კბილებზე შავი მოლამული ულვაშები.

ახლა წვრილი თვალებიც დაუფართოვდა მურზაყანს: ცხოვრებას პირდაპირ უყურებს. ამიტომაც თავისთავზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე მის ბატონზე. საღამოს კურსებზე დადის. ახლა ბედნიერია მურზაყანი: ყოველი წუთი სიხარულით იწყება მისთვის და ყოველი საათი სიხარულით თავდება. მაგრამ მურზაყანს ხშირად გულის გამომხვრელი იჭვიც ეპარება. ამიტომაც ასე დაჟინებით ეკითხება ნონას:

— მითხარი გენაცვალე, მითხარი: რომელი უფრო გიყვარს, მე თუ გიო დიდებულიძის დამჟავებული სისხლი?

ნონა თვალებს ნაბავს, მარწყვის ტუჩებს სიამოვნებით აპობს, ბროლის კბილებს აჩენს და სუბუქად ამბობს:

— ახალი სისხლი... ახალი სისხლი...

XI

ღამის სადარაჯოდან გათენების ხანს დაბრუნდა გიო მეტად დაქანცული და გაციებული. თოფი კუთხეში მიაყუდა. ორი ჭიქა არაყი გადაჰკრა ძარღვების გასათბობათ და ცოლის ალერსში ტკბილად ჩაეძინა. საშინელი სიზმარი ნახა: უშველებელი გველი მოვარდა და ყელზე უკბინა. გამოიღვიძა შეშინებულმა გიომ. შტეპსელს თითი დააჭირა. შუქი აინთო. ოთახში ჩვეულებრივი სიჩუმე იდგა. მარტოდ-მარტო ნონა სუნთქავდა მის გულთან. ეს იყო 1917 წლის ერთ-ერთი დეკემბრის დილის სიზმარი.

ნაშუადღევის სხდომაზე დროებით შემდგარმა პარლამენტმა გამოიანგარიშა გაზეთებიდან მოყვანილი ცნობები: უკანასკნელ კვირაში, ქალაქში მოჰხდარი უწესოება ასზე მეტ შემთხვევას უდრიდა. პარლამენტის ზოგიერთი წევრები ამტკიცებდენ საჭიროა სამხედრო წესების შემოღებაო. საღამოს ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს სიტყვა „სამხედრო წესები.“ —

ეს იყო დიდი „სიურპრიზი...“

ღამით რაზმელები შეუდგენ ქალაქის გაწმენდას „ავსულებიდან.“

ნაშუაღამევს სასტუმრო „ინფორმაცია“-საც ესტუმრენ, შავი ავტომობილით და ნაციონალური მანდატით. პირველად სასტუმროს პატრონი გიო დიდებულიძე მოიითხოვეს. მაღლა სართული გაჩხრიკეს. რამოდენიმე კაცი იჭვით დაატანტიმრეს. წითელი სტეფანეს ოთახს მიადგენ. გიომ განაცხადა:

— არ ვიცი... ის კაცი მთელი კვირა ავად იყო. ავადმყოფი ადგა და წავიდა სადღაც. სამი დღეა აღარ დაბრუნებულა.

კარები დალუქეს.

გიომ თავდაცვის კომიტეტიდან მოცემული ნდობის ქაღალდი წარუდგინა სტუმრებს. არავის არაფერს შეხვეწნია. ჩვეულებრივი ტონით ამბობს, რომ, ის უპარტიო სოციალისტია!

მანდატიანი ხალხი გიოს სიტყვაზე ჩუმათ ჩუ-ჩულობდენ ერთმანეთში რაღაცას და უცინოდენ. გიომ მათშორის ნაცნობი ჟურნალისტი შენიშნა. სახეზე ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული.

წინა ჭიანი კბილი და სიცივისაგან გაწითლებული ცხვირი უჩანდა.

— წამობრძანდით, ნუ გვაგვიანებთ!..

აჩქარებდენ ისინი.

გიო ნონას მიუბრუნდა და უკანასკნელად მოსთხოვა ორი ჭიქა სარაჯიშვილის მაგარი კონიაკი. ორივე გადაჭრა და დაცლილი ჭიქა ყაბალახიანს მიაწოდა. მკლავში მეგობრულათ შეავლო ხელი და ყურში ყველას გასაგონათ ჩასძახა:

— ჩემო მეგობარო, მე თქვენ გიცნობთ... მე არაფერი არ მიკვირს... ცხოვრება მასხარობაა. მე და შენ-კი ლატარიაში ჩაგდებული ნივთები ვართ!

მერე მძიმედ ამოიოხრა და სინანულით გადახედა ნონას.

— მშვიდობით საყვარელო მეუღლევ! გებარებოდეს ჩემი მომავალი მემკვიდრე.

მიუხედავათ იმისა, რომ უფლებიანი ხალხი გიოს აჩქარებდენ, გიო კარებთან მაინც შედგა, ბინიატოღლის 1-ლი ორდენის მაგარი თუთუნი რამოდენიმეჯერ გაბოლა და დინჯათ გადასდგა ფეხი.

მურზაყანი აივანის კულისებიდან უყურებდა ამ თეატრალურ სცენას, ფეხაკრეფით მივიდა თვალცრემლიან ნონასთან, ორივე ხელი ნიკაპში მოავლო და წასჩურჩულა:

— ნუ სწუხარ გენაცვალე! მალე ახალი მემკვიდრე გვეყოლება... წარსული ზღაპარია, ყალბი ზღაპარი...

ახალი სისხლი გაგახალისებს...

მეგრელიძე ლიდია

გამოთხოვება

(დედას)

შესდეგ მეეტლევ! —უკანასკნელი
მინდა უსტარი გადავცე დედას.
ჩვენს წინ იშლება გზა მეტად ვრცელი,
გულით მივათრევ შეხიზნულ სევდას.

დედავ, შენზე დარდს ვერ გადაურჩები,
მე ეს ნაღველი ვიცი გადამწვავს,
შამომესვევა გლოვა ფარჩებათ,
ბროლის კუნწები დაყურსავს წამწამს.

მომენატრება შენი თვალები—
ღამე თალხებში გადაყუდრული,
წყაროზე კოკით სოფლის ქალები
და განთიადის ნელი ურმული.

აქ ყველაფერი ისე ნაზია
და ისე თბილი, ვით შენი კალთა.
მაისის მიწა და ფანტაზია...
შემოღამება საოიბის კართან.

წავალ-წავიღებ სიზმრებს ნააზრევს,
გამყვება ბევრი გულის დამლევი...
ამ ჩემ სინაზეს—შენს ნათავაზევს
დედავ, დავრწმუნდი ვერ შეველევი.

მაშ ცხენს სადაეე... გასწი, გაფრინდი
ჩემო მეეტლევ, ვით ქარის რისხვა,
შოსსეს ეცემა საღამოს ბინდი,
აგერ ლურჯი ცაც ვაშლებს დაისხავს.

მესმის ძაღლების ყეფა-წკმუტუნი,
(ხეტავ ამ ზღაპრებს მერე ვინ მეტყვის?)
მომდევს დედის ხმა, დების სლუკუნი,
თვალის უპები მევსება სეტყვით.

და მიჰქრის ეტლი, მისცურავს, მიჰქრის...
ურიცხვი სახე მკვდრებს გადაეწნა,
ღამეს გაეკრა ლაჟვარდი—ფიფქი,
შრიალებს ვერხვი, შრიალებს ძეწნა.

მეგრელიძე ლიდია

დღეები ბორჯომში

მე ხშირად მიყვარს ოცნებით დაღლა,
მიწავ, შენს სითბოს მკერდს ვერ ვაშორებ!
ასე მივყვები ცხოვრების დაღმართს
და მკრთალ სითეთრეს ლურჯი სიშორის.

ლიკანის მთებში დავთალხავ თვალებს,
მომაგონდება მთაწმინდის მოვარე...
ეხლა მე ვგევარ გრძნობა ნამთვრალევს—
ღამით ნაწვალებ უზნეო ქალებს!

ო, ეს ხეები ელლინურ სიბრძნის,
დინჯი, ბებერი, და ასე ნაზი.
ცისფერ ზმანების დღეები მირბის,
ვფიქრობ: ბორჯომში დავჰკარგე აზრი.

დღეს ეს საღამო—მუქი ატლასი,
ვერცხლის ჩანჩქერი აქოჩრილ ჩქერის.
მივლის ველური ფიქრი ათასი
და ეს ფოთლებიც დღეს სხვაფერ მღერის!

ვიცი იკივლებს მატარებელი,
რომ იქ, სადღაც შორს არის სხვა მხარე!
მოვა გაზეთის დამტარებელი,
კვლავ მომაგონებს მთაწმინდის მთვარეს.

ტფილისო, გული შენ მოგაბარე!—
ხსოვნის ალერსმა გადამიტანა
ვუცქერი სულის დახურულ კარებს
ვიცინი ისე, როგორც სატანა.

მეგრელიძე ლიდია

თვალეგში მთვარე და ფირუზი

საღამო გადაჰყვა ძველ რიცხვებს
და სულში სიცივე ატირდა.
მე მიყვარს მიწა და მზის სიცხე—
მინდვრებში თერთმეტი მარტიდან.

ნოემბრის ფოთლები მაწამებს,
რომ ღამეს მიყვება ყოველი...
ფიქრები ასველებს წამწამებს
და მუდამ წენს ნახვას მოველი.

სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?!.
კითხვები წეწავენ საათებს.
ო, ვეღარ ავიტან მე ამ გვარ—
ღამეებს წვალებით განათევს.

დღეების ლეგენდა ძველდება.
ნაჩვევ გზას ვიცი ვერ ავცდები...
მივდივარ ჩვენს ნაცნობ ძეგლებთან
ათასჯერ ნაგრძნობი განცდებით.

და ღამე ამნაირ თალხებში
გაიელის მოლურჯო სიზმრებით,
და ისევ ჩაწვება თვალებში
მთვარე და ფირუზის მინდვრები.

ეკ. მესხი

ლ ი ზ ა

— ლიზა, დროზე გაათავე ეგ კაბა და პატრონს ჩააბარე. ანგარიშის წაღება არ დაგავიწყდეს, უნდა თხუთმეტი მანეთი მიიღო. ერთი თუმანი ამ კაბის შესაკერი და ხუთი მანეთიც ძველი ვალი.

— ხუთმეტი მანეთი, დაუფიქრებლივ იმეორებდა ფერმკრთალი ყმაწვილი ქალი და თავ ჩაღუნული საჩქაროდ ჰკერავდა.

— უეჭველად ეცადე ეს ფული გამოართვა. ტკბილი სიტყვებით არ მოგატყუოს და ცარიელი არ გამოგისტუმროს. ღმერთო ჩემო, რა გახდა ეს ქვეყანა, სულ ეშმაკობით და სიცრუით აივსო! ჩვენ დღიურათ ძლივს ვიკვებებით ის ხალხი განცხრომაში სცხოვრობენ და თავის დროზედაც არ იძლევიან ამ გაჭირვებულ შრომით და სისხლით მოპოვებულ ერთ ორ გროშს!! რატომ არის ამ ქვეყანაზე ასეთი უთანასწორობა, ან ღარიბები რა გასაჩენი ვიყავით ამ ქვეყანაზე?

ამ სიტყვების მთქმელი იყო ორმოცდაათ წელიწადს გადაცილებული თმა ჭაღარა მომცრო ტანის გამხდარი დედაკაცი. ის დაზგის უკან იჯდა. ხმაზე რაღაც სისასტიკე და ბრძანებლობა ეტყობოდა; მაგრამ მის დამჭკნარ სახეს რომ დააკვირდებოდით დარწმუნდებოდით, რომ ეს ძალიან კეთილი გულის და პატიოსანი ადამიანია.

იმისი სახელოსნო ერთ ვიწრო მიყრუებულ ქუჩაში იყო. იმას ეჭირა ორი ოთახი. ერთში მუშტარს იღებდა და მეორე კი თავის საწოლ და სამუშაო ოთახად ჰქონდა. ის სცდილობდა იმოდენა საქმე აეღო რომ თავის თავი ერჩინა და ჯამაგირი დროზედ ეძლია თავის ხელოსნებისთვის, რომლის რიცხვი ძალიან განსაზღრული იყო.

— შენ კარგათ იცი, ჩემო ლიზავ, რომ თუ ჩვენი შრომის ფასი დროზედ არ ავიღე მკერავ ქალებსაც ჯამაგირს ვერ მივცემ და ისედაც მათი მცირე ჯამაგირი ნაწილობრივად რომ აიღონ აბა რას გახდებიან.

— ვეცდები გამოვართვა. სთქვა ლიზამ მისუსტებულის ხმით.

— მე სრული იმედი მაქვს შენი გამჭრიახობისა, სთქვა სალომემ, მოხუცებულმა ქალმა, სკამიდან წამოდგა და სულ ერთ და ამავეს ბუტბუტებდა, რომ ღარიბნი ქვეყანაზე რა გასაჩენი იყვნენო.

ლიზამაც საკერავი გაათავა, წამოდგა და ზეწარში გახვევა დაუწყო.

ამ დროს თვალები დაუბნელდა, თავს ბრუ დაეხვა და იატაკზე დაცემას აპირებდა, სალომე რომ არ მიშველებოდა.

— რა დაგემართა, ქალო, მიაყვირა შეშინებულმა. ეხლა ხრმ უკეთა ხარ?

— დიახ, უპასუხა გარინდულმა და მისუსტებულმა ლიზამ. დღეს როგორღაც არ შემეძლო, იქნება ოთახში ძალიან ცხელა და გულის წუხილი იმიტომ დამემართა.

— ნუ სტყუი მაინც, სთქვა გაჯავრებით სალომემ,—უთუოდ შენმა უსინიდისო დედინაცვალმა გაფანტა ან მიმალა შენი ჯამაგირი და ამ დილით ფული აღარა გქონდა პური გეყიდა და გეჭამა.

ლიზამ თავი ჩაღუნა, გასამართლებელი სიტყვა ვერ იპოვნა; მართლაც მისი დედინაცვალი საშინელი მფანტავი იყო. როგორც კი ლიზა ჯამაგირს მიიღებდა, ხელიდან გამოაცლიდა, რამდენიმე დღეში გაფანტავდა და დანარჩენი დღეები ნახევარზე მშიერი ან ცარიელ პურზე ისხდნენ.

— უთუოდ წუხელის ვახშამი არ გიჭამია და ამ დილითაც ფული არა გქონდა, რომ პური გეყიდა, მთელი დღე უჭმელ-უსმელი დადიხარ და დროს გულის წუხილში ჭკარგავ, ჩემ მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალო.

სალომე საჩქაროდ კარში გავარდა და ხუთი წუთის განმავლობაში ერთი ჭიქა ცხელი ყავა და ერთი ნაჭერი პური და ყველი მოუტანა

— ვიდრე ამას არ შესჭამ, ვერსად ვერ წახვალ, უთხრა სალომემ აღელვებულის ხმით. შენ ნუ გგონია რომ ამ საჭმლის ფულს ჩემ ჯიბიდამ მივცემ, სულ ჯამაგირიდან გამოგირიცხავ, თუ ჭკუაზე არ მოხვალ და ასე მოიქცევი, იცოდე რომ მუდამ ნაირნაირ საჭმელებს გაჭმევ ხოლმე და ერთ გროშს ჯამაგირს ხელში აღარ ჩაგიგდებ. ასე მოახსენე იმ შენს პატიოსან დედინაცვალს.

სალომე კიდევ ბევრ სამდურავს იტყოდა, მაგრამ სიკაპასისაგან სიტყვა ყელში მიებჯინა და გაჩუმდა.

ლიზა გაჩუმებული იჯდა. მშიერს ბევრი პატიჟი არა სჭირია, როდესაც თვალ წინ საჭმელს ხედავს. გემრიელად ცხელ ყავას და ყველსა და პურს შეექცეოდა.

— მაგ შენ დედინაცვალს თავიდამ მოიშორებდე დამიჯერებდე და შენ ჩემთან გადმოსახლდებოდე, უთხრა ალერსიანათ სალომემ მაშინ შენთვინაც ერთი ორი გროში გექნება და არც მაგოდენა სატანჯელს გამოივლი. ნუ გეშინიან შენ რომ გვერდში არ ეყოლები, თითონაც გაირჯება იმუშავებს და თავს ირჩენს.—მაშინ მეც ჯამაგირს მოგიმატებ ეხლა მეტს რად მოგცემ, რომ იმ უსვინდისომ თავის მუცელში ჩაიყაროს და გაფანტოს? უფროც დაგიკლებ, ასე მოახსენე ჩემს მაგიერ.

— რატომ ჩადიხარ მაგისთანა საქმეს? რატომ შენ ჯამაგირს შენ თითონ არ ხარჯავ და სახარჯოს ყოველდღიურად არ აძლევ? დღეის იქით, მე ყოველ კვირაში ორ მანეთს გამოგირიცხავ და ყოველ დღე ცხელ ყავას, ყველსა და პურს გაჭმევ.

ლიზა გაჩუმებული იჯდა. ცხელმა ყავამ გაამხნევა. წამოდგა, სალომეს მადლობა გადაუხადა და გაეშგზავრა.

II

ლიზას შავი სადა კაბა ეცვა და თავზე წითელი სადა შლიაპა ეხურა. ქუჩაში რომ შეგვხდომოდათ არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდით. ეს იყო გაძხდარი, ფერმკრთალი, გულ-მკერდ ჩავარდნილი, ყმაწვილი ქალი. თუ კი იმის სახეს კარგად დააკვირდებოდით და ნაწილ-ნაწილ გაარჩევდით ლამაზების რიცხვში ჩარიცხავდიო.

იმისი მშვენიერი დიდრონი [გრძნობით სავსე, ჭკვიანი ეშხიანი შავი თვალები პირველ შეხვედრისთანავე ყურადღებას მიიზიდავდა. ამასთანავე ორი მაგრად დაწნილი შავი თმა თავის ქალაზე შემოხვეული ერთი ორად ალამაზებდა ცოტა დიდი პირის ნაპობი ცოტათი აუბნოვებდა, მაგრამ როგორ შეიძლება რომ ადამიანის სახე უნაკლულოდ იყოს, მეტადრე მუშა ქალის, რომელიც არც კი ასწრობს თავის თავს ყურადღება მიაქციოს.

ლიზა თვრამეტი წლისა იყო. მეტმა შრომამ და ჯაფამ ის ძლიერ დააძაბუნა. უსაქმოდ ჯდომა კვირაობითაც არ შეეძლო, სახლში იჯდა და თავის ტანისამოს იკერებდა და ასუფთავებდა.

დილის შვიდ საათზე სახელოსნოში გარბოდა და ღამის ცხრა საათზე სახლში ბრუნდებოდა: ვერცკი წარმოედგინა თუ სხვანაირი დროს გატარება კიდევ შეიძლებოდა. იმას არც ამხანაგი და არც ნათესავი არა ჰყავდა, რომ იმათში გართულიყო. ლიზა ღარიბი დედმამის შვილი იყო. დედა არც კი ახსოვდა. ორი წლისა იყო დედა რომ მოუკვდა. მამა მისი დათიკა უბრალო ხელოსანი იყო. ცოლის სიკვდილის შემდეგ ცხოვრება ძალიან გაუჭირდა. რადგან უსუსური ბავშის მოვლა ვერ მოეხერხებინა. ის დილით ადრე სამუშაოთ მიდიოდა და ორი წლის ლიზა სახლში მარტო რჩებოდა. ამჯობინა მეორე ცოლი შეერთო რომ ოჯახისათვის და ბავშვისათვის მოვევლო. იქვე მეზობლად ერთი ხანში შესული გასათხოვარი ქალი ცხოვრობდა და ლიზას როცა მამა მისი სამუშაოდ მიდიოდა, ეალერსებოდა. ამ ქალის შერთვა გადასწყვიტა, რადგან ლიზაც შეეჩვია და უყვარდა.

დათიკამ ექვსი, თვის ქვრივმა, ცოლი შეირთო. ლიზას დედინაცვალი მარიამი გათხოვებამდე ციდან ჩამოსულ ანგელოზსა ჰგავდა, როდესაც კი თავის საწადელს მიაღწია, ის ანგელოზი ქალი იმისთანა კაპასი და უგულო რამ გამოდგა, რომ მამასა და შვილს ლიმწრის ცრემლებს აღვრევინებდა. მარიამი ისე სასტიკად და უმოწყალოდ ეპყრობოდა ლიზას, რომ მეზობლებიც კი იმის საცოდავობით იწოდნენ.

ლიზა ძალიან ნიჭიერი და ცნობის მოყვარე ბავშვი იყო. თუმცა მთელი ოჯახის საქმე ამას კისერზე აწვა, მაგრამ მაინც როდესაც მეზობლის ბავშვები სკოლიდან ბრუნდებოდნენ, იმათთან გაქცევას ასწრობდა და როცა ისინი გაკვეთილებს სწავლობდნენ და იმეორებდნენ ლიზა თვალყურს ადევნებდა და წერა და კითხვა მალე შეისწავლა. სახლიდან გარეთ გასვლისთვის ხშირად მოხვდებოდა ხოლმე, მაგრამ ლიზამ თავისი არ დაიშალა. სწავლის მოყვარეობამ ისე გაიტაცა, რომ დედინაცვლის გაჯავრებას აღარ ერიდებოდა.

ასე მიმდინარეობდა ლიზას ცხოვრება. საწყალმა დათიკამ ამოდენა ოჯახური უსიამოვნობა და თავის საყვარელი ქალის დაჩაგვრა და ტანჯვა ვერ აიტანა, ლოგინად ჩავარდა და მალე თავის პატიოსან და საყვარელ ცოლს მოეწია. ეხლა კი საწყალი ლიზა სრული ობოლი დარჩა... არც მოსარჩლე და არც გულშემატკივარი აღარავინ არა ჰყავდა.

ამ დროს სალომე იმავე ქუჩაში იდგა და სახლში საკერავებს იღებდა. მეზობლებისაგან გაგონილი ჰქონდა ლიზას მუყაითობაზე, დაჩაგვრაზე დედინაცვლის მიერ და გული ეწოდა. თითონაც იმოდენა საშუალება არა ჰქონდა რომ რითიმე ეშველა. ერთხელ ბევრი საკერავი მიუტანეს, ვიღაც მდიდარი ქალის გასამზითევად. სალომე წელში გაიმართა, ლიზას დედინაცვალთან მივიდა და სთხოვა, რომ იმისთვის მიებარებინა და ერთ წლის შემდეგ ჯამაგირსაც დაუნიშნავდა.

ჯერ მარიამი დიდ უარზე იდგა, მაგრამ როცა ჯამაგირის დანიშვნა გაიგონა დასთანხმდა; მხოლოდ იმ პირობით, რომ ლიზა ღამ-ღამეობით სახლში მისულიყო. სალომემ ამ ჯოჯოხეთიდან ლიზა გამოიხსნა. ამ დროს ის თორმეტი წლისა იყო. საკერავი იმდენად იცოდა, რომ გამოკრილ თეთრეულებს თავისუფლად ჰკერავდა.

სალომე ლიზას ყველაფერს გულ მოდგინეთ ასწავლიდა და მართლაც ერთი წლის განმავლობაში ისე შეისწავლა და გამოიცადა, რომ თავის ოსტატის მარჯვენა ხელი შეიქნა. სალომემ პირველ თვეში სამი მანეთი ჯამაგირი დაუნიშნა და ყოველ ახალ წელიწადს ახალ ახალ ტანსაცმოს და ფეხსაცმელებს უყიდდა ხოლმე სალომე. თან და თან ჯამაგირს უმატებდა და ეხლა თვეში სამი თუმანი ჰქონდა.

ლიზა მაინც ბედნიერი არ იყო. ხელში ერთი გროში არა ჰქონდა, რომ თავის ნებაზე დაეხარჯა და მძიმე მუშაობის შემდეგ სადმე გასართომათ წასულიყო. ლიზას არავინ არა ჰყავდა რომ თავისი გულის ვითარება გაეზიარებინა, იმას მუშაობა არ ეზარებოდა ის გულ მოდგინეთ თავის ოსტატს ემსახურებოდა, რადგან ისიც იმისთვის ძალიან კეთილი იყო.

მისი ტოლი ქალები კვირაობით სეირნობდნენ, დროს ატარებდნენ ნაცნობებიც ბევრი ჰყავდათ; ლიზა კი დილა გაუთენებლივ მაღაზიაში გარბოდა და ყველას არწმუნებდა, რომ დაუთავებელი საქმე დარჩა. საღამოობით სრული თავისუფალი იყო, და სახლში იჯდა.

მართალია ლიზა ჯერ ახალგაზრდა იყო და უეჭველია თავის სიცოცხლეში ბევრი ავი და კარგი მოელოდა. ბუნებას არ უყვარს ყმაწვილი არსების დაჩაგვრა ის მუდამ ხელს უწყობს ახალგაზრდების ბედნიერებას და ნეტარებას

III

მშვენიერი მაისის საღამო იყო. მთვარიანი და წყნარი. ცხრის ნახევარი იქნებოდა როცა ლიზამ საკერავი გაათავა.

ყველაფერი მიალაგ-მოალაგა, შლიაპა დაიხურა და სახლისაკენ გაემგზავრა. ამ მშვენიერ ღამეში სახლში წასვლა დაეზარა უფრო იმიტომ, რომ ჯერ იმის

დედინაცვალს არ ეძინებოდა და ჩვეულებრივ კაპასობას და ჯავრობას დაიწყობდა. ბაღისკენ გაემართა და შევიდა. იქ მუსიკა უკრავდა და ხალხი მხიარულათ დასეირნობდნენ. ლიზას ვერ წარმოედგინა თუ რა სიამოვნებას ხედავდა ხალხი რომ ასე ბუზივით ირეოდნენ. ლიზა ერთ მიყრუებულ სკამზე დასასვენებლად ჩამოჯდა. კარგა ხანს ჩაფიქრებული იჯდა. ბოლოს საათმა ათი დაჰკრა, წამოდგა და სახლისაკენ გაეჩქარა. როგორც კი ბაღიდან გამოვიდა იმას ვილაც ყმაწვილი კაცი აედევნა. ლიზამ ყურადღება არ მიაქცია, რადგან კაცების მხრივ ამისთანა შეუპოვრობას მიჩვეული იყო. გაჩქარებულის ნაბიჯით ვიწრო ქუჩას შეუხვია.

გრძნობდა რომ ის კაცი არ შორდებოდა, ხან დაეწევოდა, თითქოს დალაპარაკება უნდოდა, ხან ჩამორჩებოდა. ბოლოს როგორც იყო ლიზას მოუახლოვდა და უთხრა:

— ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

— თავი დამანებეთ, მე ჩვეულებად არა მაქვს უცნობთან ვილაპარაკო უთხრა ლიზამ გაჯავრებით, ფეხი აუჩქარა და თან აქეთ-იქით იყურებოდა, რომ ვინმე მცველი ენახა.

— ორი სიტყვა... განაგრძო ხვეწნით ყმაწვილმა. გეხვეწებითნუ გამაგდებთ... მე არავითარი ცუდი განზრახვა არა მაქვს და არც მინდა რომ გაწყენინოთ.

ლიზა დამშვიდდა.

— მე მინდა გიოხრათ, განაგრძო ყმაწვილმა კაცმა, აგერ სამი კვირაა რაც მე ყოველ ღამ თქვენ მაღაზიის წინ დავიარები, რომ თქვენ დაგინახოთ და ყოველ საღამოს სახლამდე გაცილებთ.

— რისთვის მაცილებთ? ჩემთან რა საქმე გაქვთ? ჰკითხა გაკვირვებით ლიზამ.

— იმიტომ რომ მომწონხართ და მიყვარხართ, მორცხვად უპასუხა ყმაწვილმა კაცმა—ბევრი ქალები მინახავს, მაგრამ თქვენისთანა ლამაზი არავინ არ არის. თქვენისთანა თვალები არავის არა აქვს!

ლიზას მამისაგან გაეგონა რომ ლამაზი თვალები აქვს, მაგრამ უცხოსაგან პირველად ესმოდა და ძალიან გაუკვირდა.

— აბა ვინმემ გაბედოს და შეურაცყოფა მოგაყენოსთ, სთქვა კბილების კრაჭუნით ყმაწვილმა კაცმა, მე იმას დაუყენებ დღეს.

— თქვენი სახელი? ბოლოს ჰკითხა მან.

— ლიზა...

— გინდათ ზეგ ერთად სადმე შორს სასეირნოთ წავიდეთ.

ლიზა თავისთავს ამგვარ მდგომარეობაში პირველადა გრძნობდა და უკვირდა თუ როგორ შეიძლება ყმაწვილ კაცთან მარტოკა სეირნობა.

— განა გვიანლა არის? განა საქმრო კიდეცა გყავთ? ჰკითხა მოწყენილის ხმით ყმაწვილმა.

— არა, უთხრა ლიზამ, მე ჯერ ამგვარ მდგომარეობაში პირველადა ვარ მე არასოდეს უცნობთან არ მისეირნია მარტოკა.

— იქნებ თქვენ გგონიათ რომ მე ვინმე უსვინდისო და გარყვნილი კაცი

ვარ. არ მენდობით განა. მართალი ხარ. რასაკვირველია. ჩემი ვინაობა შეგიძ-ლიათ მაკში შეიტყოდ. ახალგაზრდა გამოეცნაურა.

— ორშაბათს მოსვლა არ შემიძლია, რადგან საკერავი მაქვს.

—მაშ ხვალ.

ყმაწვილმა კაცმა ხელი ჩამოართვა. ლიზა ჯერ ძალიან ეკვიანად უყურებ-და. ეს იყო ტანმაღალი, ქერა, სუფთათ ჩაცმული კაცი. ის ისე ალერსიანად და პატიოსნურად უყურებდა ლიზას, რომ იმასაც გული აუჩქროლდა და ნდობით უყურებდა.

— ხვალ საათის ოთხზე აქ მოდით. დილაობით მე და დედაჩემი ეკლე-სიაში მივდივართ, მოხუცია და მლოცველი.

— ვნახოდ იქნებ წამოვიდე. მორცხვად მიუგო ლიზამ.

ყმაწვილმა სიხარულისაგან უცბად ვერაფერი ვერ უთხრა.

— ჩვენ ერთმანეთი გავიცნოთ. ერთმანეთის ხასიათს დაუკვირდეთ და თუ ერთმანეთი მოგვეწონება მაშინ საქმე გადავწყვიტოთ, ხომ ლიზიკო; და თვა-ლებში ალერსიანათ ჩახედა.

ლიზამ თავი დაჰხარა.

ლიზა გრძნობდა, რომ უცნობ კაცთან შეუღლება არ შეიძლება ჯერ უნ-და ერთმანეთი კარგად გაეცნონ, ერთმანეთის ხასიათი შეესწავლათ და ამის-თანა მძიმე საქმე გადაეწყვიტათ. ლიზამ არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა თავის სახლში მოწვევა არ შეეძლო, რადგან მარიამი ნებას არ მისცემდა და ჩხუბს აუტეხდა. ლიზას თვალები ცრემლებით აევსო. ამოდენა ქალი გამხდარი-ყო და ამისთანა ალერსიანი ლაპარაკი ჯერ არ გაეგონა. ეხლა იგრძნო რომ მარტოობა რამდენად ძნელი ყოფილა. რამდენად საჭიროა ადამიანისთვის იმისთანა მახლობელი, რომ თავის გულის ვითარება გამოეთქა და რჩევა ეკითხა.

— განა თქვენ ამხანაგი არავინა გყავთ?

— ლიზამ თავი გაიქნია.

— თქვენ ისე ლამაზი და კარგი ხართ, რომ უხეირო ამხანაგები არ უნდა ამოირჩიოდ.

— როცა პატარა ვიყავი, სთქვა ოხვრით ლიზამ, ბევრს ქალებს ვიცნობ-დი, ჩვენ მეზობლად იდგნენ. ეხლა აღარავის არ ვხედავ. ზოგი გათხოვდნენ, ზოგნი სხვა ბინაზე გადავიდნენ. ეხლა მე მთელი დღეები მაღაზიაში ვმუშაობ. ღამე როცა სახლში ვბრუნდები ისე დაღალული ვარ, რომ დასვენების მეტი არაფერი არ მახსოვს. კვირაობითაც ჩემ საკუთარ საკერავს ვაკეთებ.

— განა დედ-მამა არა გყავთ. არა!

— არა, დედა არცკი მახსოვს და მამაც იმის შემდეგ მალე მომიკვდა. დედი-ნაცვალი მყავს, რომელსაც არ უყვარვარ. ოჰ! ღმერთო ჩემო! რა პატიოსანი კაცი ყოფილხართ! განა დედა თქვენს მოეწონება რომ ჩემისთანა ღარიბ, უბ-რალო მკერავ ქალს დაუმეგობრდეთ?

— დედა ჩემი მგონი თავის შვილის ბედნიერების წინააღმდეგი არ იქნება.

მოდი დავმეგობრდეთ, მე მქვიან ნიკოლოზ, თქვენ ნიკო დამიძახეთ ხოლმე და მე ლიზას. ხელი მომეცი, ხვალ უეჭველად აი აქ ამ ადგილას მოგელი.

ყმაწვილმა კაცმა ხელი ჩამოართვა და ხელზე აკოცა.

— ოჰ ლიზა, რომ იცოდე როგორ მიყვარხარ. როგორც კი გნახე შენი სიყვარული გულში ჩამივარდა. რა ბედნიერი ვიქნებით!

ასე დაიწყო ლიზას ბედნიერება...

მხიარულად სახლში შევიდა. ტანთ გაიხადა და დაწვა, მაგრამ დიდხანს არ დაეძინა. თვალ წინ ნიკოს მშვენიერი სახე ედგა და ყურში იმის ტკბილი და პატიოსნური ლაპარაკი ესმოდა. მის დედინაცვალს, რომ არ სძინებოდა ლიზას სახეზე რამე ცვლილებას შეამჩნევდა. ბევრი წვალების შემდეგ ძლივს ჩაეძინა და სიზმარშიც კი იმ ყმაწვილის სახე ეზმანებოდა და არ ასვენებდა.

ასე დაიწყო მშვენიერი იდილია. მწყემსი იყო ბანკის პატარა მოსამსახურე და საწყმსო უბრალო მკერავი ქალი. წარმოიდგინეთ ყმაწვილი, რომელიც თავისი სიყვარულით ისე აღტაცებულია ყველაფერს ბედნიერის თვალით უყურებს და ვერ წარმოუდგენია, რომ ვინმე ან რამე შეარყევს და ამისთანა ავი სული აძოჩნდება, რომელიც ნელ ნელა ორმოს უთხრის და მათ დაღუპას ინდომებს ლიზა და ნიკო ყოველ უქმე დღეს და კვირაობით ერთად დასეირნობდნენ... ნიკო გაზეთებიდან და წიგნებიდან ამოკითხულ ამბებს უამბობდა, სხვა და სხვა საგნებზე ეგაასებოდა და უხსნიდა ისე რომ ლიზამ იმისთანა ცნობები შეიძინა რომ სიზრნაცვალ ვერ წარმოიდგენდა. იმისმა გონებამ მუშაობა დაიწყო და ცხოვრებას უფრო სხვა თვალით უყურებდა. ლიზა თანდათან ცდილობდა თავის სატრფოს მოსწონებოდა, ყურადღებას აქცევდა თავის თავს და იმისთანა რამე ჩაეცვა რომ მოსახდენი ყოფილიყო. მართლაც რომ ლიზასთვის შეგეხედათ სრულიად გამოიცვალა, გალამაზდა ჩადრეკილი გული ამოევსო, ლოყები გაუწითლდა და თვალებში სხივი მოემატა.

— ლიზა, უთხრა ერთხელ დედინაცვალმა, რომელმაც ცვლილება შეამჩნია და მეტადრე კვირაობით მარტოკა სახლიდან გასვლა და ღამე გვიან დაბრუნება რომ დაიწყო. ფრთხილად იყავი: კაცები მაცდურები და უსვინდისოები არიან. ბევრი იმათგანი ცდილობენ ყმაწვილი ქალი გააუპატიურონ და ბოლოს მიატოვონ. ეცადე შენ მაგვარი არაფერი არ დაგემართოს. შენი ყმაწვილ კაცთან მარტოკა სიარული არ ვარგა და ვაი თუ ცუდი შედეგი მოჰყვეს.

ლიზას დედის სიტყვებზე ეცინებოდა, იმისი ნიკო თავის დღეში მას უპატიურებას არ მიაყენებს. მარიამი ლიზაზე გაჯავრებული იყო, რომ ამ თვის ჯამაგირი სრულიად არ ჩააბარა და რამდენიმე მანეთი თავისთვის დაიტოვა ვერ წარმოიდგენდა რომ ლიზა ოდესმე გათხოვდებოდა და რასაკვირველია, მაშინ ბევრი დაკლდებოდა. ქმარშვილი რომ ეყოლებოდა თავის ნამუშავარს ხელში აღარ ჩაუგდებდა და მარტო მცირე ნაწილს მისცემდა. მარიამი სალომესთან ბივიდა და სთხოვა რომ ლიზას ჯამაგირი მასთვის მიეცა. სალომემ უარით გამოისტუმრა.

ლიზა ეხლაც მუდამ კვირა დილით მაღაზიაში დაიარებოდა, სალომე თავის მუშტრებზე, სიღარიბეზე, ლაპარაკობდა, მაგრამ ლიზას არაფერი არ ესმოდა, მისი ფიქრები სულ სხვაგან ფრინავდნენ.

— ლიზა შენ მგონია სრულებით ყურს არ მიგდებ, განა ადამიანი როცა შეყვარებულია, არაფერზე ფიქრი არ შეუძლიან!

ასე ბედნიერად მირბოდა ზაფხული. ლიზა აწყმოთი ცხოვრობდა, მომავალზე სრულებით არფიქრობდა, ან რა საჭირო იყო მისთვის მომავალი? ეხლა ის სრული ბედნიერი იყო და ამ ბედნიერებით სტკბებოდა. ლიზა და ნიკო ყოველ კვირა ქალაქ გარეთ დასეირნობდნენ და სხვა საგნებზე მუსაიფობდნენ. ლიზას თან და თან ჯანი და ღონე ემატებოდა. უფრო ჩქარა და გულმოდგინედ მუშაობდა ხოლმე. სალომე მას შესცქეროდა და უხაროდა.

— შეჩვენებული ვიყო ლიზა, უთხრა სალომემ, თუ შენი ბედნიერება მეც არ მამხიარულებს და მასიამოვნებს. მართალია მარიამი ჩემთან იყო და მთხოვა შენი ჯამაგირი იმისთვის მეძლია, მე უარით გავისტუმრე და თან დავემუქრე, რომ თუ ის თავის ხასიათს არ მოიშლის ჩემთან გადმოგიყვან და მაშინ რაღას იზამს.

მართლაც, ლიზა ამ ბოლოს დროს ერთ ნაწილ თავის ჯამაგირისას სალომეს აბარებდა და ხანდისხან კიდეც ემუქრებოდა რომ თუ ის თავის სიკაპასეს და ლანძღვას არ მოიშლიდა ცალკედ დადგებოდა, სრულებით გაშორდებოდა.

მეზობლებმაც ლიზას და ნიკოს დაახლოვების ამბავი შეიტყეს და ამათზე ლაპარაკით გულს იქარვებდნენ. ისე რომ ამ ამბავმა ნიკოს დედამდინაც მიაღწია.

ნიკოს დედა ქვრივი იყო. მისი ქმარი ივანე გულჩვილაძე მოხელე იყო და სიკვდილის შემდეგ თავის შვილს ცოტაოდენი შეძლება დაუტოვა, ისე რომ უზრუნველად ცხოვრება შეეძლოთ. დედა ბარბარე ძალიან მლოცველი და ამაყი დედაკაცი იყო. ის ფიქრობდა ნიკოს მზითვიანი და კარგი ოჯახის ქალის შერთვის შემდეგ მოისვენებდა. ნიკოს დედა უყვარდა და ყველაფერზე ემორჩილებოდა. ის თავის ჯამაგირს, მის დაუკითხავად ერთ გროშსაც არ დახარჯავდა ხოლმე და დედას აძლევდა. ბარბარე მოსვენებული იყო. თავის დღეში ვერ წარმოედგინა რომ ნიკო მის დაუკითხავად საცოლეს ამოირჩევდა და ამიტომ მეზობლებისაგან გავრცელებული ამბები არ სჯეროდა.

—

ღვინობისთვის დამდეგი იყო. მშვენიერი შემოდგომის დღე იდგა. შეყვარებულები ხელ გაყრილნი ქალაქს გარედ დასეირნობდენ. ერთმანეთს ეშხით შესცქეროდნენ... ლიზამ სიჩუმე დაარღვია და ლაპარაკი დაიწყო. ის თითქმის თვალცრემლიანი აღტაცებით ლაპარაკობდა თავის ბედნიერებაზე და უკვირდა რომ აქნობამდე თუ სადმე ბედნიერება იყო! სალომე ჯამაგირის მომატებას შეჰპირდა და რომ ისინი კარგად იცხოვრებდნენ და არაფერ გაჭირვებას არ ნახამდნენ.

— იცი ნიკო, ჩვენ სადმე მოშორებულ უბანში სახლი დაიქირაოთ, რომ არავინ არ შეგვიშალოს ჩვენი მყუდრო ბედნიერება, უთხრა ლიზამ.

— ძალიან კარგი, ჩემო საყვარელო, როგორც შენ გიამება ისე მოვიქცეთ უპასუხა ნიკომ.

— ორი პატარა კოხტა ოთახი დავიჭიროთ, დილაობით სამსახურში ერთად წამოვიდეთ და საღამოობით სახლში ერთად დავბრუნდეთ. ოჰ! ჩემო ნიკო, რა ბედნიერები ვიქნებით!

ნიკო აღტაცებით შესცქეროდა ამ უმანკო ბედნიერებით გატაცებულ ქალს.

— მართლა ნიკო, შენ ჯერ დედა შენისათვის არაფერი არ გითქვამს? ჰკითხა ლიზამ.

— არა ჯერ, მაგრამ ამაღამ უთუოდ მოველაპარაკები და კიდეც გადავწყეტთ, უპასუხა დამშვიდებულმა ნიკომ.

ცხრის ნახევარზე ერთმანეთს დაშორდნენ. ნიკო დედასთან მოლაპარაკებას ეჩქარებოდა და ის პირდაპირ სახლში წავიდა.

V

ბარბარეს ხატებთან სანთელი აენთო, დავითნი აეღო და კითხულობდა, მაგრამ მოუსვენრად იყო. ის სულ იმაზე ჰფიქრობდა, რომ თუ მართალია ეს ამბავი, რომელიც მას მოუტანეს და თუ მისი მორჩილი დედის ერთა შვილი ასე ურჩად იქცევა, რომ ნიკო ამ ბოლო დროს ღამღამობით იგვიანებს და როგორღაც გაჩუმებულია. ბარბარემ დავითნი დახურა და ჩაფიქრებული იჯდა. ამ დროს ნიკომ კარები შემოაღო, ფეხის თითებზე მხიარულად დედას მიუახლოვდა, გადაეხვია და კოცნა დაუწყო.

ბარბარემ იგრძნო, რომ ნიკოს რაღაც უსიამოვნო ამბის განცხადება უნდა რომ ასე ეალერსებოდა. დედამ შვილს გაჯავრებული შეხედა, მაგრამ ნიკო მხიარულად და დამშვიდებული შესცქეროდა მას.

— აბა, დედა, დღეს რომ ადრე მოვედი, უთხრა მხიარულად ნიკომ მე შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს. მართალია ადრე უნდა მეთქვა შენთვის მაგრამ ვერ მოვახერხე, ეხლა იმედი მაქვს არ გამიწყრები რადგან ორთავენი ბედნიერებას მოვესწრებით.

ბარბარე ალერსიანად შესცქეროდა ნიკოს და მზად იყო გადახვეოდა, მაგრამ ამ დროს მკერავი ქალი მოაგონდა, უბრალო ხელოსნის შვილი, ღარიბი, ღატაკი და წარბები შეიკუმუხნა.

— გააგრძელე, ნიკო, სთქვა ბარბარემ გაჯავრებით.

— დიახ, ჩემო დედიკო, მე უნდა გაგაბედნიერო და ცოლი შევირთო. ნუ გგონია რომ ვიღაც ქარაფშუტა და გარყვნილ ქალს ვირთავ. ის ძალიან დარბაისელი, მშრომელი და პატიოსანია. შენ შეგიყვარებს და როგორც საკუთარ დედას ისე მოგივლის.

— დარბაისელი, პატიოსანი, სიცრუეა... ჰფიქრობდა ბარბარე. იმას თავისი სასძლო წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც ერთი უბრალო ფერ-უმარილით შეთხუპნული უბრალო გოგო, რომელიც ყოველ გამვლელ-გამომვლელს უცინოდა.

— გააგრძელე, ილაპარაკე, უთხრა ბარბარემ სუსტი ხმით.

— ის ქალი ამ ოთხი თვის წინად გავიცანი. მაშინვე უნდა მეთქვა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მომეხერხებინა. მერწმუნე, დედა, შენ რომ ის გაიცნო: შეგიყვარდება და ჩემი არჩევანი მოგეწონება.

— სთქვი, გააგრძელე!

— მეტი საოქმელი აღარაფერი მაქვს, ყოთქვა ნიკომ. ის მომავალ კვირას აქ მოვა რომ... ამ სიტყვებზე შეჩერდა და ნამდვილად არ იცოდა, ლიზა აქ მოსვლას დასთანხმდებოდა თუ არა. რომ შენთან ერთად ეკლესიაში წამოვიდეს.

— მარტო ეგ გინდოდა გეთქვა?

— რაც შეეხება ჩემი არჩეულ საცოლეს მეტი არა მაქვს რა სათქმელი— სთქვა ნიკომ მხიარულად. ჰო, მართლა, ჩემო დედა, კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს. მე სალაროში ცოტაოდენი ფული დამაკლდა და უნდა უეცველად მომცე რომ შევავსო. ხვალ დილით, თერთმეტ საათზე, სალაროში ფულს იანგარიშებენ და თუ დაშაკლდა, სასამართლოში მიმცემენ. უნდა უეცველად მომცე.

— მოიცა, ნიკო, უნდა მოგცე რათქმაა. ჯერ ზოგიერთი ჩემი პირობებიც შეასრულე, უპასუხა მკვახედ დედამ. მამისაგან დატოვებული ქონება, ნიკოს ეკუთვნოდა, დიდი ხანია სრული წლოვანიც იყო, მაგრამ დედა მისი, გროშსაც არ აძლევდა, რომ ხელიდამ არ გამისხლტესო და მორჩილებიდან არ გამოვიდესო.

— მოიცა, ნიკო, მანამ ეს მანეთს მოგცემდე, ჩემი მსრით უნდა მოგელაპარაკო. სად დახარჯე მაგოდენა ფული? მას აქეთ, რაც შენ შაბათობით ეკლესიაში აღარ დაიარები და ცუდ ტოლ-ამხანაგებში გაერთე, სიკეთე არ დაგეყრებოდა შვილო!

— გეფიცები, დედა, რომ ჩემი ჯამაგირის მეტი ერთი გროშიც არ დამიხარჯავს. ეს სახელმწიფო ფული ხელს გადაჰყვა, ვიღაცას შეცდომით მეტი მივეცი. ამ გვარი საქმე მეხუთედ მემართება.

— კვირაობით ქალაქ გარეთ ვისთან დაიარები? ლიზასთან განა? ამას ხარჯი არ უნდა?

ნიკო გაწითლდა და თვალები სიბრაზით აენთო.

— ჩემი საცოლე სხვა მათრეველა ქალებს არა ჰგავს, რომ იმაზე სახელმწიფო ფული დამეხარჯა. ის თვითონ შრომობს და თითქმის ჩემზედაენა ჯამაგირიც აქვს. იმდენად პატიოსანია—რო სხვისი ჯიბით არ ისარგებლებს.

— სტყუი, ის სწორედ მათრევალა უნდა იყოს, რომ შენისთანა ყმაწვილ კაცთან ღამის ათ საათამდე დაიარება.

— მე ნებას არ გაძლევ, რომ ჩემ საყვარელ ქალზე მაგისთანები ილაპარაკო. სრულებითაც მოვალე არა ვარ, რომ ცოლის შერთვაზე დაგეკითხო. თუ მოგეწონება, ძალიან კარგი თუ არა და შენთვის უარესი. იცოდე რომ იმისთანა კარგი და პატიოსანი ქალი არ მოიპოვება და უთუოდ ჩემი ცოლი გახდება.

— შენ უნდა ის მიატოვო, უთხრა დედამ სასტიკად.

— არას გზით მე იმას არ მივატოვებ, უპასუხა აღელვებით ნიკომ.

— შენ ამბობ რომ ხვალ ასი მანეთი გჭირია რომ სალაროში შეიტანო, თორემ სამართალში მიგცემენ და დაისჯები, მე ამ ფულს არ მოგცემ ვიდრე შენი პირით იმ ქალის შერთვის უარს არ აღიარებ.

— არა, არას დროს! ნიკო სიბრაზით გაყვითლდა და აკანკალებულის ხმით უთხრა:

— კიდევ გიმეორებ, რომ ფუ სალარო არ შევამსე საუკუნოთ დამკარგამენ.

— ის შენი მკერვალი საცოლე მიატოვე!

— არას გზით!

— მაშ ფულსაც არ მოგცემ.

ნიკომ კიდევ აუხსნა დედას, რომ მის ჯიუტობას რა შედეგი მოჰყვება ბარბარე მაინც თავისას იმეორებდა და არაფრის გაგონება არ უნდოდა. ნიკოს არ სჯეროდა რომ მისი საყვარელი დედა თავისი საქციელით შვილს ღუპავდა.

— იცოდე დედა რომ შენ მე მღუპავ. ამ ქვეყანაზე ჩემის მეტი არავინა გყავს და ერთად ერთი საყვარელი შვილის მდგომარეობაში არ შედიხარ, უკანასკნელად გეუბნები რომ მე ეს ფული არ დამიხარჯავს და ანგარიში შემცდა. არას დროს შენთვის სიცრუე არ მითქვამს და ყოველთვის გჯეროდა. ეხლა რა დაგემართა? რაც დამემართება ყველაფრის მიზეზი შენ იქნები. იცოდე დედა რომ შენ სიცოცხლეში შენს ოდესმე საყვარელ შვილს ვეღარ ნახავ. ეგრე გული რამ გაგიქვავა? ხვალ გვიანღა იქნება, დედა ჩემო, ვერას გზით ვეღარ მომაბრუნებ. კარგად მოიფიქრე და ასე სასტიკათ ნუ იქცევი. შენ აკი მლოცველი ხარ და სულ კეთილ საქმეებზე და სამოთხეზე ლაპარაკობ? ვე სწორედ გითხრა დღეის შემდეგ, საცა შენ იქნები, იმ სამოთხეში ყოფნა არ მინდა!! კიდევ გაიმეორე შენი სიტყვები და უარი, რომ როდესაც სამართალში ჩავვარდები კარგად მახსოვდეს და ზიზღით მოვიგონო საკუთარი დედა, რომელმაც-გამომზარდა, რომლის ძუძუთი მთელი ორი წელიწადი ვიკვებებოდი, თავისი პირადი ანგარიშის გულისთვის ასე უსამართლოდ რომ დამღუპა. ნიკო წამოვარდა აღელვებული და ქუდს ხელი მოჰკიდა.

— მიატოვე შენ ის უნამუსო ქალი, უთხრა დედამ და თვალი თვალში გაუსწორა.

ნიკომ ქუდი დაიხურა, პატარა ხანს შესდგა, მიიხედ-მოიხედა იმ ოთახში სადაც მთელი თავისი სიყმაწვილე გაეტარებინა და ეხლა კი სამუდამოთ უნდა მიეტოვებინა. თვალ წინ წარმოუდგა თავისი სიყმაწვილე, ხვალინდელი დღე, საზოგადოების ზიზღი, წარმოიდგინა საპყრობილე, ლიზას ტანჯვა და შეწუხება, ტანში გააჟრჟოლა და გამწარებული კარში გავარდა.

ბარბარე პირ გამშრალი ერთ ადგილას იჯდა და სულ იმას იმეორებდა, რომ თავის საყვარელი შვილი ეშმაკების მაცდურობისაგან დაეხსნა. ღონე არა ჰქონდა რომ ამდგარიყო და მთელი ღამე ისე მჯდომარემ გაატარა. ვერ წარმოედგინა, რომ ნიკო აღარ დაბრუნდება, გათენდა კიდეც, მაგრამ ნიკო კი არსად იყო.

ნიკო წავიდა იმ ქუჩით, სადაც ლიზა სცხოვრობდა. იმის სარკმლის წინ დაიარებოდა და შესცქეროდა. კარგად იცოდა, რომ ეხლა ლიზას მშვიდობიანად ეძინა, თორემ იმის ფეხის ხმას ცნობდა და უსათუოდ გადმოიხედავდა.

ასე იარა ნიკომ მთელი ღამის განმავლობაში. გათენებისას ძალიან მოშივდა, ყავახანაში შევიდა, ისაუზმა და სამსახურში წავიდა..

VI

ორშაბათი დილა იყო. ლიზა თავის ჩვეულებრივ ადგილას იჯდა და ჰკერავდა. იმ დღეს ლიზა ძალიან მხიარულად იყო და სულ ღიღინებდა. სალომეც სიამოვნებით შეჰყურებდა და მისი ბედნიერებით ხარობდა. ამ ოთხი თვის წინად ლიზამ არც კი იცოდა რა იყო ბედნიერება, მაგრამ ეხლა რაკი იგრძნო მისი სიტკბოება, თავისი წარსული წვალება და გაჭირვება სრულებით დააივიწყდა და ეგონა, რომ მთელი სიცოცხლე ამ მდგომარეობაში იყო.

ადამიანი ბედნიერებით ვერ გაძღება და ცდილობს რაც შეიძლება მეტს ხანს განაგრძოს. ეს დრო, სალომეც კარგ გუნებაზე იყო.

— შვილო, ლიზა, რამდენათ უფრო მალე საქმეს გადაწვეტთ და დაქორწილდებით თქვენთვის უკეთესია, უთხრა სალომემ. ქვეყანა ავი სულით სავსეა, არაფერი არ აგიტეხონ, ან იმ შენ სადედამთილოს არაფერი არ მოუჭორონ. რაც შეეხება შენ საქმროს ის კარგ ყმაწვილსა ჰგავს და იმედი მაქვს რომ ბედნიერები იქნებით. მერე როგორ გაგიჟებით უყვარხარ. ჯერ შენ სადედამთილოს არ იცნობ?

— არა, ნიკოს წუხელის უნდა ეთქვა.

— მე ვიცნობ, უთხრა სალომემ, ის ძალიან მლოცველი და ღვთის მოშიშარი ქალია. უნდა რიგიანად და პატივით მოექცე, როგორც უფროსს და გამოცდილ ადამიანისაგან ბევრს კარგს ისწავლი. მხოლოდ ცოლ ქმრობის საქმეში ნუ გარევთ.

გაათავა სალომემ ეს სიტყვები თუ არა, ვიღაცამ კარები შემოაღო და ოთახში შემოვიდა.

— აი სწორედ ეს არის, სთქვა სალომემ:

ლიზა ზეზე წამოდგა, სალომესთან მივიდა და გულდით დაუდგა. ამ დედაკაცის სახის გამომეტყველებამ ისე შეაშინა, რომ თრთოლა დაიწყო.

— ეს არის ის საზიზღარი ქმნილება, წამოიყვირა გაღებულ კარებიდან გაანჩხლებულმა დედაკაცმა, — რომლის წყალობით ჩემი შვილი ნიკო იღუპება.

— თუ თქვენ ლიზაზე თქვენი შვილის საცოლეზე იძახით, ძალიან სცდებით, უპასუხა დამშვიდებული ხმით სალომემ და თუ გასალანძღავათ მოსულხართ გთხოვთ რომ...

— ოჰ! ღმერთო ჩემო, წამოიყვირა სიმწარით ბარბარემ. ჯერ პატარა ხანს გაჩუმდა, მაგრამ შემდეგ რაკი პირზე მოადგა საწყალი ლიზა არაფრით არ დაზოგა და ლანძღავდა.

— გამაგრდი, შვილო, დეე სთქვას ამ გაკაპასებულმა დედაკაცმა პატარა გული მოიქავოს.. გამაგრდი, პასუხს ნუ გასცემ შენი ნიკოს დედაა და იმის გულისთვის მოითმინე, იმის ბრალი არ არის. მერე სალომე ბარბარეს მიუბრუნდა და უთხრა:

— თქვენი შვილი რომ ამ ქალის საქმრო არ იყოს, და თქვენ მისი დედა, პანღურის კვრით აქედამ გაგაგდებდით! ნუ სტირი, ლიზა.

— ოჰ! რას მოვესწარი ამ სიბერის დროს! ჩემი საყვარელი, საფიცა-

რი და მორჩილი შვილი ნიკო. ამ მაწანწალა გოგოს გულისთვის უნდა იღუპებოდეს და გაუპატიურდეს.

— ქარგი, ქარგი, გეყოფათ მაგოდენა ლანძღვა. დარწმუნებული იყავით, რომ ,ამისთანა პატიოსანი, მშრომელი და ძვირფასი ქალი იშვიათად გამოვა. მე რომ მკითხოთ თქვენი შვილი ამის ღირსიც კი არ არის.

— ჩემ ნიკოს ეს ქალი რომ არ გაეცნო ის სახელმწიფო ფულებს არ გაფლანგავდა და ეხლა ციხეში არ იჯდებოდა!

— ციხეში?—წამოიყვირა ლიზამ, რა დანაშაული აქვს საიმისო, რომ ციხეში ჩასვეს?!

— ის რომ შენ გაგიცნო, ფულები მოიპარა, შენზე დახარჯა!.. შემდეგ კიდევ ლანძღვა დაიწყო..

— შენ ხარ მიზეზი, რომ ის ეხლა საპყრობილეშია, დიახ შენა! ბევრი ვეცადე.. რომ მე ის სწორე გზაზე დამეყენებინა და შენ შერთვაზე უარი ეთქვა, მაგრამ ვერა გავაწყვე რა. ეხლა შენის მიზეზით ის სამუდამოთ გაუპატიურებულია, შე მაწანწალავ შენა!

— გთხოვთ, გაათავოთ ეგ თქვენი ლანძღვა და აქედან მიბრძანდეთ, უთხრა მოთმინებიდამ გამოსულმა სალომემ.

— დიახ, იმას ფული შემოეხარჯა, ჩემთან მოვიდა მთხოვა, მაგრამ არ მივეცი, რადგან ჩემ სურვილზე უარი სთქვა.

— რამდენი აკლდა? ჰკითხა სალომემ.

— სულ ათი თუმანი. მე ამ ფულს იმ პირობით ვაძლევდი, რომ ეს ქალი მიეტოვებინა, მაგრამ არ დამეთანხმა.

— თქვენ მაგას ურჩევდით, თქვე გულქვავო და ავო ადამიანო თქვენ მიიყვანეთ, შვილი იმ მდგომარეობამდე, რომ ის ეხლა საპყრობილეშია და ათი თუმნის გულისთვის იქნება კიდეც სამუდამოთ დაღუპონ? რა პირით დაიარებით ეხლა ქვეყანაზე? იმის მეტი რა გყავდა, რომ ისიც ამ მდგომარეობამდე მიიყვანე? წადი, წადი, აქედან გაეთრიე! რატომ მეხი არ დაგეცემა და ქვესკნელში არ ჩაგათრევს.

სალომე ისე გამწარებული და გაბრაზებული იყო, რომ აღარაფერი არ ახსოვდა. კარები გააღო და ბარბარეს მაგრად ხელი ჰკრა ისე რომ ის შურდულივით კარში გამოვარდა.

დიახ, ნიკოს ანგარიში შეშლოდა, და ვიღასთვისაც მეტი გადაეცა და ათი თუმანი დააკლდა. დედის უარზე ისე აღელვდა და ფიქრები ისე აერია, რომ ვეღარავინ ვერ მოაგონდა. იმას ისე პატიოსან კარგ კაცად იცნობდნენ, რომ ათ თუმანს არავინ დაუჭერდა და ხელს გაუმართავდა. თითონ სალომესთანაც რომ მისულიყო. ეთხოვნა მისცემდა, თუ თითონ არ ექნებოდა უეჭველად უშოვნიდა, თითონ ლიზასაც კი ჰქონდა იმოდენა რომ ხელს გაუმართავდა და თავის საყვარელ ნიკოს ამ გაჭირვებულ და სამარცხვინო მდგომარეობიდან დაიხსნიდა.

— დამშვიდდი, ლიზა, ეს ისე ცოტა ფულია, რომ ამისთვის დიდ სასჯელს არ მიაყენებენ.

სამართალში მიცემამ ანგარიში არ იცის ბევრია თუ ცოტა—კანონით სასჯელი ერთი და იგივე მოელის.

— დამშვიდდი, ლიზა, თავს ხომ არ მოიკლავ, დედობრივის ალერსით ეუბნებოდა სალომე; იქნება ღმერთმა შოგვხედოს და საქმე ნიკოს სასარგებლოდ გათავდეს.

VII

რამდენიმე ხნის შემდეგ ნიკოს საქმე ირჩეოდა. ლიზა სასამართლოში წავიდა, რომ უკანასკნელად შეეხედნა ნიკოსთვის და მისი ცქერით დამტკბარიყო.

ამ დღეს სასამართლოში ბევრი სხვადასხვა საქმეები ირჩეოდა; ზოგი ჯიბგირების, კაცის მკვლელების, ერთი ვიღაც ქურდის, რომელსაც დაკეტილი კარები შეემტვრია და სახლი გაექურდნა. შემდეგ ნიკოს საქმე იყო დანიშნული.

ის გამოიყვანეს და დამნაშავის სკამზე დასვეს. ნიკო ძალიან გაჯავრებული იყო. თავჩაღუნული იჯდა. ვერავის და ვერაფერს ვერ ხედავდა. მარტო იმაზე ფიქრობდა რომ საკუთარმა დედამ თავისი პირადი ანგარიშის გულისთვის ამ მდგომარეობაში ჩააგდო.

ლიზა მოშორებით იჯდა გაყვითლებული, შეწუხებული და გამოცვლილ ნიკოს შესცქეროდა, თვალები ცრემლებით აევსო და ფიქრობდა რომ იქნება მართლა ის არის დამნაშავე, როგორც ნიკოს დედა იძახდა, რომ ამისთანა ყველასათვის საყვარელი და პატიოსანი ყმაწვილი ამ მდგომარეობაში ჩავარდა.

მსაჯულებს საქმის გარემოება აუხსნეს.

ყველაზე პირველად ბარბარე გამოიხმეს და საქმის გამოკითხვა დაუწყეს. ბარბარე ენათ გადაიქცა და რაც კი გულში სიმწარე ჰქონდა გამოსთქვა. იძახდა: „რომ მისი შვილი სამაგალითო ყმაწვილი იყო: დედის პატივისმცემელი და მორჩილი. მაგრამ ბოლო დროს, როდესაც ის ვიღაც მაწანწალა მკერავ ქალს გადაეკიდა სულ გამოიცვალა... ცუდმა ტოლ-ამხანაგებმა მასზე ცუდი გავლენა იქონიეს მოვიდა ჩემთან ფულის სათხოვნელად რომელიც შეცდომით გადაჰყოლოდა. მე არ მივეცი, რადგან თავის საცოლეს დატოვებაზე უარი არა სთქვა. ის ვიღაც გარყვნილი და მაწანწალა ქალია.“ ამით გაათავა ბარბარემ თავისი სიტყვა.

მოსამართლეს გაუკვირდა დედის მხრივ ამისთანა სასტიკი საქციელი და გამოკითხვა დაუწყო.

მოსამართლემ ჰკითხა:

— თქვენ იცოდით რომ თქვენი შვილი ამგვარ მდგომარეობაში ვარდებოდა?

— დიაღ, ვიცოდი, რომ ის სამუდამოთ დაიღუპებოდა და შერცხვებოდა მირჩევნია ჩემი შვილი ციხეში ჩალპეს ვიდრე იმ ქალს ცოლათ შეირთავდეს.

— იქნება შეძლება არა გქონდათ, ჰკითხა კიდევ მოსამართლემ და იმიტომ ვერ მიეცით?

— სრულებითაც არა, ათი მაგოდენაც რომ ყოფილიყო შემეძლო გადამეხადა, ჩემ პირობაზე რომ დათანხმებულიყო.

სხვა მოწმეებმა ყველამ ნიკოს სასარგებლოთ ილაპარაკეს და ყველანი ერთხმათ ამტკიცებდნენ რომ ეს ფული იმას არ დაუხარჯავს და ანგარიში შეშლია, რომ ის პატიოსანი ყმაწვილია და ცუდ უსაქციელო საქმეებზე ფულებს არ ხარჯავდა.

მოსამართლე განაჩენის შესადგენათ წავიდა. ყველა ნალაპარაკებიდან დარწმუნდა რომ ნიკო გარყვნილი და ავაზაკი არ ყოფილა და ეს საქმე შეცდომით დაემართა, ამიტომ სასჯელი შეუსუბუქა და მარტო ექვსი თვის ციხე გადაუწყვიტა.

VIII

ლიზა სასამართლოდან რომ დაბრუნდა ძალიან შეწუხებული იყო და სასოწარკვეთილებას მიეცა.

გუნებაში იძახდა: რას მერჩოდა რომ ასე ტალახში ამომსვარა. ნიკოს შეუყვარდი და მეც შემიყვარდა, განა სიყვარული იმისთანა ცოდვაა და გარყვნილება, რომ ადამიანს სასამართლოს კარებამდე მიიყვანს? მაგრამ რას ვბოდავ, იმ ადამიანმა რომელმაც თავისი ერთადერთი შვილი არ დაზოგა იმის გულისთვის, რომ ღარიბი, ობოლი მშრომელი ქალი შეიყვარა და იმის ამორჩეულ მზითვიან და გვარიშვილიან ქალის შერთვაზე უარი უთხრა და ამ სამარცხვინო მდგომარეობამდე მიიყვანა ობოლი ღარიბი და პატიოსანი მშრომელი ქალი.

თუმცა ლიზა გრძნობდა რომ იმ დედაკაცის უთავბოლო ლანძღვაზე ფიქრი არა ღირდა და არც უნდა შეწუხებულიყო, მაგრამ მაინც ვერ გამორკვეულიყო, სწუხდა, მადა დაეკარგა, საკერავზე გული აიცრუვა.

სალომე ხან გაჯავრებით, ხან მოფერებით ერთ-ორ ლუკმას ჩააკლაპინებდა და ეუბნებოდა:

— შვილო ლიზა, გონება მოიკრიფე, გამხნევდი, ეხლა გმართებს მოთმინება, ხასიათის სიმტკიცე, შენ მაგ შენი საქციელით საწყალ ნიკოს ღუპავ და ხელს უწყობ რომ იმ ავ ადამიანის მიზანს მიაღწევინო აგერ ნიკოც ამ სამ-ოთხ თვეში ციხიდან გამოვა მე დარწმუნებული ვარ რომ დედის უსამართლო ლაპარაკმა და საქციელმა იმას შენ მიერ სიყვარული გაუორკეცა, გამხნევდი მტრის გასახარელი ნუ გახდები.

სალომე მაინც არ წყნარდებოდა, მკურნალი მოიწვია და ლიზა გაასინჯა, მკურნალმა უთხრა:—რომ ჯერ-ჯერობით არა უშიოს რა. რაღაც უსიამოვნო ამბავი შეხვედრია. იმის ფიქრს ისე შეუპყრია თავის თავს არ ზოგავს, თუ ისევ უწინდელ ცხოვრებას დაუბრუნდება, სიტყვას გაძლევთ, რომ მალე გამობრუნდება. რაც მოხდა უნდა დაივიწყოს, სასმელ საქმელს ძალა დაატანოს, თავისუფალ დროს სუფთა ჰაერზე ისეირნოს.

ლიზაზე სალომეს დედობრივმა ალერსიანმა ლაპარაკმა და ექიმის რჩევამ კარგი გავლენა იქონია. გადასწყვიტა, რომ უსიამოვნო ფიქრებს დაივიწყებს, თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგება, რომ ნიკოს ჯანმრთელად დაუხვდეს და შემდეგში ბედნიერად იცხოვრონ.

ლიზამ თავისებურად გულმოდგინეთ მუშაობა დაიწყო, ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი ეკამა. სალომეც არაფერს არ ზოგავდა: რძითა, კვერცხებით და კარაქით უმასპინძლდებოდა. სალომეს ამგვარმა ზრუნვამ ლიზა მალე გამოაბრუნა და როდესაც ნიკო ოთხი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს პირდაპირ ლიზასთან მოვიდა.

ნიკოს ციხეში უამბობდნენ, რომ ლიზას იმის დედის უსამართლო და დაუზოგავმა შეურაცყოფამ მისი საყვარელი საცოლე ისე შეაწუხა, რომ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

ნიკომ თავისი საყვარელი ლიზა, რომ ნახა მართალია ცოტათი ფერმკრთალი, მაგრამ ჩვეულებრივ მოალერსე და მხიარული, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ნინო ნაკაშიძე

სალდათი

(დასასრული*)

მეორე დღეს დილა ადრიანად გამოუარა ბართლომემ ქალებს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მას. სამსონი, ჯერ გათენებულიც არ იყო, რომ წავიდა. ბართლომემ სიცილით შემოაღო კარები, თითქოს ქორწილში მიდისო: სახე გაბრწყინებული და გამოკოცხლებული ჰქონდა და თავისებური მშვიდობიანის და კეთილის თვალებით გამოიცქირებოდა.

— დამაგვიანდა გონია პაწაი?—სთქვა მან, დაინახა თუ არა აჩქარებული ქალები.

— დაგაგვიანდა აბა რაი, ბაბავ. მე რომ შენი ამბავი ვიცი, ერთ საათს დამოწმებას მუუნდებოდი.

— მაგას მართალს ჩივი, კაკი, მე და ჩემმა ღმერთმა, ისე დუუმოწმე დუქნის ბიჭს ყორიფელი, ფარაც კი დუუტიე მალაქიეი თუ მევიდეს, მიეცი მეთქი რომე ახლავე რომ მოვკტე, ყორიფელი რიგზე წავა,—გაიცინა ბართლომემ.

— ეე, ხომ გითხარი... ფატო, აბა ჩქარა, ჩქარა!

ფატომ დაკეტა კარი და უკანასკნელი ჩამოვიდა კიბეზე. ყველამ გასწიეს ქალაქისაკენ. ფატის რაღაც გამოურკვეველი სევდა ეხატებოდა სახეზე, თუმცა თვალები ცხოვლად მოლოდინით უელავდა, მან ერთი კიდე მიიხედა სახლისაკენ.

— რაცხა დამეკარგა მგონია, გული შინ მრჩება,—დაილაპარაკა იმან.

— მე რაცხა ვიშონე მგონია,—სთქვა დაფიქრებით ბართლომემ,—ასე კაი გუნებაზე კაი ხანია აღარ ვყოფილვარ. ხუმრობაა იმდენი კაცი რომ გამუუშვან და გაანთავისუფლონ დღეს?!

— გამეიარეთ, გამეიარეთ. რა დროის ლაპარაკია!.. რა ნელა მოხვალთ დაიძახა კარგა შორს წასულმა კაკიმ. აღშფოთებული, მოღსვენარის ნაბიჯით მირბოდა ის წინ, წინ და გული მოსდიოდა თავის თანამგზავრებზე. მაგრამ მოიხედავდა თუ არა უკან, მსწრაფად მორბოდა მამასთან, ეკვროდა მას და ისევ გარბოდა.

ისინი შევიდნენ ქალაქში. განიერ ქუჩის ბოლოში, შორიდამვე გამოჩნდა საპატიმროს შენობა. გარშემოვლებული ფიცრულის ღობით, რომლის დაყოლე-

*) იხ. „ალმანახი“ № 1. 1925 წ.

ბით დიდ ქუჩაში იდგა მუშათა ჯგუფი და ყოვლის მხრიდან ემატებოდა და ემატებოდა ხალხი: ქალი, მამაკაცი, ბავშვები და მოხუცებულები. ისმოდა რაღაც გამოურკვეველი გუგუნი, ძახილი, პოლიციელების სტვენა და „სტრაჟნიკების“ ცხენების ფეხის ხმა, მაგრამ წესიერებას არავინ არ არღვევდა. ყველაფერი მიწყნარებული იყო. მზე თანდათან იწევდა ზევით და უხვ-მხიარულ სხივებს ჰფენდა ყველაფერს: ხალხს, საშინელ და ჩაბნელებულ საპატიმროსაც, კოტა სახლებს და ეკლესიის მოელვარე გუმბათებსაც.

გაისმა ზარის რეკა. დღეს კვირა იყო და წირვა იწყებოდა. ბრწყინვალედ შემოსილი ღვთის მსახურები იწყებდნენ ლოცვას იმის სახსოვრად და სადიდებლად, ვინც მოძმეთა სიყვარული და სიმართლისათვის სამსახური უანდერძა ქვეყნიერობას, ვინც თავა დასდო უბედურთათვის.

ხალხმა პირჯვარი გადაიწერა.

— ღმერთო შემიწყალე!—წარმოსთქვა ბართლომემ.

„ტრახ-ტა-რა-რა, ტრახ-ტა-რა-რა,“—მოისმა დაფის ხმა და ქუჩაში ჩვენ მგზავრებს ჩაუარა წინ სალდათების მწყობრმა რაზმმა. წინ ჯარს ამოღებულის ხმლებით ცხენოსანი და ქვეითი აფიცრები მიუძღოდა. მთელ ჯარს ბეყრიალი გაჰქონდა მზის ცქრიალა შუქზე თავიანთ ლაპლაპა თოფ-იარაღით, ოქრო მკედით და ახალგაზრდობით. ხალხი შეშფოთდა შეინძრა.

— ნეტია, გიორგი თუ ურევია შით, გიორგი დეინახე? მე ვერ დევინახე.—წასჩურჩულა აღელვებულმა კაკიმ ფატის, რომელიც ცოცხალ-მკვდარი, გაფითრებული მიუბრუნდა ბ. რთლომეს.

— რას იზმენ ნეტაი, ისვრიან?

— აჰ, რას ლაპარიკობ, რავა ესვრიან, შესაშინებლად მეიყვანეს.—ცოტათი მღელვარება დაეტყო ბართლომესაც.

— ოჰ, თქვენი სახსენებელი გაწყდეს, რამდენს დახოცენ!—დაილაპარაკა ვიღაცამ.

— რას ამბობ, მართლა ესვრიან ბგონია? —უპასუხა მეორე ხმამ.

— ვაიმე, იქინეია გიორგი დევინახე, ბაბავ, დევინახე... ფატი რაღა მეშველება?! დაიკვნესა კაკიმ და უცებ გულამოსკვნით ატირდა.

— კაი, ბაბავ კაი, რა უყოთ ახლა, სირცხვილია. ხომ გეიგონე, არ ესვრიანო.—ბათლომემ მოხვია ქალს ბეკებზე ხელი და ხალხთან ერთად სამივემ წინ წაიწია.

ჯარმა გაარღვია ხალხი და საპატიმროს დიდ ჭისკართან ჩამწკრივდა. დაფი მიწყნარდა, ხალხმა სული განაბა. გაჩუმდა, ერთ წამს ყველაფერი მიყუჩდა; მხოლოდ ზარები მრავალ ნაირია შეხამებულის ხმით ისევ იწვევდა ხალხს სალოცავად—საუკუნო სიცოცხლის მოსაპოებლად.

— დაიშალენით, თორემ გესვრით!—დაიგრგვინა სივრცეში აფიცრის ხმამ.

— გაანთავისუფლეთ დაპატიმრებული მუშები და დავიშლებით!—დაიგრიალა ხალხმა.

— გაანთავისუფლეთ, გაანთავისუფლეთ და დავიშლებით! —ყვიროდა ყველა,

დიდი პატარა, ქალი და მამაკაცი. მოისმა ყიჟინი. ხალნი აღელვებული, აბობროქებული, მრისხანედ მიიწია კედლისაკენ.

აფიცრის ხმა გრგვინავდა...

— ეაიმე, ბაბავ, გიორგიმც გაახაზირა თოფი. შეხედე, შეხედე, ბაბავ —კანკალით დაიკვნესა ჩუმად კაკიმ.

— სუ, სუ, ბაბავ, მეიცაი, ხალხს აშინებენ...

ეკლესიის ზარები რეკდა და რეკდა მოწოდებას.

„დუუუ!“ დაიგრიალა თოფების ხმამ, მოისმა ქალების წივილ-კივილი, ბავშვების შეშინებული ღრიალი, რაღაც გამოურკვეველი გუგუნი, წყევა-ლანძღვა, ყაზახების მათრახების წრიალი. ყველაფერი აირ-დაირია, შეშფოთდა, აყაყანდა, გაიქცა...

„დუუუ“.

კაკიმ ვეღარ მოასწრო მოტრიალება, რაღაც ცხელი შეეშხაპუნა ხელზე, ის ინსტინქტიურად დაიხარა ძირს და სწორედ თავის ფეხებთან ბათლომეს დიდრონი, ლურჯი, კეთილი თვალები დაინახა, რომლებიც სიყვარულით მისჩერებოდნენ მას.

— ბაბავ!—დაიკივლა კაკიმ,—ფატი, მიშველე მოკლეს!..

მაგრამ ფატი რაც ძალი და ღონე ჰქონდა მირბოდა ზევით, სადაც რამოდენიმე ლურჯ-პერანგა კაცი ერთად დაეწვინა ტყვიას.

ხალხი მიიფანტ-მოიფანტა, დაიშალა. „ტრახტა-რა-რა, ტრახ-ტა-რა-რა“. მოისმა ისევ ისე მწყობრი დაფის ხმა და ჯარმა, როგორც მოსვლისას, ისე მწყობრად და ბრწყინვალედ ჩაიარა თავის აფიცრების წინამძღოლობით. ისმოდა მხოლოდ ქალების ტიროილი, დაჩრილების კვნესა. გაჩნდა საკაცეები, მეეზოვეები. ზარის ხმამ უკანასკნელად დაიწკრიალა მოწოდება ჰაერში; სადღაც ახლოს მოისმა მატარებლის ქშინვით სრიალი და ყველაფერი მიწყნარდა.

სამწუხარო საღამო იყო ფატისათვის ეს კვირა საღამო. ჩამავალი მზე ირიბად იცქირებოდა პაწია ფანჯრიდან სევდიან ოთახში და ჰფენდა მიმქრალ სხივებს ტახტზე გულ-აღმა დასვენებულ, საუკუნო ძილით დაძინებულ იმის მეგობარს, საყვარელ ძვირფასს მეუღლეს.

დიაღ, სამსონი ვეღარ ადგებოდა აწი და ისეთის გატაცებით, როგორც წუხელს საღამოს. ვერასოდეს ვეღარ იტყოდა სიტყვას, ვეღარ შეხედავდა ფატის ისეთის სიყვარულის გრძნობით გაშუქებულის თვალებით. იმისი პირი საუკუნოდ მოკუმული იყო, გული გაჩერებული, ხელები ცივი, ცივი... „რეიზა, რეიზა, რაფერ მოხდა აი იმ რამდენიმე წუთში... იყო კაცი, იყო იმის ღიმილი, ხმა, თბილი იყო და ახლა აღარ არის... რეიზა, რეიზა... რაფერ?..“ იმეორებდა ფატი მეათასე ჯერ მაინც გულში ტახტთან მიმჯდარი, გაქვავებული, მდუმარედ დაჰყურებდა თავის მეუღლის პატიოსან სახეს. ის არ სტიროდა, არ მოსთქვამდა და ამით ცოტა არ იყოს ანცვიფრებდა მეორე მხარეს მჯდარ რამდენიმე ქალს, რომელნიც სამგლოვიარო შავებს ჰკერავდნენ და ჩურჩულობდნენ.

კარები გაიღო და ოთახში ტარიელ და კაკი შემოვიდნენ, ორივენი მი-

ვიდნენ ცხენდართან და დახედეს. ტარიელს მკვდრის ფერი ედვა, მაგრამ ფატი გააოცა უფრო კაკიმ, მისმა დაწყნარებულმა, გამოურკვეველმა მოძრაობამ და ამავე დროს შეშინებულმა და გაჩერებულმა, უაზრო თვალებმა. ტარიელმა მიიწია სკამი და დაჯდა ფატისტან. კაკიმ კი ოდნავ გადახედა თავის მეგობარს და ნელის გამოურკვეველის ნაბიჯით გვერდგვერდათ წავიდა სულ ბოლო კუთხეში, ჩამოჯდა ტახტზე და დაიწყო იქით-აქეთ უაზრო ცქერა.

— ღმერთო ჩემო! რა დიემართა?.. კაკი!—დაუძახა მას ფატიმ. კაკიმ პაწაწკინა ბავშვივით მოაბრუნა თავი, რალაც უაზროდ გაიღიმა, თითქოს ტირილს აპირებსო, აათამაშა შემკრთალი ბაგეები და ისევ უაზროდ მიიხედა ქალებისაკენ. ქალები იმ წამშივე მისცვივდნენ ახალგაზრდა ქალს. ფატიც წამოიწია.

— დიეთხუე, ასეა დილას აქეთ.—უთხრა მას მკვდრის ხმით ტარიელმა.

— მოკტა?

— ახლა დალია სული და იგი იყო წამივედით.

— მერე, აფერი. ვერც კი შეატყო მგონია. აფერს არ ჩივა, სანამდი საავადმყოფოში მივიყვანდით არ იქნა ვერაფრით ვერ მუაცილეთ, მერე ჭრილობები რომ შეუხვიეს ასეა, აღარც მიჭკარებია..

— საცოდავი ბათლომე!..

— აგი რომ ასე დარჩეს!..—სთქვა ტარიელმა წამებულის ხმით, ყრუდ. გაკვირვებული ფატი ერთ წუთს დააცქერდა მას, მერე მიაბრუნა პირი თავის ქმრისაკენ და ისევ ისე გაქვავებულივით დაუწყო მდუმარე ცქერა.

— ამას მე წევიყვან შინ და დავაწვენ, ავათ არის,—სთქვა ერთმა ქალმა და მოჭკიდა კაკის ხელი.— ამას წევიყვან და ლავრენტის გამუაგზავნი, ხუცესს მეიყვანს და მოგეხმარება ყორიფელზე. ქაიხოსრო და სოლომონაიც აპირობდენ მოსლას...

— ხუცესი,—განიმეორა ფატიმ,—ხუცესი არ ყოფილა იქინეი, ჩემი ქმარი რომ მოკლეს. ხუცესი წირვად იდგა... რკედენ იმ დროს...—თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან თავის ქნევით.

— წამოდი, კაკი, შვილო, წამოდი,—ქალმა გამოსწია კაკი, მაგრამ ის მძიმედ იჯდა გაჩუმებული და ადგილიდან არ იძვროდა.

ქალებმა დაუწყეს ხვევნა კაკის, რომ წაჰყოლოდა, ძალითაც მოინდომეს წამოყენება და ასწიეს, მაგრამ არ იქნა, ვერ დასძრეს. კაკი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არავის, მაგრად იჯდა და უაზროდ იცქირებოდა იქით აქეთ.

— წადი, კაკი, შენი ჭირიმე, წადი, ადექი, წაყევი ელისაბედს, რა ვქნათ ახლა...—ფატი ადგა მივიდა თავის მეგობართან და სიყვარულით მოხვია ხელები კისერზე.

— ვااااი!..—მოისმა ამ დროს კაკის საშინელი, გულსაკლავი წივილი. ის სწრაფად გამოუსხლტა ფატის ხელებს ქვეშ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰქანდა და ტარიელის ფეხებთან ჩაცუცქდა, საცოდავად, უმწეოდ მოიკუნტა და ჩამალა თავი იმის მუხლებში.

ერთბაშად ყველამ კარებისკენ მიიხედა. იქ იდგა სალდათი. გიორგი განცვიფრებული და შემკრთალი იქით-აქეთ იყურებოდა. ეტყობოდა, არ ელოდა ამ ნაირ სურათის ნახვას.

ერთ წამს ფატი შესჩერებოდა თავის საყვარელ ძმას, რომელიც ისე ძალიან ჰგავდა მას ამ წუთში, თითქოს უნდოდა, რაღაც ანგარიში მიეცა თავის თავისთვის. ქალმა სწრაფად გადახედა ტარიელის ფეხებთან აკანკალებულ-ათრთოლებულ კაკის, რომელსაც ამაოდ ამშვიდებდა თვალცრემლიანი ტარიელ, გადახედა აგრეთვე უძრავად მდებარე ქმარს და ერთ თვალის დახამხამებაში გაფითრებული მივარდა ძმას ხელებაწეული ყვირილით.

— წადი, წადი აქედან, დეიკარგე... შე ჩემი ძმაი კი არ ხარ, შენ ჩემი მტერი ხარ... ჩემი შვილის მამის მკვლელი... შეხედე ვინ წევს შენი ხელით მკვდარი. შენი წყალობით აღარ დასცალდა არც შვილის ხახვა, არც ამხანაგების დახსნა... ამას ხედავ, ამ ქალს, შენ საცოლოს? მარტუაი მაგის მამა კი არ მოგიკლავენ დღეს მაგიც მკდარია შენი ხელით. ხედავ რავა კანკალობს, რავა ფართხალობს ჩიტსავით... წადი, წადი, არ დამენახო... შენ იქინეი იყავი... ხელი სისხლით გაქ შეღებილი...

ქალები მისკვივდნენ ფატის. სალდათი ერთ წუთს შეყოყმანდა, მიიხედ-მოიხედა, მოტრიალდა უკან და სირბილით დაეშვა კიბეზე.

ᲥᲐᲚᲘ

მსახური გავიდა. ვერ შესძლო ქალბატონის მზერა.

მისი თვალები ბნელით მოცულ ოკეანეს გავდა. სახ.ს ფერი უამინდობით მიბნედილ მდელოს.

მოძრაობა სამნამბულის.

— რაღაც საშინელება მოხდება—ფიქრობს მსახური.—მეშინიან, ძლიერ მეშინიან... მიზეზი კი არ ვიცი. ალბად მისი შეხედვა მოქმედობს... ალბად რაღასაც ებრძვის...

ზარის ხმა.

მსახური შედის. მორიდებას გრძნობს მის წინაშე.

— დღევანდელი გაზეთები არსად სჩანს... ჩარჩოში ჩაქედილი ლითონის ხმა მეტყველებს.

კარები ისევ დაიკრიალებს. მაგიდაზე გაზეთები აშრიალდებიან.

მსახური ისევ მოკრძალებით გატრიალდება...

— როცა ხალხს ლოცვა შეგვეძლო, ამ გვარ გრძნობას განვიცდიდით საოეების ჟამს ტაძარში...

ლმობიერებით და დაღვრემით მოუთხრობს მსახური მეზობლის მსახურს...

— ქმარი ჯერ არ დაბრუნებულა?!

— არა! ორ საათამდე უცდიდა. შემდეგ სინათლე ჩაქრა და სიჩუმეს კვნესა შეეპარა. ის ალბად ქვითინებდა...

— აფსუს მზესავით ქალო!..

— ვაი სათნოებავ და სილამაზე!..

— გულის დაკავება ძნელია, თორემ მთელი ქვეყნის ცოდო-მადლს დავატრიალებდი. ქალი სულელია.

— არა, კეთიშობილია და ამაყი.

— ის ვისთან დაიარება?!

— ვილაც რუსის ქალთან.

— აი ღმერთმა დასწყევლოს მათი ჯადოქარი თავები, ხუროშიანი და გაუმაძღარი ხალხია!..

— გინახავს?..

— როგორ არა. ბაზრიდან სახლში ვბრუნდებოდი. ისინი სასტუმროდან გამოვიდნენ...

ზარი.

— მწვანე ფარჩის კაბა და მარმაშები... აბრეშუმის ჩულქები, ხორცის-ფერი...

მსახურს არ უცქერის, ფანჯარაში იცქირება.

და სიტყვები, სიტყვები სიზიფის ლოდივით ხვდება გულს.

სიტყვები შესწყდა... ღიღინებს...

სამოც გველის კლაკვნას ხატავს მისი ღიღინი.

სამოც ბავშვის გულსაკლავ ქვითინად იფანტება მისი ოდნავი ღიღინი.

სხეული კი მარმარილოსავით აზიდულა ფანჯარასთან.

ეგვიპტელთა იდუმალებით სავსე სფინქს, უდაბნოს დიდ ღაღადებას ჰგავს მისი სხეული.

მთის კორტოხზე ობლად წამომდგარ ყვავილს ჰგავს მისი არსება.

ეტნის ჩაუქრობელი ცეცხლით იწვიან მისი მოგონებანი...

ჰეროსტრატე კი იზრდება, წუთი-წუთამდე ზვიადდება მის არსებაში.

შევმუსრავ... შევლეწ!.. რას?.. ჩემს სამლოცველოს!.. რისთვის?!.

ჰეროსტრატეს სახელის უკვდავება ტვინს უდუღებდა.

ჩემი მსოფლიო კი ერო არსებაში მოექცა...

მზე მისი ძალით ანათებდა.

სასოება გულის დამამშვენებლად. მან წარმოშვა.

წითელ მძივებად აკინძული სისხლის წვეთები ისე გასაოცრად იმისთვის მოძრაობდენ ჩემს სხეულში...

რომ, რა!!??

მიყვარდა. ძლიერ მიყვარდა.

ჰო, ჰო, ის ჩემი სამლოცველო იყო...

და... გრიგალის სიმკაცრით ლეწს და ანადგურებს ყველაფერს.

ქალი მშვენიერ ხელებს ისრესს.

მარმარილოს შუბლზე შავი ლანდები წვებიან.

შუოისძიების საშინელი სურათების კონიანტელით იბურება მთელი მისი არსება.

გრგვინავს მრისხანება შეურაცყოფილის.

— მზად გახლავთ ყველაფერი...—ძლივს ბედავს მსახური.

— ყოველივე მოგართვით... ჰბედავს კიდევ ვედრებით ის.

— საყვარელ საქმეს მოვწყვეტ და მერე თვითონ წავა ქვევით...

აჰ, აჰ...

ნერვიული მოძრაობა. ფარჩის შრიალი. სარკის აყვავება.

ცეცხლები იფრქვევიან თვალებიდან. ალბად ტანჯვის ცეცხლმა გაალამაზა მშვენიერ ზმანებას უფრო ჰგავს.

გაშურა...

მიდის. ერთი ნიბიჯი. ორი. კიდევ და ოთახის შუა გულზე გაჩერდა. აქეთ-იქით მიმოიხედა.

უსაზღვრო შიშმა იკივლა მის გულში. მზის შუქს გახედა.

ფანჯარიდან ფართე პერსპექტივა წმინდა ნაკადად შეიჭრა ამღვრეულ გულის ტბაში: მთის მწვეროვალნი. ლურჯი ცა და სიმწვანე.

კიდევ ოთახს აჩერდება. ერთი წუთიც... და უეცრივ გადმოწყვეტილ ციკლონის მიერ გაყინულმა სულმა იქექა.

ქალი რკალივით მოიხარა...

გადნობილი ყინული ცრემლად იფრქვევა.

კედლიდან სურათი წყნარად და სასოებით მისჩერებია.

ო...ო... ეს ის თვალებია, ღვთაებრივი სიწმინდე რომ ელანდებოდა.

ეს ის თვალებია, საშინელ ქარიშხალის ჟამს ნავთსაყუდელი მან რომ ჰპოვა. თვალები... თვალები... ლმობიერებით სავსე, როგორც ეგონა... თვალები ისეთი სიყვარულით რომ უცქეროდნენ მას.

თვალები ცის უფსკრულს რომ ჰგავდნენ, ზღვის სიმუქეს, უდაბნოს სიმშვიდეს და... თვალები.. მაშინ...

[redacted]

ოცებ ოთახი დიდ დარბაზად იქცა. ხალხი ბობიქრობს.

ზღვის ძლევა მოსილ ტალღის მიერ უკან ჩახვეწილ კენქებივით ხრიალებს ხალხი ბრაზ მორევით.

ესტრადაზე კი ის სდგას.

მაღალ შუბლზე ცალმხრივ ბუჩქივით თმა გადმოშლია.

ელავს, გრგვინავს, ამაყად ხალხს რაღაც უსამართლობას უმტკიცებს.

შედედებული ბრბო განგაშებს. სიტყვას აწყვეტინებს.. თავმჯდომარე ზარს აწკრიალებს.

ხმები: ეს სოფიზმებია.—დემაგოგიაა.

პაწია ჯგუფი: ჭეშმარიტებაა...

სხვანი: ეგ ძველია, როგორც ქვეყნიერება.

ის განაგრძობს..

ტუჩის ფერი ეკარგება.. სიმტკიცე კაკდება. და თვალები კი ნერონის მიერ დანთებულ ჭიაკოკონას წააგავენ. მისი ხმა:

— თქვენ იგანგაშეთ, ძველი კერპების წინ გუნდრუკი აკმიეთ.

მათ ბრმად მოქნეულ, პირ წაცვეთილ ხმლებს კისრები წაუშვირეთ და უსულო სული აჯიჯგნინეთ...

მე მარტო ვივლი!!.

განგაში, გრგვინვა, სტვენა. ძირს ჩამოდის, განზე დგება... მარტო...

ხმები: რა რიგ ჭკვიანი მეგონა.

— გიჟი ყოფილა.

მეორე: როგორ თაყვანს ვცემდი, მაგ გველის წიწილს...

მესამე: ღმერთმა დასწყევლოს, ნაძირალა ყოფილა.

სხვა ორატორი აღიმართება. ხალხი რძით გამაძღარ ბავშვივით კმაყოფილებით იღიმება.

სიტყვები... მრავალი სიტყვები...

კიდევ სიტყვები და ციხე შიგნიდან ტყდება..

მისმა ყოფილმა მეგობრებმა ხალხის სიბრძავით ისარგებლა. ძირს დასცეს, გაანადგურეს...

ტყეში შეჭრილ გრიგალივით ტაში აგუგუნდა და ბურუსიან დღეს უგემურად გამომკრთალ მზის შუქის მგზავსი ღიმილი წუთით წარმოიშობა... ღიმილი, ყველგან ღიმილი..

ის კი სდგას ძველი სვეტივით გაფითრებული...

მივიწყებული ტაძარივით განმარტოვებული...

კრება გათავდა.

გაზაფხულზე ადიდებულ მტკვრის ტალღასავით გამოსავალს ეხეთქება გამარჯვებული ხალხი.

თან მოგლეჯილ ხავსივით მსუბუქად მოაქვს ის პატარა ჯგუფი, რომელიც დამარცხებულ ორატორის გულწრფელ და უშიშარ ქებშარიტებას იზიარებდა.

მაგრამ მათაც გვერდი აუქციეს... ხალხს მოერიდნენ... და გაიპარნენ. იცლება დარბაზი.

უკანასკნელთა თვალებიც მშიერ მელიებივით ელმდებიან... გვერ-გვერდ შესცქერიან გზად განვლილნი. მათ სახეზე მუხრუჭ მოჭერილი დამცინავი ღიმილი გატეხილ ხაზად წვება. ზოგი ღიმილი კი მოფლეშილი სიბრალულია.

მეორე კუთხეში ნორჩი გულის ცემა სუნთქვას ხუთავს.

ის სხვებს არ გაჰყოლია, მარტო სდგას და ყურებში მთელი ქვეყნის თანაგრძნობის სიმფონია უქუხს.

აქ ფენიქსი იბადება. იწვის ქალწულის ფიქრი და ზედ კი გრძნობათა ნიაღვარი ესხმის. ილეკება ლოღიკა...

გადაწყდა.

მან თავისი ვარსკვლავის გზით სიარული უკუ აქცია.

ქალურმა გრძნობამ გაიმარჯვა.

მან რამდენიმე კაცს გზა აუქცია და დინჯი დარბაისელი ნაბიჯით დამარცხებულისაკენ გაემართა.

— მე მთელი არსებით თქვენთანა ვარ.

კაცი ზმანებასავით შესცქერის..

აბრეშუმებში ეხვევა დამარცხებულის დაკრდილი გული.

ხავერდის ალერსად უთვრება უკუნეთივით ჩაბნელებულ მის სულში ქალის ხმა.

თავ-ბრუ ეხვევა.

ათი ამისთანა კრება კინწს ისე ვერ მოსწყვეტდა. ამ ხმამ კი თავზარი დასცა. — ერთად წავიდეთ, შეჰღაღადებს ქალი. კაცს თვალები უბნელდება, სუნთქვა უმძიმს.. ახ, ბედნიერება უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე უბედურება...

ქალი სასოებით შესცქერის.

ის მაინც ჯერ ვერ ერკვევა.

ქალი ნაზად ძლიერ ნაზად ხელს ჩასჭიდებს.

კაცი ჩაგონებულივით, მისდევს, სდუმს...

ეშინიან ილუზიის გაფრთხობისა.—და ასე ყველა მიმდინარე და ცვალება-დია—ჯიუტად ჩასძახის სიხარულის გრძნობას ნემსის წვერივით მჩხვლეტავი ფიქრი. ისევ სდუმს.

ქალს მისი მდუმარება ცეცხლს უკიდებს.

დუმილი..

საშინელებაა გამწარებულის დუმილი.

ცოცხლად დამარხულ ძლიერ აზრთა და გრძობათა სასაფლაოა—დუმილი.

ქალს ეშურება. მისი გული სხვის გულს განკურნებას მოსთხოვს და მითი იტანჯება. მიდიან. ხალხის ღრიანცელი მისდევს მათ.

ქალის ოთახი..

ყვავილების სუნი.

ტაძრის სიფაქიზე.

კაცი პალტოს იხდის.

სავარძლში ჯდება. ისევ დუმილი. ქალი სავარძელს უკან მოეკცევა. ქალი მის წინ დახრილ თავს დახედავს.. და... ორთავ ხელს თავს შემოაჭდევს... ათრთოლებულ გულთან მიიზიდავს... თვალებს ხუჭავს და ლოცვას ჰქმნის. წრფელს, თავდადებულს.

ასე ხდება მომაკვდავ ბავშის სარეცელთან.

დედა ჰგოდებს და ცეცხლ წამკიდებელ ალერსით სურს სიკვდილი განდევნოს.

ოო., ტანჯვა დედისა ყველა ფარგლებს ლეწს და შიგ იკრება.

მოსიყვარულე ცოლი ხშირად დედაა თავის ქმრისა.

მაგრამ ეს ხომ ჯერ ცოლი არ ყოფილა. არც გათხოვება უფიქრია. ქალწული—ქალწულებრივ სიწმინდით სავსე, როგორც წინად იყო. ნიჭით და შემოქმედებით აგზნებული როგორც მეოცე საუკუნე უნდა კარნახობდეს. ნორჩის გრძნობით, როგორც პირველი ია, სასოებით სავსე როგორც ტაძრად აღზრდილი მხევალი. ლოღიკა უჩვეულო, მამა კაცური, რომლითაც კვირობდნენ თვით მამაკაცნი..

პირველად. მათ ნახეს უნივერსიტეტში. ქალმა გააოცა ისინი მოხსენებით. სიმტკიცე და რწმენა თავისი ცოდნის იხატება ყოველ მის სიტყვაში.

—ალბათ უცნაურობათ უნდა ჩაითვალოს ეს ერთი ეკზემპლიარი..

—ლაპარაკობდენ გზა გაუკვლეველი სტუდენტობა.

—რათა, არიან ორიოდე კიდევ, მაგრამ ისინიც გამონაკლისი ქალებია...

—რაც უნდე ბევრი ილაპარაკონ, მაინც ქალები არიან, ღიმილით დასძენენ სხვანი.

—ქმარს შეირთავს და წაიშლება—იმედოვნებენ დანარჩენნი. ის კი მოწიწებით უმზერს, მის ლამაზ ნაკვეთებს, აღტაცებით ესალმუნება... და უკვირს...

შემდეგ ცდა შეხვედრისა, კამათი მრავალ თემაზე... და გაღრმავება გრძნობისა. თაყვანის ცემა და ცეცხლით გულის აგიზგიზება.

დღენი მიდიოდნენ. ყმაწვილის გული მრავალ ფრად ყვავდებოდა, როცა ქალი გაზაფხულის მზედ შეიქმნა მისთვის. მისი შინაგანი არსება დაბურულ ტყეს დაემსგზავსა, სადაც მრავალმა გრძნობებმა გულის სიღრმეში ნაკადულებად ჩუხჩუხი იწყეს. ქალი კი მართლა მზესავით წრფელი იყო და მიუდგომელი.

მაშინ ის იყო ლაღი და თავისუფალი. მთელი ქვეყანა შარა გზად ეჩვენებოდა. მიზანი ცხოვრებისა კი შორიდან მზესავით უბრწყინავდა. გულს უტოკებდა, მუდამ მოძრაობის და შემოქმედების სურვილს აღძრავდა მასში. და შემდეგ კი... შემდეგ...

მთელი ქვეყანა წაიშალა და ერთ სამყაროდ ის შეიქმნა... ის...

ქალმა სურათს კიდევ შეხედა... თვალები ლმობიერებით შემოსცქეროდნენ, ქალს თავბრუ დაეხვა. წატორტმანდა, სავარძელს დაენდო. გული მისი გრძნობის ზღვად იქცა.

—ახ... როგორ მიყვარდა, მთელი ქვეყნის მრავალ ფეროვანობა მან წაშალა ჩემ თვალწინ. მსოფლიო დაუსრულებლობას წინ ის აეფარა და ის შეიქნა ჩემთვის მსოფლიოდ. ის იყო ჩემი სამლოცველო და მე კი მის ქურუმად შევიქმენ. მისი სიყვარული ქმნიდა ჩემში ასეთ ნაზ ყვავილებს სათნოებისას, რომელსაც პატარაოდენი სუსხი ცხოვრებისა რთვილად ეკლინებოდა, და მით უფრო ანაზებდა... უცებ სურათი მწვავე ცხოვრების შავბნელი წერტილებისა მის თვალწინ გადაიშალა.

საავადმყოფო. მრავალი ექიმები. თეთრი ოთახი. თეთრი წინსაფრები..

დაფიქრებული სახეები..

ის კი უძრავად წევს. სახე მოწყვეტილ ლოტოს მიუგავს... გარედ ქარი ღმუის და თმებს უწეწავს ქალს. ფანჯარას ჩუმად მისდგომია... ჩუმად ლოცულობს. შავ-ბნელ ცას, სველ დედამიწას, მთების მკერდებს შეღაღადებს მის განკურნებას.

იწვის გამუდმებულ ცეცხლით. უფსკრულის პირზე დგას... მთელი ქვეყანა ენგრევა ოო... ო.. ერთი მისი განძრევა, მისი თვალის ოდნავი ახელვა და შუა ღამისას მზე გაბრწყინდება... გულს მწარე გრძნობა უფლეთავს. სიმწარით თავის ქალა ეწვის.

ხის კედლებს ვედრებით ეამბორება...

მწვავე ქარზე საყელოს იხსნის...

ჩუმად ქურდულად იცქირება... ექიმებმა აღარ მიუშვეს.. გადამდებ სენს მოარიდეს...

ცეცხლმა დასწვას ადამიანთა კანონი.

სხდ წავიდოდა... სული მისი ცეცხლის ჯაჭვით იქ ება, იქ...

ო, ო ერთი ის წუთი წამებისა მიელ საუკუნეს შეიცავდა...

და იმიტომ უფრო ძლიერ შეუყვარდა. ფანჯრის უკან იმ ღამეს მას ის რწმენა დაებადა, რომ მისი წამება იყო თავდები მისი გადარჩენისა.

და ეხლა ის სხვისაა?!..

მისი გულით გამოზრდილი?!

მისი სისხლით ნაკვები?!..

ცეცხლმა იელვა მის თვალებში.

შურის ძიება კივის მის არსებაში...

და სპარსულ ხალიჩასავით გზა დაქვეითებისა მრავალ ფრად იშლება მის წინ.. სატანიური ხმები ესმის ყოველ მხრივ...

—არა, ჯერ ეგ არა... უნებურად წამოიძახა...

—იმასთან მივალ... ველურ იქვიანობას ის ჰბადებს მასში...

ეხლაც, ეხლაც, სადაა სამართალი?! ეხლაც, როცა უცხო ქალის ვნებიანობით იბნიდება..

შუბლს იკრავს და მრისხანებს იმ დროსაც კი, როცა უცხო ქალის თმებით თითებს იხლართავს, თვალ დახუჭული მის მკერდს ვნებით ეკონება... და ის ამ დროს ცოლზე უსამართლოდ იქვიანობდა.

ორმაგ შეურაცყოფის ბოღმა დუღდა ქალის გულში.

ის თაყვანისმცემელი სძაგდა ქალს. დღეს კი იმის საშვალებით შურს იძიებდა. დღეს, საღამოზე... თეატრის დიდ დარბაზში. ხალხის საყვარელ ორატორს ძირს დასცემდა.

გადაწყდა.. მან ეს უვნებელი გზა არჩია—და კარები გამოიხურა.. მეეტლეს ხელთათმანით ანიშნა.

ჩაჯდა და შორით გასწია. გადაიფიქრა რაღაც ახლად მომდგარი აზრი.. დაბრუნდა და სასტუმროსთან გააჩერა...

დარაჯმა მოწიწებით კარი გაუღო.

ქალი ტელეფონისაკენ გაემართა.

—18—29.. მინის ნამტვრევებივით მშრალად იფანტებოდა მისი ხმა. თქვენა ბრძანდებით?! მეც ხმაზე გიცანით. ყური მიგდეთ: დღეს საღამოს ცხრა საათზე თეატრის დიდ დარბაზში გელით... მემბრანა უარესად ამეტყველდა.. ქალმა ყური აღარ უგდო. ტელეფონის მილი გველივით ყურიდან მოიგლიჯა და ჩანგალზე ჩამოჰკიდა. მის სახეს მიწის ფერმა გადაჰკრა. სასტუმროდან სწრაფად გამოვიდა.

შვიდი საათი. თეატრი გაჩაღებულია. ხალხი ნისლივით ირევა. დიდი ჩოჩქოლი, მოუსვენრობა. რვა საათზე ეტლები ერთმანეთს გზას ვერ უქცევენ.

ჰქუხან ავტომობილები. ფერადი მოძრაობა, ფერადი ხმაურობა შორს ყრუ გუგუნად ისმის.

ელექტრონის შუქი ხალხს უფრო აღიზიანებს.

ლამაზი კალთებით ლამაზი ყვავილები ხალხის თავზე მისცურავენ.

აგერ ისიც... ორატორი...

ტრაფარეტები გვერდში მისდევენ. ესენი ყველგან, ყველგან არიან...

რჩეულ ხალხთან ტრიალებენ... მათ მეგობრობას ყოველთვის ახერხებენ... ხალხის ყურადღებას მით იპყრობენ.

სახელს ამ საშუალებით იხვეჭენ.

ბევრჯელ კიდეც იკვებებიან...

ხალხს ისინიც რაღაც ჰგონიათ.

ისინი ტან-დაბალნი არიან... ხალხს ამაყათ უცქერიან, ვითომც ისინიც დიდნი არიან.

ამ ცბიერებს ყოველთვის ფაქიზათ აცვიათ, ბევრჯელ გულს თითო ყვავილიც უმშვენებთ.

ამ საღამოს გმირ ორატორს ისე ნისდევენ, როგორც ბაზრიდან დაბრუნებულ მზარეულს მშიერი ძაღლები.

მათ პირდაპირ მარჯვნივ ცილინდრმა შეიპრიალა.

ყავის ფერ ხელმთათმანებით ფერმკრთალი კაციც გამოჩნდა. ცინიზმი და გემოვნება ნათლად მოსჩანს მის მიმოხვრასა და ტანსაცმელში...

კარებთან ორატორი და-ის-შესვდხენ... თვალები გაუსწორეს...

და ბოროტებით აღსავსე მშრალი სალამი მისცეს ერთმანეთს. შევიდნენ.

ორატორი სცენისკენ გაემართა თანამგზავრებით. მან კი მარჯვნივ და მარცხნივ მრავალთ სალამი მისცა. შემდეგ დეენტლმენური მიმოხვრით დინჯათ დარბაზისაკენ გაემართა. სცენის პირდაპირ პირველი წყების ნომრები შეათვალიერა და გამოტრიალდა. ფრინველზე მისეულ მიმინოსავით სწრაფად დაჰქრიან მისი თვალები. ქალს ეძებენ ცხრა საათია, მაგრამ ჯერ ის არსადა სჩანს... ძვირფასი ყუთით ტკბილეულობა და მშვენიერი ყვავილები ვაღაც ყმაწვილს ჩაბარა. სათანადო განკარგულებაც მისცა.

ყმაწვილი დარბაზში შესავალ კარებთან დადგა ყვავილებით. მისი სახელით მიართმევს, როცა ის დედოფალივით გამოჩნდება.

პირველი ზარი. ჩოჩქოლი გაიზარდა. მეორე ზარი. სინათლემ იკლო. ხალხი დაფაცურდა. ზოგი გარბის. სკამის რახუნი. შედედებული გუგუნი.

მესამე ზარი. ყველა თავის ადგილასაა. ყრუ ჩოჩქოლი მაინც ისმის.

გულის ფანცქალი ძლიერდება. ის კი კარებში სდგას და მაინც უცდის. თვალებს ირგვლივ ატრიალებს.

— უკაცრავად, კარები უნდა ჩავკეტო. გული სიბრაზემ გაჰკენწლა...

მაგრამ კიბე მაინც დინჯათ ჩამოიარა... ზურგს უკან კარებმაც დაირახუნა. არ მოვიდა... დაჯდა. ცარიელ ადგილს დახედა. უკმაყოფილებით და მოუთმენლობით ჩაახველა.

სცენის ფარდა მშვიდი ქალწულის მკერდივით ოდნავ მოძრაობდა.

ოდნავ დაბნელდა. სცენა გაჩაღდა. ფარდის უკან ხმაური წყნარდება... პირველი განყოფილება გათავდა.

დარბაზში ტაში გუგუნებს. მომლოდინეს გული ძაღლივითა ღრენს... ქალი კი ჯერ არსადა სჩანს.

ოაყვანის მცუმელს მოუსვენრობა ეტყობა.

უკმაყოფილების ხაზები ღრმად გაწოლილან მის სახეზე.

ანტრაქტზე ტელეფონისაკენ გაეშურა.

— სწორედ ეხლა გამოვიდა. უპასუხებს მსახური. ყმაწვილი წყნარდება ნახევრად.

მისი ქმარი მეორე განყოფილებაში მონაწილეობს. ხალხი მოულოდნელად ელის მის დანახვას.

ყველას მისი სახელი აკერია პირზე. მას კი გულში ლახვრად ესობა ეს სახელი. და სძულს ყველა, ყველა.

მისი მშვენიერი მეუღლეც კი, რომელიც მეორე აქტისათვის მოდის.

თითქოს ქრმის ზეიმით უნდა დასტკბეს...

შხამით ივსება მისი გული. თუმცა ელის, ელის სულის სიმწარით.

მეორე განყოფილების ზარი ირეკება.

— რომ არ მოვიდა? უბედავს ყმაწვილი, რომელსაც ყვავილები სადღაც მიუმალავს.

— არა, მოვა, უეჭველად ახლა მოვა. მომენტს არ უღალატო. კარებშივე თავაზიანად და დინჯათ მიართვი.

შემდეგ კარის კაცთან ლაპარაკს მართავს.

კარის კაცი მლიქვნელი ღიმილით დაბლა თავს უკრავს თანხმობის ნიშნად და ფულს ჯიბისკენ გააცურებს.

დარბაზის კარებები ხელახლად ჩაიკეტება. დერეფნებში ბინდი დამყარდება. დარბაზი ღელავს და უმალ ფოლადივით მკვეთრი და რწმენით აღსავსე ხმა ჰფარავს ყველა ხმებს. ერთი თვალი და ერთი ყური-ღა უსმენს მას.

ამ დროს დერეფანში ფარჩამ დაიშრიალა და გამოჩნდა ამაყი, მშვენიერი.

გულში ყინულები უწყვია.

თვალები უცნაურ ცეცხლივით ელავენ. ცისფერი აბრეშუმი შავად მორღვეულ თვალებს, როგორც შავ-ბნელ ხეს ლურჯი ცა, ისე ამშვენებს.

წინ ყვავილები და კოლოფი შეეგება.

— ეს რა არის?!!

— ბატონმა რომანმა მოგართვათ.

— არა, ეს შეცდომაა. თქვენ სცდებით, ყმაწვილო... და ისეთი ზიზღით, ისეთი სიამაყით გატრიალდა, რომ ყმაწვილი კლდეთ შეიქმნა. სიტყვა ვეღარ ჰკადრა, ფეხიც არ გადაუდგამს.

ქალმა კარებს მიაშურა. ყური მოჰკრა ლითონის ხმას და შელოცვილივით შეჩერდა...

კარის კაცმა სწრაფად გასაღები მოატრიალა. ქალმა შეაჩერა.

— მერე, ცოტა ხნის შემდეგ... მუდარით წარმოსთქვა მან. თან სული განაბა.

ზარის გუგუნათ იჭრებოდა მისი ხმა.

იმ ზარის გუგუნათ, რომელიც ნგრევას და საშინელებას მეტყველებს.

ზარის გუგუნათ იჭრებოდა. მისი ხმა, იმ ზარის გუგუნათ, რომელიც პირველ ქრისტიანთა წამებულ გულს სასოებით და ლმობიერებით ავსებდა. ეს ორი მოწინააღმდეგე გრძნობა იბრძოდა ქალის გულში. ცეცხლი ეკიდებოდა. და... ჯცებ კინემატოგრაფიულის ისწრაფით წარმოიდგინა მან თავისი თავი თაყვანისმცემ-

ლის გვერდით, პირველ წყებაში... სცენიდან შუქი უხვად ეფრქვევა უცხოდ მორთულ გულმკერდზე.

შემოჭრილ გრიგალივით კი ჰქუხს მისი ქმარი... ხალხი შემოდგომის ფოთლებივით ოდნავ შრიალებენ...

აღტაცების ღიმი უნთიათ ყველას სახეზე ..

ქალი გრძნეულად იღიმება... თაყვანისმცემლისკენ ტიტველი მკერდით გადაიხრება... ახლო, ძლიერ ახლო დახრის თავს, ნაზი თმებით სახეზე ეფინ-ტინებს... ჟინიანად რაღაცას ჩასჩურჩულებს...

კაცი კატასავით აიბუძგება. თავს დაბლა ხრის. თვალებში სისხლი მოაწვება. ველური გამომეტყველებით შიგ მკერდში ჩასცქერის... და... იხრება.... იხრება, იბუძგება...

ორატორი თვალს მოჰკრავს, იცქერებს მეხი პირუტყული იქვიანობის...

ენა პირში გაუშრება. ოფლს დაასხამს. ხელფეხი გაუცივდება.

ბნედიანი მზერა შეიპყრობს... უგემურ ძილით შეპყრობილ ადამიანივით ხალხი ეღონო შმუშვნას დაიწყებს უხერხულობის გამო. შ... შ... შ... შ... აშ-შინდება მთელი თეატრი... აქა-იქ ზედ დაერთვის შეუგნებელთა სიცილი.. და მოკვდება... ციდან მოწყვეტილ მეტეორივით ნათელს დაჰკარგავს, გაშავ-დება წეღანდელი გმირი.

და ქართველ ხალხში ხომ ძლიერ ადვილია ადამიანის ცამდე აყვანა ან-და მიწაზე ქვებით მისივე ჩაქოლვა...

და ეხლა მან ის უნდა მოკლას, ის?!. ერთხელ ხომ ამ გვარ სიკვდილიდან-იმან დაიხსნა... ესტრადიდან ხალხმა კიჟინით რომ ჩამოაგდო. განა მან მაშინ-თავი მისთვის არ გასწირა?!..

ქალმა კარები შეაღო და შეხედა... საფეთქელზე პაწია ძარღვი უფრო-გალურჯებია...

ო... ო... როგორი სასოებით უყვარდა მას იმ შუბლის და იმ ძარღვის-დაკოცნა. და ის უნდა სირცხვილით დასწვას?... ის... რომელიც ისე ძლიერ-უყვარდა. რომლისათვისაც იმდენი ტანჯვა განიცადა.. მას ხომ მრავალჯერ-რაღაც მფარველობითი გრძნობა განუცდია... გრძნობა, რომლითაც დედა ბევრ-ჯელ წმინდანს დაჰგვანებია.

ჰო, ჰო, ის ხშირად ქმრის მწარე წუთებში დედის გრძნობით იტაჯე-ბოდა და მან მოკლას ის, ვინც თურმე ეხლაც ძლიერ ჰყვარებია?! არა, არასოდეს...

ოდნავ გაღებული კარები თავის ხელით სწრაფად მიხურა.

გულის ყინული ისევ ცეცხლის მორევად ექცა... დერეფანში ფარჩა ისევ აშრიალდა და მოჩვენებასავით სწრაფად გაქრა.

კარის კაცი გაოცებით შესცქერის.. ბიჭი ყვავილებით კუთხეს ეკვრის-გამოვიდა. მთვარემ სახეში მიაშუქა. გულს ჩუმი ქვითინი აღმოხდა.

— ისევ მე ვიქცე უბედურად...

— ღმერთო, სიკვდილი მომივლინე.

— სამარეე გული შენ გამიგრილე...

ეტლში ჩაჯდა.

ნახევარ საათის შემდეგ გარე უბნის ერთ-ერთ ქუჩაზე გადმოვიდა. მეეტ-ლეს უხმოდ ფული მისცა... ბაღისაკენ გაეშურა.. არავინა სჩანს.. სიჩუმეა... შორიდან ბრმად ფარნები ბჟუტავენ... შემოდგომის ფოთლები ფეხ-ქვეშ ოდნავ შრიალებენ. ისიც სკამზე ფოთოლივით განართხულა და ქვითინებს...

მოწყვეტილ ფოთოლივით თრთის განწირული ქალი და მუდამ კი დედა...

ვალერია ახოგაძე

გრძნეული ხმეგი

როს სევდიანი გრძნეული ხმები
ჩემს გულის ძაფებს შეარხევს ნაზად,
მაშინ ოცნების ტურფა რითმები
გარს მომეხვევა ათასფერ ხაზად.

ამ დროს მე ჩემში ვგრძნობ დიად ძალას,
სივრცეში ნაზად გავიცქირები,
ვეძებ წარსულში რაც დამემალა,
მოგონებებში ჩავიძირები.

გამოერევა ტკბილი წამები
დაუსრულებელ სიმწუხარეში
და სევდიანი გრძნეული ხმები
გადამაფრენენ ზღაპრულ მხარეში.

მაგრამ, როდესაც გულში ჩაკვდება
მისი ნაზი ხმა უკანასკნელი—
გულში ღრმად, სულ ღრმად, სევდა ჩასწვდება
და ფრთებს ჩამოშლის წყვდიადი ბნელი.

კვლავ სინამდვილე სასტიკი... მწარე...
აღარ სჩანს არსად კეკლუცი მთები,
გაჰქრება სწრაფად ზღაპრული მხარე
და სევდათ მრჩება გრძნეული ხმები...

მაყვალა მრევლიშვილი

წერილი აგასთუმნიდან

იცი! მე უკვე გავიკურნე, აღარ მახველებს.
მალე ჩამოდი: მოგვეწყინა მე და ჩემ ტობის,
ეზოში ვზივარ—მაგიდათ მაქვს ნატეხი გობის
და ისე ზიზღით აღარ უცქერ ჩემ ფერმკრთალ ხელებს.

დასალტულ კლდეებს ჩამოვაფშუხვნი ლურსმულ წარწერებს,
ტუჩის ტაფაზედ მოგიშუშავ ღიმილის ტაბლას;
აქ ჯჯვეხელებს ყაბალახი აცვიათ შარვლად,
აქ ცხვრების ფარა ეფინება აზიდულ სერებს.

იცი, აქ ნაძვზე საგანძური ვპოვე ძვირფასი:
დალს დარჩენია კენწეროზედ ბევრი ციარი,
არავის უთხრა—შენ უმძრახად გზაში იარე
და წამომიღე ჩემ ნათლიის ნაძღვენი თასი.

ჩვენ გავმდიდრდებით; აგიშენებ ტყეში აგარაკს,
სულუგუნებით ამოგივსებ პატარა ჯიბეს.
კარიბჭის მცველად დაგიყენებ დაბალ ეჯიბებს,
ნიავის ნაცვლად მე თვითონვე გიამბობ არაკს.

ჩვენ ორთავენი მივესიოთ გიჟმაჟ თაინებს
გაშლილი თმებით გადავავსოთ სველი ლოდები,
გადავსკრად ფიქვი—დაიზნიქოს წელში გოდებით,
რომ ხრ უცქერდეს ჩვენს სიცელქეს და ჩვენს აივნებს.

თუ არ ჩამოხვალ, გადაცვდება თვალების გეჯა,
მწარე ღიმილი დამიზნიქავს ტუჩის კუთხეებს,
გამოვიქცევი, ჩამოვყვები მტკვრის ტივის ხეებს
და ცუღლუტ ტობის დაუტოვებ მგლებს დასაგლეჯად.

გოგუცა ნიკოლაიშვილი

დაო მეძავო

დაო მეძავო! რა სირცხვილია
გერქვას სახელი შენც ვითომ ქალის;
ახ! არა, არა, მისი ტარების
შენში ღირსება სულ აღარ არის.

ნუ, შენ ნუ არცხვენ სახელს ქალისას
აჩრდილიც არ ხარ მერწმუნე მისი;
მხოლოდ მტვერი ხარ ქუჩის უბრალო
და სატრფიალო ვინ იცის, ვისი!

მაგრამ, საბრალოვ, რამ გაგაფუჭა,
სულის აღდგენას რატომ არ სცდილობ?
შენი ნორჩობა რათ ჩაიფერფლა?
შენ სიყმაწვილის, შავო აჩრდილო!

ოჰ, რა სუსტიხარ და უბედური:
გონების ნაცელად შენში თვალია—
მაგრამ რაღა, ვქნა გჭირია შველა
და იგი ჩვენი, ჩვენი ვალია.

ნიკოლეზი

ელო ანდროლნიკაშვილი

თეატრი ბავშვთათვის*)

იმ სააღმშენებლო მუშაობაში, რომლის მიზანიც არის საზოგადოებრივ წესწყობილების ახალ ნიადაგზე გარდაქმნა, სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული ბავშვს, მის აღზრდას, მის ყოველ მხრივ უზრუნველყოფას. ეს ბუნებრივია: თუ ჩვენ გვინდა და ვქმნით ცხოვრების ახალ კალაპოტს, არა მხოლოდ სადღეისოდ, თუ გვინდა ახალი წესწყობილება მკვიდრ ნიადაგზე დავამყაროთ, ჩვენი უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქმნას იმათკენ, ვინც მოწოდებულია გაჰყვეს ცხოვრების ახალ გეზს და გაკვალული ბილიკი ფართო შარა გზად გადააქციოს, ეს არის ჩვენი მოზარდი თაობა, ჩვენი იმედი და კანონიერი მემკვიდრე ჩვენი ნაამაგდარისა.

ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ; იმედია კიდევ უფრო მეტი გაკეთდება. სკოლა და ფიზკულტურა სათანადო ყურადღებით არიან მოვლილი და სულ ახლო მომავალში ხორცშესხმული და ცხოვრებაში ნამდვილათ და სისწორით გატარებული იქნება დასახული მიზნები.

მაგრამ არის ერთი მხარე მომავალ თაობის აღზრდის საქმეში, რომელსაც ჯერ კიდევ ჩრდილი ადგას და მის ფართო და დიად მნიშვნელობას მხოლოდ თეორიული ხრახვანი და სურვილები დასტრიალებს.

ეს გახლავთ ხელოვნება ბავშვთათვის.

ყველა ვისაც მოვალეობა, ან გარემოება ბავშვის ახლო ამყოფებს, ცხადია, რომ ბავშვის ფსიხიკაში არის ერთი მხარე, სადაც ის უაღრესს სიმშილს განიცდის. ეს არის მისწრაფება ხელოვნებისაკენ, თუ რა ძლიერად გრძნობს ბავშვი ამ ესტეტიურ განცდის მისწრაფებას, კარგად ეცოდინება ვინც კი ცოტაოდენათ დაჰკვირვებია ბავშვის აღნაგობას, მის თამაშობა-გართობისაკენ მიდრეკილებას, მის გამოგონებითი—ფანტასტიურ ნიჭს; თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ესტეტიურ განვითარებას, ზოგად განვითარებისთვის, ამაზედაც, არა მგონია ორი მოწინააღმდეგე აზრი არსებობდეს.

*) ამ წერილში გაშუქებულია ნათლად არა მარტო იდეა ბავშვთა თეატრისათვის, **არამედ** ნაჩვენებია ყველა ის საშუალებანი და პრაქტიკული გზები როგორიცაა მაგ: შენობა. **როგორი** უნდა იყოს **ეს** შენობა, **მისი** შინაგანი მოწყობილება: დარბაზი, სცენა, **ხელ**საწყო. შემდეგ **სადაც** ლაპარაკია ბავშვთა კინო-თეატრზე აქაც საჭირო პრაქტიკული საშუალებანი და გზებია **ნაჩვენები**, მაგრამ ვინაიდან ამ მხარეს უფრო პრაქტიკული და სპეციალური ხასიათი აქვს, **რედ**აქციანილებს ამ წერილის **მხ**ოლოდ იდეიურ მხარეს, რომელიც დიდი ყურადღების ღირსია.

რ ე დ.

მიუხედავათ ამისა, ბავშვის ეს მხარე, ჩვენში მაინც, ჯეროვანად არ არის გაშუქებული და დაკმაყოფილებული. თუმცა ახალი სკოლა თავის მხრივ ეგებება ამ მისწრაფებას, სცდილობს საპატიო ადგილი დაუთმოს ხელოვნებას, საზოგადო განათლების პროგრამის ფარგლებში და ჩვენცა გვწამს, რომ სკოლაში ხელოვნება ფართოდ უნდა იყოს ჩაქსოვილი, ყველა თამაშობა-გართობაში და ზოგიერთ სასწავლო საგნებშიაც; მაგალითად: სიტყვიერების თეორიაში და პოეზია-ლიტერატურაში. ამ დარგებში მძლავრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თეატრალური მცნებანი.

სკოლა და თეატრი ღრმად და მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. უშუალო რგოლებით უნდა იყვნენ გადაბმულნი სკოლა, თეატრი და ფიზკულტურა. სკოლაში თეატრი არ უნდა იყოს რადგან თავის-თავად სკოლას დიდი და მეტად რთული მოვალეობა აქვს დაკისრებული ზოგად განათლებაში; თეატრის დარგები კი აუცილებლად უნდა შედიოდეს სკოლაში, მაგ: როგორიც არის რითმი, რითმიულობის დაცვა ხელოვნების დარგში, დიქცია და მუსიკა, ეს სამი რთული კუთვნილება თეატრის დარგისა, რომელიც აუცილებლათ უნდა ამკობდეს მომავალ სკოლით აღზრდილს განათლებულ კაცს!

ეს უკვე ხიდია სკოლიდან—თეატრამდე. სკოლა უნდა იყოს რთული ზოგადი ნეცნიერების ტაძარი, თეატრი კი, მთელი აკადემია ესტეტიური აღზრდისა თეატრი სინტეზია და დაგვირგვინება სკოლისა და ფიზკულტურისა. მეცნიერებით და ცოდნით გათვითცნობიერებული ბავშვი, თეატრით უნდა გალამაზდეს და დაუსრულებელს მშვენიერებაში ჩაყურყუმელავდეს. სკოლა უნდა იყოს არსება, თეატრი კი ამ არსების განსპეტაკება, მოჩუქურთმება, მისი სიტკბო—სილაღე ფსიქიურად ამაღლებულ გრძნობა—გონებისა.

გამოვდივართ რა ამგვარი თვალსაზრისიდან, აუცილებლად მიგვაჩნია: შეიქმნეს ცალკე დაწესებულება, ცალკე თეატრი ბავშვთათვის, რომელიც ერთის მხრივ ბავშვს საყოველთაო განვითარებაში დახმარებას გაუწევს საზოგადო სკოლას, მეორე მხრით საესებით დააკმაყოფილებს ბავშვის ესტეტიურ მოთხოვნილებას.

ბავშვებისათვის უნდა დაარსდეს ცალკე თეატრი. ეს უნდა იყოს ბავშვთათვის ყველაფერით: შინაარსით. გარეგნობით, უკანასკნელი აგურით... სათუთია ბავშვის მხედველობა, შთაბეჭდილება მისი მფეთქავი და ღრუბელსავით შემსუტავი.

მას სჭირია უფრო სრული და უფრო ფაქიზი საქმე. ამ თეატრს უნდა ჰყავდეს საკუთარი შტატი ყველა დარგში. მათი შემადგენლობისთვის ბავშვი თვით სიყვარული უნდა იყოს. ეს თეატრი ბავშთათვის უნდა წარმოადგენდეს მუუდრო, გულ-ღია დარბაზს საითკენაც ხალისიანათ და უშრეტი სიამოვნებით უნდა მიემართებოდეს. აქ მას უნდა ეძლეოდეს საღი, გონივრულად შერჩეული საზრდო, საგანგებოდ შერჩეული რეპერტუარი და ხვდებოდეს ბავშვებისადმი სიყვარულით შეკავშირებული, ბავშვის ფსიქოლოგიის მცოდნე, ამ საქმისთვის საგანგებოდ მომზადებული დასი და სათეატრო დარგების ირგვლივ შედგენილი ორგანიზმი.

ვისგან უნდა შესდგებოდეს დასი, ეს მეტად სერიოზული კითხვაა. თვით იდეია ბავშთა თეატრისა, ჰგულისხმობს დიდ სიფრთხილეს და აწონ-დაწონვას დასის შედგენის საკითხში. ნაგრამ ეს საკითხი ჩვენ ამ ცხრაათის წლის წინად უფრო გვაშინებდა, როდესაც საქართველოში არამც თუ ბავშვთა თეატრის, დიდების თეატრშიაც გამონაკვთული გეზი და მიმართულება საკამათო იყო და ვრცელი ლიტერატურა არ არსებობდა. რუსეთშიაც კი ფართო ლიტერატურა ამ საკითხზე ნაკლები იყო, ეხლა კი, როდესაც ბევრი საცდელი ნაბიჯი გადაიდგა. რუსეთში თითქმის 1918 წლიდან კვლევა-ძიება ჩქარი ტემპით მიმართებოდა. დღეს უკვე მაგარ ნიადაგზე სდგას მოსკოვის სახელმწიფო თეტრი ბავშთათვის **ნატალია საცის** ხელმძღვანელობით, ისე საძნელო აღარ არის იმის ფიქრი, თუ როგორ მოვაწყოთ ეს დიდი საქმე.

საგულისხმიერო გარემოება დასის შედგენის დროს ის არის რომ ბავშვს უმეტესს შემთხვევაში არ აკმაყოფილებს უბრალო შაყურებლის როლი. ბავშვის თავისებური ბუნება, მისი დინამიურობა გვითითებს. რომ ბავშვს თვით სწადიან მოქმედება, თვით სურს აჰა თუ იმ როლის განსახიერება და არ შეიძლება ბავშვის ამ მისწრაფებას სათანადო ანგარიში არ გაეწიოს

ამის შესახებ უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება მაგ: ბავშვს ყოველთვის სურს თვითონ იყოს კალატოზი, დურგალი, ცეცხლის მქრობელი და სხვა. უმცროსი ჰასაკის ბავში, რომელიც ანსახიერებს „მამას“, ან: „დედას“, მისი ტიკინები კიდევ მის შვილებს, ან და დიდი „აუ, აუ“ თვითონ არის და პატარა „აუ, აუ“ მისი ტიკინები, სრულიად დარწმუნებული ია, რომ ის სწორედ, ის პირია, ვის სახესაც იღებს.

შვიდი წლიდან ათამდე გატაცებულია პირუტყვებით ავაზაკებით, ჯარისკაცებით, ზღვაო, ოკეანებით, მწერებით და ყვავილნარებით, სჯერა რომ მათი განსახიერებით, თვით არის რომელიმე დასახელებული პირი, ან საგანი.

ათიდან 15-16 წლამდე აინტერესებს—გმირები, თავ-განწირვა, მოგზაურობა და დიდი საკაცობრიო იდეალების ლტოლვილება, ამიტომ ყოველი თამაშობა-განსახიერებაც აქეთკენ არის მიმართული. სკოლამ და თეატრმა უნდა დააპუროს და დააკმაყოფილოს ბავშვის ეს მიდრეკილება.

მაგრამ ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ბავშთათვის თეატრის—დანიშნულება, არ არის მხოლოდ უბრალო გართობა, ეს იგივე სკოლაა თავისებური, სადაც ბავშვს ეძლევა სულიერი, ესთეტიური საზრდო მშვენიერების სახით, ეს იგივე ტაძარია, სადაც ბავშვი ეზიარება მისთვის მისაწვდომ ფორმით, კაცობრიობის უმაღლესს ესტეტიურ კულტურას. ამ თეატრის დადგმებში იქმნება მხატვრულად ჩაქსოვილი წარსულის და აწმყო-მომავლის ლოზუნგები.

ბავშვი მაყურებელი ბევრად უფრო სასტიკი, პირუთვნელი და ბუნებრივი კრიტიკოსია, ვიდრე დიდი ადამიანი. დიდი შრომა, მუყაითობა, დაკვირვება და მომზადებაა საჭირო—აი, უმთავრესი მოთხოვნილება საბავშვო სცენის მსახიობებისადმი, ეს კი გულისხმობს ისეთ პირებს, რომლებსაც შეიძლება მივმართოთ ამ სერიოზული მოთხოვნილებით.

ამ გვარად, ცხადია, დასში უეჭველად უნდა იყვნენ დიდები არა დილე-

ტანტები, არამედ გამოცდილი, ნიჭიერი პროფესიონალები, რომლებსაც ჩვეულებრივ არტისტულ მოთხოვნილებათა გარდა წარედგინებათ ზედ-მეტი მოთხოვნილება:—ბავშვის სიყვარული და მისი ფსიქოლოგიის ცოდნა. მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში ზემოთ ნათქვამს, ბავშვის აქტიურ მონაწილეობისადმი მიდრეკილების შესახებ. შესაძლებლად მიგვაჩნია შექმნილ იქმნეს (თუმცა საკამათოა) შერეული დასი: პროფესიონალ მსახიობებისაგან და სცენიურ ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვებისაგან. აქვე უნდა იქმნეს დაარსებული თეატრალური სკოლა, ან როგორც ეხლა ეძახიან სახელოსნო (театральная мастерская), რომელიც გამოზრდის მომავალ მსახიობებს ამ თეატრისათვის.

ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს რეპერტუარი. ქართული საბავშო რეპერტუარის სიღარიბე საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ გვინდა ამის შესახებაც ორიოდე მოსაზრება გამოვთქვათ, თუმცა შეიძლება საკამათო გახდეს და ვცდებოდეთ, მაგრამ შეცდომა არ არის საშიში, დაინტერესებული პირთა შეერთებული ძალით შეცდომები უმალ გამოსწორდება.

პიესები ბავშვების სამს ჰასაკს უნდა აკმაყოფილებდეს: 4-7 წლამდე, 7-10-13 წლაადე და 13-15,-16 წლამდე. პიესა პირველ ჰასაკისათვის უნდა იყოს ერთ მოქმედებიანი. მეორე განყოფილება უნდა იყოს მუსიკალურად დასურათებული ცეკვა-სიმღერა ან და ბალეტი. მეორე ასაკისათვის—2 მოქმედ. და მესამე ჰასაკისთვას—3 მოქმედ. ბავშვები არ უნდა იქანცებოდნენ თუნდაც მხატვრული განცდით.

პიესის აუცილებელი მოთხოვნილებაა სადა—მარტივი ქართულით დაწერილი; ნათლად გავლებული სიუჟეტის ხაზი, რეალი, საყოფაცხოვრებო კომიკურ პიესების აუცილებლობა, ბავშვთა ცხოვრებიდან და ბუნების მეტყველებიდან. ზღაპრულ-ფერიული პიესები ახალის შემეცნებით. აღრიცხვის პიესები და ზოგადოთ მთელი ბუნება თავის დაუსრულებელის ცხოველებით, და ფლორა-ფაუნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს. ყველა ეს რასაკვირველია მხატვრულად, მარტივად და სხარტულად აკინძული. პიესა დინამიურობით უნდა იყოს აღსავსე, მოქმედება—აი უმთავრესი საბავშო პიესისა. თუ შესაძლებელი იქნება სცენარს უფრო უნდა ჰგვანდეს მეტადრე უმცროსი ჰასაკისათვის. სულ განდევნილი უნდა იყოს საბავშო სცენიდგან, როგორც ანტი-ხელოვნური და ბავშვებისათვის მოსაწყენი ე. წ. „მორალური მოტივები“.

ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშთათვის კინო-თეატრს, ეს დიდი ღირსშესანიშნავი აპარატია სკოლისათვისაც და თეატრის დარგშიაც.

რომ გადავხედოთ მსოფლიოს უამრავი კინო-თეატრები ბავშვებით სულ-დგმულობს, მაგრამ სათანადო საზრდოს პოულობს თუ არა, ეს კი საკითხია. კინოს დიდი მომავალი სათუო არ არის.

კინომ უნდა შეგვიქმნას სასწავლო დამხმარე სურათები ბუნებისმეტყველებიდან ყველა დარგში, ისტორიულ გეოგრაფიული შინაარსის, ინსცენიროვკა ბშობლიური და უცხო კლასიკების ნაწარმოებთა საბავშო კომიკური და ყოფაცხოვრების პიესები. სურათები თუნდაც მხოლოდ სანახაობითი: მთელათ საქართველო და მეზობელი ერები, სხვა ქვეყნები მაგ. ბავშვი, რომელიც იტალია-

ში ან და ინდოეთ-ამერიკაში ვერ მოხვდება სიამოვნებით დაინახავს ამ ქვეყნების ტყე-ველებს, ცხოველებს, შენობებს და სხვა. და არამც თუ ბავშვი, დიდიც, მუშა ქარხნისა, ან რომელიმე პროფკავშირის მუშაკი ან და მასწავლებელ მსახიობი და სხვა.

სხვა ქვეყნის ზოოლოგიური ბაღები, ზღვები, ოკეანები, ვულკანები მსოფლიოს გამოჩენილი პირები, ტიპები, ღირს-შესანიშნავი ადგილები, მაღაროები, ელექტროფიკაციები, ქარხნების წარმოებანი და სხვ. და სხვ;

რასაკვირველია ეს იმდენათ რთული მოსაწყობი აპარატია, რომ აქ შესაძლებელია სახელმწიფოთა საერთაშორისო კინო-კონტაკტიც იყოს საჭირო, მ**აგრამ განა იდეები იმიტომ იბადებიან, ამეტყველდებიან, რომ ისინი საადვილონი იყვნენ?** სიძნელეს ჯნდა ვძლიოთ. ეს ყველაფერი კი დასაძლევია.

მე ვოცნებობ იმ მშვენიერ ხანაზე, როდესაც დედა-ქალაქში იშვიათ ქანდაკებასავით, ამაყათ ამართული იქნება მშვენიერი სიმბოლო **„ბავშთათვის თეატრისა“**, რომლის დარბაზშიაც ოდესმე ახალი ზელანდიის, ან ინდოეთის ბავშვის ხელი, მაგრად იქნება ჩამორთმეული პაწია, თვალებ გაბრწყინებული ქართველისაგან.

1926 წ.
4 ოქტომბერი.

ეკ. გაბაშვილისა

ნინო ორბელიანისა

გარდაიცვალა 1919, მარტის 17 და ოცში ამავე თვისა დასაფლავებული იყო მთავრობის ხარჯით დიდუბის ეკლესიის გალავანში, სადაც იმის საფლავი დღეს მიწასთან გასწორებულია და უბრალო ხის ჯვარიც წარწერით არ აღნიშნავს ქართველი პოეტი ქალის ვინაობას.

ქართველ ქალთა პირველ გამოცემის ფურცლებზედ მინდა აღვბეჭდო, რომ ის ბედი რომელიც ეწვია ქართველ ქალ-პოეტს, აღარ განმეორდეს ქართველ მოღვაწეთა სიბერესა და დაუძლურების დროს, ქართველი საზოგადოების უმადურობის წყალობით.

გარდაიცვალა პირველი პოეტი ქალი, ნინო ორბელიანისა და იცი სად, მკითხველო? ღარიბთა თავშესაფარში, დიაღ იქ, სადაც გარდაიცვლებიან ხოლმე მხოლოდ უსახელო და უსახლო, უილაჯო და უთვისტომო, სიყვარულს და სიხარულს მოკლებულნი ბედშავნი!

ნინო, ნინო ორბელიანისა კი რჩეული იყო: ნიჭით, გონებით, სათნოებით, გულმხურვალეობით მოყვასისადმი, უმაღლესის პატრიოტულის გრძნობით, რომლის ქურუმობას ეწეოდა უკანასკნელი სულის ამოხდომამდე.

ამასთანავე ნინო იყო მშვენიერი, კეკლუცი, ზრდილობიანი, ხმატკბილი მომღერალი და მეტყველი გასაოცარი, რიხიანის მძლავრი ხმით, თავის დროის ლიტერატურის მკოდნე და მიმყოლი; იმ თვისებით შემკული, ეშხით სავსე დედაკაცი, რასაკვირველია ბრწყინვალე ვარსკვლავათ იყო იმ წრეში, რომელშიაც დაიბადა, აღიზარდა და შთაებეჭდა მიდრეკილებანი.

აბაშიძის ასული იყო, დედით დიდი სააკაძის პირდაპირი ჩამომავალის და რძლობით განთქმულ გვარიშვილთა ჯამბაკურიან-ორბელიანთა რძალი.

ათასობით თაყვანის მცემელნი ეხვივნენ გარს და ყველანი ცხადათ, თუ ფარულად უცხადებდნენ იმას თავის გრძნობას, აღტაცებას, ტრფიალს, ქვეშევრდომობას...

და ეს თაყვანება და მწერლობის ასპარეზზედ გამოსვლის გაბედულობა საკმაო იყო მაშინდელი ცრუმორწმუნე საზოგადოებისათვის, რომ დედაკაცი შეურაცყო და დაეგმო, და ნინოც ვერ ასცდა ძრახვას და კილვას... მაგრამ გულს არ იტეხდა და მუდამ ჟამს ქეიფს და ლხინში ატარებდა დროებას.

როდესაც სიმშვენიერე დასჭკნა, სიმდიდრე გაიფლანგა, ოჯახი დაენგრა და ვეღარავინ ფარფაშობდა იმის ყოველთვის კარღია კეთილგანწყობილ დარ-

ბაზში ვეღარავინ სარგებლობდა იმის უხვი მასპინძლობით, ნინო დავიწყებულ იქნა, დავიწყებული და მიტოვებული ისე, ოოგორც ერთი ვინმე უგვანო, ერთი ვინმე ათასთაგანი უშინაარსო ადამიანი...

და რომ შიმშილით და ქუჩაში არ მომკვდარიყო, თავად-აზნაურთა მარშლის განკარგულებით, სამადლოთ მოთავსებული იყო უსავანოთა თავშესაფარში.

რა საშინელი ხვედრია პოეტისათვის! რა წამებს წამებისას განიცდიდა ეს არისტოკრატად დაბადებული და ბუნებით არისტოკრატი, თუ თავის და საკაგლახოთ ბოლომდის შერჩა გონება და გრძნობიერება.

და თუ მეხსიერებამ არ უმტყუნა და არ გაუქარწყლა ამაობა ამა სოფლისა, რა მწარე გოდებით მადლს გადუხდიდა იმ საზოგადოებას, რომლის მშვენებას, სილამაზეს შეადგენდა და რომლის სიმშვენიერეს და აღორძინებას მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, უგალობდა.

და რომ მეხსიერებას არ ულალატნია და სიმწვავეს დავიწყებისას ის არ დაუწვავს, იმის უკანასკნელი ლექსი თავშესაფარში დაწერილი და მიძღვნილი პოეტის ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი ამტკიცებს:

მოეხუცდი, მაგრამ გრძნობა კი
არ დამიკარგავს

აი ერთი უმწარესი ღაღადი, პოეტი ქალის დარია ახვლედიანისა:

რად დასტირიოდი შენს ბედ-კრულ მხარეს,
რისთვის იღვწოდი მარად და მარად,
თუ რომ ერთ კუნჭულს ბეჩავ-მწუხარეს
არ მიგიჩენდენ თავ-შესაფარად!
კეთილი გული რისთვის გიკვნესდა,
რისთვის აფრქვევდი ნაკადს მდუღარეს?
თუ შენთვის ყველა დაიშურებდა
ერთ ნაპერ მიწის ვიწრო სამარეს.
მეგობრებიც კი გაგიდგნენ განზე
ოდეს გიხილეს ქალი ეული —
და გხვდა შენ წილად ღატაკთ ბინაზე
რომ დამდნარიყო შენი სხეული!
ერთხელ სხივ მოსილს ნიჭით, შვენებით,
საქართველოში პირველო ქალო!
რა უფლება გვაქვს ისე შეგხედოთ
როგორც საბრალოს და სამოწყალოს!
შენ პირველობას ვერვინ წაგართმევს,
შენ იყავ ქართველ ქალთა მაშვენი,
გაბედულება შენ შეგვასწავლე
და შენ გაკაფე მრუდე გზა ჩვენი.

თამარ გოგოლაშვილი

გერმანული ათინა.

თუ რამდენად სასოებით ეპყრობა გერმანელი თავის ისტორიულ წარსულს და კულტურას ეს იქიდანაც სჩანს—რომ ყოველი ძველი ქალაქი ტურისტებით, ექსკურსანტებით მუდამ სავსეა. სამჯერ მომიხდა ყოფნა ტიურინგიის შვენიერ ქალაქ ვაიმარში და სამივეჯერ მისი ქუჩები, მუზეუმები გატენილი იყვნენ მნახველებით, რომელთაც მუდამ ადვილათ გაარჩევთ ადგილობრივ მცხოვრებთაგან თავის განუყოელ „საკით“ და პაწია მწვანე ქუდით...

ყოველი გერმანელი მოვალედ რაცხს თავის თავს ეს გერმანიის ათინაც, მისი მწერლობის აყვავების ბუდეც, ახლოს ნახოს—ხელი შეახოს იმ კარებს, რომლითაც შილლერი თავის სამუშაო ოთახში ადიოდა; საწოლს, რომელზედაც სული განუტევა დიდმა გიოტემ, როიალს, რომელსაც უკრავდა ლისტი, წიგნებს, რომლითაც სარგებლობდა ნიცშე... და განა ეს კორიფეები მარტო გერმანიას ამშვენებდნენ? განა ისინი მთელ კულტურულ კაცობრიობას არ ხიბლავდნენ? და ამიტომ გაისმის პაწია ვაიმარის ქუჩაზე გერმანულთან ერთად იტალიანური, ინგლისური, შვედური, ესპანური, რუსული და ხან და ხან ქართულიც კი... გერმანიის ათინა ნამდვილი ინტერნაციონალურია თავისი გონებრივის საუნჯით; მაგრამ ყველაზე უფრო, რასაკვირველია, ყოველი გერმანელი ამაყობსი მით, რომ კაცობრიობას ამდენი განძი შესძინეს მისმა ერის შვილებმა.

„ვაიმარი არ გინახავთ?... ოო—ვაიმარი უეჭველად უნდა ნახოთ...“ გეტყვის ყოველი გერმანელი და ნამდვილიც იქნება. მართალია, ამ კოლორიტის პაწია, სუფთა, კეთილმოწყობილი და ძველი სტილ-შენახული ქალაქები ბევრია გერმანიაში, მაგრამ განა გერმანიას მეორე გოეტე კიდევ ჰყავს? გარეგნულად თითქოს იგივეობაა: იგივ მოედანი, იგივ რატუშა, იგივ ძველი სასახლე, იგივ პარკი და კოშკები, ნანგრევები ციხისა... არც ამ გერმანიის გონების მპყრობელთა სახლები განირჩევიან გარეგნულად. ოდნავ გამოარჩევთ გოეტეს სასახლეს—სამსართულიან ძველ სახლს მოედანზე რომ გრძელდება გაშლილი და უკან დიდი ბაღი აკრავს.

გარეგნულად ასევე ოდნავ გამოსარჩევია ნიცშეს სახლი და ისიც მარტო იმიტომ, რომ ქალაქის განაპირას მაღალ ადგილზე სდგას, თითქოს იდუმალის სიამაყით გადმოსცქერის მთელ მიდამოს და ჩამავალ მზის უკანასკნელ სხივებს იჭერსო. დანარჩენი სახლები სრულიად ჩვეულებრივნი არიან და თქვენ გაო-

ცებთ—როგორ შეიძლება ასე უბრალოდ იცქირებოდეს სახლი: შილლერის, ფიხტეს, შელლინგის, პაულის, ჰერდერის, ლისტის...

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულობაა; საკმარისია ჟანგ მოკიდებულ მავთულიან ზარს ჩამოსწიოთ და კარები ძველებურის ჭრიალით გაიღოს, რომ თქვენ რაღაც მისტიურმა სასოებამ შეგიპყროთ, რომ საუკუნოება ერთბაშათ ამეტყველდეს მთელის სიმშვენიერით.

თითქოს უწმინდეს სალოცავში, ისე შედიხართ ამ სახლებში, რომელნიც ეხლა მუზეუმებათ არიან გადაქცეული. მარტო ერთი გერმანული სიფხიზლე არღვევს ამ სასოებას: მაშინვე გაჩეჩებენ შესავალ კარტას, კატალოგებს, სურათებს და იწყება ანგარიშები, ფხიზელი „გეშვეტი“. მაგრამ გასცილდებით თუ არა ამ „მოვალეობას“ უკვე ძველი საუკუნე დაგეუფლებათ.

რა ასწერს ყველა ამას, ყველა იმ სიმდიდრეს, რაც მის პატრონს ათეულის წლებით უგროვებია და რაც ასე დაუცავს გერმანულ ათინას? მარტო გჯოტეს სასახლე შეიძლებოდა პატარა, უნივერსალური მუზეუმი ყოფილიყო, მაშინაც კი გჯოტეს სახელი რომ არ იყოს დაკავშირებული ამ კოლექციებთან. რამადლით სავსე გონებრივი მუშაობა სჩანს ყოველ ოთახში: ფერების (რომლის უდიდესი მრკეველი იყო თავის დროზე გჯოტე), საერთოთ ფიზიკის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, არქეოლოგიის, გეოლოგიის მდიდრული კოლექციებია აქ, რის შეგროვებაც კი ერთ დიდ ბუნებოვან მდიდარ ადამიანს შეეძლო. კარგათ ესმოდა ყველა ამის მნიშვნელობა გჯოტეს როცა ანდერძში სწერდა: „ჩემი მიწერ-მოწერანი, ჩემი სხვა და სხვა დარგის შეკრებულებანი (კოლექციები) არიან ღირსნი საუკეთესო მოვლა-პატრონობისა. ადვილათ ვერ მოიყრის თავს ერთი ინდივიდუმის ხელში ამდენი საინტერესო საგნები. შემთხვევამ და ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ გამაწარჩინეს. უკვე 60 წელია რაც მე წლიურად სულ მცირედს 100 დუკატს მნიშვნელოვანის შესაძენათ ვხარჯავდი, მაგრამ ბევრად უფრო მეტი ღირებულებებისა საჩუქრად მაქვს მიღებული; სამწუხარო იქნებოდა, რომ ყველა ეს მომავალში ერთმანეთს მოსცილებოდა. მე არაფერი შემიძენია შემთხვევით, არამედ ყოველთვის გეგმით და აზრით, ჩემი მომავალი განვითარებისათვის და ყოველი პაწია საგნიდან, რაც დღეს მეკუთვნის, რაიმე შეისწავლია“. ესაა გიოტეს ანდერძი. და მართლაც პირველ თვალის გადავლებისთანავე იგრძნობთ თქვენ ამ „შესწავლის“ და სისტემის ძალას. უდიდესი ერუდიცია, შესანიშნავი გემოვნება და ჯადოსნური გასაღები ყოფნის საიდუმლოებათა იშლება თქვენ წინ.

იქამდის სადარბაზო ოთახშიც მარტო სამხატვრო გალერეიას ხედავთ, რომელთა შორის შესანიშნავია დიდი პორტრეტი დიდ ჰერცოგის კარლ-აუგუსტისა, რომელმაც ვაიმარი ათინათ გადააქცია და უდიდეს პოეტებს აქ თავი მოუყარა. უფრო საზეიმო შთაბეჭდილებას ახდენს მისი ყვითელი დარბაზი, საცა ტიციანის სურათის უძველესი კოპიოა და იუპიტერის და ანტინუსის დიდრონი ბიუსტები თეთრად ანათებენ. ამას მოყვება ლურჯი დარბაზი (იუნონასი), საცა იუნონას დიდი ბიუსტია, ორი კარადა, საცა 2000-მეტი სხვა და სხვა დროის ფულები ინახება. ეს ოთახი ამავ დროს მუსიკალური ოთახია, სადაც

დიდი გჯოტე საშინაო კონცერტებს მართავდა. ძველი როიალი ჩუმად ინახავს ამ ზეიმთა ზღაპრულ ხსოვნას. ძველებურ შესანიშნავ გერმანულის და იტალიურის მხატვრობითაა შემკული ე. წ. ურბინის ოთახი. შემდეგი ოთახი თითქმის მარტო იტალიური ძველებურ ფაიფურის ჭურჭლეულობითაა შემკული. გვერდით ბიუსტების ოთახი, სადაც სხვათა შორის ვენერას და დიონისოს ბიუსტებთან მისი სახელოვანი თანამოკალმეების და მეგობრების შილლერის და ხერდერსის ბიუსტებია... რომელი ერთი მოვთვალოთ?...

ამ ოთახების დაუსრულებელი წყება ინახავს იტალიის საუკეთესო ხელოვნების ნაშთებს: კოპიოებს და ორიგინალებს, რასაც ასეთის სიყვარულით და ზრუნვით აგროვებდა გჯოტე იტალიაში მოგზაურობის დროს.

მაგრამ—ჩვენ უფრო და უფრო გვიცემს გული, როცა ვიწრო ხის კიბეზე ჩავდიეართ და გრძელ დერეფანს გავიელით. აქ მეტყველებს გჯოტე, აქ ყოველ მხრიდან ხედავთ ულეველ წიგნებს გაყვითლებულის სქელის ფურცლებით და გახუნებულის ტყავის ყდით... ყოველ მხრიდან ჭერამდეა აზიდული ამ წიგნებთა წყება. ასეთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა და ისიც იმ დროს, თუნდაც ასეთ მდიდარ ადამიანს როგორიც ის იყო მართლაც, საარაკოა, საარაკოა ჰქონოდა თუნდაც „გეჰაიმრატს“ და მინისტრს, რაც გჯოტე მაშინ იყო.

აქედან გადიხართ გჯოტეს სამუშო ოთახში, რომელიც ფანჯრებით უკან ბაღში იცქირება. აქ ნაბიჯი კლებულობს, სუნთქვა თქვენი ნელია, სახე გაფითრებული—თითქოს დღესაც დასტრიალებს ამ ოთახს ეს უკვდავი ადამიანი და შიშობთ: თქვენი ცნობის მოყვარეობით ხელი არ შეუშალოთ მის დიდ საქმეს. დღესაც გაშლილია ის წიგნი, უძრავათ დევს უბრალო სამელნის გვერდით ბატის ფრთის კალამი—თითქოს ეს-ესაა მან შესწყვიტა მუშაობა და ეხლავ ისევ განაახლებსო... და მარცხნივ ერთი პაწია ოთახი, საცა გიოტეს ხის ლოგინი დგას აბრეშუმის საბნით და მის გვერდით დიდი სავარძელი, რომელზედაც მან სული დალია, და უკანასკნელად „მეტი სინათლე!“ მოითხოვა. დღესაც ისევა დგას ხის პაწია მაგიდაზე ყავადანი, ფინჯან-ჭიქა და მის გვერდით პაწია შუშით წამალი, რომელზედაც რეცეპტია მიკრული, წამალი რომელმაც მის თვალებს „მეტი სინათლე“ ეეღარ დაუბრუნა. დიდ ხანს თავჩაქინდრული დგეხართ ამ ოთახის შესავალთან და დასცქერით სავარძლის წინ პაწია საფეხო სკამს და გაცვეთილ ფარდაგს და გინდათ მუხლზე დაეცეთ—და ემთხვეიოთ ამ საწოლს, ამ სავარძელს, ამ ფარდაგს...

მაგრამ გამოდიხართ ამ ოთახების წყებათაგან და უკვდავება ხელ ახლა იმარჯვებს. აი, ახალი ოთახების რიგი, საცა გჯოტე სამეცნიეო მუშაობას ეწეოდა ამა თუ იმ დარგში: აი, ფიზიკალური ოთახი, ათასნაირი მაშინდელი დროისთვის ურთულესი იარაღებით, შუშებით, სარკეებით, სხივების და ფერების ასასახავი პრიზმებით. რამდონი რამ უხაზავს და უხატნია მას აქ!.. აი, გვერდით ბოტანიკური კრებული, ათასნაირი ფესვები, ფოთლები, ძირები, ტოტები, მრავალის წარწერებით. კიდევ მოშორებით მთელი წყება ზოოლოგიურ პრეპარატებისა—მრავალი ჩონჩხები ფრინველთა და ნადირთა, თავის ქალები, ნისკარტები, ყბები, კბილები, რამდენი რამ... როცა მის მიწერ-

მოწერას, ძველ წიგნებს, ნახატებს, გალერეებს, ნუმიზმატიკას, ამ მეცნიერების ოთახებში ნაშრომს შეადარებთ, მაშინ მიხვდებით, თუ რა აზრი აქვს უნივერსალურად გამხდარ სიტყვას „გოეტეს უნივერსალობაზე.“ ჭეშმარიტად, უკვდავება ასობდა ბეჭედს ყველაფერს, რასაც გოეტეს ხელი და გონება შეეხებოდა, რა უნდა ვსთქვა მე ამ დიდ მოსანზე?—მის სახელსაც მოწიწებით ვიხსენიებ და როგორ გავკადნიერდები ერთი სიტყვა ავიღო „ფაუსტი“-ს და „ვერტერი“-ს შემოქმედზე. მაგრამ ჩემს გრძნობას მაინც ვერ დავფარავ: ამ გრძნობამ ხელახლა აამეტყველა ჩემში ყველაფერი, რაც მასზე მსმენია, და მე ცხადად წარმომიდგა ეს ტიტანი, ძველი და ახალი ელლინი, რომელიც ბუნებამ ყველაფრით ასე უხვად დააჯილდოვა, უცნაურის სილამაზითაც და დაუსრულებელ სიყვარულითაც კი... აქ იგრძნობთ—რად უნდა იყოს დიდი მწერალი, რა სპირიამას? რამდენი შრომა, რა მძიმე მუშაობა... და თქვენი პატივისცემა ხელოვნებისადმი ერთი-ასად იზრდება. ეს დიდი მეცნიერება ამ ოთახებში რომ სჩანს მას გადუტანია ხელოვნებაში, მშვენიერებაში; თქვენ ხედავთ, რომ ხელოვნებას დიდი ხელოსნობა უძევს წინა და მასაც ბუნებრივად გადაჰყევხართ სახელოსნოდან ხელოვნებაში.

ამის შემდეგ აღარ გიკვირთ ერთ ოთახში რომ აუარებელი დისერტაციებსა და შრომებს წააწყდებით: „გოეტე და ფერთა მეცნიერება“, „გოეტეს სხივთა ნარკვევები“, „გოეტე როგორც ზოოლოგი“, „გოეტე ბოტანიკოსი“ და სხვა ათასი...

მაგრამ ეს სასახლე მუდამ არ ყოფილა მისი ბინა: აი, ვაიმარის შესანიშნავი პარკი მდინარე ილმთან და აქ თქვენ ხედავთ მის მეორე სახლს, საცა ის ფაუსტზე მუშაობდა და საცა სცხოვრობდა 1776—1782 წლამდე თითქმის განუწყვეტლივ. აქაც ყოველი ოთახი მუზეუმია, მაგრამ უფრო ინტიმური, პირადული.

რამდენი რამ არის საერთოდ აქ ქალაქში გოეტეს ხელით და მისი გეგმით და გემოვნებით გაშენებული. გოეტე ხომ თვითონ უგვირგვინო მეფე იყო მთელის გერმანიისა და განსაკუთრებით ამ ვაიმარის. და რასაც მისი ხელი შეხებია უნდა უცვლელად შეუნახოს გერმანიამ კაცობრიობის მრავალ თაობათ 175 წელია რაც მეტყველებს ეს სიძველე, მაგრამ ყველაფერი გუშინდელივით ახალი და მომხიბლავი დარჩა და დარჩება მუდამ.

იქამდის ეს გერმანული ტრადიციული „გასტხაუსიც“—„თეთრი გედი“-ც, რომელიც გოეტეს სასახლეს მარცხნივ აკრავს უცვლელად შეუნახავთ მის პატრონთ. ამ ლუდხანაში ყველაფერი „ნაშთებზე“ ლაპარაკობს: აქ უტარებიათ დრო გოეტეს, შილლერს, ვიგანდს და სხვ...

აი, ამ მაგიდასთან მსხდარან ისინი და ცხარეთ უკამათნიათ და ჩვენი სადილიც ტკბილია ამის გამო და ლუდი შარბათათ იქცევა... ეს მარტო გოეტე... სხვები? მაგრამ ამ ათინის დანარჩენ გმირებზე როდისმე შემღეგ.

ჰამბურგი 1926 წ.

ელენე ვირსალაძე

სარა ბერნარ

1844—1923

ომის და რევოლიუციის ცეცხლში გახვეულებს დაგვავიწყდა და გამოგვეპარა ბევრი რამ ისეთი, რაც სხვა დროს უყურადღებოდ არ ჩაივლიდა და უეჭველია პრესაში გამოძახილს გამოიწვევდა. მე ვგულისხმობ სარა ბერნარის სიკვდილს. ეს გენიალი მსახიობი ქალი იყო საფრანგეთის სიამაყე, ის წმინდა სამლოცველო, რომლის სათაყვანოთ მოდიოდა ხალხი სხვა და სხვა ქვეყნებიდან.

სარას მზე ამობრწყინდა მე-XIX საუკუნის იმ ხანაში, რომელსაც საფრანგეთის ლიტერატურაში გარდამავალ ხანას ეძახიან. ჯერ კიდევ ძალაში იყვნენ კორნელი და რასინი, მათი ტიტანიური რაინდებით, დიდებულ, ჟესტებით, მძიმე და გრძელ ალექსანდრიული ლექსით. სცენაზე ისინი კიდევ პირველობდენ, ისინი უკეთებდენ სახელს ამა თუ იმ მსახიობს. მაგრამ იმავე დროს უკვე ფეხი მოკიდებული ჰქონდა საწინააღმდეგო მიმართულებას, რომელმაც უარჰყო კლასიციზმის ტეზისები, ის მოითხოვდა რეალობას და ადამიანობას რაინდებისას, მეტს ადგილს აძლევდა გრძნობას და ფანტაზიას; საერთოდ ბუნებასთან დაახლოვებას და ისტორიულ არეს შესწავლას. სცდილობდა ამნაირად ლიტერატურული ცენტრი გადატანილი ყოფილიყო ინდივიდუუმზე და არა ტიპზე სცენას მოძრაობა დაეტყო, გაფართოვდა სცენის საშვალებებიც, გარეგნულადაც შემოღებული იქმნა მეტად საეფექტო მოწყობილობა და ყოველივე ამან მისცა მსახიობს საშვალება სავსებით გამოეჩინა არტისტიული გემოვნება და ტემპერამენტი.

როგორც ვსთქვით, ეს მიმართულება, რომელსაც რომანტიზმი ეწოდება, უარყოფა იყო კლასსიციზმის, მაგრამ მისი დადებითი მხარე სუსტი იყო. მის ბუნდოვანებამ და სინამდვილის ფანტაზიით უსაზღვრო გადალახვამ მალე მოაწყინეს თავი საზოგადოებას. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში რომანტიულ ლირიზმს მოჰყვა პოზიტივური აზროვნება, იდეალიზმი გზას უთმობს რეალიზმს და ნატურალიზმს. ჭკნება გრძნობა და ფანტაზია, როცა მათ ანალიზის ცივი ანა შეეხება და ლიტერატურა იქცევა ცხოვრების სარკედ. რეალობას ყოველის მხრით შეისწავლიან. თეატრიც სტოვებს ზეკაციურ რაინდებს და საყოველდღეო ცხოვრებას, საშუალო ადამიანს უკვირდება. იბადება ტენდენციური დრამა ალფრედ დე-მიუსესი, კომედია ოჟესი, სარდუსი, კოპესი და სხვა.

როდესაც ახალგაზრდა სარა სასცენო ასპარეზზე გამოვიდა სამივე მიმარ-

თულება ჰპოვებს ადგილ ლიტერატურაში და სცენაზე, და სარას მრავალ წახნაგიანი ნიჭი სამივე მიმართულებას ბრწყინვალეთ წარმოადგენდა.

კლასიკური ტრაღედია დიდს ნიჭს და ტემპერამენტს მოითხოვდა მსახიობისაგან. საფრანგეთის თეატრმა უკვე წარმოშობა ისეთი დიდებული მოთამაშე—ტრაღიკი, როგორიც იყო რაშელი. მისი ხსოვნა ჯერ კიდევ ახალი და მრავალის მთქმელი იყო, მაგრამ უკვე დაიღალა საზოგადოება ზეკაციური აღმაფრენით უკვე ცრუ ბგერა ისმოდა კლასიკურ ტრაღედიაში, როდესაც გადაიფურჩქნა სარას ნორჩი გენია, მან ჩაუდგა ახალი სული ტრაგედიას, გაუსწორდა რაშელს და ჩაჩრდილა მარია ფავარი, იმ დროის განთქმული მსახიობი.

სარა დიდი და მხატვრული გემოვნების და ტემპერამენტის მსახიობი იყო, მხატვრული სიმართლის გრძნობაც მეტად განწვილული ჰქონდა. როლების ასრულებაში სარამ შეიტანა ქალური სიფაქიზე და ის პირადი მომხიბლელობა რომელიც მის მელოდიურ სმაში და პლასტიურ მოძრაობაში გამოიხატებოდა.

როგორცა ვსთქვით სარას მხატვრული სიმართლის გრძნობა მეტად განვითარებული ჰქონდა; სწორედ ამიტომაც კლასიკოსებში ის უპირატესობას რასინს აძლევდა და სრულიათ უარყოფდა კორნელის ტრაღედიას. აი რას ამბობს თვით სარა: „ხშირად მეკითხებიან, რათ არ გამოვდივარ კორნელის ტრაღედიებში—სულ უბრალო მიზეზით,—ჩემის აზრით კორნელი ვერ აალაპარაკებს ქალს. მე გავიცანი მისი რაინდები, არც ერთი მათგანი, „ფსიხეს“ გარდა, არ მეჩვენა ნამდვილ ქალათ, ყველას გული თავში უცემს, მათი სიყვარული მუდამ სათუთი, რთული და ჰირვეულია. ოცჯერ მივეცი ჩემს თავს სიტყვა, რომ კორნელის რაინდები მეთამაშა და ოცჯერვე უარი ვსთქვი, არ შემეძლო წარმომედგინა ასეთი ცრუ, მერყევი და არა ადამიანური ხასიათები“.

სამაგიეროთ სარა უმაგალითო იყო რასინის როლებში. მისი „ანდრომაქი“ და „ფედრა“ ვერ ჰპოულობდენ უკეთეს აღმასრულებელს. რადგან მათი ფსიხოლოგია სარას ბუნებრივად და ქალურად მიაჩნია. „ფედრას“ როლი სარამ შეჰქმნა. მანამდე საზოგადოებას არა ჰქონდა გაცნობილი ეს ტრაღედია. ამ ტრაღედიებში სარამ ისეთი დიდი ნიჭი გამოიჩინა, რომ სავსებით მოიხვეჭა „დიდებული ტრაღიკოსის“ სახელი (grande trage'dienne).

სარამ დაიწყო თავის ბრწყინვალე სვლა „ოდეონ“-ის თეატრში, რომელიც ირგვლივ იკრებდა ახალგაზრდობას, დრამატურგებს და მსახიობებს. იქ, როგორც ამბობს სარა, ყველა ოცის წლის იყო, ვინც კი ორმოცის იყო, ის კი მხოლოდ ორჯერ ოცის წლის იყო. სდგამდენ ფრანსუა კოპეს პირველ პიესას „მგზავრს“ (Cassant). ამ პიესაში სარას გამოსვლა ნამდვილი ტრიუმფი იყო; „თვით პოეტი ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, ძალიან ღარიბი, ძალიან წყნარი, მოგვითხრობს სარა, მისი შავგვრემანი სახე, შავი გადავარცხნილი თმები, მისი წმინდა და ხმელი პროფილი, მას ამაღელვებელ მსგავსებას აძლევდენ ნაპოლეონთან ბრიუნში. ერთხელ ბატონმა ჩილიმ, ოდეონის ერთ ერთ დირექტორმა, მომძებნა და მითხრა:

„რასაც შენ აკეთებ მშვენიერია, ჩემო შვილო, მაგრამ შენ მეტის მეტად გვაგრძნობინებ ლექსს. შენ გვაგრძნობინებ რითმას და ცეზურას.

— ჰო, მაგრამ, წამოვიძახე მე, ალექსანდრიულ ლექსს ორი ფრთა აქვს აზრის ასაფრენათ და რითმები კი დაბრკოლებაზედ გამარჯვებაა; საზოგადოებამ უნდა მოისმინოს ის და გაიგოს რა დიდებულათ გაიმარჯვა პოეტმა.

ჩემს უკან ხმამ წაიჩურჩულა: აჰ! სთქვით, სთქვით, ჩემი ლექსი, როგორც ესლა ამბობდით და მე თქვენ სამოსს ვეამბორები.

მივბრუნდი და დავინახე, ფრანსუა კოპე, მაღალი და წვრილი ჭაბუკი აცრემლებული თვალებით. აღელვებული გადავეხვივე და ამის შემდეგ სამუდამოთ მეგობრები დავრჩით".

სარა, როგორც ვხედავთ, საუცხოოთ გრძნობდა ლექსს და მისი წყნარი ლაპარაკი ატკბობდა სმენას ერთგვარი განზომილობით.

სარა უპირატესობას აძლევდა რომანტიულ პიესებს, აქ უფრო ფრთას ისსავდა მისი მრავალსახოვანი ნიჭი: ადამიანის მცოდნე სარა ამოსწურავდა როლს, ბარდაიქმნებოდა, სრულიათ განხორციელდებოდა როლში, გულის სიღრმემდე სწვდებოდა და აღელვებდა დამსწრე საზოგადოებას.

გარდა ამისა რომანტიული პიესაში მისი ესთეტიური გემოვნება პოულობდა გამოსავალს; ფანტასტიური მოწყობილობა, საცმელი ეგზოტიური, ზღაპრული, ლამაზი პოზა, ყოველივე ის, რაც ხიბლავდა და ხიბლავს ფრანგს.

ვისაც ერთხელ უნახავს მისი „Dame aux camelias" ის მას აღარ დაივიწყებს. ის ბანალობა, რომელიც ამ დრამას მოედვა, ჭრება; ნაზის სურათებით გადაიშლება ქალის სული, ტანჯული, მორჩილი და კეთილშობილი. უდიდეს სილამაზეს სარას თამაშისას შეადგენდა აგრეთვე ლამაზი პოზა, რომელიც როგორც გარეგნული ხერხი შეიძლება ჩვენში ბევრს არ მოეწონებოდა. მთელი მისი თამაში ძვირფასი შორეული სანახავობა იყო, ის არასოდეს არ ამარტივებდა კავშირს სცენისა და პარტერის შორის, და არ მისდევდა უხეშ სინამდვილეს.

შორს გაუვარდა სახელი გენიალ მოთამაშეს. სხვა და სხვა ქვეყნის საუკეთესო თეატრები სცდილობდენ მიეწვიათ სარა. ყოველი მისი გამოსვლა ზეიმი იყო. 1884 წ-ში სარა მიიპატიჟეს პირველათ მილანში. სარამ იქ დიდათ გაიმარჯვა და უკანასკნელ წარმოდგენისთვის საუკეთესო ნაკვთები თავის რეპერტუარის ამოარჩია. ეს იყო „ფედრა"-ს მეორე აქტი, „ერნანი"-ს მესამე აქტი „დამორჩილებული „რომი" ღა „მგზავრი" კოპესი.

თეატრში ტევა არ იყო. სარას აუარებელი ყვავილი მიართვეს გამოსვლისას, მაგრამ, ფარდა ჩამოეშვა და ცივი სიჩუმე ჩამოვარდა.. ყველა პიესებს იგივე შედეგი მოჰყვა. რამოდენიმე ნაცნობმა და მეგობარმა ინახულეს სარა კულისებში და, ერთმა მათგანმა უთხრა:

„რომელმა გიჟმა შეადგინა თქვენი პროგრამა, იტალიელებს არ უყვარს თქვენი ალექსანდრიული ლექსი, ასეთი მძიმე, რომელიც გაჭირვებით მიათრევს პოეზიის ტვირთს... იმედი მაქვს რო თქვენი უკანასკნელი აქტი არ არის ლექსებათ დაწერილი, რადგან გვინდა ტრიუმფი გაგიმართოთ და გაბრუებული ვართ ამდენი ლექსით".

— ჰო, უპასუხა სარამ აღელვებით, მე გამოვცელი უკანასკნელს-! „ღმერ-

თმა დაგლოკოს, ჩემო ღვთაებავ, უნდა ვაუწყო საზოგადოებას და რა სახელის პიესა უნდა ითამაშოთ?

— „გამგზავრება“, ერთი აქტია პროზით, მოკლე და მომხიბლავი.

იტალიელი აღტაცებული გაექანა ახალის ამბის გასავრცელებლათ. სარამ კი ნივთები შეჰკრიფა და სასტუმროში დაბრუნდა; დილით პარიზში უნდა წასულიყო. მივიდა ბინაზე. ათი წუთის შემდეგ სასტუმროს კარებს მოასკდა ხალხი. ლრიალი და მუქარა იდგა ჰაერში. იმპრესარიო ტირილით კარებს უკაკუნებდა და ლუღლუღებდა: „დიდი შემოსავალი“, „დაკარგული ფული“ და ცრემლათ იღვრებოდა. სარამ უბრძანა ფული დაებრუნებია. „ვგრძნობდი, ამბობს სარა, მისთვის სულის განტოვება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ფულის“, ფანჯარაში ქვები მესროლეს, ყვირილში ჩამეძინა. დილით ეს ბრბო იქვე დახვდა, ღამე იქ გაუთენებია, და ყვირილით და კიჟინით გააცილეს სარა სადგურამდე; სადგურს ჯარი ერტყა. ამის მერე, ოცდა ხუთი წლის განმავლობაში სარა მილანში არ ყოფილა.

ერთ მშვენიერ დღეს 25 დეპუტატი მოვიდა მილანიდან და მიართვა სარას წერილობითი თხოვნა 5000 კაცის ხელით მოწერილი, რომლითაც სარას მილანში ჰპატიჟებდენ.

სარა დასთანხმდა და პირობა დასდო რო პირველი წარმოდგენა იგივე „ფედრა“ უნდა ყოფილიყო „მინდოდა, ამბობს სარა, დაკმაყოფილება მიეღო ფრანგულ პოეზიას“. „ფედრა“ ტრიუმფით მიიღეს, ფარდა 22 ჯერ აიწია, სიხარულით ებრწყინავდი, ამბობს სარა, მაგრამ იტალიელებს არ უყვართ ფრანგული ლექსი“.

სარა დიდი პატრიოტი იყო. 1870 წლ. შემდეგ პირობა დასდო გერმანიაში არ წასულიყო, თუმცა იქედან ბევრი წინადადება მიიღო. „ჩვენი უბედურობა ჯერ კიდევ ქვითინებდა ჩემს გულში“, ამბობს სარა.

დანიაში ყოფნის დროს დანიის მეფემ სარას სადილი გაუპართა. სარას გვერდით გერმანიის ელჩი იჯდა. როდესაც სარას სიტყვით მიმართეს, მან ისეთი ლამაზი პასუხი გასცა, რომ ელჩი აღტაცებაში მოვიდა, მოიგლიჯა გულიდან პრუსიის არწივი და უნდოდა სარას მკერდზე მიემაგრებია. სარამ ის ძირს დააგდო და ფეხებით გასრისა. ამან გერმანიაში დიდი ხმაურობა და მიწერ მოწერა გამოიწვია.

14 წლის შემდეგ. ელზასელების თხოვნით, სარას სტრასბურგში უნდა ეთამაშა, მაგრამ როგორც კი გამოაცხადეს წარმოდგენის დღე, გერმანელი მთავრობის წარმომადგენელი წარუდგა სარას და აუწყო რომ თუ ის ბერლინში არ ითამაშებდა, ელზასში თამაშის ნებაც წაერთმეოდა. სარამ უარი სთქვა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ ითამაშა ელზასში, იმ პირობით რომ, ბერლინშიც უნდა ეთამაშა და სარაც დასთანხმდა.

დიდმა ტალღამ სიძულვილისა გადაიარა ბერლინის პრესაში. წარმოდგენა შექსპირის თეატრში გაიმართა, ორი დღის განმავლობაში ბილეთები დაიტაცეს.

სარას ჩამოსვლის დღე გამოცხადდა. ხალხი მტრულათ შემოერტყა სადგურს და სდუმდა. კარებში უფრო მეგობრული განწყობილების ხალხი დაუხვდა. პა-

ტარა ქალმა თაიგული გაუწვდინა, მაგრამ თაიგული ბავშვს იმ წამსვე ხელიდან გამოსტაცეს და შორს გადაუგდეს. ხალხი კმაყოფილებით ახმაურდა. სარრამ ბავშვს აკოცა.

მაგრამ ვალაპარაკოთ თვით სარა.

„ბევრისათვის დაუვიწყარი დარჩება წარმოდგენის საღამო. მე ამოვირჩიე „ფედრა", რომელსაც იმ დროს თამაშობდა ბერლინების ღმერთი (Dousè?) მეც სწორედ ნიტომ ავარჩიე ის. ეს ნამდვილი შეჯიბრება იყო და მე, რომელიც ასეთი მშიშარა ვარ სრულებით არ მეშინოდა. საკვირველია! როდესაც ჩემ წინ მტრულად განწყობილ აუდიტორიას ვხედავ, მხოლოდ ერთი აზრი მჭარბავს, ერთი სურვილი,—დავიმორჩილო ის.

ამ წარმოდგენისთვის პოლიცია გაასამკეცეს. ყველა ცუდის მოლოდინში იყო. ქალბატონი Reyjr-ი, რომელიც პატარა მუჟიკს თამაშობდა, ქვითინებდა და გავიგონე რომ სთქვა,—ნუ გამოდის, წავიდეს, უბედურობა მოხდება.—მაგრამ აგერ ფარდა აუჩქარებლივ აიწია საბრალო მუჟიკი ატირებული გამოვიდა და მოახსენა: „პრინცესა ფედრა!"

მძიმეთ ჩამოწვა სიჩუმე გრიგალის მოლოდინში. მხოლოდ შორეული მეხის ყრუ წყრომას შეუძლიან მოგცეთ წარმოდგენა, როგორი იყო ხალხის გუგუნი.

შეევედი... გავჩერდი... წუთს გაშტერებული. მტრულ ხმაურობას მოკელოდი.

კუშტი სიჩუმე... ცივი, არავითარი მოძრაობა; მოქმედება გადიშალა თავის ამაღლებული პერიპეტიებით, სიჩუმე არ დარღვეულა.

შემდეგ ფარდა ჩამოეშვა ფედრას გაგიჟებულ ყვირილზე. წუთმა განვლო, და მერე მტრული მუქარა და გრიგალი მოულოდნელათ აღტაცების ზღვათ გადაიქცა, ტაშის კვრით თეატრი ზანზარებდა. ხუთჯერ ასწიეს ფარდა. ბრწყინვალე საზოგადოება, აღელვებული და აღტაცებული ფეხზედ იდგა.

საღამომ შესანიშნავათ ჩაიარა. ქალები გულიდან ყვავილებს იგლეჯდენ და მესროდენ. სტუდენტები შეუცვივდენ მძინარე მეყვავილეს, დაუცარიელეს ოთახი და პირველ რიგში მოსულები ამკობდენ ყვავილებით სცენას. ეს აღელვება მართლა რო გულის გასაგმირავი იყო და აღტყინებული ამ სიყვარულით, რომელიც მე გავაღვიძე, ვიგრძენი ღმერთის შეხება და გავაასკეცე ჩემი ნიჭი ექსტერიორისაციისა. გარეთ ხალხს პოლიცია ძლივს იკავებდა.

ეტლში ვიჯექი, სალამს და მადლობას ვუგზავნიდი ბრბოს, როდესაც ყვირილი—„გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს საფრანგეთს" დამესო გულს ისეთის სიხარულით რო იქვე ავქვითინდი.

ეს ყვირილი იმათგან, ვისაც ჩემთვინ ლანძღვა და გინება ჰქონდათ მხოლოდ, ეს „გაუმარჯოს საფრანგეთს" ამოხეთქილი გერმანელის გულიდან, დიდათ ამაღელვებელი ტრიუმფია ჩემის კარიერისა!!

ეს ექსპრესიით სავსე აღწერა გვიხატავს სარას ჯადოსნურ ნიჭს. ის საოთაყვანო იყო თანამედროვეთა, ყოველგან ძვირფასი სტუმარი იყო, ბელგიაში, რუმინიაში, ამერიკაში,რუსეთში და სხვაგან.

„ძალიან ხშირად უკითხავთ ჩემთვის, ამბობს სარა რა სიამოვნებას ვპოულობდი მე როდესაც ვთამაშობდი უცხო საზოგადოების წინ, შორეულ ქვეყნებში. მე აქ სიამოვნებაზე მეტს ვპოულობდი, მე აქ მედიდურ სიამოვნებას ვგრძნობდი მოციქულისას, რომელსაც კეთილი სიტყვა ჰიაქვს.

ორმოცი წელიწადია რაც მე ფრანგული სიტყვა მიმაქვს დედა მიწის კიდიდან კიდემდე, მე მოვიარე ყველა ქვეყნები ევროპისა, ორივე ამერიკისა და ავსტრალიისა.“

სარამ შემოიღო აგრეთვე მამაკაცების როლებში გამოსვლა (ჰამლეტი, ლორენზაციო, რეიჰშტადტის ჰერცოგი და სხვა). პარიზელებს პირველათ ეს ძალიან ეუცხოვათ, მაგრამ რას არ იზამდა გენია, მიმდევრებიც კი მოიპოვა სხვა და სხვა ქვეყნებში. აქაც თავისებური ჭკვიანი, დაფიქრებული და ფსიხოლოგიურად აწონილდაწონილი თამაში აჩვენა საზოგადოებას.

ერთხელ სარა მოხსენებას აკეთებდა ერთ საზოგადოებაში და ბარათი მიიღო სადაც რამდენიმე წვერი სწერდა. „ქალბატონო, გვაპატიებთ თუ არა კადნიერებას. თქვენ ისეთი კეთილი ხართ, ამბობენ რომ, იმედი გვაქვს რო ეს ასეც იქნება. გვითხარით ერთხელ რათა თქვენ, ასეთი განსახიერებულმა ქალმა უპირატესობა მიგიციათ მამაკაცების როლისთვის; როდესაც იყო ქალის თქვენთვის ასეთი მიმზიდველი როლი ჰამლეტში, რათ არ ითამაშეთ ოფელია?“

სარამ პასუხი გასცა. „დიახ, მე არ ვაძლევ უპირატესობას მამაკაცების როლს, მაგრამ ვამჯობინებ მამაკაცის ჭკუა აზროვნებას-კიდეც რო შემძლებოდეს ოფილიას როლის თამაში მე მაინც ჰამლეტის როლს ვარჩევდი, რადგან ეს მეტად ორიგინალური ხასიათია, მეტად ტანჯული და იმავე დროს მეტად მარტივი თავის ოცნების მთლიანობაში.

მე მქონდა ბედნიერი შემთხვევა სამი ჰამლეტი წარმომედგინა:—შავი ჰამლეტი შექსპირისა, თეთრი ჰამლეტი როტანისა (Aiglon) და ფლორენტიური ჰამლეტი ლორენსაციოსი, არც ერთ ქალის ხასიათში მე არ ვპოულობ გრძნობათა ასეთ სხვა და სხვაობას ასეთ ძალას წარმოდგენისა. აჰ! რამდენი როლი მამაკაცისა მსურდა ამესრულებინა, სხვათა შორის მეფისტოფელისა და ძუნწის. მაგრამ ქალს შეუძლია მხოლოდ მაშინ ითამაშოს მამაკაცის როლი, როდესაც მამაკაცური აზრი უსუსურ სხეულშია. ქალი ვერ ითამაშებდა ნაპალეონს, დონ-ჟუანს, რომეოს.“

სარას შეხედულობით თეატრი აღმზრდელია, აზრის მამოძრავებელი, წარსულის გამაცოცხლებელი, ის უნერგავს ადამიანს სიყვარულს კეთილისა და მშვენიერებისადმი.

„თეატრი ტაძარია, რომელშიაც ადეპტები ინახავენ ხელოვნების წმინდა ცეცხლს“.

„რა ფასი ექნებოდა გაასკეცებულს ცხოვრების ჟამს, რომ ეს აღმფრენი აღტაცების ნიჭი არა გვქონდეს“.

„ის აღმზრდელია, ის არ არის მხოლოდ სათუთი და მხიარული შესაქცევი, ის არის ცოცხალი შედეგიანი სწავლა“.

„თეატრი გადამცემი მანქანაა ყოველგვარი ახალი აზრის“.

„ეს საუკუნე უნდა იყოს ხანა თავისუფლებისა და უეჭველად ბევრს მოუ-ლოდნელს გვიმზადებს, და პირველათ თეატრის საშვალებით წარმოგვიდგება ის ჩვენ“.

როგორც ვხედავთ სარას აზრით თეატრი დიდი მორალური ფაქტორია ადამიანის ცხოვრებისა. ის ყოველ საშვალებით სარგებლობდა, რომ ესა თუ ის აზრი გაეტარებინა სცენაზე და კიდეც ამიტომ შემოიღო სცენაზე სარწმუნოებრივი პიესების თამაში, როგორც მაგალითად „(samari łoine) როსტანისა და „ენებანი“ ჰარკურტისა. ამ უკანასკნელს პარიზის საზოგადოება მტრულად შეხვდა, მაგრამ სარას დაჟინებამ და ნიჭმა გაალხო ყინვა და პიესამ „ოდეონში“ დიდათ გაიმარჯვა.

სარა მშვენიერი მოსაუბრე იყო, ის ხშირად კითხულობდა მოხსენებებს, რომელსაც დიდი და რჩეული საზოგადოება ესწრებოდა.

ვინ იყო სარა, ეს გენია მსახიობი? რომელი ერის სული და ხორცი მეტ-ყველებდა მასში?

როგორც თვით სარა მოგვითხრობს, დედა მისი იყო ებრაელი ქალი, მამა კი ფრანგი, მორწმუნე, კათოლიკე. მამის დაჟინებით სარა მონასტერში მიაბარეს და თორმეტი წლის რო გახდა კიდეც მონათლეს. მამის სიკვდილმა დიდათ იმოქმედა მასზე. სარწმუნოებრივი გრძნობა გაუმწვავდა და გადასწყვიტა მონასტერში მონაზნათ დარჩენილიყო.

„უეჭველათ ასეც იქნებოდა, ამბობს სარა, რომ ერთი შემთხვევითი გარემოება არ დაერღვია მონასტრის წყნარი ცხოვრება. ამ შემთხვევამ უეცრივ ახალი აზრები გააღვიძა ჩემ მისტიურ და იმპულტიურ გონებაში. მონასტერს ეწვია პარიზის ეპისკოპოზი ბ-ნი Sibour-ი. იმის პატივსაცემლათ აბატისამ წარმოდგენა გამართა მონასტერში. თემა საღმერთო წერილიდან აირჩია; ეს იყო თობის მოგზაურობის ამბავი. თობის გზაზე ბევრი გაჭირვება შეხვდა, გველეშაპმაც გზა გადაუღობა. მაგრამ ანგელოზის საშვალებით მან ყოველივე დაბრკოლება დასძლია და მამასთან შინ დაბრუნდა. ეს ყველაფერი აბატისამ პიესათ გადააქცია და როლების დარიგებას შეუდგა. პატარა სარა დარწმუნებული იყო რომ იმას რომელიმე როლს მისცემდენ, წინდაწინვე ღელავდა და ხარობდა. დაასახელეს მომქმედნი პირნი, მაგრამ სარა მათ შორის არ ყოფილა. „დავრჩი, ამბობს ის, დაღონებული. არეული და გაბრაზებული“. მისი საუკეთესო მეგობარი ანგელოზათ იყო არჩეული, საშინლად ღელავდა და სარას ევედრებოდა შენ უნდა მასწავლო.

რეპეტიცია რვა დღეს გაგრძელდა. სარამ მოითხოვა;—გველეშაპს მაინც ვითამაშებო, მაგრამ, ეს როლი მონასტრის ძაღლს ცეზარს მისცეს. რეპეტიციებზე მისი პატარა მეგობარი მუნჯივით სდუმდა, სიტყვა ვერ ათქმევინეს. სარა უკარნახებდა, აზეპირებინებდა და როლი საუცხოოთ შეისწავლა. წარმოდგენის წინდღეს ატირებულმა ანგელოზმა გამოაცხადა რო თამაში არ შეუძლია. „მართალა, სთქვა აბატისამ, შენ ვერ შეიძლებ, მაგრამ ვინ„?—„მაშინ გაგიჟებულმა სიამაყით და სიხარულით, მოგვითხრობს სარა დავივწყე ჩემი მეგობრის დაჩაგვრა, ესტრადაზე ამოვარდი და დავიძახე: „ma mére, ma mére, მე

ვიცი მაგის როლი, გნებავთ გავიმეორო? დიახაც, დიახაც, წამოიძახეს ყოველის მხრიდან. ჩემი მეგობარიც ამბობდა, შენ კარგად იცი და კარგათ ითამაშებო“ წარმოდგენამ ბრწყინვალეთ ჩაიარა, ეპისკოპოზმა ყველას მენდლებიც დაურიგა, სარას კი ძალიან მოეფერა და უთხრა რო მის ნათვლას დაესწრება. „აღელვებული და აკანკალებული სიხარულით და ამპარტავნებით, ხელზე ვემთხვიე, და საწოლ ოთახში წავედი, იქ დიდხანს ვიტირე და ჩამეძინა კიდეც. ამ დღის მერე უფრო დავმშვიდდი, აღარ ვოცნებობდი და მეცადინეობას მოვკიდე ხელი“.

ზაფხულში როდესაც სარა შინ დაბრუნდა, დედამ მიიწვია მეგობრები და იმათთან ერთად გადასწყვიტა სარა სასცენოთ მომზადებულიყო, რადგან „ლამაზი ხმა და მოქნილი შეხედულება ჰქონდა“.

სარა კონსერვატორიაში შეიყვანეს, იქ გამოცდებზე მართლაც ყურადღება მიაქციეს მის ხმას და ნიჭიერ თამაშს. დიდის გულმოდგინეობით სწავლობდა სარა პირველ წელიწადს როგორც თვითონ ამბობს ერთი გაკვეთილიც არ გამოუშვია, თუმცა პირველ წელს მხოლოდ სცენის ტეხნიკურ მხარეს ეცნობოდა.

თექვსმეტი წელიწადი შეუსრულდა. „რასაც მეტს ვკითხულობდი პოეტებს მათ მსხვერპლად ვიქცეოდი, ამბობს ის. და პოეზიის ამ სიყვარულმა შეინახა ჩემი ახალგაზრდობა ვულგარობისაგან.“

„რაშელი ისე მოკვდა რომ მე ის არ მინახავს. გავიჩინე იდეალი ქ-ნი მარია ფავარი, რომელიც მისაბაძავი მაგალითად ავირჩიე. ეს იყო დიდებული ტრაღედიელი, რომელიც ბოხის ხმით ამბობდა ლექსებს. თავი მეტად დიდი გაჭიმული ჰქონდა. ტანი, გრძელი, ფეხები მოკლე, მაგრამ იყო მასში რაღაც მეშჩანური მომხიბლაობა“.

ჩქარა სარამ მას კრიტიკა დაუწყო და ერთხელ კიდეც გაბედა შეკამათება, სხვანაირად წაიკითხა მასთან „ანდრომაქი“-ს ერთერთი ნაწყვეტი. ფავარი გაბრაზდა, რადგან შეატყო რომ დამსწრეთ სარას გამოთქმა მეტად მოეწონა. მკვახეთ უთხრა სარას „ეგ აბსურდია, დასაწყისი კარგია, ბოლო სატირალი, თქვენ ვერასოდის სახელს ვერ გაითქვამთ. მშვიდობით ქალბატონო“ სარას ღმერთი დაიმსხვრა. „აღარ მიყვარდა ის,“ ამბობს სარა.

მუდამ მშრომელი, ენერგიით სავსე სარა ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ. მეორე კონკურსის შემდეგ ის მიწვეული იყო „Theatre Français“-ში. „ნასწავლი ქალების—როლში თამაშმა მასზე საერთო ყურადღება მიიბყრო. პრინცესა Mathilda-მ ის თავისთან მიიწვია. აგრეთვე ნაპოლეონ მე-III სასახლეში დადგეს „მოგზაური“ კოპესი სარას მონაწილეობით, იქაც დიდის პატივისცემით მიიღეს მეფე-დედოფალმა. ასეთმა გამარჯვებამ ბევრი შური გამოიწვია სარას ამხანაგებში. თვით თეატრში მას გადაეკიდა ვინმე ქ-ნი ნატალი, სარას თქმით—მეორე როლების კარგი ამასრულებელი, მაგრამ საშინელი ავი ადამიანი!

მან იქამდე მიიყვანა სარა თავის კადნიერი და მუდმივი დაცინვით რომ ამ უკანასკნელმა ნატალის ორი სილა გაადვა. სარამ ამის მერე Théâtre Français თავი დაანება და „ოდეონში“ გადავიდა, სადაც ის აღტაცებით მიიღეს. ჩვენ უკვე ვიცით რო იქ სარა პირველ ვარსკვლავად გახდა.

შემდეგში სარამ, რომელმაც სახელიც და სიმდიდრეც მოიხვეჭა, საკუთარი თეატრი ააშენა და იქ თავის რეპერტუარის პიესებს სდგამდა. სარას თავის სკოლაც ჰქონდა, ესე იგი მისი თამაშის და შეხედულების მიმდევრები. მისი უკანასკნელი წლების შესახებ ცნობები არა გვაქვს.

ყრუთ გავიგეთ რომ დამბლა დასცემოდა, ფეხზე ვერ იდგა და სავარძელში იჯდა და ისე თამაშობდაო, ვიღასაც მისთვის შესაფერი პიესაც დაუწერია.

საფრანგეთი დიდათ აფასებდა თავის გენია-მსახიობს, სარა „საპატიო ლეგეონის“ ორდენით იყო დაჯილდოვებული, რომლითაც ჯერ არც ერთი მანდილოსანი დაჯილდოვებული არ ყოფილა.

ამ წერილში რასაკვირველია არ იყო შესეძლებელი მისი პიროვნების ყოველ მხრით გაშუქება. მასზე ალბად ბევრი რამ არის დაწერილი, მაგრამ ჩვენ აქ ყოველგვარ ცნობებს მოკლებული ვართ. შემთხვევით ხელში ჩამივარდა „Journal be L'université des annales“ სადაც ამოვიკითხე თვით სარას მოგონებები და მოხსენებები და ამოვწერე რაც კი იყო შიგ საყურადღებო. ამასთან ერთად ვუმატებ ჩემს პირად შთაბეჭდილებასაც რომელიც მივიღე პარიზში სარას საკუთარ თეატრში, სადაც ის „La sorciëre“-ში ვნახე და ჟენევაში კი „ტოსკა“ და დაუვიწყარი „მარგარიტა გოტჯე“ რომელნიც არასოდეს არ ამოიშლებიან ჩემ ხსოვნიდან.

თამარ თაქთაქიშვილი

ქალთა კონგრესი პარიზში*)

...ძალიან ვწუხარ, რომ გარემოება ხელს არ მიწყობს ხშირად მოგწეროდ ხოლმე წერილები. ჩვენი ცხოვრება კი სავსეა ყველანაირ დიდ შემთხვევებით. წერილი დიდი ხანია დაწერილი მქონდა, გწერთ ქალთა კონგრესზე, რომელიც გაიხსნა ამ ზაფხულს 30 მაისს და დამთავრდა 7 ივნისს.

„Alliance internationall pour le suffrage des femmes“, დაარსებულია 1904 წელს. წრეულს შესდგა მეათე კონგრესი. იღებდა მონაწილეობას 500 დელეგატი—42 ქვეყნიდან მოსულნი. უმთავრესი მიზანია: მოპოვება ქალთა უფლებების, რომ ქალი აქტიურად გამოვიდეს ცხოვრების ასპარეზედ და მიიღოს მონაწილეობა სოციალურ მშენებლობაში, კაცობრიობის გაჯანსაღებაში მშვიდობიანობის დამყარებაში. კავშირის მიზანია აგრეთვე მფარველობა გაუწიოს ქალს, დედას, ბავშვს, უკანონო შვილებს და დედებს; გაერთიანება ჯამაგირში მამაკაცებთან, ქალის ოჯახური უფლებების აღდგენა, შეტანა შეგნებისა ყველა ნაციის ქალებში, თანამშრომლობა ნაციათა ლიგაში, მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ფრიად საინტერესო იყო ნახვა ყველა ქვეყნებიდან თავმოყრილ რჩეულთა ქალების. ორი მათგანი სენატორები, ამერიკიდან და ჩეხოსლოვაკიიდან, პარლამენტის წევრები, მუნიციპალიტეტების, ყველა პროფესიისა: ექიმი, ვექილი, მასწავლებელი პოლიციელები და მოძღვარნი (უკანასკნელნი ორი ინგლისელები იყვნენ.)

დიდი აღფრთოვანება და აღტაცება გამოიწვია ამ კონგრესმა პარიზში. სწორედ რომ მიახწია მიზანს, და ახლო მომავალში ფრანგის ქალები მიიღებენ დიდი ხნის ნანატრს უფლებებს. გასაოცარია, რომ ლათინური რასის ქალი მოკლებულია ყველა უფლებებს: საფრანგეთი, იტალია, ისპანია, ბელგია, შვეიცარია, რუმინია. პირიქით ანგლო-საკსონებს კი ყველას, ყველა უფლებები აქვთ მინიჭებული: ინგლისი, გერმანია, ირლანდია, ისლანდია, დანია, ჰოლანდია, ვენგრია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია.

ამ ქვეყნის ქალებმა იერიში მიიტანეს საფრანგეთის სენატზედ: ყველა იმით ათავებდა სიტყვას: „იქ სადაც ყოველ შენობაზე სწერია „ერთობა, ძმობა,

---

*) ეს წერილი თამარ თაქთაქიშვილმა პარიზიდან გამოუგზავნა ჩვენი რედაქციის წევრს ე.კ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა ს, ვინაიდან წერილი თავის შინაარსით არ არის საზოგადოებრივ ინტერესს მოკლებული ვაქვეყნებთ ოდნავი შემოკლებით. რ ე დ.

თავისუფლება“ სწორედ იქ ნახევარი საფრანგეთი უუფლებო არისო—კიდეც ნახევარზე მეტი, ვინაიდან ქალთა რაოდენობა მამაკაცების რიცხვს აჭარბებსო.“

დიდებულად იყო, ყოველ მხრივ მოწყობილი კონგრესი.

ჩვენ, ქართველი ქალები მხოლოდ მაყურებლები ვიყავით.

გამართეს მიტინგი. სადაც ყველა ქვეყნის ქალი ვექილი გამოვიდა ნაპოლეონის კანონის წინააღმდეგ. შესანიშნავი საღამო იყო, მშვენიერთა მშვენიერი! რა დიდი ძალები ჰყოლიათ ქალებს ევროპაში. როგორც ორატორები ისინი გასაოცარნი იყვნენ. მთელ ლათინურ ქვეყნებში ნაპოლეონის კოდექსია გამეფებული:

— და ჩვენ ქალები,—სთქვა თავმჯდომარე ვექილმა ქალმა, ას ოცდა ოთხი წელიწადი განვიცდით საშინელ მონობას, იმიტომ რომ, ნაპოლეონი არ იყო ბედნიერი ოჯახში, რომ ეოზეფინა მას ჰღალატობდა. თუ ევას ცოდომ ჩვენ შეგვძინა ტკივილებით მშობიარობა, იმის წინააღმდეგ ჩვენ უძლურნი ვართ, ვერასფერს შევცვლით, მაგრამ ნაპოლეონის კანონის დარღვევა კი ჩვენ ადაჰიანთა ხელთ არის. ჩვენ ფრანგი ქალები განვიცდით საშინელ დამცირებას, ეხლა როდესაც ჩვენ წინ სხედან ქალები მრავალ ქვეყნებისა, ყველა უფლებებით აღჭურვილნი“...

ლათინური ქვეყნების ქალები მოკლებულნი არიან სულ ელემენტარულ უფლებასაც. მათ არ შეუძლიანთ ბანკიდან გამოიტანონ თავიანთი ფული, თუ ქმრის ნებართვა არა აქვთ.

ნაპოლეონის ძალით ქალი გამოცხადებულია, როგორც უნიჭო არსება, რომელიც სავსებით ემორჩილება ქმარს, თავის მფარველს.

მეორე მიტინგზე ქალებმა მოიწვიეს მამაკაცები დეპუტატები იმ ქვეყნების სადაც ქალებს უკვე აქვთ მინიჭებული უფლება. იყვნენ ნიუიორკიდან, ლონდონიდან, ბერლინიდან და სხვა.

აქაც რასაკვირველია, მამაკაცები აღნიშნავდენ გონივრულ, წესიერ ქალთა მუშაობას პარლამენტში და განცვიფრებას გამოსთქვავდენ რომ ქვეყანამ, რომელმაც აღიარა პირველად ადამიანის უფლება, ეს ქვეყანა მონობას განიცდის.

შემდეგ მიტინგზე გამოვიდნენ დეპუტატი ქალები.

ამ დღეს უდიდესი წუთები განიცადა მთელმა ხალხმა. ეს იმ დროს როცა კონგრესის თავმჯდომარე ქალმა აშბი-მ განაცხადა:

— სიტყვა ეკუთვნის ბერლინის რეიხსტაგის დეპუტატს შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდ მოხელეს ქალბატონ ბაუშერს.

კრება ტაშით მიეგება.

ქ. ბაუშერმა ციფრებით დაიწყო. აღნიშნა რომ 32 ქალია რეიხსტაგში; რა არის გაკეთებული პროსტიტუციის საბრძოლველად, აღნიშნა პოლიციელ ქალების მუშაობა, უკანონო დედების და შვილების მფარველობა, და სხვა... და ბოლოს მიმართა კონგრესს დიდის მადლობით იმ დიად მუშაობისთვის, რომელსაც ეს რჩეულნი ქალნი ყველგან აწარმოებდენ, შემდეგ სთქვა:

— ნება მომეცით, მოგმართოთ თქვენ ფრანგების ქალაბო... განსაკუთრებულ მღელვარებას ეგრძნობ როცა მე, აქ, პარიზში, ამ დიდ საზოგადოების

წინაშე ვლაპარაკობ. წინ მიდგებიან საშინელი მოგონებანი ახლი წარსულიდან. რომელიც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებდა. მაგონდება სიტყვები ახალგაზრდა მეომარი მწერლისა, რომელიც მე წავიკითხე ერთ ფრანგულ ჟურნალში. ის ამბობს იმ დიდს გრძნობაზე, რომ პატივისცემაზე ადამიანის მიმართ, რომელიც მან განიცადა ბრძოლის დროს მტრის წინაშე. აი, მეც ვუერთდები ამ ახალგაზრდას და განვიცდი იგივეს ყოველ ქალისადმი.

ამ გრძნობას განიცდიან დედები, რომელთაც უსაშინელესი ტანჯვა აიტანეს და უდიდესი მსხვეოპლი შესწირეს. აი, ეს გრძნობები უნდა შევაერთოდ და ჩვენი მწუხარებისგან ერთი იდეალი გამოვკვეთოდ. იდეალი ცხოვრების განახლებისა. ურთიერთისადმი ნდობისა და სიყვარულისა. მრწამს, რომ ამ იდეალისთვის ღირს სიცოცხლე და თვით სიკვდილიც".

ეს სიტყვები იყო თქმული წრფელი გულით, სადათ, დიადათ. იგრიალა ტაშმა, როგორც სეტყვამ. ორატორმა მორცხვად თავის ადგილს მიაშურა, თავჩაქინდრული დ ჯდა, მაგრამ ხანგრძლივმა ტაშმა აიძულა ისევ ამდგარიყო. მივიდა ფრანგი დელეგატი, გადაეხვია, აკოცა და ორთავენი ატირდენ. მთელი ხალხი ფეხზე წამოდგა და ისე უკრავდა ტაშს.

მე აქ ვიგრძენ ნამდვილად ოუ რა შეუძლიან ქალს ქვეყნების მშვიდობიანობისათვის, ვიგრძენ უფრო ძლიერად, რომ კაცებრიობაში ერთობას და ძმობას ჩამოაგდებს ქალი არა სისხლის ნიაღვრებით, არამედ იმ მრავალფეროვან მუშაობით, რის ნიმუშიც ჩვენ წარმოგვიდგინა ქალთა კონგრესმა.

კონგრესის ოფიციალურ ენათ იყო გამოცხადებული ფრანგული, ინგლისური და გერმანული. ლაპარაკობდენ უფრო ფრანგულად და ინგლისურად.

გაგიკვირდებათ რომ ჩემს წერილს ასეთი ინტერვალებით ვწერ.

დამახასიათებელია ჩვენი ცხოვრებისა.

კონგრესზე დიდებულად იყო წარმოდგენილი რუმინეთი. ნაციათა ლიგის წევრი ქალბატონი ვაკარენკო (მწერალი ქალი). ქალ. კონდაკუზენა, ამასაც დიდი ადგილი უჭირავს ბუხარესტის თვითმართველობაში, და ორი ვექილი ქალი, ყველანი საუკხოვოდ ფრანგულ ენაზე მოლაპარაკენი.

უნგრელმა ქალმა უკანონო შვილების უფლებათ აღდგენაზე ილაპარაკა. სხვათა შორის სთქვა: „ყველამ იცის უკანონოდ დაბადებულთა მეტის მეტი მორცხვობა. ეს ინტერნაციონალური ტიპია, და ერთნაირად დევნილი და დაჩაგრულიო".

ყველა წვრილმანი არ მახსოვს.

ყოველ დღიური დიდი ქალაქის ნერვიული ცხოვრება ჩრდილავს და ფერფლავს ახლო წარსულს, რაც უნდა დიდი იყოს ეს წარსული.

მე მთელი ჩემი არსებით ვიყავი გატაცებული ამ კონგრესით. მისი ენერგიული მუშაობა, მიტინგები, დემონსტრაციები, აღელვებდა, აშფოთებდა, ალაპარაკებდა პარიზს.

შესანიშნავი იყო დიდი მიტინგი უზარმაზარ თეატრში. „Tontes les femmes du monde bour la Paix et la Societe des Nations. ამ მიტინგზე მიიქცია ყურადღება გერმანელმა ქალმა, რომელმაც აღნიშნა რომ თვით მშრომელი

ხალხი ყველა ერისა ერთი და იგივეა, მას სწყურიან მშვიდობიანობა და მოიყვანა ერთი მაგალითი.

— 1918 წელს, როცა ომი გათავდა საფრანგეთის ერთი გერმანელი ქალი წავიდა ფრონტზე იმ ადგილებში, რომელნიც აოხრებულნი იყვნენ და ეძებდა თავის შვილს მოკლულთა შორის. დაბინდდა, მაგრამ მას ჯერ ვერ ეპოვა. ერთი ფრანგი გლეხის ქალი მივიდა მასთან და სთხოვა: „თუ იკადრებთ, ჩემს ქოხს, გაათენეთ და ხვალ ისევ ძებნას შეუდექითო!

— მერე იცით მე ვინა ვარ? მე ხომ გერმანელი ვარ?!

— „ვიცი“, უპასუხა ფრანგმა, მერე რა არის. ის რაც ჩვენ გვაერთებს უფრო დიდი და ძლიერი არის, ვიდრე ის რაც ჩვენ გვაშორებსო“.

— ნუ დაგვიწყებიათ, რომ ჩვენ ვართ იმ ქვეყანაში, სთქვა ქ. ადელ შრაიბერმა, რომელსაც ყველგან უწერია თავისუფლება, ძმობა, ერთობა, აქ განსაკუთრებით უნდა ვიბრძოლოდ ამ სიტყვების განსახორციელებლად, იმ რწმენით, რომ დადგება დრო, როდესაც სხვა და სხვა ნაციები იქნებიან მხოლოდ კაცობრიობის პროვინციებათო“.

პარიზი. 1926 წ. 26 ივნისი.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა

არა ყოფილა შემთხვევა (გარდა საიუბილეო სიტყვებისა) რომ პრესა ვრცლად შეეხებოდა ან. წერეთელის მოღვაწეობას. ამიტომ ამ დაუხნავი მიწის გაჭრა არც ისე ადვილია, რადგან მის პიროვნების, მის მოღვაწეობის გათვალისწინების დროს მრავალი კითხვები ებადება დამწერს: საიდან დავიწყო მისი მოღვაწეობა; როგორ აღინიშნოს მოკლედ თუ ვრცლად, ამ ცოცხალი მატიანის სუნთქვა საზოგადო საქმეებში; რომელი ერთი ვახსენო ამ საჟურნალო წერილში, როდესაც არა ყოფილა არც ერთი კულტურული თუ საქველმოქმედო საზოგადოება რომ მის დაუშრატელ ენერგიას და ორგანიზატორულ უნარს კარი არ შეეღოს და საუკეთესო ადგილი არ დაიკავებინოს.

იმ ორგანიზაციებს, რომლის ხელმძღვანელიც იყო ანასტ. წერეთლისა, მან მიანიჭა ათეული წლეების ისტორია.

იგი დაბადებული იყო საზოგადო მოღვაწეთ. ამიტომ შეიყვარა ყველა კარგი საქმე მოისურვა შველა, დახმარება ყველასი ყველაფერში. მაგრამ ყველაზე მეტად მას უყვარდა ბავშვი, საბავშვო წიგნების გამოცემა, საბავშვო ჟურნალის მეთაურობა და ეს თავისი სიყვარული ოცდა ათი წლის მანძილზე ატარა

მისი საბავშვო ჟურნალი: „ჯეჯილი“ ისეთი კრიზისის დროს ჩაისახა და ისეთ დროს გამოჩნდა, როცა ქართველ ბავშვს არა ჰქონდა სულიერი საზრდო და არ იცოდა რით გაენვითარებინა თავისი გონება.

აი, ამ საქმეს შესწირა ან. წერეთელისამ თავისი ფიქრი, უნარი, ენერგია. რაც უნდა მკაცრი პირობები გადაჰლობებოდა წინ, იგი მაინც ახერხ ბდა საბავშვო ლიტერატურის სამსახურს. წმინდა საბავშვო ჟურნალს კარგა ხნობით ამოაფარა ქართული აზროვნების და ცხოვრების მოზარე, დიდი პოლიტიკური ჟურნალი: „კვალი“

ან. წერეთლისას არასოდეს დაღლა არა სცოდნია და ეხლაც კი როცა ნახევარი ადამიანი-ღაა ფიზიკურად, როცა არა მუშაობს მისი მარცხენა ხელ-ფეხი, მისი გონება მაინც განაგრძობს ფიქრს და ზრუნვას იმაზე, თუ ვინ გააგრძელებს მის საბავშვო წიგნების გამომცემლობის საქმეს, ვინ ამოჰკრეფავს „ჯეჯილი“-დან უმრავლ მასალას და ვინ მიაწვდის ლამაზ წიგნაკებად მის საყვარელ პაწია მკითხველებს.

დიდია ან. წერეთლის მოღვაწეობა. მაგრამ ამ ჟამად ჩვენ მის ორ საქ-

მიანობას მოკლედ შევეხებით. ეს არის: „განათლება“-ს საზოგადოების დაარსება, რომელსაც ქართულ ცხოვრებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მეორეც სამავშვო ჟურ. „ჯეჯილი“-ს გამოცემა, რომელმაც სამავშვო ლიტერატურა მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

———

ან. წერეთელისამ სწავლა დაასრულა 1865 წ. როგორც თვითონ აღნიშნავს თავის ავტობიოგრაფიაში მას „არაფერი ცოდნა არ გამოუტანია საქალებო ინსტიტუტიდან“, და სახლში დის ხელმძღვანელობით დაიწყო თვითგანვითარება. მისგან (როგორც თავადის ქალისაგან) სულ სხვას მოელოდა ის წრე, რომელშიაც ტრიალებდა, მაგრამ როგორც დიდი მწერლის—გიორგი თუმანიშვილის—ქალი, მის გონებას და სულს სულ სხვა საქმე უნდოდა. ამიტომაც ორივე დებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ დაბრკოლებების გადალახვისათვის. ან. წერეთლისა საზღვარ-გარეთ წავიდა. თავის ავტობიოგრაფიაში შენიშნავს: „იმედი არა მქონდა რომ ექვს წელს შევსძლებდი უმოქმედოთ ყოფნასა“-ო და მალეც ჩამოვიდა.

ან. წერეთლისამ მალე მოჰკიდა საზოგადო საქმეს ხელი. ეს იყო ჰატარა თარგმანების და პატარა ამბების ბეჭდვა გაზ. „დროება“-ში.

ამ მცირედი საქმით არ დაკმაყოფილებულა. მისი მოზღვავებული ენერგია ფართე გაჭრას ლამობდა. იგი ჩაება ყველა იმ კულტურულ საქმეებში რაც კი მაშინ საქართველოში არსებობდა. ფართედ კი თავისი სულის საკვები იპოვნა წ. კ. გ. საზოგადოებაში ყოფნით და იქ მუშაობით. ამ საზოგადოების დახმარებით ხელთუბნის სკოლას (რომელიც ან წერეთელისამ დაარსა) საკუთარი სახლი აუშენა.

1886 წ. მან დაარსა მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება. ამ „მცირედი“ საქმეებით მაინც ვერ იოკებდა თავის წადილს. მას სხვა კიდევ დიდი საქმე სწყუროდა. ან. წერეთელისამ მხარში ამოიყენა ქართველი მანდილოსნები: დანი ნიკოლაძენი, ან. თიკანაძისა, სოფ. კალანდარაშვილისა, ალ. ფაღავასი, მარიამ მაჩაბელი და მასწავლებელი იაკობ ზედგინიძე. მათ პატარა წრის დაარსება განიზრახეს. რა უნდა გაეკეთებინა ამ წრეს? როგორც ან. წერეთელი აღნიშნავს თავის მემუარებში: „ქართულმა ბანკმა გახსნა თავისი ხარჯით ვაჟების სასწავლებელი. ქალების სასწავლებელზე კი სულაც არა ფიქრობდა. ზოგიერთა ქალს გული გვწყდებოდა, შეუდექით ფულის მოგროვებას ქალების სასწავლებლის გასახსნელათა“-ო. პირველად ამ საქმის თავმჯდომარეთ ამ პატარა წრემ ამოირჩია მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა. ამ წრემ ბანკს მიმართა ფულისათვის, მაგრამ იგი „ბანკობიადა“-ში იყო გართული და ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინა. მალე ეს წრე გაიზარდა. ბევრი თანამგრძნობი გაუჩნდა, ბევრმა შესწირა თავისი წვლილი. ბოლოს ამ წრემ მიიღო ოფიციალური სახელწოდება: „განათლება“-ს საზოგადოება. ეს საზოგადოება მთელი თვრამეტი წელიწადი ემსახურა ქართულ კულტურას: დაარსა ქალთა სკოლები, მრავალი მასწავლებელი ქალი გამოზარდა ამ სკოლებმა და ალბად სიამოვნე-

ბითაც მოიგონებენ ისინი ამ საზოგადოებას და მის სულის ჩამდგმელ ან. წერეთელისას.

ბევრი კარგი საქმე გააკეთა ამ საზოგადოებამ და ამის მაცოცხლებელი იყო ან. წერეთელისა თავისი გამჭრიახი გონებით, პრაქტიკული გზებით, დაუღალავი შრომით, ბინით და ხშირად ფულითაც.

ბოლოს ამ საზოგადოებამ თავისი მისიის შესრულება იგრძნო. მისი წევრები მიყუჩდნენ, მაგრამ არ ისვენებდა ან. წერეთელი. არ უნდოდა ამ საზოგადოების სახელი წაშლილიყო საქართველოს სინამდვილეში. უნდოდა კიდევ ახალი რაღაც შეეტანა ქართულ ცხოვრებაში, ამიტომ ხშირად იბარებდა საზოგადოების წევრებს და ათას წინადადებებს აძლევდა მაგ.: ფეხსაცმელების კერვის, ჯალათების წნვის, ან კოლოფების კეთების სკოლების გახსნას, მაგრამ ეს საქმეები ვერ მოხერხდა.

ვერ მოისვენა ან. წერეთელმა და შეეხო ჩვენს მტკივნეულ საკითხს. იგი კრებას უცხადებს: „ქართველი ახალგაზრდა ქალი გამოიფიტა. ის თავის ჯანმრთელობას ყურადღებას არ აქცევს. არ იცის ბავშვის მოვლა, მისი გაჩენა აშინებს. ეს ჩვენა გვღუპავს. ნუ თუ არ უნდა უპატრონოთ ამ საქმეს? დავაარსოთ კურსები, რომელსაც დაერქმევა: „აკვანი“, იქ წაიკითხება მთელი რიგი ლექციებისა საუკეთესო პროფესორების და ექიმების მიერ. გავწიოთ პროპაგანდა ჩვენს ქალებში, სკოლებში, მასწავლებლებში, უნივერსიტეტში, მუშა-ქალებში, დედებში, ყველგან რომ ჩაეწერნენ მსმენელებათ“-ო. ეს სულ ახალი საქმე იყო, რომელიც არავის მოჰგონებია. თუმცა ზოგიერთა წევრები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებას, მაგრამ მაინც გადაწყდა. ანასტასიამ თავისი გაიტანა: გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. დამზადდა „ლეტუჩკები“ კედლებზე გასაკრავად და დასარიგებლად. კურსები ფულიანი უნდა ყოფილიყო, რომ ხარჯები დაეფარა.

... და უკბათ ან. წერეთელი, ეს 75 წლის მოხუცი გამოცოცხლდა. ენეგია მოემატა სიხარულით დაფუსფუსებს, დარბის ყველა პროფესორთან; ივ. თიკანაძესთან, გოგიტიძესთან, ექიმებთან, იწვევს ლექციების წასაკითხად. იმათაც აღუთქვეს. ახლა გარბის მიხ. ხანდუკელთან, სკოლის შენობის სათხოვნელად. ხარობს ან. წერეთელისა რომ გამოცოცხლდა საზოგადოების საქმე. და... როგორც ახალგაზრდა კურსისტკა, რომელიც სიხარულით გარბის უნივერსიტეტში პირველ ლექციის მოსასმენათ, ისე უხარიან ან. წერეთელისას პირველი ლექციის მოახლოვება. ეს იყო 1924 წელს. დაუვიწყარი იქნება ამ სტრიქონების დამწერისათვის ის პირველი მნიშვნელოვანი ლექციის დღე, და ამ „აკვანი“-ს საქმიანობა, რომელიც „ლეტუჩკებით“ გათავდა.

იმ შენობაში (პირველი საცდელი შრომის სკოლა) იმ დროს მოთავსებული იყო საბავშვო ბაღების მასწავლებელთა კურსები ექვსკვირიანი. ბევრი ახალგაზრდა მასწავლებლები და სამასწავლებლოდ გამზადებული ქალები მიისწრაფოდნენ ამ კურსებისაკენ.

დადგა აკვანის დებიუტი! თუმცა ჯერ ერთი ქალიც არ ჩაწერილიყო, მაგრამ ან. წერეთელი მაინც ნიშნავს პირველ ლექციას. იწვევს პროფ. გო-

გიტიძეს, რომელსაც უნდა წაეკითა ბავშვთა სტატისტიკური ცნობები; ასეთი იყო თემა, თუ არა ვცდები.

საღამო მოახლოვდა. ღელავს ან. წერეთელი. ღელავენ ყველა წევრები, შეიკრიბნენ კარებთან. ელიან ხალხს, პროფესორს. დაიწყო დენა კურსებზე მსმენელი ხალხისა! ან. წერეთელს თვალები უბრწყინდება ამდენი ახალგაზრდა ქალების დანახვით. ეპატიჟება, იწვევს იმ ოთახისკენ სადაც პროფესორი ელის ხალხს. ზოგს გამოელაპარაკა კიდევაც, მაგრამ ცელქი ახალგაზრდობა ამ მოხუცს ყურს არ უგდებს და გარბის თავის საბავშვო ბაღის კურსებისაკენ.

ლექცია მაინც დაიწყო და იცით ვინ იყვნენ ამ ლექციის მსმენელნი: ან. წერეთლისა, ეკ. მესხისა, სოფ. კალანდარაშვილისა, ან. თიკანაძისა, იაკობ ზედგინიძე (როგორც წევრი ამ საზოგადოებისა) და ორიოდე სხვანი ეს ახალგაზრდა „თეთრთმიანები“ დიდის აღტაცებით მსმენდნენ ამ პირველსა და უკანასკნელს ლექციას.

ან. წერეთელისა ჩვენს მოთხოვნილებას ყოველთვის ღებდა აღღოს და თავისი ენერგიით, ორგანიზაციულ ნიჭით სწორეთ იქ გაჩნდებოდა. განა ეს ლექციები საჭირო არ იყო? მაგრამ მისი მოწყობის განზრახვა არ იცის ათმა ადამიანმაც კი.. ამ საქმეს თვით საზოგადოების წევრებიც არ თანაუგრძნობდნენ, შეიძლება იმიტომ რომ იცოდნენ რაც იქნებოდა. მაგრამ აქ გამოსჭვიეის ან. წერეთლის ზოგადათ თვითნება ხასიათი, თავისი თუნდაც „ჯიუტი“ აზრის გატანა. ეს ხასიათი მას თანდაყოლილი ჰქონდა, ეს რომ არ ჰქონოდა, ალბათ ვერ მოახერხებდა საქმის დაბოლოებას. იგი რაიმეს განიზრახავდა და ათასი დამაბრკოლებელი გზები რომ გადაჭლობებოდა მაინც თავისას გაიტანდა და სხვებსაც აიყოლიებდა.

მაგრამ ამავე დროს ან. წერეთელი მარტო ამ ერთ დიდ საქმეს კი არ ემსახურებოდა: იგი სხვა უფრო სიმპატიურ და მნიშვნელოვან საქმის მეთაურიც იყო: ჟურ. „ჯეჯილი“ს რედაქტორ-გამომცემელი.

იმის შემდეგ რაც ერთად ერთი საბავშვო ჟურნალი „ნობათი“ დაიკეტა 1885 წელს [1]), მთელი ხუთი წელიწადი საბავ. ლიტერატურა განიცდიდა უჟურნალობას. ზოგიერთ მაშინდელ გაზეთებში აქა იქ თუ გამოჩნდებოდა ხოლმე საბავშვო ლექსი ან მოთხრობა და ისიც ისე იკარგებოდა სხვა მასალაში, ამ საპოლიტიკო გაზეთებში რომ ვერც კი ემჩნეოდა. საბავშვო ლიტერატურის, მისი ჟურნალის მოთხოვნილება აუცილებელი იყო. მას ნერგი ჩაეყარა, მაგრამ საქმის ხელ-ახლად გამოცოცხლებას წინ ეღობებოდა მთავრობის ნება დაურთველობა. ნებართვას ბევრნი თხოულობდნენ. მაგრა ვერავინ მიიღო. ბოლოს ნავსი გატყდა ჟურნალის სულის ჩამდგმელ, ან. წერეთელზე. რასაკვირველია მის ნებართვასაც ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები გადაეღობა, მაგრამ ანასტასიას ახლობელი ნაცნობი იყო მაშინდელი მბრუნველი და მას ე. ი. ანასტასიას უკვე ჰქონდა გამოცემული „მოლაღური“, „ხუთი ამბავი“, ჟურ. „ნობათ-

[1]) საბავშვო ჟურნალებისა და ლიტერატურის ისტორია ავტორს დასაბეჭდათ აქვს გამზადებული ცალკე წიგნათ. „ჯეჯილის“ შესახებაც შემოკლებით ამოღებულია ამ წიგნის ხელთნაწერიდან. შენიშვნა რედაქციისა.

შიაც“ ჰქონდა დაბეჭდილი ნათარგმნი მოთხრობა კარმენ სილვასი. მან ნებართვა ერთის დაპირებით მიიღო; უნდა გამოეცა როგორც ქართულად, ისე რუსულად. ამაზე ანასტასია წერეთელი ხერხის გულისათვის დასთანხმდა და დაპირება მარტო ქალალდს შერჩა.

ანასტ. წერეთელს, იმ ხანად საყმაწვილო ლიტერატურის ასპარეზზე უკვე 10 წლის გამოცდილება ჰქონდა. მან პირველად კალმით მოღვაწეობა დაიწყო 1879 წელს და ფრანგულიდან გადმოთარგმნა ვალტერ სკოტის „ჰირლანდიელი ქვრივი“.

იგდო თუ არა ხელთ ანასტასიამ სასურველი ქალალდი, შეუდგა ხალხის შეგროვებას. საანნაურო სკოლაში შეიკრიბნენ: იაკ. გოგებაშვილი, ეკატ. მესხისა, ეკ. გაბაშვილისა, დიმ. ბაქრაძე, ვახ. ორბელიანი და სხვანი, ორმელთაც საყმაწვილო ჟურნალი მონათლეს და სახელად უწოდეს „ჯეჯილი“ (იაკობ გოგებაშვილის დარქმეულია).

გაათკეცებული ენერგიით მოჰკიდა ხელი ან. წერეთლისამ თავის საყვარელ საქმეს, რომლითაც ცხოვრებაში თავის სანუკვარ მიზანს განახორციელებდა: ეს იყო თავდადებული სამსახური საბავ. მწერლობისათვის. თავის გარშემოც შემოიკრიბა ისეთი უანგარო მუშაკნი, რომელნიც განუწყვეტლივ გარს ეკრნენ „ჯეჯილს“ და არა ზოგავდნენ არც ენერგიას და არც კალამს, ამ საქმის ღირსეულ დასაგვირგვინებლად.

ერთ ხანობად იაკ. გოგებაშვილს უნდოდა ჩამოერთვა ან. წერეთლისათვის რედაქტორ-გამომცემლობა, იმ მოსაზრებით, რომ „ვერ გაუძღვები“-ო, მაგრამ ანგარიში შეეშალა და ანასტ. წერეთელმა 30 წელიწადი ზურგით ატარა ეს მძიმე ტვირთი.

პირველი ხელის მომწერი ამ ჟურნალზე იყო ოლღა ჭავჭავაძისა (ილიას მეუღლე) და კიდევაც აღუთქვა: „ილიას რამეს დავაწერინებ“-ო და მართლაც გამოუგზავნა ცნობილი ლექსი: **ბაზალეთის ტბა**. რამდენადაც მართლა „ჯეჯილი“-სათვის დასწერა ილიამ ეს ლექსი, ამის თქმა ძნელია. ხელის მომწერლები მცირე იყო და რაც გამოდიოდა მისი გავრცელება თვით რედაქციის წევრებს მაინც ვერ შეეძლოთ, ამიტომ ბევრი რჩებოდა. რაც შეეხება თანაგრძობას და მის მოთხოვნილებას, ამას დავინახავთ რედაქტორის სახელზე მოსულს წერილიდან. გორიდან იწერებოდნენ ასეთს ქათინაურს: მოუთმენლად მოელიან **ჯეჯილი“-ს №-ს მკითხველები — ჩვენი მოხუცებული ღენერლები“-ო**.

რასაკვირველია, საბავშვო ჟურნალს, როცა მხოლოდ მოხუცებული ღენერლობა კითხულობს და მხოლოდ ის მოელის №№-ბის გამოსვლას (თუმცა გონების მოთხოვნილებით შეიძლება შეეფერებოდეს ერთმანეთს ეს ორი ასაკი) ცოტა არ იყოს საწყენად დარჩებოდა **ჯეჯილი**-ს რედაქტორს—ან. წერეთელს და მის კოლეგიის წევრებს, მაგრამ ის ამით არ შემკრთალა და თავისი როლი ღირსეულად შეასრულა.

ანასტასიას აზრით საჭირო იყო საფუძვლიანი კრიტიკა დაცვა, რომელიც ობიექტიურად დასდებდა მსჯავრს მის საყვარელ ჟურნალს და აღნიშნავდა მის როგორც ნაკლს, ისე მნიშვნელობა-ღირსებას. ამიტომაც მან მიმართა ილიას

დაეწერა რამე, მაგრამ მან უპასუხა: „ქალების თავი არა მაქვს, აყაყანდებით და სხვა არაფერი“-ო. თუმცა ჟურნალი უკრიტიკოთ არ დარჩა. სამი წლის არსებობის შემდეგ, პირველი მისი დამფასებელი გახლდათ ნიკო ნიკოლაძე, რომელიც არჩევს ჟურნალის №№ 8ს და 9ერს საგულისხმიერო ნაკლსაც აღნიშნავს. ამ კრიტიკამ **ჯეჯილ**-ზე საგრძნობი გავლენა მოახდინა.

ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

ბევრი ძიმწარე გადაყლაპა რედაქტორმა—ან. წერეთელმა „ჯეჯილის“-ს გამოცემის დროს. თუნდაც 1904 წ. როდესაც დაიკეტა ჟურ. **კვალი**, მას **ჯეჯილი-ც** მიაყოლეს (რადგან ორივეს ერთი რედაქცია ჰქონდათ და ერთ ხანობათ **კვალი** თითქმის დამატებათ ითვლებოდა საბავ. ჟურნალისა, ცენზორის თვალების ასახვევად), მაგრამ ან. წერეთელი აქაც არ შედრკა, და გადაიტანა ყველა დამაღონებელი ხანა.

ჩვენ შორს წაგვიყვანდა დაწერილებით შეხება **ჯეჯილ**-ს მსვლელობისა, აქ უადგილოც არის, მაგრამ აქედანაც შეგვიძლიან გავითვალისწინოთ ის პირობები, ის ხანა როცა „ჯეჯილ“-მა დაიწყო გამოსვლა და რა დიდი ნება და ენერგია იყო საჭირო რომ შეუჩერებლივ გამოსულიყო ბავშვის აღმზრდელი, მისი გონების მასაზრდოვებელი ორგანო.

ამ დაუცხრომელ ტეხნიკურ მუშაობაში ცხადია შემოქმედებისათვის ნაკლებ მოიცლიდა, მაგრამ არ გამოსულა თითქმის №№-რომ მისი ნათარგმნი ან ორიგინალი არ ყოფილიყოს დაბეჭდილი. მან ჟურნალის გამოცემებთან ერთად მრავალი წიგნი გამოსცა, ამ უკანასკნელ წლებში გამოჯიდა მისი ნაწერების კრებულები: **„თაიგული“, „კონა“ და „ყვავილი“** აქ მოთავსებული მასალით შეგვიძლიან მთლიანი წარმოდგენა ვიქონიოთ ან. წერეთელზე, როგორც საბავშვო მწერალზე. მისი ეს წიგნები მრავალთემიანია. ‘აგრამ მისი საყვარელი თემაა: ხელ მოკლე ოჯახი და მასში მამით ობოლი ბავშვი. ცხოვრებაში მართლაც ეს მხარე სჭარბობს. არა სჩანს დედით ობოლი ბავშვი, მამა მალე გაუჩენს ხოლმე მის ნაცვალს, შეიძლება ავს, გოროზს, მაგრამ მაინც მომვლელს, ასეთ პირობებში მყოფი ბავშვები ოჯახში არც კი სჩანან. ისინი ოჯახის გარეთ არიან. დედა კი ხშირად დაობლებულ ბავშვებს სწირავს ახალგაზრდობასაც და სიცოცხლესაც. დღე და ღამე შრომაში ატარებს: სხვას ურეცხავს, პურს უცხობს, ემოახლება, რომ ლუკმა პური არ მოაკლდეს თავის პატარას. დაღალული არც ალერს აკლებს თავის ბავშვს, რომელსაც მღვიძარეს ვერცკი ხედავს: გათენებისას მიდის. ბავშვს სძინავს, მოდის ღამე—მას მაინც სძინავს. ამისთანა დედები მოგვალის იმედებით სცხოვრობენ. აი, ასეთი წინასწარი აღებულ აზრების გამომხატველნი არიან ან. წერეთელის მოთხრობები. დედის შემდეგ მეორე ადგილი უკავიათ ბებიებს, როგორც ოჯახში დარჩენილები და ბავშვის მომვლელები. ნათთან ცელქობს ბავშვი, მაგრამ მეტად მკრთალად. ამავე დროს სრულიად არა სჩანს ამ გვარ მოთხრობებში ბავშვის ფსიქოლოგია, როცა იცის დედა ჰყავს და ხშირად ვერა ხედავს. ათასში ერთ.ხელ გაურბენთ აზრი: „სად არის ნეტა დედა?“

გარკვეული წყურვილი დედის ნახვისა არ ემჩნეოთ ანასტასიას ბავშვებს, მაგრამ საერთოდ კი ეს დამახასიათებელი თვისებაა ბავშვისა. გარდა ამისა, ჰა-

ტარა ბავშვსაც ხომ აქვს სულიერი განცდა, რომლის შემწეობითაც ის მოქმედობს.

მეორე საყვარელი თემა ან. წერეთელისა არის ომის ამბები, ომით გამოწვეული გაჭირება ღარიბი ოჯახებისა.

მოთხრობები კარგი ენით არის დაწერილი. მწერალს თემის გამოძებნა ეხერხება, მაგრამ მის შინაარსის საინტერესოთ გაშლას ერიდება, არ უყვარს. დიდი ღირსება ან. წერეთელის მოთხრობებისა არის **სიმოკლე**. გრძელი მოთხრობა ბავშვისათვის მოსაბეზრებელია.

ან. წერეთელის მოთხრობები უფრო შეიცავენ მორალს. კარგი მასალაა ნაჩვენებ წიგნებში: **შაქრომ გაგვცა**. პაწია შაქროს უყვარს თავისი ნაპოვნი ძაღლი, რომელსაც ეძახდა **ბარდანას**. მას დედის ჩუმათ ინახავს საღორეში. იმ ხანად იარაღების შინჯვა ხდება. ამათთანაც მოვლენ „ᲚᲢრაჟნიკები" და თხოულობენ: **„ბერდენა დავაი"**, **„ვოტ პატრონ-"**ო და რაღაცას წაავლეს ხელი (შაქროს დედას თოფები დამალული ჰქონდა. შაქრომ იცოდა). სტრაჟნიკების სიტყვები რომ გაიგონა შაქრომ, აცრემლებული მიუბრუნდა და უთხრა: „მოდით, შოგცემთ-"ო. დედას ეგონა ბავშვმა გასცა თოფების ადგილი. იმან კი გამოიყვანა საღორედან თავისი ძაღლი—**ბარდანა**, რადგანაც ეგონა **პატრონი** მოსულაო და სლოკინით გადასცა.

ბევრი მოთხრობები აქვს წერეთელს შემთხვევითი ამბებისა, რომელსაც კი რაიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ბავშვის მეგობარ მწერალზე.

მას აგრეთვე ნათარგმნი აქვს აუარებელი მასალა ფრანგულ და რუსულ საბავშვო ლიტერატურიდან. მაგრამ ან. წერეთელს ეს მოთხრობებიც რომ არ დაეწერა და წიგნებათაც არ გამოეცა მისი საბელი საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში ერთი თვალსაჩინოთაგანი იქნებოდა, როგორც ჟურნალის გამაახლებელის, სულის ჩამდგმელის, ბევრი. საბ. მწერლის გამომზრდელისა **ჯეჯილი**-ს წყალობით, და როგორც დიდი მოამაგე ადამიანისა საბავშვო მწერლობის სამსახურში.

თარგმანები

ჟანნას სიკვდილი*)

ჟანნა კლემენსის გარდაცვალება მოხდა დილით ადრე 1909 წ. 24 დეკემბერს. ს. კლემენსი, როდესაც მე ის პირველათ ვნახე, ამ უბედურების შემდეგ ძალიან შეწუხებული, აღელვებული იყო, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მტკიცე ხელით სწერდა.

— მე ვწერ ყველაფერს როგორც მოხდა,—მითხრა მან,—ყველაფერს უკლებლივ. სიმსუბუქესა ვგრძნობ, როდესაცა ვწერ. ამით თავიდან ვიშორებ აუცილებლობას ვიფიქრო.

მე იმ დღეს და მეორე დღესაც რამდენჯერმე შევიხედე მასთან დროგამოშვებით და ჩვეულებრივ ვხედავდი, რომ სულ სწერდა, შემდეგ, 26-ს საღამოს, როდესაც მან შეიტყო, რომ ჟანნა დაკრძალულია თავისი სამარიდისო განსვენების ადგილას ელმირაში ის შემოვიდა ჩემთან ოთახში, ხელში ხელნაწერი ეკირა.

— მე გავათავე,—მითხრა მან,—აი წაიკითხეთ ეს აღწერა. მე თვითონ არ შემიძლიან მასზედ რაიმე აზრი შევადგინო. თუ თქვენ ღირსად იცნობთ, მაშინ, როდისმე, შემდეგ—თავის დროზედ—მან შეიძლება დააბოლოვოს ჩემი ავტობიოგრაფია. ეს მისი უკანასკნელი თავი იქნება.

ოთხი თვის შემდეგ—სწორეთ ზედმიწევნით დღე დღესთან (21 აპრილი)—უკვე ჟანნასთან იყო. და მე მგონია, რომ სწორედ ეხლა დადგა შესაფერისი წუთი, რომ ყველამ წაიკითხოს ეს მისი გამოსათხოვარი სტრიქონები.

ალბერტ ბიჯელო პენ.

სტერმფილდი. შობის წინა დღე, დილის 11 ს., 1909 წ. ჟანნა მოკვდა!

მოუხდენია ვისმეს როდისმე ცდა, გადაეტანა ქაღალდზედ ყველა ის პატარა შემთხვევები და წვრილმანები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ძვირფას არსებასთან—ყველაფერი, რაც კი მომხდარა იმ ოცდა ოთხი საათის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა უეცარს და მიუღლოდნელს სიკვდილს, ამ ძვირფასი არსებისას? განა ამას ეყოფა მთელი წიგნი? ან ორი წიგნი კი ეყოფა? არა მგონია. ისინი ნიაღვარსავით იკრებიან ჩვენს მეხსიერებაში. ეს

*) მისს ჟანნა კლემენსი, უნცროსი ქალი სახელოვანი მწერლის სამოელ კლემენსის (მარკ ტვენის).

ყველა წვრილმანებია, რომელნიც ყოველ დღე ხდებოდნენ, წინათაც, და ისე უმნიშვნელონი სჩანდნენ და ისე ადვილათ ეძლეოდნენ დავიწყებას—ეხლა კი, ეხლა რა განსხვავებაა! რა ძვირფასნი, რა საყვარელნი, რა დაუვიწყარნი, რა გულის ამჩუყებელნი, რა უწმინდესნი არიან, გარშემოტყმულნი ღირსებითა და დიდებით!

გუშინ საღამოს ჟანნა, ჯანღონით აღსავსე, და მეც სრულიათ გამოჯანმრთელებული ჩემი სადღესასწაულო ბერმუდის მოგზაურობის კეთილი გაელენით, ჩვენ ორივენი ხელი-ხელ გაყრილნი გამოვედით სასადილო ოთახიდან, სადილის შემდეგ, დავსხედით ბიბლიოთეკაში და ვმუსაიფობდით, გეგმებს ვაწყობდით და ვთათბირობდით მხიარულათ, უდარდელათ (რა შორს ვიყავით ყოველივე წინათგრძნობისგან!) ცხრა საათამდე—რაც ჩვენში უკვე დაგვიანებულ საათათ ითვლება — მერე წავედით მაღლა. ჟანნას კარგი გერმანული ძაღლი უკან მოგვდევდა. ჩემს კარებთან ჟანნამ მითხრა:

— მე არ შემიძლიან გამოთხოვებისას გაკოცო შენ, მამავ, სურდო მჭირს და შენ შეიძლება შეგეყაროს.

მაგრამ, მე დავიხარე და ხელზე ვაკოცე. ამან სასიამნოთ იმოქმედა მასზედ. ეს მე თვალებზედ შევატყე და აჩქარებით და აღელვებით აკოცა ჩემს ხელს საპასუხოთ. შემდეგ, ჩვენ განვშორდით ერთმანეთს ჩვეულებრივი, მხიარული, ურთი ერთისადმი მიმართული ფრაზით: „იძინე კარგათ, ჩემო მტრედო“

რვის ნახევარზედ, დღეს დილით მე გავიღვიძე და შემომესმა ხმაურობა ჩემს კარებთან. მე ჩემს თავს უთხარი: „ჟანნა ემზადება თავის ყოველდღიურ მოგზაურობისათვის ცხენით, სადგურისაკენ, ფოსტის მოსატანათ.“ შემდეგ კეტტი შემოვიდა, დადგა ერთ წამს ჩემს ლოგინთან და ბოლოს მთლათ აკანკალებულმა და სულ შეგუბებულმა ღონე მოიკრიფა და თავის ხმას ძალა დაატანა:

— **მისს ჟანნა გარდაიცვალა!**

შესაძლებელია მე ეხლა ვიცი, რასაცა გრძნობს ჯარის კაცი, როდესაც. ცხელი ტყვია პირ და პირ გულში ესობა...

ის იწვა თავის აბანოს ოთახში, მშვენიერი, ახალგაზრდა არსება, იატაკზედ იყო გაჭიმული და ზედ ზეწარი ეფარა. და გამოიყურებოდა ის ისე მშვიდათ, ისე ბუნებრივათ, თითქოს მძინარეაო. ჩვენ მივხვდით რაც მოხდა. მას ეპილეპსია ჰქონდა; აბანოში მას ალბათ უეცრათ სახსრები შეეხუთა და გულის მუშაობა მოუდუნდა. ექიმის გამოწერა რამდენიმე ვერსის სიშორიდან დაგვჭირდა. ყოველი მისი ცდა, — ისევე როგორც ჩვენიც მის მოსვლამდის — ამაო იყო, ვეღარ დაუბრუნეთ იგი სიცოცხლეს.

ეხლა შუა დღეა. რა მშვენიერია, რა ლმობიერი და უღრუბლო გამომეტყველება აქვს! ეს კეთილშობილი სახე ღირსებით აღსავსე, და გული, რომელიც აი ეხლა იქ ასე მდუმარეთ და უძრავად ძეს, იყო კეთილი, კარგი გული.

ინგლისში, ცამეტი წლის წინათ მე და ჩემი მეუღლე გულგანგმირული ვიყავით დეპეშით, რომელშიაც აღნიშნული იყო:

„დღეს სჯუზიმ' მიიღო ყოვლად მოწყალე განთავისუფლება.“ დღეს დილით მე მოშიხდა კლარასათვის ბერლინში ასეთივე გულშემზარავი ცნობის გაგზავნა, ბრძანებლობითი დამატებით: „თქვენ სახლში ნუ დაბრუნდებით“. კლარა და მისი ქმარი წავიდნენ აქედან 11 ამ თვეს. როგორ გადაიტანს ამას კლარა. ჟანნას სულ პატარაობიდანავე გაგიჟებით უყვარდა კლარა.

ოთხი დღის წინეთ მე სრულიათ გასაღებული დაბრუნდი ჩემი მოგზაურობიდან ბურმუდის კუნძულებზედ, სადაც ერთი თვე ვიყავი, მაგრამ რეპორტიორებს, არ ვიცი რატომ, ეს გარემოება გამოეპარათ. გუშინ წინ დაიწყეს დენა წერილებმა და დეპეშებმა მეგობრებისა და ნაცნობებისაგან, რომელნიც მოწმობდნენ, რომ მე სერიოზულ ავათმყოფათ მთვლიან. გუშინ ჟანნა მეხვეწებოდა გამერკვია ეს საკითხი „შეერთებული ბეკვდა“-ს საშუალებით; მე ამაზედ უპასუხე, რომ ეს საკითხი ნამეტან არარაობას წარმოადგენს და არავითარი მნიშვნელობა მას არა აქვს, მაგრამ ის ამით დაღონდა და მითხრა, რომ მე მოვალე ვარ კლარაზედ ვიფიქრო. კლარა უთუოთ წაიკითხავს ამ ცნობას გერმანულ გაზეთებში და რადგანაც ის აგერ ოთხი თვე არის, რაც თავის ქმარს უვლის და ეხლა დასუსტებული და მოქანცულია, ეს აღელვება შეიძლება მისთვის საბედისწერო შეიქნეს. საქმიანი იყო ნათქვამი და ამიტომ მე ტელეფონის საშუალებით „შეერთებულ ბეკვდა-“ს იუმორისტული ცნობა გაუგზავნე და უარვყოფდი ბრალდებას — იმაში — რომ მე თითქოს „უკანასკნელ დღეში ვარ“ და ვამბობდი, რომ „მე ფიქრათაც არ მომივა ამ გვარი რამის ჩადენა ჩემს ხანში“.

ჟანნა ცოტა შემკრთალი იყო; იმას არ მოეწონა, რომ მე ასე იოლად მოვეპყარი ამ საკითხს, მაგრამ მე უთხარი, რომ ასე სჯობიან მოქცევა, მსუბუქათ, რადგანაც ამაში ხომ სერიოზული არაფერია. დღეს დილით „შეერთებულ ბეკვდა“-ს მე გაუგზავნე ცნობა ეს არის ახლა მომხდარი გაუსწორებელი უბედურებისა. ნეტავი, ერთად ხომ არ იქნებიან მოთავსებულნი ეს ორი ცნობა, დღევანდელ საღამოს გაზეთებში? ერთი ესეთი მხიარული და მეორე კი ასეთი ტრაგიკული.

მე დავკარგე სჯუზი ცამეტი წლის წინათ; მისი დედა დავკარგე, მისი შეუდარებელი დედა!—სუთ ნახევარი წლის წინათ; კლარა წავიდა, რომ ევროპაში იცხოვროს. ეხლა კი დავკარგე ჟანნაც. რა ღარიბი ვარ ეხლა მე, მე, რომელიც ოდესღაც ასეთი მდიდარი ვიყავი! შვიდი თვის წინათ გარდაიცვალა მ. როჯერსი—ერთი საუკეთესო ჩემი მეგობართაგანი და ყველაზედ უფრო მეტად სრულყოფასთან ახლო მდგომი ადამიანი და საუკეთესო ჯენტლემენი, როგორსაც კი შევხვედრივარ ჩემს თანამემამულეთა შორის; ამ უკანასკნელ ექვს კვირაში წავიდნენ საიქიოს ჯილდერი და ლაფფანი, ძველი ჩემი მეგობრები. ჟანნა წევს იქ, მე კი ვზივარ აქ. ჩვენ, ჩვენს საკუთარ ბერ ქვეშ უცხონი გავხდით; ჩვენ ხელებზედ ვაკოცეთ ერთმანეთს გუშინ საღამოს გამოთხოვებისას, აი ამ კარებთან—და ეს კოცნა თურმე უკანასკნელი იყო სამუდამოთ, და ჩვენ, კი ეს ეჭვითაც არ ვიცოდით. ის წევს იქ, და მე კი ვზივარ აქ—ვწერ, ვმეცა-

დინობ, რომ გული არ გატყდეს. რა თვალის მომჭრელათ აფრქვევს მზე თავის სხივებს გარემო მთებს!.. ეს თითქოს დაცინვაა.

სამოცდა თოთხმეტი წელი—ოცდა ოთხი საათის წინათ, სამოცდა თოთხმეტი წელი გუშინ, და დღეს კი, ვის შეუძლიან სწორეთა სთქვას ჩემი წლოვანება?

მე ეს არის ეხლა უყურებდი მას ხელახლად. მე მიკვირს, რომ შემიძლიან ამის ატანა. იგი სწორედ ისე გამოიყურება, როგორც გამოიყურებოდა მისი დედა, როდესაც იწვა მკვდარი, მაშინ, დიდი ხანია უკვე, იმ ფლორენციულ ვილლაზედ. ტკბილი სიმშვიდე სიკვდილისა! იგი ძილზედ უფრო მშვენიერია.

მე ვნახე, როგორ მარხავდნენ მის დედას. მე ვთქვი მაშინ, რომ ვეღარასოდეს ვერ ავიტან ამისთანა საშინელებას; რომ არასოდეს აღარ ჩავიხედავ ჩემთვის ძვირფასი არსების საფლავში. მე ჩემს სიტყვას ვასრულებ. ხვალ ანნას წაიყვანენ ამ სახლიდან და გადიყვანენ ელმირაში, ნიუიორკში, სადაც განისვენებენ ისინი ჩვენ შორის, რომელთაც ეღირსათ განთავისუფლება, მაგრამ მე მას არ გავყვები.

ანნა ნავთსაყუდელთან იყო, ბაქანზედედ როდესაც გემი შევიდა ნავთსადგურში, ოთხი დღის წინათ. ის კარებში იდგა მთლათ გაშუქებული ალერსიანი მოსალმებით, როდესაც მე დავბრუნდი სახლში შემდეგ საღამოს. ჩვენ ვთამაშობდით ბანქოს და ის ცდილობდა ესწავლებინა ჩემთვის ახალი თამაშობა, სახელწოდებით „მარკ ტვენ". ჩვენ ვისხედით და ვლაპარაკობდით, ისე ბედნიერათ ბიბლიოთეკაში გუშინ საღამოს და ის მე ნებას არ მაძლევდა შემეხედა ორანჟერეიაში, სადაც ის რაღაცეებს ამზადებდა საშობაოდ. ის ამბობდა, რომ ყველაფერს გაათავებს დილით, რომ მერე მოვა პატარა ფრანგი-ქალი—მისი მეგობარი ნიუ-იორკიდან და შემდეგ ამას მოჰყვება სიურპრიზი. ის სიურპრიზი, რომელზედაც ის შრომობდა რამოდენიმე დღე ზედი-ზედ.

ერთხელ, სანამ ის სახლში მოვიდოდა მე უსინდისოდ შევიხედე იქ ერთი წამით. სათბურის იატაკი მთლათ დაფენილი იყო ხალიჩებით, და ავსებული სკამებითა და სავარძლებით. იქვე იყო დაუმთავრებელი სიურპრიზიც—შობის ხე, მთლად მორთულ-მოკაზმული ვერცხლის ძაფებით, იქვე გვერდზედ, სკამებზედ ეწყო აუარებელი ბრჭყვიალა მოსართავები, რომელთა ზედ ჩამოკიდება, მას განზრახული ჰქონდა დღეისათვის. რომელი მკვრეხელი ხელი გაბედავს მიიღოს როდისმე ეს მრავალმეტყველი და დაუმთავრებელი სიურპრიზი?

რასაკვირველია, ეს ჩემი არ იქნება. ყველა ეს წვრილმანები მოხდა ამ უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში.

„წვრილმანები"? დიახ—მაშინ. არა ეხლა! ეხლა აღარსფერია წვრილმანი ქალიდან, რასაც კი ის ლაპარაკობდა, ფიქრობდა, ან აკეთებდა. მისი გამოულეველი იუმორი? მისი სიხიარულე? სად გაქრნენ ისინი? ეხლა ისინი გახდნენ მაღალნი და გულის ამაჩუყებელნი, დიაღ გულის ამაჩუყებელნი და ფიქრი მათზედ ცრემლებს იწვევს.

ყველა ეს წვრილმანები ხდებოდა რამდენიმე საათის წინათ,—ეხლა კი ის

იქა წევს. წევს იქ და არაფერი არ აინტერესებს, არაფერზედ აღარ ზრუნავს. უცნაურია—სასწაულებრივი—დაუჯერებელი! მე უკვე განმიცდია ამ გვარი რაღაც წინათაც, მაგრამ ათასჯერ, რომ მომხდენოდა ამის განცდა ზედი-ზედ მაშინაც კი ასევე დაუჯერებელი იქნებოდა.

— მ ი ს ს ჟ ა ნ ნ ა გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა!

აი რა სთქვა კეტტიმ როდესაც მე შემომესმა, რომ ჩემ თავთან კარები იღება, წინასწარ დაუკაკუნებლივ, გავიფიქრე: ალბათ ჟანნა შემოდის, რომ მაკოცოს და მისურვოს დილა მშვიდობისა, რადგანაც მხოლოდ ის შემოდიოდა ხოლმე ასე ჩვეულებრივ, უცერემონიოთ...

და ამ რიგათ...

მე ჟანნას ბუდუარში ვიყავი. რა ქოსია საშობაო საჩუქრებისა მეგობრებისთვის და მოსამსახურეთათვის! ყველგან არიან მიმოფანტულნი: მაგიდებზედ, სავარძლებზედ, იატაკზედ; ყველაფერი დაკავებულია და ავსებული. მრავალმა, მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მე სწორეთ ამ გვარი რამ ვნახე; დიდი ხანია მას აქეთ, იმ გამჭრალ დღეებში, როდესაც მე და მ-სს კლემენსი ჩვეულებრივ შევიპარებოდით საბავშვო ოთახში შობის წინა დღეს და იქ ვათვალიერებდით მომზადებულ ხროვას საჩუქრებისას. ბავშვები მაშინ პატარები იყვნენ და ეხლა ჟანნას ბუდუარს სჯორედ ისეთი შესახედაობა აქვს, როგორიც მაშინ ჰქონდა საბავშვო ოთახს. საჩუქრებს ჯერ წარწერები არა აქვთ, ვის ეკუთვნიან. უმოქმედოა საუკუნოთ ის ხელი, რომელსაც ეს წარწერები უნდა გაეკეთებინა დღეს. ჟანნას დედა რამდენს წვალობდა ხოლმე ამ საშობაო სამზადისის დროს. ჟანნაც ასე მოიქცა გუშინ და წინა დღეებშიაც და ეს დაღალვა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. დაღალვამ სახსრების მოდუნება და კრუნჩხვა გამოიწვია, რომელიც ამ დილით დაემართა. სნება უკვე რამდენიმე თვეა არა ჰქონდა.

ჟანნა ისე სავსე იყო სიცოცხლით და ენერგიით, რომ ყოველთვის გაბედულებას იჩენდა გაეკეთებინა მეტი, ვიდრე ამის ნებას აძლევდნენ მისი ძალები. ყოველ დილას რვის ნახევარზედ ის უკვე უნაგირზედ იყო და მიქროლავდა სადგურისკენ ფოსტის მოსატანად. ის არჩევდა წერილებს, მე კი ვარიგებდი: ზოგი მას, ზოგი მ. პენს, ზოგი სტენოგრაფს, და დანარჩენებს მე ვტოვებდი. ის თავის საქმეს კარგათ ასრულებდა, მერე ჯდებოდა ისევ ცხენზედ თავისი ფერმის მოსაველელად, ან თავისი შინაური ფრინველების ეზოს ათვალიერებდა და ასე აწნაირად, მთელს დანარჩენს დღეს. ხან და ხან სადილის შემდეგ მეთამაშებოდა ბილიარდს, მაგრამ ჩვეულებრივ კი ისე დაქანცული იყო ხოლმე, რომ თამაშობა არ შეეძლო და ადრე ჯვებოდა დასაძინებლად.

გუშინ მე ველაპარაკებოდი იმ გეგმებზედ, რომელიც მე შევადგინე ბერმუდის კუნძულებზედ ყოფნის დროს, მისი შრომის შესამსუბუქებლათ. ჩვენ უნდა ავიყვანოთ უსათუოთ დიასახლისი ქალი, მისი მუშაობის ნაწილი მდივნობის საქმეში კი გადავცეთ მ. პენს.

არა—ის არა თანხმდებოდა. იმას თითონაც ჰქონდა თავისი გეგმები შედგენილი. საქმე კომპრომისით დასრულდა. მე დავმორჩილდი. მე ყოველთვის ვმორჩილდებოდი. იმას არა სურდა მარტო ანგარიშების სწორება აეღო თავის თავზე და ჩეკების შევსება კი მ. პენისათვის გადაეცა—იგი განაგრძობს ამის კეთებას ისევე თვითონ. დიასახლისობასაც არ დასტოვებს, მხოლოთ კეტტის მისცემს ნებას, რომ მიეხმაროს ხოლმე. განაგრძობს აგრეთვე ჩემი მეგობრების კერძო წერილებზედ პასუხების მიცემას. ასეთი იყო კომპრომისი. ჩვენ ორივემ ეს სახელი უწოდეთ მიღწეულ შეთანხმებას, თუმცა მე სწორე გითხრათ ვერა ვხედავდი ცვლილება რაღაში მოხდა.

მაგრამ ჟანნა კმაყოფილი დარჩა და ეს ჩემთვის საკმარისი იყო. ის ამაყობდა ჩემი მდივნის სახელით და მეც არასოდეს არ შემეძლო დამერწმუნებინა, რომ ამ უმადური შრომის ნაწილზედ მაინც ეთქვა უარი.

გუშინ საღამოს ლაპარაკის დროს მე გამოვთქვი აზრი, რომ ყველაფერი ისე კარგად და მწყობრად მიმდინარეობს, რომ თუ მას არაფერი ექნება საწინააღმდეგო მე ისევ ვაპირებ წასვლას ბერმუდის კუნძულებზედ თებერვალში, რომ ერთი თვით კიდევ განვმარტოვდე და მოვისვენო ყოველგვარ ხმაურობისა და ჩოჩქოლისაგან ტკბილს განშორებაში. მან გატაცებით დამიწყო რწმუნება, რომ უსათუოთ ასე მოვქცეულიყავი და მეუბნებოდა, რომ თუ ჩემს წასვლას მარტისათვის გადავდებ, მაშინ ის წამოიყვანს კეტტისაც და წამოვა ჩემთან ერთად.. ამის გამო ჩვენ ხელი ხელს დავკარით და ვთქვით, რომ ეს უკვე გადაწყვეტილია. მე ვაპირებდი ხვალინდელი გემით გამეგზავნა წერილი ბერმუდებზე, რომ დაემზადებინათ იქ მოწყობილი ბინა და მოსამსახურეები. მე განზრახული მქონდა ამ წერილის დაწერა დღეს დილით. მაგრამ ეხლა იგი არასოდეს არ დაიწერება.

იმიტომ რომ ის წევს იქ და მას სხვა გზა უდევს წინ.

საღამო ახლოვდება; მზის ვიწრო არშია ძლივს-ღა მოსჩანს მთის მწვერვალების კიდეებიდან.

მე ისევ უყურებდი ამ სახეს, რომელიც დღითი დღე უფრო ძვირფასი ხდებოდა ჩემთვის. მე ვეცნობოდი ჟანნას ამ უკანასკნელ ცხრა თვეს. მას ღიდი ხნით მოუხდა თავის მშობლიური სახლიდან დევნილი ყოფილიყო, ვიდრე ჩვენ დაგვიბრუნდებოდა ამ წლის სამი მეოთხედის წინათ. იგი გამომწყვდეული იყო სანატორიუმებში რამდენიმე მილის სიშორეზე ჩვენგან. რა ცხარე, რა მტკეული იყო მისი სიხარული და მადლობა, როდესაც ხელახლად გადმოაბიჯა თავისი მამის სახლის კარების ზღუდეს.

დაუბრუნებდი მე მას სიცოცხლეს, რომ შემეძლოს? არა, არ დაუბრუნებდი. ამისი მიღწევა ერთის სიტყვით რომ ყოფილიყო შესაძლებელი, მე შევეედრე-

ბოდი ჩემთვის ისეთი ძალის მონიჭებას, რომ ეს სიტყვა არ წარმომეთქვა. და მე ეს ძალა მექნებოდა, მე ამაში დარწმუნებული ვარ. მისი დაკარგვით მე ყველაფერი დავკარგე, ეხლა მწუხარება მრჩება ცხოვრებაში მარტოოდენ, მაგრამ მე კმაყოფილი ვარ, იმიტომ, რომ მან უუმაღლესი წყალობა მიიღო, უუძვირფასესი სიკეთე—ის სიკეთე, რომლის წინაშე სხვა დანარჩენი ღარიბი და უმნიშვნელო არიან—სიკვდილი. მას შემდეგ, რაც მე შუა ხანს მივაღწიე, მე არც ერთხელ არ მომისურვებია, რომელიმე ჩემი განთავისუფლებული მეგობარ-თაგანი დამებრუნებინა სიცოცხლისათვის. მე ასე ვიგრძენ, როდესაც განისვენა ჴაუზმ; შემდეგ ჩემმა მეუღლემ; უფრო გვიან მ. როჯერსმა; როდესაც კლარა დამიხვდა ნაუ-იორკში სადგურზედ და მითხრა, რომ მ. როჯერსი იმ დილას უკცრათ გარდაიცვალა, პირველი ჩემი ფიქრი იყო: ო, ბედის რჩეულო, რჩეულო ვთელს შენს დიდი ხნის მშვენიერ სიცოცხლის განმავლობაში, რჩეულო შენს უკანასკნელ წუთებშიაც!

რეპორტიორები გადმოგვცემდნენ, რომ მე თვალებზედ მწუხარების ცრემლები მქონდა. მართალია, მხოლოდ ეს ცრემლები იყო ჩემს თ ა ვ ზ ე დ და არა მისი გულისათვის. მას არაფრის დაკარგვა არ განუცდია. ყველა ის სიმდიდრე, რომელიც კი მას შეუძენია წინეთ, სიღატაკე იყო შედარებით ამ საუნჯესთან.

რათ ავაშენე, მე ეს სახლი ორი წლის წინათ? ამ განუზომელი სიცალიერისათვის? რა უგუნური ვყოფილვარ! მაგრამ მე შიგ დავრჩები. ჩემთვის გარდაცვლილთა სულები სახლს სიწმიდესა ჰფენენ. ეს ასე არ იყო ჩემი ოჯახის დანარჩენ წევრებისათვის. ჴაუზი გარდაიცვალა იმ სახლში, რომელიც ჩვენ გავაშენეთ ჰარტფორდში და მისს კლემენსმა აღარასოდეს არ მოისურვა შიგ შესვლა. ჩემთვის კი ამის გამო, იგი უფრო ძვირფასი გახდა. მე ერთხელ მომიხდა შესვლა ამ სახლში, როდესაც იგი იდგა დაცალიერებული, მაგრამ ჩემთვის იგი წმიდა და მშვენიერი ადგილი იყო. მე მეჩვენებოდა, რომ გარდაცვლილთა სულები თავს დამტრიალებდნენ და მელაპარაკებოდნენ მე, მომესალმებოდნენ, რომ შესძლებოდათ: ლივიც, ჴაუზიც, ჯორჯიც, გენრი რობინსონიც, და ჩარლზ დედლეი ვარნერიც.

რა კეთილნი და კარგები იყვნენ, რა სამაგალითო და სიყვარულით სავსე იყო მათი ცხოვრება; ჩემს ოცნებაში მე მათ ყველას ვხედავდი ისევ. მე შემეძლო ისევ დამეძახნა ბავშვებისათვის და მომესმინა, როგორ დაიწყებდნენ ისინი თამაშობას და ბღლაძუნს ჯორჯთან. ამ შეუდარებელს, შავს ყოფილ მონასთან, ბავშვების სალოცავ კერპთან, რომელიც ერთხელ მოვიდა ჩვენთან შემთხვევითი გამვლელი—რომ ფანჯრები დაერეცხა და დარჩა სახლში თვრამეტი წელი. სიკვდილამდის. კლარას და ჟანნას არასდროს არ შეეძლოთ შესულიყვნენ ნაუ-იორკის იმ სასტუმროში, სადაც მუდამ დაიარებოდა მათი დედა, წინანდელ დროში. ისინი ამას ვერ იტანდნენ, მაგრამ მე კი ამ სახლში დავრჩები. იგი ჩემთვის ამ საღამოს უფრო ძვირფასია, ვიდრე როდისმე წინათ. ჟანნას სული

გახდის მას მშვენიერად, ჩემთვის სამარადისოდ. მისი განმარტოებული და ტრაღიკული სიკვდილი... მაგრამ არ ვიფიქრებ ამაზედ ეხლა.

ჟანნას დედა ყოველთვის ორ-სამ კვირას შესწირავდა ხოლმე საშობაო ნივთების სავაჭროთ სიარულს და ყოველთვის ფიზიკურად საშინლად დატანჯული იყო, როდესაც დადგებოდა შობის წინა დღე. ჟანნა სავსებით თავისი დედის შვილი იყო — თავის თავს ბოლო მოუღო ამ უკანასკნელ დღეებში ნიუიორკში საჩუქრების ძებნის დროს. ჰენმა ეს არის ეხლა მის ბჟუვარში იპოვა. გრძელი სია სახელებისა — ორმოცდა ათამდის არის, როგორც ისა ფიქრობს — ყველა იმათი, ვისაც მან დაუგზავნა საჩუქრები გუშინ საღამოს. ეტყობა არავინ დავიწყებია. კეტტიმ კი იქვე იპოვნა მთელი დასტა ბანკის ბილეთებისა. მოსამსახურეთათვის.

იმისი ძაღლი დღეს სულ დაყიალობდა ბაღსა და ეზოში მარტო და მიტოვებული. მე თანჯრიდან ვხედავდი მას. ჟანნამ იგი გერმანიაში შეიძინა. აცქვეტილი ყურები აქვს და მთლათ მგელსა ჰგავს. იგი გერმანიაში აღიზარდა. და არც ერთი ენა არ ესმის, გარდა გერმანულისა. ჟანნა ყოველთვის მას ამ ენაზედ ელაპარაკებოდა და უბრძანებდა, ამ გვარად, როდესაც ამ ორი კვირის წინათ, ღამე, უცებ ქურდებისაგან გამაფრთხილებელმა ზარმა დაიყღარუნა, ბუფეტის გამგე, ფრანგი, რომელმაც გერმანული ლაპარაკი არ იცის, ამაოდ ცდილობდა დაეინტერესებინა ეს ძაღლი მოსალოდნელი ქურდით. ჟანნა მე ამ შემთხვევას მწერდა ბერმუდის კუნძულებზედ. ეს უკანასკნელი წერილი იყო, რომელიც ბედის განჩინებით მე უნდა მიმეღო ამ ნათელი პატარა თავის დამოხერხებული ხელისაგან. ეს ძაღლი არ იქნება გადაგდებული ბედის ანაბარად.

არ არსებობდა ქვეყანაზედ უფრო კეთილი პატარა გული, ვიდრე ჟანნასი. ბავშობიდანვე ის ყოველთვის უმეტეს ნაწილს თავის სახარჯავ ფულისას სხვა და სხვა სამოწყალო საქმეებზედ ხარჯავდა. როდესაც მდივანი გახდა, როდესაც მისი ქონება გაორკეცდა, ის ფულებს ამ საგნებზედ უხვი ხელით აპნევდა, თავისებსაც და ჩემებსაც, ვამბობ ამას სიხარულით და მადლობით.

ის ერთგული მეგობარი იყო ყველა ცხოველებისა და უყვარდა ისინი ყველანი: ფრინველები, ბხეცები და გველებიც კი — ჩემი მემკვიდრეობა. იგი სცნობდა ყველას: ფრინველებს, მხეცებს, გველებსაც კი — მემკვიდრეობას ჩემგან. ის იყო წევრი რამდენიმე კაცთ მოყვარე საზოგადოებისა, ჯერ ისევ მაშინ, როდესაც პატარა გოგონა იყო, — როგორც აქ, ისე საზღვარ-გარეთ და დარჩა მომქმედ წევრად ბოლომდის. მან დაარსა ორი თუ სამი ცხოველების მფარველი საზოგადოება აქაც და ევროპაშიაც.

ის არ იყო მოხერხებული მდივანი, რადგანაც ჩეჩქის კალათიდან ამოაცოცებდა ხოლმე ჩემს კორესპონდენციებს და აძლევდა პასუხებს წერილებზედ. ის ფიქრობდა, რომ ყველა წერილი ღირსია პასუხისა, რომ ამას მოითხოვს ზრდილობა. მისმა დედამ გაზარდა იგი ამ დიდსულოვან შეცდომილებაში.

მას კარგი წერილის დაწერა შეეძლო და კალამს მსუბუქათ ხმარობდა. მუსიკალური სმენა არა ჰქონდა კარგათ განვითარებული, მაგრამ ენებს შესანიშნავი სიადვილით ითვისებდა და ის არასოდეს არ დაუშვებდა, რომ მისი ცოდნა იტალიანურისა, ფრანგულისა და გერმანულისა მოჩლუბგებულიყო მისი დაუდ ერობის გამო.

თანაგრძნობის დეპეშები ყოველი მხრიდან მოფრინავენ ჩემსკენ, ქვეყნის სულ შორეული კუთხეებიდან, სწორედ ისევე, როგორც მოფრინავდნენ ისინი იტალიაში ამ ხუთ ნახევარი წლის წინათ, როდესაც ამ ბავშვის დედამ დაამთავრა თავისი უმწიკვლო სიცოცხლე. მათ არ შეუძლიანთ განკურნონ ჭრილობები, მაგრამ შეუძლიანთ ცოტათი მაინც ტკივილი მიაყუჩონ. როდესაც მე და ჟანნა ვკოცნიდით ერთმანეთს ხელებზედ და ვეთხოვებოდით ჩემი ოთახის კარებთან გუშინ საღამოს, რა ძნელათ წარმოვიდგენდით ჩვენ, რომ ოცდა ორი საათის შემდეგ ტელეგრაფი მომიტანდა ამგვარ სიტყვებს: „გულის სიღრმიდგან გიგზავნით ჩვენ თანაგრძნობას, ძვირფასო მეგობარო.“ ბევრი, ბევრი მომავალი დღეების განმავლობაში მოგონებები ჟანნაზედ დამიწყებენ მე მდუმარედ მოთხრობას ყოველთვის მასზედ, როცა კი შევალ სახლში. ვინ მოსთვლის მათ?

მან ორი წელი დაჰყო სხვაგან იმ იმედით, რომ გასაღდებოდა ავათმყოფობისაგან, ეპილეპსიისაგან. სიტყვები არ მომეძებნება მადლობის გამოსათქმელათ იმისათვის, რომ ბედის წერამ, უცხო ხალხში კი არა, არამედ მოყვარული მშობლიური სახლის ჰერის ქვეშ, უსწრო მას.

მ ი ს ს ჟ ა ნ ნ ა გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა!

ეს მართალია, ჟანნა გარდაიცვალა. ერთი თვის წინათ მე ვწერდი უმნიშვნელო, სახუმარო სტატიებს გამოსასვლელ ჟურნალებისათვის, ეხლა კი—ვწერ ამას.

შ ო ბ ა. შ უ ა დ ღ ე.—გუშინ საღამოს დრო გამოშვებით შევდიოდი ჟანნას ოთახში, გადავწევდი ზეწარს და ვაკვირდებოდი მშვიდ სახეს, და ვკოცნიდი ცივ შუბლს, და ვიგონებდი იმ გულის გამგმირავ ღამეს ფლორენციაში. ო, რა დიდი ხანია მას შენდეგ,—იმ ვეებერთელა აკლდამისებურ, მდუმარე ვილლაში, როდესაც მე ისე ხშირად ჩავდიოდი კიბეზედ და გადავწევდი ზეწარს და ვაკვირდებოდი სახეს, აი სწორეთ ამ გვარ სახეს,—სახეს ჟანნას დედისას—და ვკოცნიდი შუბლს, სწორეთ ამისთანა, ამის მინაგვან შუბლს. და გუშინ საღამოს მე ხელახლად დავინახე ის, რაც დავინახე მაშინ—ის საოცარი და მშვენიერი სასწაული,—თუ მოწყალე ხელი სიკვდილისა, როგორ უბრუნებს სახეს ნაზს და რბილ ფერს სიუბუკისას. როდესაც ჟანნას დედა მკვდარი იწვა, ყველა ნაკვალევი ზრუნვისა, მწუხარებისა, ტანჯვისა და გამანადგურებელ წლებისა, მისი სახიდან ამოიშალნენ და მე ვხედავდი ჩემს წინაშე იმას ისეთს, როგორიც

ვნახე მთელი თაობის წინათ, როდესაც ვეთაყვანებოდი მის სინორჩეს და სილამაზეს.

ასე დილის სამი საათი იქნებოდა, ღრმა სიჩუმეში, როდესაც დავხეტიალებდი სახლში, როგორც ჩვეულებრივ დახეტიალობენ იმისთანა წუთებში, როდესაც მოუშორებლივ გდევნის მუნჯი შეგნება იმისა, რომ დაიკარგა რაღაც, რაც ვერასოდეს იპოვნება, რაც აუცილებლად უნდა ეძებო, თვით ამ ძებნისათვის მაინც, რაც უნაყოფო საქმეს წარმოადგენს—მე წავაწყდი ჟანნას ძაღლს ქვეითა დერეფანში და შევამჩნიე, რომ ის არ წამოხტა მოსასალმებლათ თავისი სტუმართმოყვარეობის ჩვეულებისამებრ, პირიქით ნელა და ნაღვლიანად მომიახლოვდა; მე მომაგონდა აგრეთვე, რომ ის არ ყოფილა ჟანნას ოთახებში უბედურების წუთიდან. საბრალო პიოუტყვი, ესმოდა კი მას? ვფიქრობ, რომ ჰო. როდესაც კი ჟანნა გავიდოდა სასეირნოდ მინდორ-ველებზედ ის თან მიდიოდა; როდესაც ის სახლში იყო, ძაღლი ყოველთვის მასთან იმყოფებოდა, როგორც დღე, ისე ღამე—ჟანნას ბუდუარი საწოლ ოთახათა ჰქონდა. როდესაც შევხვდებოდი ქვეითი ის ყოველთვის მომდევდა უკან ყველა ოთახებში; თუ ძაღლა შევხვდებოდი, ფიცხლავ გამოქროლდებოდა ჩემსკენ და მომდევდა კიბეზედ. მაგრამ ეხლა ეს ასე არ იყო: როდესაც ცოტა მიუალერსე, მე წაველ ბიბლიოთეკაში—ის უკან ჩამომრჩა, როცა წავედი ძაღლა, ის უკან არ გამომყვა, მხოლოდ, გამაცილა თავისი ჭკვიანი თვალებით. მას საკვირველი თვალები აქვს—დიდი, კეთილი, მეტყველი. იგი ამ თვალებით ლაპარაკობს პირდაპირ. ლამაზი ცხოველია, ნიუიორკის საპოლიციო ძაღლების ჯიშისა. საზოგადოდ მე ძაღლები არ მიყვარს, იმიტომ რომ სრულიად უმიზეზოთ იციან ყეფა, მაგრამ ეს კი მიყვარდა, რადგანაც ჟანნას ეკუთვნოდა და იმიტომაც, რომ იგი არასოდეს არ იყეფება, თუ საჭიროება არ მოითხოვს—რაც ერთხელ ან ორჯერ მოხდება ხოლმე კვირაში.

ჩემს უმიზნოთ გასეირნა-გამოსვლის დროს ოთახიდან ოთახში ჟანნას ბუდუარში შევედი. იქ თაროზე ვიპოვნე ჩემი წიგნების მთელი წყება და მივხვდი რასაც ნიშნავდა. ის მე მელოდებოდა, რომ ბეომუდის კუნძულებიდან დაბრუნების შემდეგ ხელი მოეწერა მათზე, რომ მერე მას ისინი დაეგზავნა დანიშნულებისამებრ. ნეტავი ვიცოდე მაინც, ვისთვის ქონდა დანიშნული; მაგრამ მე ამას ველარასოდეს გავიგებ. მე შევინახავ მათ. მათ ხომ მისი ხელი ეხებოდა—ეს კი ჯილდოა, წარჩინება, იგინი გაკეთილშობილებული არიან.

ცალკე ოთახში კი მას შეენახა სადუპრიზი ჩემთვის—საგანი, რომლის შეძენა ხშირათ მომისურვებია: საუცხოვო, დიდი გლობუსი. მე ვერ დავათვალიერე იგი კარგათ ცრემლების გამო. ის არასოდეს არ გაიგებს, როგორ ვამაყობ მე ამ ნივთით და როგორა ვსტკებები. დღეს ფოსტამ მოიტანა მრავალი სასიყვარულო მოგონებები მისთვის; მრავალი ძველი, ძველი საალერსო სიტყვები, რომელნიც მას ასე უყვარდა: „სასიხარულო შობას გილოცავ, ძვირფასო ჟანნა“—ერთი დღით მეტი, რომ ეცოცხლა!

ბოლოს მან სულ დახარჯა თავისი ფულები და არ უნდოდა ჩემიდამ აეღო და ამიტომ ერთ-ერთ თავშესაფარს ღარიბ ბავშვებისათვის ნიუ-იორკში გაუგზავნია ყველა თავისი ზედმეტი კაბები—და არა მარტო ზედმეტი, უფველია.

შ ო ბ ი ს ს ა ღ ა მ ო.—დღეს შუა დღის შემდეგ იგი წაიღეს თავის ოთახიდან, როგორც კი შესაძლებელი გახდა მე ჩავედი ბიბლიოთეკაში. იქ იწვა ის კუბოში, ჩაცმული სწორეთ იმ კაბაში, რომელშიაც იდგა იგი ამ ოთახის მეორე ბოლოში 6-ს ოქტომბერს წარსული წლისა, როგორც მთავარი მდადე კლარასი მაშინ მისი სახე გაბრწყინებული იყო სასიხარულო ღელვით; ეხლა ეს იგივე სახე იყო, მხოლოდ სიკვდილის ბეჭედ დაკრული და სავსე სიკეთით ღვთაებრივი სიმშვიდისა. მე მითხრეს, რომ მისი ძაღლი შეეოვიდა აქ ყველაზე უწინ. ის მოვიდა, თუმცა მისთვის არავის დაუძახნია, დადგა უკანა ფეხებზედ. დააწყო წინა ფეხები კუბოს სადგომზედ და დიდ ხანს, დიდ ხანს უყურა, თითქოს ეთხოვებაო, მისთვის ძვირფას სახეს, მერე წავიდა იქით ჩუმათ, როგორც მოვიდა. მ ა ს ე ს მ ი ს.

დღეს თოვლი მოვიდა. რა სამწუხაროა, რომ ჟანნას არ შეუძლია მისი ნახვა; მას ისე უყვარდა თოვლი.

თოვლი განაგრძობდა დენას. ექვს საათზედ კატაფალკი მოვიდა შემოსავალ კარებთან, რომ წაიღოს თავისი ტვირთი. სანამ კუბოსა სწევდნენ, პენმა დაიწყო დაკვრა ორკესტრიონზე „Impromptu“ შუბერტისა, ჟანნას საყვარელი ნაწარმოები. მერე დაუკრა „„Intermezzo“-ეს იყო სჟუზისათვის, შემდეგ „Largo“-მათი დედისათვის. მან ეს ჩემი თხოვნით გააკეთა. მე მაქეს ნათქვამი სხვა ადგილას ავტობიოგრაფიისა, თუ როგორ მოხდა ის, რომ „Intermezzo“ და „Largo“ განუყოფელნი არიან ჩემს გულში სჟუზისა და ლივის აქაურ ცხოვრების უკანასკნელ საათების მოგონებებთან.

მე ფანჯარიდან ვხედავდი, როგორ გაკრძელდნენ გზაზედ კატაფალკი და მისი გამცილებელი კარეტები, თან და თან როგორ გაურკვეველი და ლანდებივით გახდნენ ზევიდან მომავალ თოვლის ქვეშ და ბოლოს როგორ გაჭრეს. ჟანნა წავიდა ჩემი ცხოვრებიდან და არ დაბრუნდება კვლავ არასოდეს. ჯერვისი, მისი ბიძაშვილი, რომელთანაც ის თამაშობდა ხოლმე, როდესაც ორივენი ბავშვები იყვნენ,—ის და მისი საყვარელი მოხუცებული კეტტი აცილებენ მას მისი ბავშვობის დროის შორეულ საცხოვრებელში. სადაც იგი ვანისვენებს ხელ ახლად თავისი დედის გვერდით, სჟუზი და ლანტდონთან ერთად.

<u>დეკემბერი 26.</u> ძაღლი მოვიდა დღეს ჩემს სანახავათ დილის რვა საათზედ. ძალიან ალერსიანი იყო, საწყალი ობოლი. დღეის იქით ჩემი ოთახი მისი თავშესაფარი იქნება.

კორიანტელი მთელ ღამეს მძვინვრებდა. დილითაც ქარბუქი იყო, თოვლი განიერ ტალღებათ დაჭრის ვაკეზედ. მდიდარი და დიადი სანახავია, ჟანნა კი, აქ არ არის, რომ დასტკბეს ამით.

<u>2-ს. 20 წ. შუადღის შემდეგ.</u> —ეს დანიშნული დროა. დაკრძალვა დაიწყო. ოთხასი მილი მაშორებს მე მათ, მაგრამ მე ვხედავ ყველაფერს ისევე ნათლად თითქოს იქ ვიყო. მოქმედების ადგილი: ბიბლიოთეკა ლანტდონების სახლში. ჟანნას კუბო სდგას იქ, სადაც ამ ორმოცი წლის წინათ ვიდექით მე და

მისი დედა, ჩვენი ჯვარის წერის დროს, და სადაც იდგა სიუზის კუბო ცამეტი წლის წინათ; სადაც იდგა კუბო მისი დედისა, ამ ხუთნახევარი წლის წინათ და სადაც იდგება ჩემიც, სულ ცოტა ხნის შემდეგ.

ნ საათი.—ყველაფერი გათავდა.

როდესაც კლარა წავიდა, ამ ორი კვირის წინათ, ევროპაში საცხოვრებლათ, ჩემთვის მძიმე იყო, მაგრამ მე შევიძელ ამის გადატანა, იმიტომ რომ მე მრჩებოდა ჟანნა. მე ვთქვი, რომ ჩვენ კიდევ ოჯახს შევადგენთ. ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენ მეგობრები ვიქნებით, ამხანაგები და ვიქნებით ბედნიერნი—ჩვენ ორნი. ეს საკვირველი, მშვენიერი ოცნება მქონდა გონებაში, როდესაც ჟანნა დამიხვდა გემიდან ჩამოსვლისას ორშაბათს; ეს მქონდა მე გონებაში, როდესაც ის მოვესალმა სახლის კარებთან სამშაბათს საღამოს. ჩვენ ვიყავით ერთად; **ჩვენ შევადგენდით ოჯახს.** ოცნება განხორციელდა—დაუფასებლათ, სასიკეთოთ, სასიხარულოთ—განხორციელდა და გასძლო მთელი ორი დღე.

ეხლა კი? ეხლა ჟანნა საფლავშია!

საფლავში—შეიძლებ კი დაიჯერო!

თარგმანი: **მარი ციციშვილისა.**

ნოდ. სავინკოვა

დედის მოგონება

„დაუყოვნებლივ გამოეშურეთ კურიერით სევასტოპოლში, შვილს სურს თქვენი ნახვა—დამცველი ივანოვი“.

ასეთი შინაარსის დეპეშა მივიღე საღამოს 16 მაისს 1906 წელს... სისხლი თავში ამივარდა, არ უშვებდი ხელიდან ქაღალდის პატარა ნაგლეჯს, რომელმაც ახალი, უზომო მწუხარება მომიტანა. ათჯერ მაინც გადავიკითხე, რომ გამოვრკვეულიყავ და რამე მომეაზრებინა.

ამ დრომდის მე არ ვიცოდი სად იმყოფებოდა ჩემი შვილი. თავის სურვილის წინააღმდეგ დასტოვა მან სამშობლო, რომ თავიდან აეცილებინა იაკუტის ოლქში გადასახლება. ჩემის ფიქრით ის საზღვარ გარეთ უნდა ყოფილიყო.

მისმა ბედმა კი სხვანაირათ იმუშავა... ორი დღის წინ ტელეგრაფმა გვაუწყა, რომ სევასტოპოლში მოხდა ამბოხება ციხის კამენდანტის, ლენერალ ნეპლიუევის სასიკვდილოთ განზრახვის გამო, ჯარის აღლუმის დროს... დატყვევებულთა შორის ჩემი შვილის გვარი არ იყო,* მაგრამ სიტყვა „დამცველი“ კი ეეჭვს მიბადებდა და ძალა უნებურათ უკავშირებდი მიღებულ დეპეშას, სევასტოპოლში მომხდარ შემთხვევას. გაზეთებიდან ვიცოდით კაულბარსის განკარგულება, რომ დატყვევებულნი სამხედრო სამართალში მიეცათ. ალბათ ჩემი შვილიც მათ შორის არის, რადგან დამცველი ივანოვი დაუყონებლივ მიწვევდა...

აღარ მომიცია თავი უნაყოფო ფიქრისათვის. ვგრძნობდი რომ წასვლა აუცილებელია!..

იმ წამიდან, რაც დეპეშა მივიღე, სულით მე უკვე იქ ვიყავი, შორეულ სევასტოპოლში ჩემ ძვირფას შვილთან, მაგრამ დეპეშა დაგვიანებით მივიღე—საღამოს მატარებელმა გამასწოო, დილამდის უნდა მეცადა.

ის ღამე არასოდეს ჩემი ხსოვნიდან არ გამოვა...

დილას, 17 მაისს, მე უკვე გზაში ვიყავი:—სევასტოპოლისაკენ.

ჩემთვის რომ ვინმეს ეკითხა—როგორ მიეფიოდი, მახლდა ვინმე ჩემ მეგობრებთაგანი ან ნათესავნი, ან თუ რას მელაპარაკებოდენ, რომელ რონოდით მივდიოდი—ვერასფერზედ პასუხს ვერ გავცემდი; არასფერი არ დამრჩენია ხსოვნაში. მაგრამ იმავე დროს სრულიად გარკვევით მაგონდება ის ბოდვა, რამაც მთლათ ერთიანათ შემიპყრა. მატარებლის დაძვრისთანავე ჩემი შვილი მე მახლდა!.. შვილი, რომელიც ჩემი ძუძუთ გავზარდე, ვისთვის მთელი ღამეები მი-

თენებია... წარმომიდგა ვითომ მის აკვანზედ დავიხარე და ის კი იქიდან პატარა ხელებს მიპოტინებდა... ამ დროს უნებლიეთ გამიელვა ხსოვნაში დეპეშამ, რომელიც ჩემ ტვინს სერავდა: დამცველი ივანოვი, სევასტოპოლი, ბომბები, აფეთქება, სამხედრო სასამართლო და აკვნიდან იმართებოდა საბრჩობელა, გამოშვერილ პატარა ხელების მაგივრად კი კისერი!.. ჩემი შვილის—კისერი!.. და თმა ალყზედ ამიდგა!

ტყუილად ვცდილობდი გამენთავისუფლებია თავი ამ მოჩვენებისაგან, ტყუილად ვცდილობდი აღმედგინა ხსოვნაში შორეული წარსული, რომ მით დავიწყებისათვის მიმეცა საშინელი აწყმო. მოჩვენება თავს არ მანებებდა...

„მარტო შენ არა ხარ! მარტო შენ არა ხარ! ვეჩურჩულებოდი თავს!—„სპირიდონოვას დედა! ბოლმაშოვის დედა! კალიაევის დედა! შენისთანა უბედური დედები ათასობით არიან! მოდი გონს! გამაგრდი! გამხნევდი! ღირსეულათ შეხვდი ამ საშინელებას!“ მაგრამ მე არ შემეძლო თავი დედათ არ მეგრძნო, ამიტომ ტანჯვასაც ვერ ავსცდი...

— მოსკოვი უკვე ახლოა!—სთქვა მატარებლის გამძღოლმა. მის სიტყვაზედ მეც ძალაუნებურათ გამოვერკვიე. სადგურზედ მელოდებოდა ნაფიცი ვეტილი ვლადი ერ ანატოლისძე ჟდანოვი. მას პეტერბურღიდან აცნობეს.

ჟდანოვი ჩემთან შემოვიდა.

— რა ამბავია?—შემეკითხა ის. მე უხმოთ გაუწოდე მას დეპეშა. მან ყურადღებით გადიკითხა. მის ნათელ, უბოროტო სახეს ნისლი ჩამოაწვა. მე თვალს არ ვაშორებდი.

— ნუ დამიფიცავთ, მითხარით სიმართლე. პასუხის მაგივრათ მან ბარგის გადამზიდავს დაუძახა და უბრძანა ბარგი ჩემთან შემოეტანა.

— მოვდივარ თქვენთან—მითხრა მან უხალისოდ. ორთავე დიდხანს ესდუმდით, ვერც ერთი ლაპარაკის დაწყებას ვერ ვახერხებდით. ჰაერი დამძიმდა. ბოლოს მე ავიღე თავი.

— მითხარით სიმართლე!—კვლავ ვსთხოვე მე—მხოლოდ სიმართლე!

— ამბოხება მოხდა თოთხმეტ რიცხვს—დაიწყო მან ნელის ხმით—გაზეთებიდან ვიცით, რომ ოდესის ღენერალ-გუბერნატორმა კაულბარსმა ტელეგრაფით გასცა ბრძანება, საქმე სამხედრო სასამართლოსთვის გადაეცათ და გამოძიება დაეჩქარებიათ. კანონის ძალით ასეთ შემთხვევაში დამცველს დაუშვებენ მხოლოდ, ბრალდებულთან საბრალდებლო ოქმის ჩაბარების შემდეგ. დეპეშაში გარკვევით სწერია—„დამცველი ივანოვი“. მაშ დამცველს უნახავს ბრალდებული, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ოქმი ჩაბარებულია. გასამართლება უნდა მოხდეს ოცდა ოთხი საათის შემდეგ საბრალდებულო ოქმს რომ ჩააბარებენ და განაჩენის სისრულეში მოყვანაც უნდა მოხდეს ოცდა ოთხი საათის შემდეგ განაჩენს რომ გამოაქვეყნებენ. სულ საბრალდებულო ოქმის ჩაბარების წამიდან განაჩენის სისრულეში მოყვანამდის უნდა გავიდეს არა ნაკლებ ორმოცდა რვა საათისა. დააკავეს თოთხმეტს. დღეს ჩვიდმეტია. სევასტოპოლში მივალთ მხოლოდ ცხრამეტს!.. და ლაპარაკი შეწყვიტა. მე გაშტერებით შევსჯქეროდი.

— მაშ ცოცხალს ვეღარ მიუსწრებთ?

ჟდანოვმა უხერხულათ იგრძნო თავი.

— ყველაფერი მოსალოდნელია—უნებლიეთ მიპასუხა მან. მეც აღარ ჩავ-კითხებივარ.

— დამჯოვეთ მარტო—ვსთხოვე მე. ადგა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უსიამოვნოთ ჩაიქნია ხელი და გავიდა.

მთელი ღამე მარტოდ გავატარე...

18-ს დილით, არ მაგონდება, რომელღაც სადგურზედ მე ავსწიე ფანჯარა, გახურებული თავი რომ გამეგრილებინა... სადგურის ფენილზედ ჩემს პირდაპირ ორი მგზავრი იდგა, ფანჯრის გაღებაზე მათ უნებლიეთ შემომხედეს. ერთი მათგანი ვიცანი. ის იყო პალატის ყოფილი ბრალმდებელი პოლიტიკურ საქმეებში—ტრუსევიჩი. ვიგრძენ მისი შემოხედვით, რომ, მანაც მიცნო. საკმაოდ კარგათ ვიცნობდით ჩვენ ერთმანეთს ჩემი შვილების საქმეების გამო. განსაკუთრებით სდევნიდა მას, ვისთანაც ეხლა მივდიოდი. ცხრამეტი წლის ყმაწვილის დაპატიმრება კრებაზე წარმოთქმულ სიტყვისთვის, მისი უნივერსიტეტიდან დათხოვნა ისე, რომ არსად შესვლის ნება არ ჰქონოდა, ციხე, ეოლოგდაში გადასახლება, შემდეგ კი იაკუტის ოლქში, რის გამო ჩემი შვილი სულ გადიკარგა, მან სამზღვარ გარეთ ჰპოვა თავშესაფარი—ყველაფერმა ამან ტრუსევიჩის ხელში გაიარა. და ეხლა ჩვენ ერთათ მივდიოდით... მივდიოდით სევასტოპოლში ერთსა და იმავე საქმეზე, მაგრამ რა სხვადასხვა იყო ჩვენი მიზნები! რომ უყურებდი მას, ჩემ თავს ვეკითხებოდი: „ნეტავ რისთვის მოდის იქ?“ ისე გულ-უბრყვილო არ ვიყავი, რომ თავი მენუგეშებინა, თითქოს ის ჩემი შვილის ბედის შესამსუბუქებლად იქ მიეშურებოდა. პირ იქით მისი ამ დროს იქ ყოფნა უფრო საბედისწეროდ მიმაჩნდა. მინდოდა სულში ჩავძრომოდი მას და თვალს არ ვაშორებდი მის სახეს, მაგრამ ვერაფერსაც ვერ ამოიკითხავდი ამ გაპარსულ ნერვიულ სახეზედ. შევნიშნე მხოლოდ ჩემ დანახვაზე მას თვალები გაუბრწყინდა და თავის მგზავრს რაღაზედაც ჩაელაპარაკა. მე მომესმა, უფრო მივხვდი, რომ ეს ფრაზა შეიცავდა:

„სავინკოვის დედაა“.

ტრუსევიჩს თან ახლდა ჟანდარმის ოფიცერი. ჩემ „მწუხარების წლებში“ მე უკვე ვწერდი, რომ არა ერთი შემთხვევა მქონია მათი ნახვისა და იმდენი დაკვირვებაც, რომ სრულიად გარკვეული წარმოდგენის ვიყავი მათზედ, მიუხედავად ამისა, სადგურზე მდგარ ჟანდარმა ყველა უწინ ნახულ ლურჯ მუნდირებს გადააჭარბა. მისი გამოხუნებული, თითქო ბინდ გადაკრული თვალები, გაფითრებული სახე, ჭუჭყიანი წარბ-წამწამი ისევე ჩაყვითლებულთ ულვაშები ძაფივით თხელი ტუჩები—ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდენ რომ იშვიათად მის სახეს დაივიწყებდით...

სევასტოპოლში მან უკვე ჰპოვა გამართლება...

გადაცმულ ტანისამოსში მიდიოდა ის ციხეში მასწავლებლის სახელითა. ახალგაზდა მაკაროვთან, რომელმაც ბომბა ისროლა და არწმუნებდა მას, რომ ეჩვენებინა სავინკოვზედ, როგორც შეთქმულების მეთაურზედ. თუ მაკაროვის დედას ნახულობდა, მასაც პირდებოდა ოცდა ხუთ მანეთ პენსიას თვიურათ, ოღონდ სავინკოვზე ეჩვენებინა. მიუხედავათ ასეთ ხერხისა, მასში მაინც ყველა

სცნობდა „რუხ ჟანდარმს“ და მისი საქმენი საგმირონი სევასტოპოლში ყველას ენაზე ეკერა.

ამ ჟამად სადგურის ფილაქანზე მდგარმა, ისეთი მხეცური თვალით შემომხედა მუქ სათვალებ ქვეშ, რომ გული ჩამიკლა...

შემდეგ ორივე ერთად შემოტრიალდნენ და ფეხ და ფეხ მწყობრად გასწიეს —ერთმა მჩატე ნერვიული ნაბიჯით, მეორემ ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯით. მეც თვალი გავაყოლე მათ ვიდრე სულ არ დაიმალნენ. მათმა შეხვედრამ გული დამიხშო, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო.

მშვენიერი გაზაფხულის დილა იყო ცხრამეტ მაისს. სევასტოპოლს რომ მიუახლოვდით, მწვანით შემოსილი ბუნება, მზის სხივებზე გაბრწყინვებული ლურჯი ზღვა, ჩემ გულს არასფერს ეუბნებოდენ, სამხრეთის მზეც გაყინულს გულს ვერ ათბობდა. მთელი ჩემი ფიქრები შვილის გარშემო ტრიალებდნენ. რონოდიდან რომ გადმოვედი ისევ შევხვდი ტრუსევიჩს—საბედისწერო შემთხვევაა!

სასტუმროში აღარ შეგვიღია. დეპეშით ნაჩვენებ მისამართით გავეშურეთ. თითქოს მოგველოდენ. უცბათ გაიღო კარები და ჩვენ წინ გაჩნდა ახალგაზდა, სასიამოვნო სახის სამხედრო პირი.

— თქვენ ბრძანდებით ბატონი ივანოვი?—შევეკითხე მე.

კაპიტანმა ზრდილობიანი სალამი მომცა.

— ცოცხალია თუ არა ჩემი შვილი? —უნებლიეთ მივაბალე კითხვა.

— დიაღ, როგორ არა!—მომიგო კაპიტანმა თან ცდილობდა მშვიდობიანი კილო დაეცვა—გუშინ საღამოს ვინახულე ის... მხნეთ არის, დამშვიდებული და მოუთმენლათ მოგელით თქვენ და ცოლს. საქმე რამოდენიმე დღით გადაიდო, რადგან წამოიჭრა საკითხი მცირე წლოვან მაკაროვის შესახებ, რომელმაც ბომბა ისროლა—თავის შეგნებით მოქმედობდა ის თუ არა?

— ცოცხალია!.. მძიმე ტვირთი მომეხსნა ზურგიდან, იმედი მომეცა, თუმც მკრთალი, სუსტი, მაინც ხომ სრული უიმედობა შესცვალა მან და ესეც კარგია! ჟდანოვი ამ დროს ეკითხებოდა კაპიტანს, თუ როგორ ინახულა მან ბრალდებული ოქმის ჩაბარებამდე.

როგორც სჩანს, ყველაფერი ჟეფროსების სურვილისა და მოლოდინის საწინააღმდეგოთ მოეწყო, რასაც, მათი აზრით, ბრალდებულნი უნდა დაეღუპა, სწორეთ მან იხსნა ისინი.

ღენერალ კაულბარსის მიერ გამოწვეულმა სიჩქარემ ააჩქარა მისი ხელქვეითნიც და უბრალო არტილერიის ოფიცრების დამცველად დანიშვნამ, ვისაც კანონების არაფერი გაეგებოდათ, შეუწყო ხელი ბრალდებულთა ბედს. როდესაც დამცველმა ივანოვმა ჩემი ვაჟის დაცვის შესახებ დეპეშა მიიღო რომელიც სუბბოტინის გვარით იყო დატყვევებული, დაუყოვნებლივ რომ შეესრულებინა უმფროსის ბრძანება—„სასწრაფოდ“, მაშინვე გაეშურა ციხის შტაბში დეპეშით ხელში და მოითხოვა ბრალდებულთან დაეშვათ. ვინაიდან არც ციხის შტაბი იცნობდა კანონებს იმავე „სასწრაფოს“ შესახებ— დართო ნება და ამნაირათ კაპიტანმა ივანოვმა ინახულა ჩემი შვილი, რომელმაც გაუმეღავნა თავისი ნამდვილი გვარი კაპიტანს და გააგებინა ჩემი მისამართი. ამ შემთხვევაში ყველაფერი სა-

სურველათ მოეწყო, მაგრამ რით ხელმძღვანელობდა უმაღლესი მართებულობა, როდესაც ჩვეულებრივ დამცველთა მაგიერ ნიშნავდა კანონების უვიც პირთ ისეთ საქმეში, რომელიც ადამიანთა სიცოცხლეს ეხებოდ.? ადგილობრივ მას გამოძიების სისწრაფით ხსნიდენ, რადგან სევასტოპოლში სამხედრო სასამართლო არ არის. მაგრამ, თუ კი სასამართლო მოვიდა ოდესიდან, რატომ დამცველების მოწვევაც არ შეიძლებოდა იქიდანვე? როგორათაც არ უნდა მომხდარიყო, საქმე უკეთ მოეწყო და მეც დეპეშით შეშატყობინეს. თუმც მართებლობა მალე მოვიდა გონს და თავის შეცდომა შეიგნო, მაგრამ შემდეგში ცდილობდა დიდსულოვნების ხასიათი მიეცა ამ შეცდომისათვის.

— ხედავთ რა დათმობაზე წავედით, როდესაც საბრალმდებლო ოქმის ჩაბარებამდის დაუშვით თქვენ შვილთან დამცველი.—გვითხრა სხვათა შორის გამომძიებელმა.

— თქვენ ეს შეცდომით მოგვიდათ—მიუგე მე.

— არა,—მიპასუხა გამომძიებელმა—სრულებითაც არა!

რა თქმა უნდა არ დაუჯერე. მთელი მოქმედება მართებულობის მხრივ ადასტურებდა მას, რომ იქ არავის არ ზოგავდენ.

ჩემი შვილის დამცველს, კაპიტან ივანოვს, თავიდან ბოლომდე საუცხოოთ ეკავა თავი, თუმცა მისი მდგომარეობა ადვილი არ იყო. ჩვენ შეხვედულებათა შორის მთელი უფსკრული იყო გათხრილი. როგორც ოფიცერი ისრასაკვირველია, ემორჩილებოდა თავის უმფროსთა ნებასურვილს და სისწორით ასრულებდა ყოველივე მოწერილობას. იმავე დროს ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემ შვილთან, რომ ვერაფერს ვერ უსაყვედურებდი. აღარას ვლაპარაკობ მასზედ, თუ რამდენი დრო დაჰკარგა მან ჩვენ საქმისათვის, რამდენი შეწუხება და შრომა გასწია. არავითარი სასყიდელი კი მისთვის მან არ მიიღო.

— მე მხოლოდ ჩემი ვალი შევასრულე წანარათ მიპასუხა მან. ხშირად მოვიგონებია შემდეგში, თუ როგორ შეელიდა მას ბუნებრივი ტაქტი, რომ დაეხწია თავი უხერხულ მდგომარეობიდან. ვინაიდან სულ აღშფოთებულ მდგომარეობაში მიხდებოდა ყოფნა, ერთხელ საუბრის დროს საცოდავად გამწარებულმა შევნიშნე, რომ სამხედრო მართებლობისაგან პირუთვნელი მოქმედება ყოვლად შეუძლებელია.

შევნიშნე მას სახეზედ გაწითლდა, თავის ღირსების დაცვით მან თავშეკავებულად მიპასუხა:

— მე მესმის თქვენი აღელვება როგორც დედის, ვიცი არა ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფებიო, მაგრამ მე, როგორც სამხედრო, პირს ასეთი საუბრის მოსმენა არ მიხდება.

მე მიუხედი მას და შემდეგში ვცდილობდი არ აღმეძრა ასეთ საგანზედ მასთან ბაასი, თუმცა შექმნილ მდგომარეობის გამო ეს მეტათ ძნელი იყო.

პირველ შეხვედრისას, როდესაც მე შევეკითხე მას—„შემიძლია თუ არა შვილის ნახვა?“ არამც თუ, ნება დაერთო პირიქით ყოველივე დახმარებას შემპირდა თავის მხრივ. მითხრა, რომ ეხლავე წავიდოდა ციხეში შვილთან და შეატყობინებდა ჩემს მოსვლას.

— გადაეცით — ვსთხოვე მე — რომ მხნეთა ვარ და არ ვსტირი, მაგრამ როდესაც რამოდენიმე ხნის შემდეგ მომეცა საშუალება მისი ნახვის და ხანგრძლივი დაშორების შემდეგ პირველათ შევხვდი მას მტრების ხელში, რომელთაც სამუდამოთ შეეძლოთ წაერთმიათ ჩემთვის, მისი სიცოცხლე ისეთი ღრიალი ამომსკდა გულიდან, რომ ვერაფრით თავი ვეღარ შევიკავე...

შვილი სწრაფად მომვარდა და ხელი ჩამკიდა.

— ნუ სტირი, დედა! მხნეთ შემნიშნა მან — ასეთ შემთხვევაში მოყვარული დედები ცრემლს არ ღვრიან..

მეც გავჩუმდი, ერთხელაც ვერ გავბედე მის შემდეგ ტირილი, რომ არ დამერღვია შვილის მხნეობა.

მისი ნახვისთვის კი ბევრი გასაჭირი გამოვიარე. უნდა გამომძიებელთან წავსულიყავი, მერე ბრალმდებელთან და შემდეგ კი, ციხის შტაბში. ჩემ მოსვლისას საქმე ჯერ ისევ გამოძიების ხანაში იყო. წინა დღით ის დაესრულებინათ და გადაეცათ ოდესიდან ჩამოსულ სასამართლოსთან ერთათ ბრალმდებელ — ვოლკოვისათვის, იმანაც კი დაუმთავრებლათ ჰპოვა საქმე, რომლის გამოძიება ღენერალ კაულბარსის განკარგულებით ისეთი სისწრაფით ხდებოდა.

იმ დღეს მაკაროვმა გაამეღანა თავის ვინაობა, გამოტყდა რომ ის თექვსმეტი წლისაა და ამის მიხედვით სასამართლოს პალატამ მოითხოვა საკითხის გარკვევა — რა მდგომარეობაში მოქმედებდა ის: შეგნებით თუ შეუნებლად ამიტომ რამოდენიმე ხნით საქმე შეჩერებულ იქმნა.

გამომძიებლის მხრივ საქმის დაბრუნება კი სრული დამაღასტურებელია მისი, თუ რა სისწრაფით ხდებოდა გამოძიება, რომელიც ეხებოდა ოთხ ადამიანის სიცოცხლეს.

ბრალდებულთა მდგომარეობა მართლაც მეტათ ცუდ პირობებში მოექცა, შემთხვევამ მოიტანა, რომ სამი მათგანი — ერთი ჩემი შვილი, სუბბოტინის გვარით, და ორი მისი ამხანაგი მოვიდენ სევასტოპოლში, ორი დღით წინ, სანამ ამბოხება მოხდებოდა, იმავე შემთხვევამ მოიტანა, რომ მაძებარ პოლიციელმა, ვინც არა ლეგალურ პირს უთვალთვალებდა, შენიშნა რომ ჩემი შვილი მას, გამოელაპარაკა. თითქმის ხარკოვამდის მისდია მან იმ არა ლეგალურ პირს და როდესაც დარწმუნდა, რომ ჩემ შვილს სამხრეთისკენ ეკავა გზა, დაავალა მეორე აგენტს, ედევნებინა მისთვის თვალი და მანაც სევასტოპოლამდის მისდია მას ამ დროს ჩემი შვილის იქ ყოფნა საკმაო იყო, რომ მისი იქ მისვლა დაეკავშირებიათ მომხდარ ამბოხებასთან, მაშინ როდესაც ღენერალ ნეპლიუევის სიკვდილის განხრახვის საქმე კი ამნაირათ იყო:

ჯარის აღლუმის დროს, რომელსაც მეთაურობდა ღენერალი ნეპლიუევი, თექვსმეტი წლის ყმაწვილმა, მაკაროვმა ესროლა მას ბომბა, მაგრამ მას არ მოხვედრია და არც არავისათვის თავის მოქმედებით მაკაროვს ვნება არ მოუტანია, ხოლო მის დასახმარებლათ გამოეშურა მისკენ მატროსი ფროლოვი, რომელსაც ჯიბეში ბომბა ედვა. რადგან ყოველის მხრივ ხალხი ეჯახებოდა, ბომბა ჯიბეში გაუსკდა და პირველი თვითონვე შეიქნა მისი მსხვერპლი. დაშავდენ სხვებიც, რადგან შეშინებული ერთმანეთს ეხეთქებო-

დენ, გარბოდენ და ერთი მეორეს არ ზოგავდა. და მსხვერპლთა დიდი რიცხვი, რომელსაც პოლიცია აქვეყნებდა გაზეთებში, როგორც სევასტოპოლში გავიგეთ, სინამდვილეს მოკლებული იყო, რადგან სულ უბრალო გაფხაკვნასაც, თუ გინდ ერთმანეთის შეჯახებით გამოწვეულს, ბომბისაგან დაშავებულათ სთვლიდენ. ამნაირათ გააზვიადეს ეს შემთხვევა, მთავრობის და სამხედრო წრეებში აღშფოთება დიდი იყო რის გამო, არავითარ სამართლიანობისა და პირუთვნელობის იმედი მათგან მოსალოდნელი არ იყო. სიკვდილით დასჯის განაჩენი უკვე წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი.

გამომძიებელთან რომ მივდიოდი განცხადებისათვის, რომ მე დედა ვარ ბრალდებულის, საშინლათ ვღელავდი. მზათ ვიყავ შევბრძოლებოდი ყველა მათ, ვის ხელთ იყო ჩემი შვილის ბედი. მარტო ერთი წარმოდგენა მისი, რომ ჩემ შვილს ისეთ რამეში სდებენ ბრალს, რისთვის სიცოცხლეს ართმევენ, გონებას, მიბნევდა, ყოველივე ზომიერებას მაკარგვინებდა, ვისთანაც ლაპარაკი მხვდებოდა, ყველას იჭვის თვალით უცქეროდი, ყველაში მტრულათ განწყობილს ვხედავდი. თუმცა შვილი მე ჯერ არ მენახა და არაფერი გარკვეული მის შესახებ არ ვიცოდი, ან რა პირობებში მოხდა მისი დაპატიმრება, მე ინსტიქტიურათ ვგრძნობდი, რომ ამ საქმეში მას წილი არ ედო. მე კარგათ ვიცნობდი ჩემ შვილს, ვიცნობდი მის პრინციპებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში და რაღაც იდუმალი ხმა მეჩურჩულებოდა, რომ აქ სხვა ამბავია, განსაკუთრებით მაკვირვებდა ღენერალ ნეპლიუევის პიროვნება. რანაირათ უნდა დაინტერესებულიყო მით რევოლიუციონერი, როდესაც არაფრით ის ამ შემთხვევამდის ცნობილი არ ყოფილა. არავითარი გავლენა სახელმწიფოებრივ პოლიტიკის საქმეების მსვლელობაზედ მას არ ჰქონია. ამ ფიქრებით გარე-მოცული მიყადექი გამომძიებელს, რომელიც გამოდგა სამოქალაქო მოხელე. საშინლათ მიძგერდა გული მასთან რომ შევდიოდი: აი ის კაცი, გავიფიქრე, ვინც აგროვებს მასალებს ჩემი შვილის გასამტყუნებლათ, ის კაცი, ვისზედ დამოკიდებულია, თუ რა ჩვენებას მისცემს ის დანაშაულების გასარკვევათ. აღშფოთებით შევავლე თვალი მას, მაგრამ ვერაფერი მის მშვიდ სახეზედ ვერ ამოვიკითხე.

— მაშ თქვენ სუბბოტინის დედა ბრძანდებით? აბა ის სუბბოტინი არ ყოფილა, საეინკოვია? კეთილი აგრე ჩავწერთ!—გულგრილათ წარმოსთქვა მან. როდესაც მე ვსთხოვე მას წამყოლოდა ციხეში, ჩემი შკილის ვინაობის დასადასტურებლათ, ავრეთვე დაერთო ნება ჩემთვის მისი ნახვის, მან სრულიად დამშვიდებით მითხრა:

— დღეს არ შემიძლია. გვიან არის. დავიღალე კიდეც. მარტო თქვენი საქმე კი არა მაქვს! (თითქო ჩემი საქმე ჩვეულებრივი ყოფილიყოს, თითქო ჩემ შვილს არ ელოდა სიკვდილი, თითქო მე მისი დედა არ ვყოფილიყავ...) ხვალ დილას ნახავთ თქვენ შვილს!—გამიმეორა მან.

დამარცხებულათ ვიგრძენ თავი. თვითონ უნდა გამოცადოს კაცმა ის მდგომარეობა რასაც მე განვიცდიდი, რომ მიხვდეს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის შვილის ნახვას.

უტეხათ შევხედე გამომძიებელს.

— იქნებ თქვენაცა გყავთ შვილი?—უნებლიეთ წამომცდა კითხვა. გამომძიებელი შეშფოთდა.

— როგორ ჰგავს! სულ დედაა! სთქვა მან და კეთილმა ღიმილმა გაუშუქა სახე. თითქო მზის სხივი შეიპრა ღრუბელში.

— დიახ, ის ნამდვილი თქვენი შვილია—ისეთივე გამოხედვა! წავიდეთ!—სწრაფათ დაუმატა მან და წამოდგა ადგილიდან. მეც აღარ შემიჩერებია. გაუდექით გზას ციხის შტაბისკენ. ყველა ფორმალურ მოთხოვნილებათა შესრულების შემდეგ გავემართეთ იქითკენ, სადაც ჯაქე-ბოქლომებში დარაჯებით გარშემორტყმული იმყოფებოდა ჩემი შვილი. ციხეში რომ შევედით, ხარბათ შემოვავლე თვალი იქაურობას: ჩემი შვილი უკვე ახლოს იყო—აი ამ კედელს იქით!.. ციხეს სამივე მხრით წყალი უვლიდა, ზღვა საუცხოვოთ შეენოდა იქაურობას. გადათეთრებულიყო საბინაო კარვები... აქა იქ მოსჩანდა მოსამსახურეთა პატარა ბინები მწვანეში ჩაფლულნი... ჯარის კაცნი მხიარულათ ერთობოდენ, თითქო მათ გვერდით ადამიანთა ტანჯვას ადგილი არ ქონდა, ცოცხლათ დამარხულ ადამიანთა სიკოცხლეს!

საერთოთ ყველაფერი ეს არ ახდენდა ისეთ შთაბეჭდილებას, როგორიც წარმოგვიდგენია ციხის გარშემო. იქაც იყო ცხოვრება, თუმცა თავისებურათ თავისუფალი .. მაგრამ იქვე ორ ნაბიჯს იქით იყო გაუპტვახტა—კუბო თავისუფალი ფიქრის, თავისუფალ გრძნობათა და სურვილების. რომ მოესჩერებოდა მას, უნებლიეთ წარმოვიდგენდი შიგ დამწყვდეულ შვილს, უცნაური, გიჟური რამ სურვილი შემიპყრობდა—გამენგრია ეს მაგარი კედელი, დამემსხვრია კლიტე-ბოქლომები გამეგლიჯა რკინის მავთულები და სამუდამოთ ღიმმეჯუხვრა დედა-მიწის პირიდან ადამიანთა ტანჯვისათვის შექმნილი ურდულები... მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა ბედს შეეჩიგებოდი და მეც მორჩილათ მოვიხარე ქედი მის წინაშე.

ზარზედ მოვიდა საყარაულოს ოფიცერი, შეასრულა რაც ევალებოდა, დაათვალიერა ნებართვა, ვინაობის წიგნი და გაგვიწვია თან. გულის ფანცქალით გავიარე მისაღები ოთახი, შემდეგ დიდი საყარაულო, რომელიც სავსე იყო ჯარის კაცებით. თოფები ჩამოეშვათ. შემდეგ რკინის მავთულებით შეკოჭვილი ოთახი.

ოფიცერმა გააღო იგი და როგორც იქნა შიგ შევედით. ყოველ პოლიტიკური ტუსაღის ოთახთან იდგენ დარაჯნი. ჩვენ შევჩერდით ერთ-ერთ ასეთ ოთახთან, დაიხრიალა ურდულებმა, აპრიალდა დაჟანგებული კარები და... მე დავინახე შვილი!

იმ პირველი სიტყვების შემდეგ, რომელიც მოყვანილი მაქვს ზევით, შვილმა დამადო ხელი ბეჭზედ და მითხრა:

— დედა! როგორი განაჩენიც არ უნდა გამოიტანონ, იცოდე, რომ ამ საქმეში მე წილი არ მიდევს!

ცოტა გულს მომეშვა, ჩემი წინა-გრძნობა მართლდებოდა.

— სიკვდილის მე არ ეშინია, მე ყოველთვის მზათა ვარ, მაგრამ სხვის დანაშაულისათვის სიკვდილი მაინც არა მსურს.

მე ეს მჯეროდა. ვიცოდი მისი სიტყვების სიმართლე: მან სიცრუე არ იცოდა, არ დაიფიცავდა, თუ მართლა მონაწილე იყო.

— გარდა იმისა, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიმიძღვის—მითხრა მან—ისეთი მხარეებია ამ საქმეში, რომელსაც მე არ უთანაუგრძნობ, მაგრამ მართებლობათა პირუთვნელობის იმედი მე ძაინც არა მაქვს. იმიტომ მზათა ვარ ყველაფრისათვის. ყველაფერზედ მეტათ ამ ჟამათ მე ის, მაწუხებს, თუ როგორ გადაიტან შენ ამ ახალ უბედურებას?

მე გამოვართვი ხელი და ვაკოცე ზედ.

— ჩემზედ ნუ სწუხარ. და მოუყევი მას საქმის გარემოება...

— ეხლა, როდესაც საქმე გადაიდო რამოდენიმე დღით, მოსალოდნელია ვეჭილები მოიყრიან თავს. ჟდანოვი უკვე აქ არის, რაც მოსახერხებელია, ვეცდები, არ დავზოგავ არაფერს, რომ საქმე კარგათ იქნეს დაყენებული.

შვილმა მწარედ გაიღიმა.

— რა საჭიროა? ნუ თუ გრწამს მართლმსაჯულება? მე კი ეჭვიც არ მეპარება რომ ჩამომახრჩობენ. მაშ რისთვის არის აქ სამხედრო სასამართლო? იქნებ ფიქრობ, რომ მე თავს დავიცავ?

ძლივს დავაჯერე, რომ ის მარტო არ არის, მასთან დაკავშირებულია ორი მისი უდანაშაულო ამხანაგის ბედი, რომელნიც მასთან ერთათ არიან დაპატიჭრებულნი, აუცილებლათ საჭიროა გამომჟღავნდეს მათი უდანაშაულობა, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხრივ საქმე რიგიანათ იქნა დაყენებული. შვილი დამეთანხმა, იმ პირობით მხოლოდ, რომ მასზედ სასამართლოში სიტყვაც არ იქნეს დაძრული. მთხოვა აგრეთვე მაკაროვისათვის აგვეყვანა დამცველი, მას ის ებრალებოდა და მონაწილეობასაც ეებულობდა მის გადარჩენაში.

შემდეგ გადმომცა დაწვრილებით თავის დაპატიმრების ამბავი. ის მოვიდა სევასტოპოლში ორი დღით წინ, სანამ ეს შემთხვევა მოხდებოდა საპროპაგანდოთ და თავის კერძო საქმეებისათვის ჯარის აღლუმის დროს ის ბაღში სადილობდა, ზღვის პირას. (რაც დაადასტურეს იქაურმა ხელზედ მოსამსახურეებმა) შემდეგ იყიდა გაზეთი და იქვე სკამზედ მჯდარი კითხულობდა მას. აქაც მას მოესმა საშინელი ხმაურობა, თითქო ზარბაზანი გავარდა, მაგრამ არ მიუქცევია ყურადღება, რადგან ეგონა აღლუმის გამო თოფები დასცალეს. ამ დროს გამოიარა მღვდელმა, რომელიც მიუჯდა მას გვერდით და გამოესაუბრა. ისინი გამოეცნაურენ ერთმანეთს, ის აღმოჩდა პეტერბურღის მცხოვრები და აქ დროებით ჩამოსული. მანვე გააგებინა ჩემ შვილს რომ მოხდა ამბოხება და არიან დაჭრილნიც დი დახოცილნიც, ცოტა ხნის შემდეგ ისინი დაშორდენ ერთმანეთს, ჩემი შვილი სრულიად დამშვიდებული დაბრუნდა შინ სასტუმროში. რათ დაბრუნდებოდა ის სასტუმროში მონაწილეობა რომ მიეღო ამბოხებაში? მით უფრო რომ ჯიბეში მას ათას მანეთზედ მეტი ჰქონდა, აგრეთვე ვინაობის ბარათიც. რათ ჩაუვარდებოდა ხელში პოლიციას როჯესაც ადვილათ შეეძლო აეცილებინა ეს უბედურება. განა მან არ იცოდა რომ სასტუმროში მას უეჭველად დააპატიმრებდენ? ან როგორ უნდა აეხსნათ მისი ამ დროს იქ არ ყოფნა? რა-

საკვირველია მართებლობა მას თავისებურათ ხსნიდა: იქ რომ ყოფილიყო მაშინ ის ხელმძღვანელი იქნებოდი და თუ არ იყო—ეს განკვეტ, რომ კვალი აებნია მათთვის. ისეთი მდგომარეობა, რომელსაც გამოსავალი არა აქვს. სასტუმროში დაბრუნებისას, იქ მას არავითარი ცვლილება არ შეუმჩნევია, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, მეკარეც თავის ადგილას იდგა, ხელზედ მოსამსახურენიც, მაგრამ შეადგა თუ არა ფეხი საფეხურს, ზევით ასასვლელათ, ვიღაცამ მაგრათ წაავლო ხელი უკანიდან და ტლანქი ხმით შესძახა:

— არ დაინძრე ადგილიდან, თორემ ძაღლივით გაგაგორებ—და იმ წამშივე რევოლვერი დაადო გულზედ. იმავე დროს რესტორანის დარბაზში მიმალული ჯარისკაცნი გამოსცვივდენ და რკალით შემოერტყენ გარშემო. საიდღანაც გამოხტა მაქებარი—პოლიციელი გრიგორიევი, გახარებული ეცა მას მუშტის ქნევით:

— მე გადეგნებდი თვალს... მე მიუთითე შენზედ... ესლა ვეღარსარ წამიხვალ.

ისევ ამბავში იყო, ციბრუტავით ტრიალებდა აქნევდა ხელებს, იქნევდა თავს, მხოლოდ, როდესაც გაჩხრეკის დროს მან ბევრი ფული უნახა შვილს ჯიბეში, როგორც კი უმფროსებს მოიშორა თავიდან, იმ წამსვე გამოიცვალა კილო. სულმდ ბლათ მიუბრუნდა მას:

— მაპატიეთ, ბატონო! ბორისმა ზიზღით შეხედა მას:

— ეხლა მთხოვ პატიებას? გულზედ რომ რევოლვერს მადებდი მაშინ რას ფიქრობდი?

— რა უყოთ, ბატონო,—უთხრა ამ ბოროტმა—მე რა მომეთხოვება, განა მე კი არ ვიცი რომ უკანასკნელი ვარ!

მეც მქონდა შემდეგში შემთხვევა მისი ნახვის: გაპრტყელებული სახე მისი უშველებელი ყურები და მოუსვენრათ მოძრავი თვალები ზიზღს იწვევდენ მნახველში და რა საშინელებაა როდესაც წარმოიდგენ ვის ხელშია ჩვენი შვილთა ბედი! გონებას ჰკარგავ! მასზედ არის დამოკიდებული როგორ განმარტებას მისცემს ის ვიზედაც თვალი უკავია. მის დახასიათებას ემყარებიან და ხშირათ მის ჩვენებაზედაა დამოკიდებული სიკვდილი თუ სიცოცხლე მისი მსხვერპლის და ყველაფერი ეს ისეთი კაცის ხელშია, ვინც თავის თავს უკანასკნელს“ უწოდებს.

ხსოვნაში ჩარჩა ჩემს შვილს კიდევ ერთი ვინმე ფლოტის ოფიცრის სახე რომელიც შემთხვევით მოხვდა იქ იმ დროს, როდესაც ჩემი შვილი დააკავეს. მან თავის სურვილით იკისრა მაქებარი-პოლიციელის როლი, არავის მისთვის არ დაუვალებია. ისე ეხმარებოდა მაქებარ-პოლიციელს ჩხრეკაში თუ გინდ საგმირო საქმეს ჩადიოდა, მთლათ გადმომბრუნა ჯიბეები, ფეხსაცმელებშიდაც კი ჩაძვრა და საოცრათ იგინებოდა. რით ხელმძღვანელობდა ეს ოფიცერი? სამშობლოს თუ უწევდა სამსახურს, ადამიანის პირადი შეურაცყობა კი ჩალათაც არ მიაჩნდა, მიუხედავათ იმისა, რომ მისი ვინაობა არც იცოდა.

იქნებ უმფროსების ყურადღება უნდოდა დაემსახურებია, რომ კარგი ჯილდო მიეღო?

ცოტა ხნის შემდეგ ჩემი შვილი წაიყვანეს ციხის შტაბში, სადაც მიიყვანეს დანარჩენი ორი მისი ამხანაგებიც—დოინიკოვი და ნაზაროვი. მათ საშინლათ უკვირდათ სხვის გულისათვის რომ დააპატიმრეს. ერთი მათგანი იმდენათ ვერ უწევდა ანგარიშს მომხდარ ამბავს, რომ საათზედ წუხდა, რომელიც დაპატიმრების დროს ჩამოართვეს, ძლივს დაარწმუნა ჩემმა შვილმა, რომ საათი ეხლა მისთვის „მეტი ბარგია“.

ჩემი შვილისათვის კი სრულებით გარკვეული იყო, რომ იმ სიჩქარით, რომლითაც გამოძიებას აწარმოებდენ, მათი უდანაშაულობის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელი იყო! ამ დროს მისი სევასტოპოლში ყოფნა საკმაო საბუთი იყო ჩამოხრჩობისათვის.

დაასრულა თუ არა შვილმა თავის თავგადასავალი, რომ გამოგვეცხადა საყარაულო ოფიცერი და გვაუწყა რომ პაემანი გათავდა. ადვილი წარმოსადგენია რანაირათ მიძნელდებოდა ამ დროს შვილის დატოვება. მაგრამ მეტი გზა არ იყო, უნდა დავმორჩილებულიყავ. მხურვალეთ მოვეხვიე შვილს და დავპირდი, რომ ხვალ ისევ ვნახავ.

— უსათუოთ მნახავ?—შემეკითხა ის.

— უსათუოთ, ჩემო ძვირფასო!

დარწმუნებით უთხარი მე და ის კი არ ვიცოდი, რომ ასეთი უბრალო რამ, როგორც არის დედის მიერ შვილის ნახვა, დამოკიდებულია არა მათ სურვილზედ, არამედ ძალაუფლების მქონეთა ნებაყოფლობაზედ, ძალადობაზედ. თუმც გამომძიებელმა, რომელიც ჩვენ შეხვედრას დაესწრო, კმაყოფილებით შემპირდა ნებართვის მოცემას ხვალ დილისათვის.

— გახსოვდეს, დედა, არ იტირო! მითხრა შვილმა გამოთხოვებისას.

აღარ მინდოდა უკან დაბრუნება, ის რომ ჩემი შვილი უდანაშაულოა ამ საქმეში, ცოტაოი მიმსუბუქებდა მწუხარებას, თუმც ერთნაირ სირთულესაც წარმოადგენდა, მეორე, რით დამემტკიცებინა მისი შემთხვევითი ყოფნა სევასტოპოლში, მაშინ როდესაც მან უკვე განაცხადა, რომ რევოლიუციონერია. საკმაო იყო ამხანაგთა იქ ყოფნა—ნასაროვსა და დოინიკოვის, რომ შეთქმულებათა ხასიათი მიეცათ და მოთავეთ ჩემი შვილი აღიარებინათ.

მთელი საღამო და ღამეც სულ სიარულში გავატარე ჩემ პატარა ოთახში, არ შემინიშნავს არც დრო და არც ადგილი ისე შემიპყრა ერთათ ერთმა ფიქრმა—„მონაწილე არ არის, სიკვდილი კი მაინც კარს ადგია!“.

დილით ადრე, მე უკვე გამომძიებელთან გავემართე იმდენათ ადრე, რამდენათ ზრდილობა მაბედინებდა კაცის შეწუხებას. ის წინა დღით შემპირდა ნებართვის მოცემას შვილის სანახავათ. გამოთხოვებისას მან მითხრა:

— ნუ დაეცემით სულათ, ხვალ კიდევ ნახავთ თქვენ შვილს! ამიტომ, როდესაც კარის გაღებაზედ მოსამსახურემ მითხრა:

— გამომძიებელი არ არის შინ!

მე გავიღიმე და უპასუხე:

— გადაეცით ჩემი გვარი და მიმიღებს.

— არამც თუ სახლში, ქალაქშიდაც არ არის ის—მიპასუხა მან—ორი დღის უქმეებით ისარგებლა და ბალაკლავაში წავიდა, თქვენდა გადმოსაცემათ კი დამიბარა, რომ საქმესთან მას დაჭოიდებულება აღარ აქვს, რადგან საღამოს გადასცა სამხედრო ბრალმდებელს.

ჩემ ყურებს არ უჯეროდი... მაშ რათ მპირდებოდა, რათ მინიშნავდა დროსთუ იმ საღამოსვე აპირებდა ბრალმდებლისადმი საქმის გადაცემას! აი რა არის მოხელის მურდირი! გუშინდელ ადამიანობის შემდეგ მისი მოქმედება უღირსად მეჩვენა, ადამიანობის შეგნების დამამცირებლათ.

გულდაწყვეტილი ვიდექ ცხვირ წინ მოკეტილ კარებთან და არ ვიცოდი სად წავსულიყავი? ვისთვის მიმემართა, გადავწყვიტე რათაც უნდა დამჯდომოდა მენახა შვილი... ხომ შეკპირდი მას... ის მელოდება... უსათუოდ უნდა მომეხერხებია მის ნახვა.

გამახსენდა, რომ სანამ ციხეში წავიდოდით მე და გამომძიებელი ჯერ შტაბში მივედით, მეც გადავწყვიტე იქ მივსულიყავი. შეუთვალე უმფროსს ორიგის პირით, რომ მიკედი საჭირო საქმის გამო.

მიუხედავათ უქმი დღისა და რომ ისე ადრე იყო მაინც არ მაცდევინეს. თვით შემიაკინი გამოეიდა ჩემთან, ზრდილობიანათ ამიხსნა მან, რომ თვით მას არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს მხოლოდ საჭიროა ნებართვა გამომძიებლის ან ბრალმდებელის, ეროძლისთ შესავალ ბილეთს ვერ მოსცემდა.

— თქვენ ალბათ იცით, რომ მე აო შემიძლია კანონის დარღვევა!

მე კი ეიცოდი ეს, მაგრამ ისე ვკრძნობდი თავს როგორც თაგვი მახეში კახონი და ცხოვრება—ორი უსასტიკესი უკიდურესობა. ცხოვრება მეუბნება რომ მელის დატუსვებული შვილი, გარშემორტყმული თოფებით; მტრეცით, ჩაკეტილ, ჩაჭედილი ფეხის დადგმა ოთახმი. ლოდიხი—მისთვის ერთი ტანჯვაა.

კანონი კი ეიკვათ მეუბნება:

„არ შეიძლება!“. და არ იყო არავითარი საშუალება დამეძლია ის.

— მომიტანეთ ბრალმდებელის ნება-რთვა და გაგიშვებთ! — ზრდილობიანათ შემომთავაზა შემიაკინმა.

გავსწიე სამხედრო ბრალმდებელთან რადგან გამომძიებლის სიტყვით, საქმე მას ქონდა გადაბარებული.

არც მან მაცდევინა ბევრი, მაშინვე მიმიღო. საშინელი აღელვებული შევედი მასთან, ვინაიდან ვკრძნობდი ისეთ კაცთან უნდა გამეწია საუბარი, ვის მიზანს შეადგენდა ამ ჟამად ჩემი შვილის გამეუყენება, რომ მიუსაჯოს მას სიკვდილით დასჯა, რასაკვირველია ის ეცდება დააჯეროს მოსამართლენი, რომ ჩემი შვილი ღირსია სიკვდილის, რომ ეს საჭიროა საერთო კეთილდღეობისათვის, რომ სამშობლო განთავისუფლდება შფოთისა და არეულობისაგან, მისი ამ დროს სევასტოპოლში ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ წაერთმია მას სამუდამოთ ჩემთვის ჩემი შვილი, სიცოცხლე.

მოახერხებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელის ქება და ჯილდო.

გაკიცხვა, რა თქმა უნდა ასეთი კაცი ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავისი გაიტანოს...

— უფალო ბრალმდებელო! მე გიახელით, რათა მივიღო თქვენგან ნებართვა შვილის სანახავად! ნერვიული სახე ბრალმდებლის დაიმუშნა და ცივად შემომაშტერა თვალები.

— სამწუხაროთ მე ამის უფლება არა მაქვს, რადგან საქმე არ მიმიღია.

— როგორ? მე ეხლა გამომძიებლიდან მოვდივარ, რომელმაც გადაჭრით მითხრა რომ საქმე სამხედრო ბრალმდებელს გადაეცა.

— შესაძლებელია, მხოლოდ გადაცემა მიღებას არ ნიშნავს. მე ის არ მიმიღია!

— მაშ ვის უნდა მივმართო?—სასოწარკვეთილებით შევეკითხე მას.

— არ ვიცი—მიპასუხა მოკლეთ.

— აბა სად უნდა იყოს, ვისთან ამ ჟამად საქმე?

— შესაძლებელია სამოქალაქო ბრალმდებელთან არის, ვინც გამოძიებას თვალ ყურს ადევნებდა. ჯერჯერობით კი მე არა მაქვს, ამიტომ ნებართვასაც ვერ მოგცემთ.

დამიკრა თავი და გამშორდა. მე ერთი ღა დამრჩენოდა—გამოვბრუნებულიყავ.

წავედი სამოქალაქო ბრალმდებელთან. საბედნიეროთ უფ. კენიგსენმა თვითონ გამიღო კარი და მიმიწვია. ბრალმდებელი კენიგსენი არ ახდენდა პედანტ მოხელის შთაბეჭდილებას.

მისი შეხვედრა სულ უბრალო იყო და პირველი სიტყვები, რომლითაც-მან მომმართა თანაგრძნობით სავსე.

— ნახეთ გუშინ თქვენი შვილი? მე გადმომცა გამომძიებელმა.

— სწორეთ ამ საქმეზედ ვარ თქვენთან მოსული, ბატონო ბრალმდებელო! გამომძიებელი თუმც ზემპირდა ნებართვის ნოკემას, მაგრამ ის საღლაც წასულა. ეხლა თქვენ გთხოვთ დამრთოთ ნება.

მისი სახე შეიცვალა.

— არ შემიძლია.

— რატომ?—შევეკითხე.

— მისთვის, რომ საქმე ჩემთან არ არის. ის სამხედრო ბრალმდებელს აბარია და ნებართვის მოცემაც მისი საქმეა.

— დიაღ, მაგრამ—შევნიშნე მე სასოწარკვეთილებით შეპყრობილმა—უფალო ბრალმდებელო, ეს მხოლოდ მოხელის ხრიკებია, დაცინვაა. აბა დაფიქრდით რასა გავს—გამომძიებელი წავიდა, შტაბის უმფროსი უიმისოთ ნებართვას ვერ იძლევა. სამხედრო ბრალმდებელი ამბობს, თქვენზეა დამოკიდებული, თქვენ კი მელაპარაკებით: მან უნდა მოგცეთო—სად არის სიმართლე?

— მე ის ვიცი, რომ საქმე გადაგზავნილია სამხედრო ბრალმდებელთან.

— გადაგზავნილია, მაგრამ ჯერ მას არ მისვლია.

— თუ არ მისვლია, ამ საღამოს მიუვა, სადმე გზაში შეჩერდებოდა. ალბათ ხვალ მოგცემთ ბრალმდებელი ნებართვას.

— ხვალ!—შევსძახე მას მოთმინება დაკარგულმა. თქვენ შვილს რომ სიკვდილი ელოდეს, მითხარით მოითმენდით ხვალამდის?

შევნიშნე რომ ბრალმდებელი შეშფოთდა.

— გამოუშვებდით თუ გინდ ერთ დღეს მაინც იმ რამოდენიმე დღეებისრიცხვიდან, რაც მას სასიცოცხლოთ დარჩენია? შეგეძლოთ დამშვიდებით ცდა? ბრაზი მომდიოდა.

— არა უფ. ბრალმდებელო, მე არ მჯერა და არც მინდა დავიჯერო, რომ უარს მეტყვით იმ შემთხვევაში, როდესაც თქვენ ხელთ არის შესაძლებლობა. არა, არ მჯერა!

ბრალმდებელი დაფიქრებული გასცქეროდა ფანჯარაში, თითქო რიღაცის მოსაზრება უნდოდა. მერე შემომხედა, აიღო ხელში კალამი, თითქო წერას ვერ ბედავდა, ერთ ხანს ხელში ქონდა გაჩერებული ბოლოს მიუჯდა მაგიდას.

—დაბრძანდით, დავსწერე!

მადლობის გრძნობით შევავლე თვალი მას—ხომ მოხელეა, მაინც ადამიანია!—გავიფიქრე. დაუსვა ბეჭედი, შეკეცა ოთხათ და გადმომცა. გმადლობთ! —შევსძახე მე სავსე გრძნობით. ჩემ სიხარულს საზღვარი არ ქონდა: ეხლა ვნახავ შვილს! გამომაცილა კარებამდე და შეიხურა თან კარი. კიბეზედ მე ინსტინქტიურათ გავშალე ქაღალდი, აი რა სწერია „არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ პოლიტიკურ ტუსაღის სავინკოვის დედამ შვილი ინახულოს. ბრალმდებელი კენიგსენი.“ ბოლოში კი მიწერილი იყო: „საქმე სამხედრო ბრალმდებლის ხელშია.“

ამნაირათ ის იმისთანა ქაღალდს მაძლევდა, რომელსაც არაფერი მნიშვნელობა არ ქონდა, რადგან ნებართვის მიცემა შეეძლო მხოლოდ მას, ვის ხელშიაც საქმეა. ამ ქაღალდით, რა თქმა უნდა, მე არავინ შემოშვებდა. მისთვის მომცა ის, რომ თავიდან მოვეშორებინე. სისხლი ამივარდა თავში, მიუბრუნდი კარებს და მაგრად ჩამოვრეკე.

ამ ჟამად მოსამსახურე დედაკაცმა გამიღო კარი.

ბატონს არ სცალიან და არავის არ იღებს!—მითხრა მან,

მაგრამ მე მისთვის ყური არ მიგდია, ჩამოვიშორე გზიდან და პირდაპირ ბაბინეტში შევედი.

— უფ. ბრალმდებელო! ყველაფერს აქვს საზღვარი! რას გავს ეს?

ბრალმდებელს არ უცდია თავის მაროლება ის დარცხვენილი იდგა. თავი ძირს დაეშვა. უხმოდ გამომართვა მან ქაღალდი, დახია და ახალი დასწერა. ნდობა რომ აღარ მქონდა, იქვე გადავიკითხე: „ნებას ერთავ პოლიტიკურ ტუსაღის სავ-ნკოვის დედას ინახულოს შვილი, ბრალმდებელი კენიგსენი.“

მომაწოდა რა ქაღალდი, მკაცრი კილოთი დაუმატა:—ამ საქმის გამო გთხოვთ შემდეგში მე ნუღარ მომმართავთ. მეც—უხმო სალამი მივეცი და დავტოვე იქაურობა.

გავეშურე ციხისკენ. ამ ჟამად ღენერალი შემიაკინი არ იყო. მის მაგიერობას ასრულებდა კოპიტანი ოლონგრენი—შთამამავლობით შვედი, იშვიათი ზრდიდობის, პატიოსანი, საუცხოვო მაგალითი იყო მისი, თუ როგორ შეიძლება

ერთსა და იმავე დროს კანონსაც ემსახურებოდე და ადამიანთაც დარჩე. მსწრაფათ აკმაყოფილებდა მთხოვნელთ, დაუზარებლად დაუყოვნებლივ ასრულებ და ყოველივე კანონიერ მოთხოვნილებას. პირველათ მისგან მომესმა თანაგრძნობის სიტყვა:

—გამხნევდით, ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კარგათ იქნება! თუ მართლა თქვენი შვილი დამნაშავე არ არის, როგორც თქვენ ბრძანებთ—სასამართლო განიხილავს მას!

არ ვიცი გულწრფელად მელაპარაკებოდა ის თუ არა, მხოლოდ თბილი სიტყვა მძიმე წუთში წარმოთქმული, დიდი ნუგეშია. თუმც ნაკლებათ ვიყავი დარწმუნებული სასურველ შედეგში, მაინც გულში ცოტა იმედმა გაიელვა—„იქნებ მართლაც გაერკვეს სასამართლო სიმართლეში.“ ასეთია ადამიანის ბუნება, არ გინდა დაჰკარგო იმედი. ოლენგრენის სიტყვებიც სანუგეშოთ ჩამრჩენ გულში, შემიაკინთან საუბარში მე ვერ ვპოვე სიბრაზე ტუსაღებისადმი.

რას წარმოადგენს ჩემი შვილისათვის ღენერალი ნეპლიუევი. ვეკითხებოდი მას—მისთვის რომ თავი შეეწირა? ან ვინ ავალებდა ჩემ შვილს სასტუმროში დაბრუნებას, როდესაც მას პირდაპირ შეეძლო გადგომოდა გზას. ამისათვის მას ფულიც ქონდა და ვინაობის ბარათიც.

— კეთილი მაგრამ რატომ თავიდანვე არ გაამჟღავნა მან თავის გვარი?—მკითხა ოლენგრენმა.—მისთვის რომ ეს დარწმუნებული იყო მას ჩამოახჩობდენ ჩვენ მოსვლამდის და არ უნდოდა დაეტანჯვეთ. ის ასე სჯიდა: თუ ამ საშინელ ამბავს ერთი ან ორი წლის შემდეგ გავიგებდი ეფრო ადვილათ გადავიტანდი.

— შესაძლებელია!—კეთილად მიპასუხა ღენერალმა.

— სასამართლო გასჯის მას.

ეს „სასამართლოს გასჯა“ ჩემს სმენას ტკბილათ მოესმა, მაგრამ ერთი წამით, შემდეგ ისევ ეკვი შემიპყრობდა და მატლივით ღრღნიდა გულს.—სხოვეთ თქვენ შვილს ნუ გამართავს მიწერ-მოწერას ტუსაღებში, თორემ ერთხელ კიდეც წავართვით საწერ-კალამი.

მეც შეეპირდი. მისი გულ-კეთილობა მით უფრო იყო დასაფასებელი, რომ ის თავად ერთ ბეწვზე გადარჩენილა ამ ამბოხების დროს, როგორც ხისი ლაპარაკიდან გავიგე—ისე ახლოს მდგარა ის ამ უბედურ შემთხვევასთან, რომ დაშავებულთა სისხლში ამოსვრილიყო. იმიტომ მას შეეძლო მტრულად მოქცეოდა დამნაშავეთ.

რაც შეეხება მიწე-მოწერას, რაზედაც ღენერალი ლაპარაკობდა, საქმე ასე იყო: მას გადმოსცეს თექვსმეტი წლის მაკროვისაგან ბარათი. წინეთ ჩემი შვილი მას არ იცნობდა, მაგრამ ძლიერ ეცოდებოდა. მაკროვი რჩევას ეკითხებოდა, თუ თოგორ დაეკავებინა თავი სასამართლოს წინაშე? ჩემი შვილი უპასუხებდა მას—„რადგან ის ამ გზას დაადგა, სიკვდილსაც უშიშრად უნდა შეხვდეს. რაც შეგვეხება ჩვენ—ჩვენ კი სინამდვილეს დავემყარებით, რადგან ამ საქმეში მონაწილენი არა ვართ და თუ მაინც სიკვდილი მოგვისაჯეს, დამშვიდებით შევხვდებით მას.“ ასეთი შინაარსის წერილი იყო ის, რომელიც მაკროვმა უჩვენა

სახელმწიფოს დამცველს, კაპიტან ობაჯიევს. ამ უკანასკნელმა კი ის წარუდგინა მართებლობას. ადვილი წარმოსადგენია, რა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა დამცველის ასეთმა მოქმედებამ ბრალდებულებზედ.

მივიღე თუ არა ნებართვა, იმ წამსვე გავეშურე, ციხისკენ. მტანჯავდა მისი მოუყრება, თუ რამდენი დრო დავჰკარგე მაშინ როდესაც, შვილი მოუთმენლათ მომელოდა.

საყარაულოში ამ ჟამად სხვა ოფიცერი დამიხვდა, ვინც მეტ ერთგულებას იჩენდა. გულ-მოდგინეთ გასჩხრიკა მან ყველაფერი, რაც მივიტანე. რადგან ცდა მიხდებოდა, ის საუბარში გაება ჩემთან.

— აი ეს ციხე ხომ ირგვლივ დაცულია, ყარაულნიც თავის ადგილას არიან, მაინც როგორ მოახერხა იმ ოხერმა ფელდმანმა გაქცევა! საკვირველია!

— რისთვის არის ოხერი? — შევეკითხე მე.

— მის გულისათვის, ხომ კაპიტანი უნდა ჩაჯდეს ციხეში, ოხერია ,ბა რა?

მას რომ უსმენდი, იმედი მიცრუვდებოდა. განსაკუთრებული ყურადღებით ვეცნობოდი ჩემთვის უცნობ სამხედრო ჩვეულებებს.

თუ საყარაულოში ახლად გამოსული ახალგაზდა ოფიცერი იყო, ის დარცხვენით სჩხრეკდა, სახე უწითლდებოდა, თითქო სინდისი აწუხებდა. თუ მორიგეთ ეგრეთ წოდებული ძველი მოსამსახურე იყო, ის გულმოდგინეთ ასრულებდა თავის მოვალეობას — თამამად სჩხრეკდა რამდენჯერმე სათითაოთ გადაათვალიერებდა მოტანილ ნივთს. განსხვავებით ჩამრჩა ხსოვნაში ერთი ქაღარა, უკვე ხანში შესული ოფიცერი. მას ყველაფერი აღელვებდა: თეთრეულიც, რომელიც მიგვქონდა.

— რა საჭიროა ასეთი ფუფუნება! იმ შემთხვევაშიდაც, როდესაც საკუთარ საქმელის შოტანის ნებას დაგვრთამდენ:

— რატომ სახელმწიფო სადილს არ მიირთმევს თქვენი შვილი?

— ვერ შეეჩვია მას — მიუგე მე.

— იფჰ, მე თუ კი გიახლებით, ნას არ ეკადრება?

ჯარის კაცებში კი ვერ ვამჩნევდი ასეთ სიბრაზეს. გვერდს რომ ჩაუვლიდი მათ, ისინი წამოდგებოდენ და სალამს მაძლევდენ.

როგორც იქნა დამიშვეს შვილთან. ის დიდი ხანია მელოდებოდა. მე მოუყევი მას ჩემი თავგადასავალი... ღამე მას ცუდათ ეძინა და მკრთალი ფერი ედვა სახეზედ, მხოლოდ როდესაც შეიტყო, რომ დღეს მრსი ცოლი მოვიდოდა, გამხიარულდა.

— ნეტავ თქვენ გადაიტანდეთ ამ შემთხვევას დამშვიდებით და მე სიკვდილის არ მეშინია. მისთვის მე ყოველთვის მზათა ვარ.

იქნებ არ მოგისაჯონ სიკვდილი? მინდოდა შემერყია მისი რწმენა — იქნებ გამოირკვეს თქვენი უდანაშაულობა ამ საქმეში?

მან მხოლოდ ხელი გააქნია.

— გამოირკვევა თუ არა მათი ლმობიერების იმედი მე არა მაქვს. მაშ რისთვის არის აქ სასამართლო? რა საჭიროა აქ ტრუსევიჩი?

ეს ეპეები მეც სულს მიხუთავდენ, მაგრამ თავს ვიმაგრებდი. პაემანი ამ ჟამად, იმ ოფიცრის წყალობით, უფრო მოკლე იყო, თავხედათ შემოვიდა ჩვენთან და გამოგვიცხადა:

— პაემანი გათავდა!

დიდხანს ვეხვეოდი შვილს არ მინდოდა ხელიდან გამეშვა. მეცოდებოდა რომ ვტოვებდი ამ ჯოჯოხეთში. მან მითხრა რომ გასამართლების დღე, 26 ისათვის არის დანიშნული; დარჩა სულ ხუთი დღე! ხუთი დღე! საქმის გარჩევამდის! იქნებ სიცოცხლის გამოსალმებამდის!

ფიქრი მიყინდებოდა მისი წარმოდგენით. მინდოდა გულზედ დავკდომოდი შვილს, მეტირა და მეტირა დაუსრულებლივ! უკანასკნელ წვეთამდის ამომეშრო ცრემლები თვალში, მაგრამ ტირილის ნება არ მქონდა, მით ხომ შვილის მხნეობას დავარღვევდი და ჩემათ ვიკლავდი გულში დარდს.

ჩვენ პირობა დავსდეთ, რომ არ გვეხსენებია ის, რაც ორივეს გულს გვწვავდა, არ ვიხსენებდით წარსულს, არაფერს ვამბობდით არც მამაზედ, არც არც ძმაზედ — ყველაფერი ახალჰა უბედურებამ შთანთქა...

როდესაც საქმე სამხედრო ბრალმდებლის ხელში გადავიდა, მე მომეცა ნება, ყოველ დღე მენახა შვილი გასამართლების დღემდე. მაინც მიხდებოდა ამის გამო ციხის შტაბში ყოველ დღე სიარული. ამ დღეს თავი მოიყარეს ჩვენმა დამცველებმა. ჩემთან ერთათ მოსულ ედანოვის გარდა, ჩამოვიდენ ლ. ნ. ანდრონიკაშვილი და ნ. ი. ფალეევი პეტერბურღიდან, პ. ნ. მალიანტოვიჩი მოსკოვიდან. იმათი ჩამოსვლით საქმე გაცხოველდა. სწრაფად გაინაწილეს როლები და ენერგიულათ შეუდგენ მუშაობას. დამცველთა შემადგენლობა საუცხოვო აღმოჩნდა—თითქო ერთი მეორეს ავსებდა. სიტყვაც ვერ მომეძებნა მათთვის მადლობის გამოსახატავათ, ისე გავიმსჭვალე მითდამი პატივისცემით. ისინი იყვნენ არა მარტო დამცველნი, უაღრესად კარგი ადამიანები. როდესაც გაიგეს ჩემი შვილის უდანაშაულობა რომ ის შემთხვევით დაპატიმრებულია, რომ მას არავითარი მონაწილეობა ამბოხებაში არ მიუღია, ისე ახლოს მიიღეს გულთან მისი საქმე, რომ არასფერი მისთვის არ დაუშურავთ. მთელი ძალ-ღონე, ფიქრი, ზრუნვა, მთელი ნიჭი და ცოდნა მას შეალიეს, უბრალო, წვრილი საბუთებიც კი არ დარჩენიათ მათ შეუმუშავებელი. მე ისე ვგრძნობდი მათ შორის თავს, როგორც კარგ მეგობრებში და ეს კი ცოტათი მიმსუბუქებდა მდგომარეობას. რადგან დრო მეტათ მოკლე იყო, დამცველთ უხდებოდათ ზედ მეტი, მოულოდნელი შრომის გაწევაც. მაგალითად: საბრალდებულო მოწმეთა უწყებები ყველას ჩაბარებული ქონდათ, მაშინ როდესაც დამცველთა მოწმეთ კი ასეთი არ ჩაბარებიათ. მათი მოძებნა კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა და ეი ამნაირათ უსიამოვნო მოვალეობა მათ იკისრეს.

სხვათა შორის, ჩვენ ყველა ვეტცელის სასტუმროში გავჩერდით. მოხდა ისე, რომ ამავე სასტუმროში დაბანაკდა ოდესიდან ჩამოსული სამხედრო სასამართლო, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, ბრალმდებელი და მდივანი. ამავე სასტუმროში გაჩერდა პოლიციის დეპარტამენტის მომავალი დირექტორი, რომელსაც თან ახლდა ჟანდარმის ოფიცერიც. ადგილი წარმოსადგენია,

რა საშინლათ იმოქმედებდა ჩემზედ ასეთი მეზობლობა. წამდა უწუმ შეხვედრა ხან ერთ უსიამოვნო პირთან, ხამ მეორესთან, რომელთა პირდაპირ დანიშნულებას შეადგენდა ჩემი შვილის ბედის გადაწყვეტა. ჟანდარმების დაუსრულებელი თარეში ტრუსევიჩის გადამკიდე, რადგან ისიც ამ სასტუმროში იყო გაჩერებული და ყველა პოლიციელთ ცხვირ-პირში შეფურთხება, აუტანელი იყო ჩემთვის, ოვითეული ქალალდი, რომელიც ამოჰქონდა ზევით ვინმე ჟანდარმს ჩემი წარმოდგენით გამამტყუნებელი დოკუმენტი იყო ჩემი შვილის, რაც ძალზედ ნერვებს მიშლიდა... ვეღარ გაუძელი და დავითანხმე ჩვენი დამცველხი ბინა გამოგვეცვალა. საღამოს ყველამ დავსტოვეთ სასტუმრო და გადავედით სხვაგან.

ცოტა დავწყნარდი...

ამ ნაირათ მიდიოდენ დღეები—თუ მოკლე, სწრაფი, თუ დაუსრულებელი როგორც საუკუნე. საერთოთ რეტდასხმული ვცხოვრობდი, სულ არ იყო დაფიქრების დრო, გონს მოვსულიყავ: თუ ნახვისათვის ცდა, თუ საყიდლები გადასაცემათ, დამცველებთან თათბირი, დეპეშები, ახლობელთა წერილები, ყველაფერი თავს მეხვეოდა... მაგრამ საღამოს ჟამს, ბივაკზედ რომ გამოვიდოდი და თვალით ვეძებდი მთვარით გადანათებულ ადგილ ,ბში ციხეს, ჩემი გული გადალახავდა ზღვას, ნავთსადგურს, შენობებს და მიჰქროდა დატყვევებულ ტუსაღისკენ.

ჩემ წარმოდგენაში დამეხატებოდა პატარა ოთახი, ლოგინი, ხის ჩლუნგი სკამი, პატარა ლამპა და სასჯელის მოლოდინში ტანჯული შვილი! ვიცოდი რომ ის მხნეთ არის მზათ... ყველაფრისადმი... მაინც მენანებოდა მისი დაღუპული, ახალგაზდობა. და რომ შველა არ შემეძლო, შეცვლა მდგომარეობის, გამოუთქმელათ ვიტანჯებოდი. შორს სადღაც სულის კუნჭულში ვგრძნობდი საშინელ შეუბრალებელ მოსახდენს... მზათ ვიყავ სიცოცხლე შემეწირა, ოღონდ ეს საშინელი მოსახდენი ამეცილებინა თავითან... დადგა ოცდა ხუთი რიცხვიც... დამცველნი მთელ ღამეს მუშაობდენ... ყველას სწამდა, რომ ხსნა ერთ რამეშია—თუ საქმე გადაიდებოდა, მხოლოდ ეს შეუნარჩუნებდა ბრალდებულთ სიცოცხლეს, სხვა არაფერი... და დამცველნიც მრავალ სერიოზულ მასალებს უყრიდენ თავს საკასაციო მიზნისათვის.

რაც უფრო უახლოვდებოდა გასამართლების მომენტი, ცეკხლ მოკიდებული მუშაობდენ ისინი. ჩვენი აღელვება შვილზედაც გადადიოდა, თუმც ჩემი შვილი სხვებზედ უფრო დამშვიდებული იყო.

— დიაღ! მართლაც რომ ბრძოლაა!—უთხრა მან ერთ—ერთ თავის დამცველს, რომელმაც ის ინახულა. მის გმირულ სიმშვიდეს რომ უყურებდი, ჩემი თავის მრცხვენოდა. წინა დღეს, რომ მივედი შტაბში ნებართვის ასაღებათ, გავოცდი: ქალალდზედ ეწერა: „ეძლევა ნახვის ნება მთელი დღით“.

მე მიხაროდა და ვერ მივხდი, თუ რათ მიწევდენ ასეთ ყურადღებას, რათ მაწვდიდენ ასეთ წყალობას? თურმე ეს იყო უკანასკნელი, შემდეგში ამიხსნეს მეგობრებმა, მაშინ კი მიხაროდა! მთელი დღე ერთათ გავატარ ეთ, ეს იყო გასამართლების წინადღე! მე ვცდილობდი მეგრძნობინებინა შვილისათვის რომ მე არ მეშინია, არ ვეძლევი სასოწარკვეთილებას, ვიცინოდი, უამბობდი გასარ-

თობ რამეებს, ველაპარაკებოდი მომავალზედ, აწმყოს რწმენით ვიხსენიებდი. გულში კი ცეცხლი მენთო. რანაირათ უნდა მეგრძნო სიმშვიდე. როგორ ამომეძარო გულიდან ღრმად ჩასობილი ლურსმანი: დილით გასამართლება! ამის ფიქრი სერავდა გულს. ტვინს, სულს!

ექვსი საათი იქნებოდა, შვილმა შესწყვიტა მუსაიფი, და სადღაც შორს იწყო ცქერა. შემდეგ მომიბრუნდა და სრულიად დამშვიდებულმა მითხრა:

— ეხლა კი მასზედ მოვილაპარაკოთ, რაც აუცილებელია! და მან მოიწადინა შევჩვეოდით ჩვენ იმ ფიქრს, რომ სიკვდილი აუცილებელია, ლაპარაკობდა ის რბილათ, ნაზათ... მე ვსდუმდი, მაგრამ ჩემ გულში რომ ჩაგეხედათ, როდესაც ის ლაპარაკობდა, რა ცეცხლი იყო!

— ხომ არ ითხოვ ჩემ პატიებას?

მეც ვარწმუნებდი.

— არა, ჩემო კარგო!

— ეცდები ხომ თავი შეიკავო?

— როგორ არა, ჩემო ძვირფასო!

— მოიგონე, მარტო შენ ხომ არა ხარ! რამდენია შენისთანა დედები! როდისმე ხომ უნდა მოვკვდე, სულ ერთი არ არის როდის!?

— ხო, ჩემო საყვარელო!

და ნაზათ მეამბორა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა...

ამ ჟამათ ჩვენ მალე დავშორდით ერთმანეთს, ორივენი ვგრძნობდით, რომ ამ წამში ყველაფერი ამაოა ხვევნაც... კოცნაც!..

დადგა გასამართლების დღეც. როგორც ავტომატი ისე ვიცქეოდი: ჩავიცვი, ჩავედი ძირს, ვიქირავე ეტლი... კაზარმა, სადაც სასამართლოს სხდომა იყო გამართული, ექვსი ვერსის სიშორეზედ იყო, დიდხანს მივდიოდით. მახსოვს ცუდი ამინდი იყო, ქარი მტვერს იღებდა, გამოხუნებული, უმზეო დღე. ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერს გამჩნევდი, თითქო ჩემში ორი ადამიანი იყო— გარეშე, რომელიც მოძრაობდა, ლაპარაკობდა, ხედავდა. შინაგანი შიშით შეპყრობილი, გაყინული სისხლით, ერთი ფიქრით გაჟღენთილი—სასჯელი...

მე უკვე გაგებული მქონდა ის მუხლი, რომელსაც უქვემდებარებდენ ჩემი შვილის დანაშაულს—მას აბრალებდენ შეთქმულების მეთაურობას და უმთავრესს ხელმძღვანელობას ამ საქმეში... ეს ხომ სიცრუე იყო! დამტკიცება კი მისი ამ ჟამად შეუძლებელი იყო. ყველაფერი მისთვის არა სასურველათ მოეწყო... ის მღვდელი, რომელიც ბაღში ეგაასებოდა მას, ვერ იპოვეს. ჯიბეში ჩემ შვილს გატენილი რევოლვერი უნახეს. შევედით კაზარმაში. სავსე იყო ხალხით, კარისკაცნი, ოფიცრები, მღვდელი, მოწმენი. დარბაზი გაჭედილი იყო. უცბათ გაისმა ისტერიული ტირილის ხმა, ეს მაკაროვის დედა იყო, რომელიც ამ შემთხვევისათვის მოსულიყო, უბრალო, თავსაფარ მოხვეული დედაკაცი. მისმა ტირილმა თავზარი დამცა: მისი ცრემლები—ხომ ჩემი ცრემლებია! მისი მწუხარება—ჩემი მწუხარებაა! ჩემზედ უფრო, ვერავინ მის ტანჯვას ვერ გაიგებდა,

ჩვენი შვილები ერთსა და იმავე საბრალდებულო სკამზედ ისხდენ, მათ ერთად ბედი ელოდათ. მიველი მასთან და მხურვალეთ გადავეხვიე:

— ნუ სტირი!—ვსთხოვდი მე. შემდეგში მე ამიხსნეს, რომ შეცდომა დაუშვი, რადგან ჟანდარმები და მოსამართლენიც იფიქრებდენ, რომ მე ადრევე ვიცნობდი მას... მაგრამ არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი წამი, როდესაც არავითარ აზროვნებას ანგარიშს ვერ უწევ, არავითარ საშიშროებას... რას დაგეძებდი თუ რას იტყოდენ ჟანდარმები.

„სასამართლო მოდის!“ ყველა ადგენ.

შევხედე თავჯდომარეს: ამ მოხუცის სათნოიანი სახე პატივის ცემას იწვევდა, იგი გამოხატავდა მომენტის სერიოზულ შეგნებას.

შემდეგ გადავხედე ბრალმდებელს:

მისი გაფითრებული სახე ნერვიულათ იკვუკნებოდა: თვალები მის წინ გაშლილ ქაღალდებს დასცქეროდა.

შემდეგ გადავხედე მსაჯულთ—მათი სახე არაფერს არ გამოხატავდა ხოლო უსიცოცხლო, გაყინული მათი სხეულნი მანეკენებს მოგაგონებდათ.

დარბაზში იყვნენ რამოდენიმე ჟანდარმის ოფიცრები, ფანქრებით ხელში, წინ ქაღალდები ეწყოთ, ისინი აღნიშნავდნენ რაც იქ ხდებოდა, რადგან ეს საჭირო იყო მოხსენებისათვის.

ყველა ეს საპატიო პირნი გამოწყობილ იყვნენ სადღესასწაულო ფორმაში სქელი ეპოლეტებით, ეკსელბანტებით, ჯვრებსა და ორდენებში, თითქოს საზეიმოთ მორთულიყვნენ და რა პატარა, შეუმჩნეველ წერტილად მოსჩანდა ამ ბრწყინვალებაში დამცველთა მაგიდა და მათი უბრალო სადა შავი ფრაკები! მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ძალა მათშია, მათ შეუძლიანთ მართებლობათა ყოველი წინასწარი განზრახვანი გააცამტვერონ.

— უფ. ოფიცერო! შემოიყვანეთ ბრალდებულნი!—წარმოსთქვა თავმჯდომარემ!

ამ სიტყვებზედ მე კარებს მივაშტერე თვალი; შორს რაღაცამ გაიბრჭყვიალა: ის იყო ჟანდარმთა გაშიშვლებული ხმლები, ყარაულთა თოფები და მათ შორის ჩაჩეხილ ახალგარზდული ნაბიჯით მოდიოდა ჩემი შვილი—შვილი, რომელიც მე მიზრდია, ძუძუ მიჭმევია, ვაჟკაცათ გამომიყვანია, ეხლა ვსედავ სამსჯავროს წინაშე, სადაც მისი ბედი წყდება! ისე ამაყად მოჭქონდა თავი სამსხვერპლოთ, ისე ადვილად დაუნანებლათ უგდებდა მართებლობას ფეხ ქვეშ თავის სიცოცხლეს, რომ ვერაფრით მას ვერ ვაპატიებდი! სიბრაზემ ამიტანა: მოყავთ სამსჯავროთ, მაგრამ ვინ? ვინ მიიყვანა ის აქამდის?

სანამ მე ამ ფიქრებში გავერკვეოდი ჩემი შვილიცა და სხვებიც უკვე შემოიყვანეს დარბაზში. დამშვიდებულ სახით, ხელში ვარდი ეჭირა, ჩაგვიარა მან გვერდით მე და თავის ცოლს, გაგვიღიმა ნათელი ღიმილით და ოდნავ თავი დაგვიკრა... რანაირათ ამიტოკდა გული: ისე მაგრათ მიცემდა რომ მგონი თავმჯდომარეც კი თავის ადგილიდან გაიგონებდა მას.

თავმჯდომარე ღენერალი კარდინალოვსკი, თითქოს სინიდისიერად მიუდგა საქმეს—ისეთი ყურადღებით ისმენდა ბრალდებულთა თვითეულ სიტყვას...

— ბრალდებულო! ადექით და სთქვით თქვენი სახელი, მამის სახელი და გვარი!

გაისმა გარკვეული, ხმა მაღალი პასუხი:

— „პეტერბურღის ღუბერნიის ⌊მკვიდრი აზნაური ბორის ვიკტორის-ძე სავინკოვი“.

სხვების პასუხიც ისეთივე გარკვეული იყო. არც ერთი მათგანი არ დაბნეულა, არ აღელვებულა.

მათი პასუხების შემდეგ წამოდგა ნაფიცი ვექილი ფალეევი. სამხედრო კანონების კარგი მცოდნე, რადგან დიდი ხანი არ არის რაც თვითონ იყო სამხედრო იურისტი.

მან დაიწყო იქიდან, რომ ღენერალ კაულბარსს არ ჰქონდა სამართალში მიცემის უფლება, რადგან სამხედრო წესის დროის კანონების ძალით ასეთ პირობებში აღძრული საქმე ექვემდებარებოდა ადმირალ ჩუხნინს. (რომელიც უკვე მკვდარია).

ეს იყო ჩვენი პირველი საკასაციო საბუთი. ბრალდებული მას გესლიანი ღიმილით შეხვდა მისი აზრით ვინმეს უნდა მიეცა დამნაშავენი სამართალში? სულ ერთია ვისაც უნდა აღეძრა ის, რადგან საქმე სასამართლოშდის მივიდა, იგი უკვე უნდა გაირჩეს. სასამართლო გავიდა სათათბიროთ. საქმის შეწყვეტის დროს ჩემი შვილი ებაასებოდა ამხანაგებს, სჩანს რაღაც გამამხნეკებელი ხასიათის საუბარი უნდა ყოფილიყო ის, რადგან ყველას სახეზედ ის ღიმილს იწვევდა.

არ ვაშორებდი მას თვალს. მართალი გითხრათ—მაკვირვებდა. ვერ წარმოიდგენდით როგორ ამ კაცს სიკვდილით დასჯა ელოდა, ისე გულგრილათ უყურებდა თავის საქმეს. არა ნაკლებ მაკვირვებდა მისი ცოლი. ისიც დამშვიდებით ელოდა შედეგს. მე ვერ შევძელი გმირობა! უბრალო, სუსტმა დედამ ვინც ისე ძლიერათ განკიცდიდი ამ სატანჯველს, ვერ ვსძლიე თავს, ვერ შევსძელი მისი გადალახვა. იმდენათ არ მასვენებდა მდგომარეობა, რომ ერთ ადგილიდან, ადგილს გადავდიოდი, ველაპარაკებოდი, ვისთანაც შეიძლებოდა აზრის გაზიარება. ვცდილობდი მიმეცა შვილებისათვის, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ეს თათბირიც საუკუნოთ მოშეჩვენა. მაშინ, როდესაც რამოდენიმე წამი გავიდა მხოლოდ.

გაისმა კიდეც ჩვეულებრივი: „სასამართლო მოდის“.

თავმჯდომარემ გაიცხადა: სასამართლომ სცნო საქმე მოსმენით გაგრძელდეს.

გული ჩამწყდა—ერთ ერთი იმედი გაცრუვდა...

თუმცა მე ვიცოდი, რომ დამკველთ არა ერთი საბუთი ქონდათ საქმის გადასადებლათ გამზადებული, მაგრამ ვშიშობდი, ვინაიდან ერთზედ უარი სთქვეს, იქნებ არც სხვას სცნობდნენ საპატიოთ?

ადგა თავის ადგილიდან ლ. ნ. ანდრონიკაშვილი და იშვიათი სიმშვიდითა და სიბეჯითით მიუთითა მსაჯულთ კანონის აშკარა დარღვევაზედ, რაც გამოიხატებოდა მასში, რომ მაკაროვს ქონდა მინიჭებული ორი კვირის ვადა რათა განესაჩივრებია სასამართლოს პალატის დადგენილება, მაშინ, როდესაც ამ დად-

გენილების წამიდან გავიდა მხოლოდ ოთხი დღე. ამნაირად ბრალდებულის უფლება აშკარათ დარღვეულია. როდესაც ლ. ნ. ანდრონიკაშვილმა დასაბუთებული წერილობითი განცხადება შეიტანა, რომ საქმე გადადებულ იქნეს კანონიერ ვადის შესრულებამდე, მე შევხედე ბრალმდებელს და მის სახეზედ წავიკითხე, რა მოულოდნელი და არსებითი იყო მისთვის ეს განცხადება, ის ალბათ არ მოელოდა ასეთ იერიშს, ამიტომ მომზადებულიც არ ყოფილა მის შესაბრძოლველად. ყოველ შემთხვევაში მეტათ მკრთალი იყო მისი შენიშვნა, თითქო სასამართლოს პალატამ რადგან იცნო, რომ მაკაროვი შეგნებით მოქმედებდა, საქმე უნდა გაგრძელდესო.

ისევ გაისმა:

„სასამართლო გადის სათათბიროთ".

ისევ ლოდიხი! ამ ჟამად მან უფრო დიდხანს გასტანა. გავიდა ათი წამი... ოცი... ოცდა ათი...—სასამართლო ისევ თათბირობდა. და რაც უფრო აგვიანებდა მათი თათბირი, იმდენი იმედი მეძლეოდა: სჩანს სასამართლო სცნობს განცხადებას... როგორც სიზმარში მესმოდა სამხედრო პირთა აღშფოთება, მათი ნაწყვეტ—ნაწყვეტი ბაასი. ერთნი ამბობდენ—„სცნობენ", მეორენი—„არა". ზოგი სასიკეთო ბოლოს ხედავდა დაგვიანებაში, ზოგი კი არ.ა. ყველა დაინტერესებულიყო შედეგით. ერთი ჩემი შვილი არ ღელავდა.

როგორც იქნა მთელი საათის შემდეგ, კვლავ გაისმა:

„სასამართლო მოდის!".

გულმა იწყო ბგერა, ხელები დამიცივდნენ, თვალთ დამიბნელდა და რომ არ წავქცეულიყავ, სკამს მოვავლე ხელი. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიწყნარეში მკაფიოთ გაისმა ხმა თავმჯდომარის, ის კითხულობდა სასამართლოს დადგენილებას:

— ვიღებთ რა მხედველობაში რომ ესა და ეს, მუხლი და სხვა.

„ვიღებთ რა მხედველობაში და იმიტომ რომ თავმჯდომარე არ ჯდებოდა და ისევ ფეხზედ განაგრძობდა კითხვას, მე უკვე ვგრძნობდი, რომ საქმე კეთილათ ბოლოვდებოდა. მიუხედავათ ამისა, როდესაც მან წარმოსთქვა:

„ამისათვის სასამართლომ სცნა საქმე განსახილველად გადაიდოს"—ყველაფერი ჩემ წინ აირია, თავის ბოუ დამესხა დავბარბაცდი და რომ სკამისათვის არ წამეტანებია ხელი, დავეცემოდი, მხოლოდ ამ ჟამად კი სიხარულისაგან... პირდაპირ მათრობდა მისი წარმოდგენა, რომ საქმის გადადება ერთნაირი იმედი იყო ხსნის.

რა თქმა უნდა ლოღიკური მსჯელობით ის იყო მხოლოდ დროებით სულის მობრუნება, მაგრამ უსაზღვრო სიხარული მას ფარავდა.

დამცველნი ზეიმობდენ და არც გასაკვირია—ასეთი შემთხვევა ჯერ არც მომხდარა. ულოცავდით ერთმანეთს გამარჯვებას, გვიხაროდა, თვალი სიხარულის ცრემლით გვევსებოდა. შორიახლოს მივჩერებოდი შვილს, რომელიც სტოვებდა დარბაზს, ისეთივე სიმხნევით მიდიოდა ის ყარაულებ შორის ჩამღგარი, როგორითაც შემოვიდა.

ბევრს ლაპარაკობდენ გარშემო. არავინ არ ელოდა სამხედრო სასამართ-

ლოსაგან ასეთ სამართლიანობას ულრმესი პატივის ცემით შევხედე თავმჯდომარეს — მან არ დაუშვა უსამართლობა. არ მოსცხო ჩირქი სასამართლოს.

შემდეგ შვილმა მიამბო, თუ როგორ მსჯელობდენ დაბრუნებისას მისი ამხანაგები — ნაზაროვი და დოინიკოვი.

„მე კი მეგონა ჩვენი დაპერის შემდეგ, რომ სამართალი ქვეყნად აღარ არსებობდა... ეხლა ვხედავ, რომ კიდეე არის! თუმც ცოტა, მაინც არის! არ მოინდომა მოხუცმა ჩვენი ცოდვის ზიდვა — სამართლიანი ყოფილაო!“.

აღარას ვიტყვი გასამართლების შემდეგ ჩემი შვილის შეხვედრაზედ — არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი ინტიმური წამები, იმდენად ძვირფასი, რომ სხვას მას ვერ გაუზიარებ... ვიტყვი მხოლოდ, როდესაც მოვეხვიე შვილს კისერზე, იმ კისერზე, რომელიც თოკი უნდა გაყრილიყო, მეაღარ მინდოდა ხელიდან გამეშვა ის...

განაჩენის მიორე დღიდანვე ჩემ შვილს ცხოვრების პირობები ციხეში მეტათ ცუდათ შეუცვალეს. თითქოს მისთვის არ ავიწროებდა შედარებით აქამდის მართებლობა, რომ დარწმუნებული იყო სიკვდილის შედეგში. ეხლა კი პაიმანებიც შეამცირეს, გადაცემაც ისე ხშირათ აღარ შეიძლებოდა და რაოდენობაც შეამცირეს, საერთოთ მეტი სიფრთხილე და თვალყური დაიკავეს...

მე ეს მეტათ მაღელვებდა. მასთან, როგორც საზოგადოთ არის, ხანგრძლივათ გაპიმულ ნერვების შემდეგ დგება რეაქცია: დამეკარგა ძალა „ენერგია... რადგან სიმმთელემ მიღალატა, ნერვები ძალზედ ამეშალა და ჩემი მდგომარეობა უკვე შვილსაც აღელვებდა. ვარჩიე მისდა დასამშვიდებლათ წავსულიყავი სახლში. და ცოტა შეკეთებული კვლავ დაბრუნებულიყავი საქმის ახალ გარჩევისთვის.

—

ამ შემთხვევის ორი თვის შემდეგ თექვსმეტ ივლისს, სწორეთ იმავე რიცხვს, სევასტოპოლიდან რომ ტელეგრამა მივიღე ივანოვის — ავიღე თუ არა ხელში დილის გაზეთი შემდეგი დიდი ასოებით — დაბეჭდილი განცხადება წავიკითხე: „პოლიტიკურის გაქცევა“.

სევასტოპოლი 16 ივლისი: დღეს დილით ადრე ციხის გაუპატვახტიდან გაიქცა ცნობილი პოლიტიკური ტუსაღი — ბორის სავინკოვი. სამხედრო პირის სულიატიცკის დახმარებით.

გაექცა!!! გაექცა ხელის უფალთ. იხსნა თავი განსაცდელისაგან. დაახწია თავი კლიტე ბოქლომებს, ძალადობას, თვითნებობს!.. სახრჩობელას!.. კურთხეულ იყოს შენი დამხმარეს ხელი!!

უსაზღვრო ბედნიერების გრძნობით ამევსო გული...

გადარჩა! აღარ მოველი კინკალით ხვალინდელ დღეს! აღარ არის საჭირო გასამართლებისათვის ცდა და მზადება! შეიძლება უკვე თავისუფლათ დავიძინო, აღარ მტანჯავდეს მოფიქრება, სიკვდილით დასჯის. და პირველად, დიდ ხნის შემდეგ, ჩემ ცხოვრებაში კვლავ შემოიჭრა ბედნიერების სხივი, მაგრამ რა ცოტა ხნით — საღამოს ისევ შემიპყრა ეჭვმა — ვაი რომ დაიჭირონ? მთლათ შემბოჭა ნაცნობმა შიშმა... ნეტავ შემეძლოს გადალახვა სივრცის, სიბნელის, რომ

დავინახო გავიგო სად არის ამ ჟამათ ის? ვინ არის მასთან? სად იმალება? ვის აფარებს თავს? და ამ გაბოროტებულმა ფიქრმა მთლათ ჩაჩრდილა ცოტა ხნის სიხარული. მხოლოდ მაშინ, როდესაც რამოდენიმე დღის შემდეგ საზღვარ გარეთიდან მივიღე ღია ბარათი ნაცნობი ხელით—„სალამი"—მომეშვა გულს, ზურგიდან მომეხსნა უშველებელი ლოდი და აი ამ ღამეს, მხოლოდ ამ ღამეს, დავიძინე უკვე დავიწყებულ მოსვენების ძილით!

ორი კვირის შემდეგ ჩემმა შვილმა გამოუგზავნა ღენერალ ნეპლიუევს შემდეგი წერილი: მის აღმატებულებას ღენერალ-ლეიტენანტ ნეპლიუევს.

— მოწყალეო ხელმწიფევ!

როგორც მოგეხსენებათ მაისის 14-ს მე დამპატიმრეს სევასტოპოლში, ბრალს მდებენ თქვენი სიკვდილის განზრახვაში და 15 ივნისამდის ვიმყოფებოდი ციხის უმთავრეს გაუპვახტაში, ჩემ ამხანაგებთან ნაზაროვიან და დოინიკოვთან ერთათ, საიდანაც ს. რ. პ. საომარ. ორგ. დადგენილებით მიტანილ ის პოლიციის ოფიცრის სულიატიკის დახმარებით ღამით 15 ივლისს მე გავიქეცი. ეხლა, როდესაც რუსეთის კანონების გარეშე ვიმყოფები, მე მოვალეთ ვსთვლი ჩემ თავს გაცნობოთ, რომ არა ერთხელ მქონია ჩემი ტყვეობის დროს განცხადებული, ე. ი., რომ მე მაქვს პატივი ვეკუთვნოდე ს. რ. პ—იას. სრულიად ვიზიარებ მის პროგრამმას. მიუხედავათ ამისა არავითარი განზრახვა თქვენი სიკვდილის შეს ხებ, მე არ მქონია. არაფერი ამ შეთქმულების შესახებ მე არ ვიცოდი და არავითარ მორალურ პასუხისმგებლობას უდანაშაულოთ დაღუპულ ხალხის წინაშე ძე არ ვიღებ, აგრეთვე არ მიცდია მკირე წლევან მაკაროვის ჩათრევა ტერორისტულ მოქმედებაში.

ჩემთან ერთად ისეთივე უდანაშაულონი არიან ფ. ა. ნაზაროვი და ი. ვ. დოინიკოვი.

სრული პატივისცემით

ბორის სავინოკოვი.

ბაზელი. 6—9 აგვისტო 1906 წ.

ამავე წლის ოქტომბერში შესდგა მეორე მახედრო სასამართლო იმ პირთათვის, რომლთაც ბრალდებოდა ღენეოალ ნეპლიუევის სიკვდილის განზრახვა—ნაზაროვისა და დოინიკოვის და შემდეგში დაჭერილ კალაშნიკოვისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო დრომ შეანელა ის სიფიცხე და მსაჯულნი უფრო დამშვიდებით გაეკკიენენ სინამდვილეში, რის შედეგი იყო გამართლება ყველასი გარდა მაკაროვისა.

ეხლა ვიკითხოთ—რისთვის დაგვტანჯეს ასე დაუკითხავათ ამ უდანაშაულოთა მახლობლნი? აქამდისაც ვერ მოვსულვარ გონს.

ნუ თუ ასეთი შეცდომები არას ეუბნებიან მათ ვის ხელთაც უფლებაა! არ დარწმუნდებიან მასში, რომ მაძეგარ—პოლიციელთა სისტემა მიზანს ვერ აღწევს. ნუ თუ გასაგები არ არის, როდესაც უმეცართ უკდებენ ხელში ხალხის ბედს, ეს წარმოშობს ათასნაირ შეცდომებს და მის გამო მტრებსაც!

მთელი ბრალდება დამყარებული იყო მაძებარ-აგენტების ჩვენებაზედ, რომელნიც კარგ ჯილდოსათვის ჩადიოდნენ ბოროტებას და გამოდგა მხოლოდ საპნის ბურთი, რისთვის კი სიკვდილით დასჯა აუცილებელი იყო.

განა მართალი არ იყო ჩემი შვილი, როდესაც მან გაქცევა არჩია გასამართლება ? ამნაირად განვიცადე ეს შემოხვევები... ჩემთვის შედარებით ის უფრო კარგათ გათავდა: ჩემი შვილი ბეწვზედ გადარჩა სიკვდილს! მაგრამ როდესაც მოვიგონებ განვლილ ტანჯვას სიკვდილის მოლოდინში, მაშინ მე ჩემ თავზედ არ ვფიქრობ... ხშირათ დაღონებით ვეკითხები თავს—ისინი? ის სხვები? ვინც საშინელი ღამე გაატარეს თავიანთ შვილების სიკვდილით დასჯის მოლოდინში? ყველა ის უბედური დედები, ვისთვის ნელნელ გადიოდნენ ტანჯვის წამები, როდელნიც უახლოვებდნენ საშინელ საბედისწერო აუცილებლობას? ვისთვის მუდამ დაუვიწყარია ის წამი, როდესაც საათის ისარი ანიშნებდა ამ საშინელების მოახლოვებას?

ტყუილად გვარწმუნებენ ჯალათნი, რომ ისინი სიცოცხლეს სიცოცხლისათვის ართმევენ! დიდი განსხვავებაა სიკვდილთა შორის—უეცარი, მოულოდნელი, თუ როდესაც ნელ-ნელ ითვლი დარჩენილ წუთებს? და ის ქვეყანა, სადაც შესაძლებელია ასეთი შურის ძიება, სადაც ვერ ერთი დედა დამშვიდებით ვერ უცქერის თავის შვილის მომავალს—ეს ქვეყანა, ვიტყვ, გულის ტკივილით, ჩვენი ხსარეა! დღეს ძლიერი, ნათელი, დღე ნამდვილი თავისუფლებისა! და რომ ამისი იმედი არ იყოს, სიცოცხლეც არ ეღირება!

დეკემბერი, 1906 წ.

თარგმანი: თ. ჯაფარიძისა

კარლ ლიბკნეხტ

ხელოვნება

§ 1. არსებითი მხარე და ხელოვნების ამოცანები

ა. ხელოვნების სამი ელემენტი. ესთეტიკის ორი ძირითადი ნაწილი

ხელოვნებას, როგორც საკაცობრიო—საზოგადოებრივ მოვლენას, ახასიათებს სამი ელემენტი.

რომელთაგანაც ორი ამათგანი არის: თვით ხელოვანი, (ხელოვნების შემოქმედი) და ხელოვნების ამთვისებელი.

ხელოვნება, როგორც აგეთი, შუამავლის როლს ასრულებს, რომლის საშუალებითაც ხელოვანი მოქმედებს ამთვისებელზე.
ამრიგად ხელოვნური ნაწარმოები ხდება სრულიად დამოუკიდებელ ობიექტად, რომელშიც გამოიხატება ხელოვანის შემოქმედებითი ძალა.

ამ ორი საკაცობრიო ფაქტორების საერთო ზეგავლენით, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ხელოვანის გავლენა ამთვისებელზე ხდება ტენდენციის და პოტენციის საშუალებითაც, რომელიც აუცილებელია ხელოვნებისათვის, მიუხედავად იმისი, ხდება ეს გავლენა შეგნებულად, თუ შეუგნებლად, ხელოვანის შეხედულების და მის ნების ყოფის გარეშე.

შესაძლებელია ხელოვანს სურდეს შემოქმედება განსაკუთრებით მხოლოდ თავისათვის, თავისი შინაგანი მისწრაფებს დასაკმაყოფილებლად, თავისი შინაგანი შინაარსის ჩამოსაყალიბებლად, რაიმე გარეშე მიზნების მიუხედავად.

თუ ხელოვანი საკუთარი ნებისა და შეხედულობის გამო ასახავს თავის საკუთარ შინაგან სახეს, ხელოვნურ ნაწარმოებით, და გარეშე ხალხს არ უზიარებს, იგი ამ შემთხვევაში არა ხელოვანია, არამედ თავისებური ტიპი თავის საკუთარ „მეს“ დამატკბობელი, დამაკმაყოფილებელი.

ხელოვნური ნაწარმოები შედეგია ხელოვანის; ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც გადასცემს ამთვისებელს ხელოვნურ შემოქმედებითი ძალას; იგი შუამავალია ხელოვანსა და ამთვისებელის შორის.

მხოლოდ ხელოვნურ ნაწარმოების ორმაგი დამოკიდებულება ხელოვანსა და ამთვისებელის შორის, ხელოვნის შემოქმედების შედეგს ჰქმნის ხელოვნურ ნაწარმოებად,

ხელოვანის და ამთვისებელის ფსიქოლოგია იმდენად განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც მასწავლებლის და მოწაფის ფსიქოლოგია, როგორც შემოქმედი და ქმნილება.

ხელოვნური ნაწარმოები არ შეიძლება განიხილოს განცალკევებით ხელოვანის, ან ამთვისებელის თვალსაზრისით; ეს ორი მთავარი ნაწილია ესთეტიური ფსიქოლოგიისა: ფსიქოლოგია ესთეტიური შემოქმედებისა (აქტიური ესთეტიკა) და პსიქოლოგია ესთეტიური სიამოვნებისა (პასიური ესთეტიკა).

ბ. ხელოვნების არსებითი მხარე

ხელოვნება, ისევე როგორც სარწმუნოება და როგორც ერთგვარი შემოქმედებითი ძალა, არის ელემენტარული მოთხოვნილება სრულყოფისა, ნაწილია, ჩვენი შინაგანი მისწრაფების უმაღლეს განვითარებისაკენ: სახელდობრ მისი ესთეტიურ მხარისაკენ. იგი ესწრაფვის, მოახდინოს გავლენა ცხოვრების განვითარებაზე ესტეტიურ მოთხოვნილების ჰარმონიის და მშვენიერების აღსრულების საშუალებით. სწორედ ამას აღნიშნავს ლესსინგი ბუნდოვანად, როდესაც იგი განმარტავს „სიამოვნებას" როგორც ხელოვნების მიზანს.

ხელოვნება სინამდვილისაგან მოითხოვს ესთეტიურ სრულყოფას. იგი საზრდოობს სინამდვილის ჩამატებით და გაუმჯობესების საშუალებით.

ასეთივე მოთხოვნილებებს უდგენს ხელოვანი საკუთარ ნაწარმოებს. მის მთავარ ამოცანას შეადგენს არა სრულყოფილ ნაწარმოების შექმნა, არამედ სრულყოფილ მსოფლიოსი.

მისი ამოცანას შეადგენს არარეალობის და მის ანარეკლის მიბაძვა, არამედ არარეალობის შექმნა.

ესთეტიური სრულყოფა მოითხოვება არა მარტო გარეგან ფორმას, არამედ ყოველ ყოფის შინაგან აოსებობას.

ხელოვნება, როგორც შედეგი, მოქმედება და ამ შემოქმედების ძალის ნაყოფი წარმოადგენს დამატებით, წარმოდგენათა და გრძნობათა კომპლექსს, სრულყოფის მოთხოვნილებიდან წარმოშობილს.

არ არს „ხელოვნება ხელოვნებისათვის" ა-ც ხელოვნური ნაწარმოები, არც მხატრული შემოქმედება, არ წარმოადგენენ თვით მიზანს.

ხელოვნება არის სოციალური მოვლენა, არამც თუ თავისი წარმოშობით, ამომაძრავებელ მიზეზით, პირობებით, არამედ თავისი მიზნებით და ამოცანებით.

გ. ხელოვნება და ეთიკა

ესთეტიური სრულყოფის მოთხოვნილება მუდამ ეთიურ სრულყოფასთან დაკავშირებულია.

ეთიური არასრულყოფა ხელს უშლის ესთეტიურ ჰარმონიას და ითვისება როგორც სიმახინჯე, იმ დროს, როდესაც, სიკეთე ითვისება, როგორც მშვენიერება.

ეთიური პრობლემები შეადგენენ არა მარტო მასალას და სუბიექტს ხელოვნებისათვის, არამედ გარდიქმნებიან ესთეტიურ პრობლემებად.

ხელოვნება თავისებურად ესწრაფვის ეთიურ არა-სრულყოფის მოსპობას. მაგალითად, ტრაღედიის ამოცანა, რომელშიაც უმაღლესი ესთეტიური და ეთიური მოთხოვნილებანი გადახლართულნი არიან.

ესთეტიური და ეთიური მოთხოვნილებანი ნაწილობრივად ხშირად ერთვიან, მაგრამ ესთეტიური მოთხოვნილებანი გაცილებით უსწრებენ. მაშასადამე ყოველი სიმშვენიერე არ არის „სიკეთე“ მაგრამ, ყოველივე სიკეთე აუცილებლივ არის მშვენიერება.

ესთეტიური და ეთიური მოთხოვნილებების მისწრაფება განხორციელებისაკენ და ესთეტიურ ეთიურ ჰარმონიის განმტკიცება პოინციპიალურად ცხოვრების განვითარებას ხელს უწყობს.

ხელოვნება და ეთიკა თავისი ძირითადი ტენდენციით ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ცხოვრების განვითარებას, ვინაიდან ყოველივე ის, რაც ცხოვრების უმაღლეს განვითარებას ეწინააღმდეგება, ჩვენ მიერ აითვისება და შეიმცნება არა მარტო როგორც მავნე, არამედ როგორც მორალური ბოროტება და ესთეტიური სიმახინჯე.

ესთეტიური მშვენიერება და მორალური სიკეთე თანახმად ჩვენი ილჯუზრისა საჭიროა უმაღლეს განვითარებისათვის; ამას ყველა თავისებური თვალსაზრისით სინჯავს, აშუქებს, ითვისებს და იგებს, იმის და მიხედვით, თუ როგორ გონებრივ და ფსიქიურ მდგომარეობაში იმყოფებიან ამთვისებელნი.

დ. ხელოვნების ამოცანა.

ხელოვნების თემას შეადგენს არა რეალური განსახიერება საგნების, (სხეულების) ფერების, სინათლის, სივრცის, არამედ რეალობა შემოქმედის და ამთვისებლის ფსიქოლოგიისა.

ხელოვნების ამოცანას შეადგენს არა მოკლენათა აღწერა, არამედ ამთვისებლის სულიერ მდგომარეობაზე ზეგავლენა, რომლისათვისაც ხელოვანი წარმოადგენს შემოქმედს, ჩამოქყალიბებელს, აღმზრდელს და აბრძოლებელ ძალას.

ხელოვნების მიზანია არა მოქმედება ამთვისებლის გონებაზე, არამედ ინტელექტუალურ, ესთეტიურ მორალურ სფეროში, აზროვნებასა, წარმოდგენასა და შეგრძნების ზეაწევა—აღფრთოვანება ამთვისებლისა.

ეს უნდა ხელს უწყობდეს სხვაგვარ გონებრივ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში გადატანას.

სინამდვილის ანალიზი, გადმოცემა შინაგან და გარეშე მსოფლიოს სწორ-განხმიერების და საზოგადოთ რისაც უნდა იყვეს გამოსახვა, მიუხედავად ფორმისა და შინაარსისა—ყველა ეს ხელოვნებისათვის ღირს შესავიშნავ ობიექტს და მიზანს არ წარმოადგენს და რჩება მრავალთა შორის, ნხოლოდ ერთ-ერთ მის სამუშაოდ, ეს შეეხება როგორც სიტყვითი ხელოვნებას, აგრეთვე ხელოვნების სხვა დარგებს.

ამ მიზნი ათვის ხელოვნება სხვა და სხვა საშუალებით სარგებლობს; სხვა-თაშორის შინაგან და გარეგან მსოფლიო ცდათა ფაქტების აღნუსხვით, აგრე-

თვე ფანტაზიის და გრძნობის, რეალობის და არარეალობის ნაყოფის გამოსახვით.

ზემოქმედება გონებაზე ეკუთვნის ხელოვნების მეთოდებს, მხოლოდ ეს ერთ-ერთი მეთოდია მრავალ მეთოდებთა შორის, ყოველივე სიმბოლიური ფანტასტიური, აგრეთვე ელემენტალური შეგძნებითი—ესე იგი: მანება, ფორმა, ფერი, სინათლე, რიტმი, ტემპი, ბგერა, სურნელებაც კი და ასოციაციის საშუალებით შეხებითი და გემოვნებითი შეგრძნებაც ადამიანის სულამდე აღწევენ ყველა ეს საშუალებას და სხვა და სხვა გვარ მეთოდებს შეადგენენ, რომლის შემწეობითაც ხელოვნება მოქმედებს.

მის მიზანს შეადგენს განსაკუთრებული ზეგავლენა ამთვისებლის გონებრივ—ფსიქიურ მდგომარეობაზე, რომელსაც აღწევს თავისებური რეაქციით და რეზონანსის გამოწვევით.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების სხვა და სხვა დარგი ადამიანის გონებრივ და ფსიქიურ ნაწილებისათვის სპეციალურ გავლენათა სფეროს წარმოადგენენ.

გამარჯვება ამ მიმართულებით არის ერთად ერთი რეალური შესაძლებლობა.

ამ გამარჯვებაში აშკარავდება ძირითადი ურთიერთობა ხელოვნებასა და სინამდვილის შორის. იმ საკითხი, თუ რა საშუალებით აღწევს რეაქციას და რეზონანსს და რა დამოკიდებულებაში იმყოფებიან ეს საშუალებანი სინამდვილესთან, რითაც ჩვეულებრივად განიმარტება მხატვრული რეალიზმი, ამ საკითხში ხელოვნება რჩება აბსოლუტურ ნეიტრალურად.

ხელოვნებისათვის არსებითად აქვს მნიშვნელობა ზემოხსენებულ გამარჯვების განსაკუთრებითი რეალობას. მხატვრულ ზეგავლენის ფსიქოლოგიურ გზებშიაც არის სხვა და სხვაობა.

ტრაღედიის მეთოდია—შიშის აღძვრა (საკუთარ არსებაში) და ამთვისელში კი შებრალებისა.

ეს ის გზაა, რომლის საშუალებით ტრაღედიას განსაკუთრებულ მიზნისაკენ მიჰყევართ იმ ვნებათა სრულყოფისაკენ, რომელნიც გრძნობათა პირველი აღმძვრელნი არიან.

ეს ის განსაკუთრებული ფსიქიური ნაწილია, რომლითაც ტრაღედია ემსახურება სრულყოფის რეფლექტორ-პრაქტიკულ მოთხოვნილებას.

გარდა ამისა, ტრაღედიას, როგორც ხელოვნების სხვა დარგებს, აქვს თავისი პროექციული მხარეები.

§ 2. ფორმა და ფორმის ასახვა

ფორმა უშინაარსოთ, როგორც ცნება წარმოუდგენელია.

ფორმის ცნება არის მხოლოდ შინაარსის თვისება და განუყრელია უკანასკნელისაგან, უკეთ რომ ვსთქვათ, ის არის თვით შინაარსი.

თუ ხელოვნება ფორმის ჩამოყალიბებაა, ეს ჩამოყალიბება შეიცავს და გულისხმობს რაიმე შინაარსს, ვინაიდან უშინაარსოთ ფორმა უაზრობაა.

ხელოვნური ნაწარმოები არ შეიძლება, რომ უშინაარსო იყვეს.

მაგრამ უკანასკნელი არ წარმოადგენს ხელოვნების არსებითი მხარეს.

ხელოვნებას შემოქმედებითი პროცესში ახასიათებს ფორმის ასახვა, დამთავრებისას კი ჩამოყალიბებული ფორმა ისევე, როგორც ორგანიულ არსებობის თვისებას წარმოადგენს ნივთიერების განსაკუთრებული სტრუქტურა, ურომლისოდაც ორგანიულობა წარმოუდგენელია.

მეორე მხრივ ყველა ნივთიერება არ არის გამოსადეგი ორგანიულ ასახვისათვის და ყველა გამოსადეგი მასალა ერთნაირ ღირებულებას არ წარმოადგენს.

აგრეთვე ყოველი სუბიექტი გამოსადეგი არ არის მხატვრულ ფორმის ასახვისათვის.

ლესინგი თავის „ლაოკოონის“ მეორე ნაწილში გარკვევით მოითხოვს, რომ არა მარტო ფორმა, არამედ თვით სიუჟეტიც უნდა „მშვენიერებას“ წარმოადგენდეს.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ ხელოვნების არსებითი მხარე მხოლოდ ფორმის შექმნას გულისხმობდეს.

იმ კითხვაზე, შეუძლიან თუ არა, განცალკევებულად თვით შინაარსს, მიუხედავად ფორმისა, მოახდინოს ამთვისებელზე გავლენა,—დადებითად უნდა უპასუხოთ.

ავიღოთ, მაგალითად, შექსპირის ზოგიერთი ცნობილი დრამები, რომელნიც ფორმის მხრივ არ წარმოადგენენ სრულქმნილებას (პერიკლოსი) სადაც შინაარსი ფორმას აჭარბებს—დავინახავთ თუ რაოდენ შთაბეჭდილებას ახდენს მხოლოდ მათი ფაბულა.

სუბიექტი შეიცავს თვით ფორმას, ის თავის თავად პოტენციაში ფორმას წარმოადგენს და მოქმედობს ამ ფარული ფორმის დახმარებით.

ესთეტიურ გრძნობის არსებით მხარეს შეადგენს განსაკუთრებული გონებრივ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, აღფრთოვანებისა, ეკსტაზისა და ჰარმონიზაციისა.

ეს მშვენიერების და სრულყოფის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა.

ამ გვარი მდგომარეობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს სუბიექტთან, რომელსაც შეუძლიან გამოიწვიოს ასოციაცია, სულიერი განწყობილება, სახეები, გრძნობა, აღელვება, იმ შთაბეჭდილების დამოუკიდებლად, რომელსაც მხატვრული ფორმის ასახვა ახდენს, და რომელთაც უნდა შეჰქმნან ესთეტიური ჰარმონიზაცია.

გარდა ამისა სუბიექტს შეიძლება ფორმა ეწოდოს, ვინაიდან იგი შეიცავს ფორმის შინაგან პოტენციას, რომელიც უნდა გულისხმობდეს, როგორც გავლენის ხარისხი უკანასკნელზე.

ამგვარ სუბიექტის აღმოჩენა არანაკლებ მხატვრულ შემოქმედებათ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე იმისი ფორმით ჩამოყალიბება.

ესთეტიკათ სუბიექტი მოცემულია. ფორმის მხატვრული ძალა გარდაქმნის ამას, და შეჰქმნის რაღაც ახალს, მანამდე არ არსებულს.

ამგვარად მხატვრული შემოქმედება შეიძლება წარმოიშვას და იარსებოს ძალდაუტანებლად.

მაგრამ არ შეიძლება ის წარმოიშვას, ან იარსებოს ფორმის გარეშე, მისთვის რომ ესთეტიური სრულყოფის ყოველმხრივი მოთხოვნილებას არ შეუძლიან უარჰყოს სრულყოფილი ფორმა.

§ 3. სინამდვილის მხატვრული გამოსახვის თავისებურება

თუ ხელოვნებას სუბიექტად სინამდვილის ნაწილი აქვს აღებული, ის არ უნდა გადმოიცემებოდეს ფოტოგრაფიულად, ობიექტიურად, მხოლოდ იმისთვით მაინც, რომ აღებული სინადვილის ნაწილი წარმოადგენს ისეთ ერმიერესობას, რომელიც დაკავშირებულია იდუმალ ძაფებით ყოველ ხანასთან და მთელ კოსმოსთან, ამასთანავე ის დაუსრულებელია, არ არის დამთავრებული, არც სივრცით, არც მიზეზით, არსებობს მხოლოდ ერთად ერთი დასრულებული სინამდვილე — მსოფლიო, ისიც სინამდვილე კი არ არის, არამედ მეტაფიზიკური მცნება, ტრანსცენდენტური წარმოდგენა.

ხელოვნება როგორც სრულყოფის გამოაშკარავება, მოითხოვს თავიდ ნაწარმოებისაგან მთლიანობას და დასრულებას.

მაშასადამე ხელოვნებამ უნდა უარჰყოს არა-არსებითი, შემთხვევითი, რაც გარეგან გამომსახავ სინამდვილის ნაწილში იჭრება — აი სწორედ ეს ის ძაფებია, რომელნიც სინამდვილის ნაწილის ელემენტებს აკავშირებენ.

იმათი განდევნით ყველაფერი დაინგრევა, თუ რომ ამ ელემენტების შესაერთებლად ახალ კავშირს არ შევიტანთ, მაგრამ ასეთი სახით წარმოდგენილი, სრულიათ შეცდომილი სინამდვილე, რასაკვირველია ვერ დააკმაყოფილებდა მშვენიერების ესთეტიურ მოთხოვნილებებს.

მაგრამ, ამ გამოცვლილ ობიექტიურ სინამდვილის მიუხედავად, თკით ხელოვნების არსებობა შეიცავს სინიმდვილის საფუძლიან გარდამუშავებისას აუცილებლობას.

სწოლოედ ეს განყოფა სინამდვილისაგან, ამაღლება მასზე, სინამდვილის გაღრმავება, გაძლიერება, მისი კონცენტრაცია, მაგ. სპეციალურ პსიხიურ მოვლენებით, სინამდვილის სიმბოლიზაცია და სხვა, ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვსთქვათ, სწორედ ირრეალიზაცია, აძლევს ხელოვნებას იმ ძალას, რომლითაც ადამიანი გადადის უმაღლეს გრძნობათა სამეფოში — ფანტაზიის მსოფლიოში, ჭეშმარიტების, სიკეთის და სილამაზის სფეროში; და სწორედ ამ შთაგონების ოვისებაში და ექსტაზის გამოწვევის უნარიანობაში, რაც ასე რეალურად მოქმედობს ამთვისებელზე სწორედ ამაშია სიდიადე და მნიშვნელობა ხელოვნების და ეს აოის ერთად ერთი მაშტაბი მის შესაფასებლად.

§ 4. ტრაღიკომიკური

ტრაღიკურის და კომიკურის კიდურები ერთიანდებიან თავიანთ ზენიტში. ორთავეს წმინდა ფორმათ დასახული აქვთ საერთო სუბიექტი.

ორივენი არსებობენ მხოლოდ აბსტრაქციაში, სინამდვილის დახლართულ ერთმანეთის საწინააღმდეგო, უამრავ და დაუსრულებელ ურთიერთობის გარეშე, მხოლოდ „განყენების“ საშუალებით, რაზედაც ლაპარაკობს ლესსინგი (ჰამბურგის დრამატურგიაში, 70).

დაუსრულებლობა და მსოფლიოს სიმთელე. უცვლელ, გაუბრალოებულ ემპირიულ ყოფაში, ყველაკან სხვა და სხვა სიმპტომებით და ჩვენს მიდრეკილებაში დაუსრულებლობა და მთლიანობა მსოფლიოსი,— ფაქტია, რომლის წინაშე დაპირისპირებულია განცალკევებული ადამიანი, როგორც უმნიშვნელო რამ.

განხილული ასეთ დაკავშირებით, კოსმიურ უდიდეს მოვლენათა შეფარდებით, მსოფლიოს ფონზე გაგეგმული, ყოველი დიადი კაცობრიობის ბედის საკითხები, კაცობრიობის უმაღლესი საქციელი, აითვისებიან სინამდვილის შექმნის დროს ტრაღიკურ მოვლენათ, ამავე დროს იგივე რჩება კომიკურად, ესეიგი — ტრაღიკომიკურად.

ტრაღიკურია ადამიანის თვალსაზრისით და კომიკური მსოფლიოსთან შედარებით, მძაფრი კონტრასტის გამო, რომელიც არსებობს მსოფლიოს და ადამიანის განცდების და მისწრაფებათა შორის, იმ მსოფლიოსთან შედარებით, რომელიც შეიცავს სრულ გულგრილობის და დამათრგუნებელ ძალას.

აქ წარმოიშობა საკითხი, იმის შესახებ, თუ რამდენად ხელს უშლის ამ ზეგავლენას ურთიერთისადმი უაღრესი წინააღმდეგობანი. მაგალითად, ობიექტიური ჭეშმარიტება არის უაღრესად ტრაღიკომიკური. ობიექტიური ჭეშმარიტება შეიცავს ადამიანის ყველა გრძნობებს ‌ᲓᲐ მათი დაკავშირება, შეერთება მასთან, რაც გრძნობებს მოკლებულია, ჰქმნის ობიექტიურ ტრაღიკომიკურ მოვლენებს. სუბიექტიურად ტრაღიკომიკური შეერთებული ინტელექტუალურ-სენტიმენტალურთან ერთსა და იმავე დროს ობიექტიური და სუბიექტიური ყოვლად შემაცნებელი. ყოვლად ლმობიერი, აზრის განსახიერებაა, რომლის საშუალებითაც ტრაღიკომიკურის გაგება და გონებრივი შეფასება, როგორც სულიერი მდგომარეობა ადამიანისა, წარმოადგენს უმაღლეს საფეხურს ობიექტივობისას, —ადამიანისათვის მისაწდომს. ეს ჰქმნის „ჰუმორის“ ღრმა და ძირითად ტონს, რომელიც ენათესავება ირონიას, თავისი აუღელვებლობით, აპატიით, ატარაქსიით. ამ ტონის და მარადიულ, ცივ, განყენებული უმოძრაობის შორის, რაც ახასიათებს ელლინთა ზევსს, მთელი უფსკრული არსებობს.

ტრაღიკომიკური სიდიადის გადმოცემა მძიმე ამოცანას შეადგენს, რადგანაც კონტრასტიულ დაუსრულებლობის კოსმიური ტონის, საგნებით გამოსახვა ადამიანის ძალას აღემატება.

ადამიანის გამოსახვა ამ მრავალფეროვან და გაუნაწილებელ ფერადებში, ერთმანეთის მოწინააღმდეგე საგნებთა და მოვლენათა შორის, იმ აუცილებლობას შეადგენს, რომელიც გვიადვილებს ადამიანის და მისი ბედის გონივრულ გაშუქებას.

სერვანტესის მიღწევებს ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია.

შექსპირის მრავალ დრამებში, გვხდება ტრაღიკომიკური ხაზები, აგრეთვე, როგორც ბაირონის, ტეკერეის და ლესაჟეს ნაწარმოებში.

ტრაღიკომიკური ელემენტი უმაღლესი ფორმაა ტრაღიკურისა და იმავე დროს კომიკურისა, უმაღლესი მთლიანობა ორთავე მოწინააღმდეგობისა. გონებრივი აღმატება, ატაცებული სულიერი მდგომარეობა, და სიმტკიცე იმავე ტრაღიკომიკურში უფრო მკაფიოდ, მძლავრად გამოიხატება, ვიდრე ტრაღი-

კურში. მაგრამ ამ მხრივ ის, უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას იწვევს, ვიდრე ტრაღიკური, სახელდობრ მით, რომ ის სდგას ხორც. შესხმულ ცოცხალ, ნორმალურ და ადამიანურ ცხოვრების ნიადაგზე, — ანტროპოცენტრიულ თვალსაზრისზე და იყენებს თავის მიზნებისათვის ადამიანის პირველ ელემენტალურ გრძნობებს— შიშსა და თანაგრძნობას.

ტრაღიკური აქეზებს გარეგან და შინაგან აქტივობას, და თვით განვითარების მოთხოვნილებას აცხოველებს.

ტრაღი-კომიკური ნაკლებ ინტენსიურად მოქმედებს, ადამიანს უფრო პასივობისაკენ იწვევს, თუმც თავისი გარკვეული სახით ქალურ განაზებულ გრძობა ერებასთან ნაკლები საერთო აქვს.

დონკიხოტისებურ ტრაღიკომიკური, ზოგ შემთხვევაში ხელოვნების უმაღლესს დარგათ გვეჩვენება, იმდენად, რამდენათაც ის ადამიანის სუსტ მხარეებს აღემატება.

სახელდობრ, იმაში გამოიხატება მხატვრული სისუსტე, იმისათვის რომ ხელოვნების ძალას შეადგენს ფსიხოლოგიურად გაღრმავებული, შეფარდებით მორალურ თავისებურებასთან, ვინაიდან ხელოვნების ამოცანას შეადგენს ამ თვისებებში სრულყოფისაკენ მისწრაფების მოთხოვნილება.

§ 5. ტრაღიკური და კომიკური

თავის უმაღლეს წერტილებში ეს უკიდურესობანი თანხმდებიან იმდენათ, რამდენათაც იმათ აქვთ ერთნაირი თემები და ერთნაირი ობიექტები: ადამიანის უძლიერესი თვისებანი და ვნებანი. ის ჩარჩოები, კონბინაციები, საგანთა დაკავშირება, ესა თუ ის გაშუქება, რომელშიაც მოთავსებულია ობიექტი, ჰქმნის ტრაღიკურ ან კომიკურს.

კომიკური ელემენტი არ შეადგენს თვისებას ამა თუ იმ პიროვნებისას, ამა თუ იმ ადამიანის ტიპისას, არამედ ეს ელემენტები ყოველ ადამიანის ბუნებაშია, და უფრო კი ადამიანის იმ თვისებებშია კონცენტრიულად დაგროვილი, რომელიც ჰქმნის საერთო საკაცობრიო საფუძველს, და ამასთანავე წარმოადგენენ უმაღლეს ადამიანის თვისებებს, რომელთაც ძალუძთ შექმნან უძლიერესი ტრაღიკური მოქმედება.

განვითარება რეფლექტორ—პრაკტიკულ—აქტიურ ნიჭის, რომელსაც შეუძლიან აღნიშვნა, აკრეფვა, სასაცილო მხარეების, განთავისუფლება სასაცილოაგან, მასზედ ამაღლება, მასზე გაბატონება, შეადგენს ამოკანას, როგორც კომედიისას, ისევე საერთო კომიკურისას ხელოვნებაში.

§ 6. დრამა და რომანი

დრამა გვაძლევს უშუალოდ გრძნობათა განსახიერებას მოქმედებით, ის იშლება და ხორცს ისხამს ჩვენს გრძნობათა წინაშე, და რომანი კი (პროზაული ეპოსი) მხოლოდ აგვიწერს მოქმედებას.

და ამიტომაც დრამაში ცხოვრება უფრო აქტიურად არის ასახუ-

ლი, ვიდრე რომანში. ავიღოთ გალეტეს რომანი: „ვილჰელმ მეისტერის სამოსწავლო წლები“. აქ აღებულია სუბიექტად ადამიანის ცხოვრების მკირე ნაწილი, მისი განვითარებით, ჩასახვით, კვანძით და შედეგებით. ადამიანი არის აღწერილი მისი გარემოთი, მოქმედებით, შინაგანი ტანჯვით და წარმოადგენს ისეთ ობიექტს, როგორც მისი გარემო მყოფი საგნები და მოვლენები.

პირობები მისი დაბადებისა, არსებობისა, მოქმედებისა, ტანჯვისა, ყველა ეს შეადგენს აღწერის საგანს, ისევე როგორც, თვით არსებობა, მოქმედება და ტანჯვა.

ამგვარად აშკარავდება დამოკიდებულება ადამიანის არსებობის და მოქმედების შორის, რაც შეადგენს ავტორისათვის უმთავრეს ამოცანას.

ამით ეხსნება, რომ რომანის გმირი, შედარებით დრამის გმირთან, ნაკლებ აქტიურად გვეჩვენება, რა გინდ აქტიურ დამოუკიდებლად არ მოქმედობდეს, იმასაინც არ სცილდება საბედისწერო დამოკიდებულება.

სულ სხვა ხდება დრამაში. აქ ყველაფერი სუბიექტიური თვალსაზრისით განიხილება. მომქმედნი პირნი გადმოგვცემენ ყოველივეს, არა როგორც უცხო სხვის განცდებს, არამედ როგორც პირად მოქმედებას და პერსონაჟები გვიშუქებენ თავიანთი გაგებით.

დრამაში აღებულია სუბიექტად არა ადამიანის დამოკიდებულება გარემოებათა და მოქმედებათა შორის, არამედ მისი ბრძოლა იმ სახით, რა სახითაც იგი სწარმოებს და ითვისება.

ტრაგიკური სწორედ იქ წარმოიშვება, სადაც ადამიანი გარდაუვალ არსებობის პირობების საწინააღმდეგოთ, თავის ნებისყოფას დაუპირდაპირებს.

ყველა საგნებსა და მოვლენათა შესახებ, სიტყვები დრამაში გამოსახავენ სუბიექტიურ თვალსაზრისს, რომელნიც გამომდინარეობენ პერსონაჟების სულიერ განწყობილებიდან. ამ რიგად სუბიექტიურობა თვითეულ ადამიანისა წარმოადგენს სოფლმხედველობის ცენტრს.

დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური სულიერი განწყობილება მკითხველისა და მაყურებლისა დამოკიდებულია მომქმედ პირთა სულიერ განწყობილებაზე და აქტივობაზე.

დრამა გვეჩვენებს ყოველივეს სუბიექტიურად, მიდგომით ათვისებულს და გაგებულს, რომელიც გამომსახველია პერსონაჟების შინაგანი არსებობისა.

რომანში მიდგომა ობიექტიურია. მასთან დაკავშირებით, ხალხიც განიხილება ობიექტიურად, როგორც ყველა საგნები და მოვლენანი.

მაგრამ არსებობენ სხვა და სხვა დარგები პროზაულ ეპოსისა, სადაც ყველაფერი განიხილება პრინციპიალური თვალსაზრისით; რაც გამომდინარეობს გმირის სულიერი ტვისებებიდან.

დაწყებული პირველყოფილ პირადი რომანიდან, თანამედროვე ექსპრესიონიზმამდე, არის ერთგვარი სუბიექტიური თვალსაზრისი გატარებული თანდათანობით და სხვა და სხვა ინტენსივობით.

სუბიექტიური ფორმა ეპოსის გვიხატავს შინაგან და გარეგან მსოფლიოს, მის დაუსრულებელ გადაბმით და შეკავშირებით, უფრო ხშირად ააშკარავებს

ადამიანის არა თავისუფალ მოქმედებას, დაკავშირებულს პსიქიურ და გონებრივ მოვლენებთან.

პოეტს შეუძლიან გამოვიდეს აშკარად, როგორც მთხრობელი, არა პირად ფორმაში, ან და გამოიყვანოს მომქმედი პირი (გმირი) პირად ფორმით, როგორც მთხრობელი.

მოქმედება წარმოდგენილია უშუალოდ სინამდვილეში; უშუალო აწმყო, მიმდინარე შემთხვევაში, ამთვისებელის თანადასწრებით, ან და როგორც წარსული შემთხვევა, რომელზედაც მოგვითხრობენ შემდეგში, როგორც წარსულზე, არა პირადი ფორმა არსებითად წარმოადგენს შემთხვევათა მოთხრობას.

ამგვარი გადმოცემა შესაძლებელია პირად ფორმაშიაც. თვით მომქმედ პირს შეუძლიან გადმოგვცეს თავისი პირადი ამბავი წარსულ საკუთარ მოქმედებაზე. რამდენათაც პირადი ფორმა მხოლოდ ემსახურება ყველა ტეხნიკურ შესაძლებლობას, ის პრინციპიალურად არცკი განირჩევა არა პიოადი ფორმისაგან.

მაგრამ თანდათანობით გატარებული ექსპრესიონისტური ეპოსი არსებითად ყოველთვის წარმოადგენს პირად ფორმას, მაშინაც კი, როდესაც „მე“-ს უწოდებენ „ის“.

თუ „გმირი“ აგვიწერს წარსულ თავგადასავალს—ეს შესაძლებელია გადმოიცეს როგორც სუბიექტიური შთაბეჭდილებანი, დარჩენილი გმირის ხსოვნაში. ძალიან იშვიათად ეს შთაბეჭდილებანი შეიცავენ გარეშე მემთხვევათა დეტალებს; უფრო ხშირად მოცემულია ისეთი განწყობილება, რომელშიაც ძალიან ბუნდოვანად ანარეკლობს ობიექტიობა. თუ სუბიექტიურ ფორმას ესაჭიროება გამართლება საკუთარ თავისებურობისა, მას ეძლევა ამის შესაძლებლობა იმ გზით, რომელიც იმას ხელთ აქვს.

ამ ფორმის განმტკიცება დამოკიდებულია თვით გმირზე. გმირის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს საკუთარი პიროვნების უშუალო შემეცნება, საკუთარი სულისკვეთების შესწავლა. ამავე დროს მისი გარეგანი ყოფა-ქცევა, მისი მოქმედება თვალსაჩინოა სხვისათვისაც.

ამ რიგად სუბიექტიური ფორმა გამოსახვისა თავისთავად აძლევს უპირატესობას არა გარეგან აღწერილობას, არამედ ფსიქიურ და გონებრივ მოძრაობას. ეს აღწერა თავისი შინაგანი აუცილებლობის მიხედვით ნაწილდება.

მოქმედება თავისი შინაგანი დაკავშირებით აშკარავდება, მაშასადამე ასეთი აღწერილობა ნაკლებ ადგილს უთმობს მოქმედების გამოსახვას, და იქ სადაც ამგვარი მეთოდია მიღებული ირღვევა ალუზია, იშლება ილუზია თავისუფალი ხების და თვითონ ახასიათებს მომქმედ გმირის პასივობას.

ყველა ამიდან ის გამომდინარეობს, რომ ექსპრესიონისტურ ეპოსში აღწერილობითი ტენდენცია უფრო მკაფიოდ გამოსჭვივის, ვიდრე აქტიურ ეპოსში.

მოქმედების გამოსახვა უშუალო აწმყოში პირად ფორმით შეიძლება, მხოლოდ იშვიათად, არა სრულად, ვინაიდან ეპოსს აქვს ამ მიზნის საშუალებად მხოლოდ სიტყვა.

მოქმედებას უსათუოდ ახასიათებს სიტყვები მომქმედი პირისა, რის გადმოცემაც, მაშასადამე არის გადმოცემა თვით მოქმედებისა. მაგრამ ეს გა-

მონაკლისია და კიდევ სხვა მიზეზების გამო იშვიათად მიღებულია. ექსპრესიონიზმს აქვს აღებული სხვა გზა, რომელსაც ეძლევა ფართე შესაძლებლობა: ის აგვიწერს მოქმედებას სიტყვებით კი არა, რომელნიც ემპირიულად თან დაყოლილნი არიან მოქმედებასთან მის დასახასიათებლად, არამედ მომქმედი პირის სიტყვებით იმ სუბიექტის, რომელიც გადმოგვცემს, გრძნობების წარმოდგენებს, ერთი სიტყვით, მის გონივრულ და ფსიქიურ მდგომარეობას მოქმედების დროს. მაშასადამე ის გვაძლევს ამ თანდათანობით ფსიქოლოგიურ, მოთხრობით განსახიერებას და ანალიტიურ გარჩევას, არამედ უშუალო სინამდვილეს. ის სიტყვებს კი არ გვაძლევს, რომელიც თანდაყოლილია მოქმედებასთან, არამედ მოქმედებასთან ემპირიულად დაკავშირებულ გრძნობებსა და სახეებს სიტყვების დახმარებით, რომელიც გასაგებია პირობით. ე სპრესიონიზმი გარდაგვიშლის ადამიანის სულის მექანიზმს და საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ის უშუალოდ მოქმედების დროს. ეს თვისება არის მიზეზი ექსპრესიონიზმის პასიურ გმირების ფსიქო-ანალიტიურ გადმოცემის ტენდენციისა. მოქმედების უბრალო სინამდვილე შეიძლება გადმოიცეს უშუალო ვნებათა ასახვის საშუალებით და უფრო ხშირად მოქმედების გადმოცემა შეუძლებელია, არამედ უნდა იყვეს ნაჩვენები. ამიტომ ექსპრესიონიზმის მთავარ საგანს დრამა შეადგენს. თავისუფალ მოქმედების ილუზია უფრო უკეთ გადმოიცემა მისი უშუალო გამოსახვით. ამიტომაც დრამა ხელოვნებისათვის საუკეთესო ფორმა არის ყალბ-თავისუფალ აქტიურობის გადმოსაცემათ. თავისებური სუბიექტიური თვალსაზრისი დრამატიულ სიტყვისა იძლევა შესაძლებლობას გამოითქვას არა მარტო ობიექტიური თავისუფლება, არამედ გმირის თავისუფლების ობიექტიური ილუზიაც და საზოგადოთ ყველა დრამატიული პერსონაჟების, მაშასადამე უშუალო ობიოქტიობა მოქმედების ვნებითი წარმოდგენისა და უშუალო სუბიექტივობა სიტყვისა—ეს ის კომბინაციაა, რომელიც ქმნის დრამის თავისებურობას და აღწევს ერთნაირს შედეგებს. აქედან ნათელია რომ დრამა უფრო გამოსადეგია გმირების აქტიურ მოქმედების გადმოსაცემათ, მათი თავისუფლების და საქციელის გამოსახატავად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დრამის გმირი უფრო უნდა აქტიური იყვეს, ვიდრე ოომანის გმირი. ან და რომ დრამას არ შეუძლიან გარდაგვიშალოს შინაგანი და გარეგანი დაკავშირება გმირების, ყოფა-ცხოვრების და საერთოდ ყველა პერსონაჟების. პირიქით დრამას შეუძლიან მხოლოდ სხვა საშუალების დახმარებით და სხვა გზით,—წარმოგვიდგინოს უმაღლეს გაშუქებით მიზეზთა დაკავშირება. მომქმედ პირის შინაგანი და გარეგანი შეზღუდვა და თვით ამ ფაქტის შეგნება-მიღწევანი ამ მიმართულებით შეიძლება განიმარტოს, როგორც მაშტაბი პოეტურ შემოქმედების სიღრმის შესაფასებლად.

მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის კვანძის გახსნა ზოგიერთ თანამედროვე ავტორებს მაგ. იბსენს და სხვებს, დასახული აქვთ თვით დრამატიულ თემად.

ძველ დროშიაც დრამა არ უარყოფს პასიურ გმირებს: ეს ვიცით ჩვენ საბერძნეთის ტრაგედიებიდან—„ჰამლეტიდან“, „ვალენშტეინიდან“.

ეხლა გავრცელებულია ის აზრი, რომ რომანი წარმოადგენს ხელოვნების უმაღლეს ფორმას, ვინაიდან აღჭურვილია ყველა ტეხნიკურ შესაძლებლობით,

რომ სისწორით და ფართეთ აგვიწეროს და განგვიმარტოს მოვლენანი და ხასიათები, მათი წარმოშობა, აზროვნება, ენებანი, მოქმედება—ერთი სიტყვით ყველა შინაგანი და გაუგეგანი მოძრაობანი. ეს აზრი დამახასიათებელია მეცნიერების ეპოქისათვის, ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიისთვის და სოციალოჯიისთვის.

პირველი შეცდომა ამგვარ შეხედულებისა წარმოიშვა არა მართებულ მსჯელობაში თვით რომანის არსებითი მხარის შესახებ: რომანი: ე. ი. პროზაული ეპოსი, მიუხედავათ მთელი მისი მოძრაობისა, მისი საშუალებათა ძრავალ ფეროვანებისა, ვერ შესძლებს მეცნიერულად ამოსწუროს და გაგვიმარტოს ყოველივე და არც მისი პრეტენზიების წამოყენება შეუძლიან.

რომანი თან ხმათ ესთეტიურ მოთხოვნილებისა, დაშორებულია მეცნიერულ გამოკვლევისაგან და განირჩევა მისაგან აგრეთვე როგორც მხატვრობა ფოტოგრაფიისაგან. აგრეთვე ხელოვნების სრულ გაუგებრობათ უნდა ჩაითვალოს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის შეფასება, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ხელოვნური ნაწარმოები დაახლოვებულია ან დაშორებული არის ობიექტიურ სინამდვილეთან. ეს არ არის მისაღები ესთეტიურ მაშტაბით. შეადარეთ შექსპირი უდიდესი რეალისტი თუ გინდათ ხატურალისტი: არარეულებრივი გასაკვირი ფსიქიური პრობლემების, მათი იზოლიაცია, მათი გამოყოფა სინამდვილის მრავალ ფეროვანებიდან, ძალთა მოვლენათა და ყოველივე ყოფის ტიტან ური ინტენსიფიკაცია, აი რაში გამოიხატება მისი ძლევამოსილება. თუმცა დრამა თავისი ტეხნიკური აღნ გობით უფრო უშუალოდ ბაძავს სინამდვილეს, ვიდრე სხვა რომელიმე დარგი ხელოვნებისა, ის ეარგებლობს ამ თვისებით სინამდვილის ბრძაჭიბაძვისთვის კი არა, პირიქით, რომ უფრო საგრძობლად შესცვალოს იგი.

დრამის თვისება არის—გამოიწვიოს უძლიერესი ილჯუზია იმისთვის, რომ დაიმორჩილოს მაყურებლის ნება სინამდვილის გაოდაქმნისათვის. დრამის ,რ-სებით მხარეს და მის ამოცანას შეადგენს, უმაღლესი ხელოვნების საშუალებით, გააძლიეროს სინამდვილე ინტენსიურად და ამ რიგად მოახდინოს უძლიერესი გავლენა ამთვისებელზე.

§ 7. ტენდენციურ ხელოვნების აპოლოგია

ტენდენციურ ხელოვნების გაგება სამგვარია:

1. ის აღნიშნავს ხელოვნების ყველა დარგებს, რომელიც ესწრაფვის მოახდინოს ზეგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, და ამგვარად ექვემდებარება ცხოვრებას და დაშორებულია მხატრულ ინტერესებთან.

2. აფართოვებს მცნებას— ე. ი. ტენდენციურ ხელოვნებად ითვლება ყოველი ხელოვნება, რომელიც ეანმარტავს საზოგადოებრივ საკითხებს, ერთგვარი გრძნობით, თუნდაც ეს გრძნობა იყოს წმინდა ადამიანური სიძპატიის ან ანტიპატიის გამომსახველი.

3. გაბატონებულ კლასთა სპეციალური თვალსაზრისის ხელოვნების დასახვა, რევოლიუციონურ, ოპოზიციონურ განწყობილების და აზრების გადმოსაცემათ.

გავრცელებული ესთეტიური მოძღვრება, ტენდენციურ ხელოვნების (ამა თუ იმ ხელოვნებას) ცრუ ხელოვნებათ აღიარებს და სამსჯავრო სკამზე სვამს.

ეს სრულიად სწორი არ არის.

ნამდვილ ხელოვნების უტენდენციოზობა—ეს არის ისტორიული და ესთეტიური მითი. (შეადარეთ პირველ ყოფილი ხელოვნება, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკასთან, სარწმუნოებასთან და სხვა) არისტოტელის პრინციპები მჭიდროთ აკავშირებენ ხელოვნებას პედაგოგიურ ან სხვაგვარ ტენდენციასთან.

უაღრესი იდეალური ესტეტიური სისტემები არა ერთ ტენდენციაზე არის აგებული საზოგადოებრივ კეთილდღეობის წასახალისებლად და ითვლება ხელოვნების წმინდა მოვალეობათ.

ხელოვნების დამოუკიდებლობა პრაქტიკულ ცხოვრების გარეშე—მითია.

საჭიროა მხოლოდ მათი დამოკიდებულების სწორი გაგება.

საჭიროა პირველყოფილ ხელოვნების და ძველი ხალხის და სარწმუნოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების მთლიანობის ისტორიულად შედარება (ბერძნები, რომაელები და ქრისტიანობა). სერვანტესი, ლესსინგი და გოეტე თანმხდებიან და ამართლებენ ხელოვნების სახელმწიფო კონტროლის გაწევას, სახელმწიფოებრივ ინტერესების დასაცავად. თვით დანტეშაც ვერ უარჰყო პოლიტიკა და თავის უდიდეს და უმშვენიერესს ნაწარმოებში გადიტანა თავისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი თვალსაზრისი.

და სწორედ უფრო მყვირალა ბრალდებლები ტენდენციოზური ხელოვნებისა, სცდილობენ შექმნან ხელოვნებისაგან აოსებულ წესწყობილების მოახლე!

ყოფილი უდიდესი პოეტი თავის გმირებს წარმოათქმევინებს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ და სხვა გვარ შეხედულებებს, მოთხოვნილებებს და გეგმებს.

შესაძლებელია წარმოიდგინოთ უფრო გარკვეული პოლიტიკური ტენდენცია, როგორც ეს არის ვილჰელმ ტელში? ან იულიოს კეისარში—სიტყვანი ანტონიუსისა და ბრუტუსის? სწორედ ეს სიტყვები ითვლება უდიდეს ხელოვნებად.

რატომ არ შეიძლება, რომ პოლიტიკური, სოციალური განყოფილება, ფანტაზია, სახეები არ იყოს უფრო შესაფერისი, უფრო ღირსეული და უფრო გამოსადეგი მხატრულ შემოქმედებისათვის, ვიდრე სარწმუნოებრივი, ან პირადი სიყვარულის გრძნობები, ბუნებით გატაცება და სხვა—ასეთი განსაზღვრა ერთგვარი თვითნებობაა.

მაგრამ, ისინი ვინც უარჰყოფენ ტენდენციურ ხელოვნებას, სცოდავენ არა მხოლოდ იმით რომ განსაზღვრამენ მხატრულ და არა მხატრულ თემებს, არამედ მით, რომ იგინი ჰქმნიან შეფასებას, თუ რას წარმოადგენს ხელოვნება, რა არ არის ხელოვნება, იმის და მიხედვით თუ რა საგანია აღებული მხატრულ ასახვისათვის.

ივიწყებენ, რომ ხელოვნებისათვის თემა განურჩეველია, მხოლოდ ყოველივე საგანს უნდა ჰანსაკუთრებითი მიდგომა, თანახმად მისი შინაგანი კანონებისა.

გარეგანი, უჩვეულო ხელოვნების არსებობისათვის მიზნები, ხელს არ უნდა

უშლიდეს ხელოვნებას მის მხატრულ დამატებითი დანიშნულებას, რომელიც გამომდინარეობს სრულყოფის მოთხოვნილებისაგან.

თუ ეს ასე ხდება, ჩვენ ნამდვილად არა გვაქს საქმე წმინდა ხელოვნებასთან.

აი, ამგვარი კრიტერიუმით უნდა განიმარტებოდეს დიდაქტიურ ხელოვნების საზღვრები.

§ 8. „ხალხი“ და ხელოვნება

ა. ხალხი, ე. ი. საზოგადოების დაბეჩავებული კლასი, განირჩევა თავის განვითარებისს სხვადასხვა საფეხურებით. ეს განსხილება სამნაირ მიდგომით;

1. როგორც სუბიექტი, როგორც ხელოვანი.

2. როგორც ობიექტი, ე. ი. ხელოვნებაში აღებული საგანი.

3. და როგორც ხელოვნების მომხმარებელი. (შეადარეთ ხელოვნება ხალხისათვის, სახალხო თეატრი და სხვა).

ბ. ხალხი, როგორც ხელოვნების შემოქმედი (ხალხური ხელოვნება), ხელოვნების ტენდენციას და მის აუცილებლობას შეადგენს ნედლი მასალის განთავისუფლება შემთხვევითი ელემენტებისაგან, მისი სტილიზაცია და ინდივიდუალობის ტიპიურად გარდაქმნა. ამავე დროს მასალა უაღრესად უნდა იქნეს ამაღლებული, გასადხვებული და დაწურული.

ამრიგად განახლებული მასალა მშვენიერდება ხელოვნების წესების საშუალებით.

და ყველა ეს ხდება კანონიერად თანახმად ცოცხალ სინამდვილის მოთხოვნილებისა.

ეს ტენდენცია, ე. ი. იგივე აუცილებლობა უფრო ნათლად სჩანს ხალხურ შემოქმედებაში, მასსის მიერ შექმნილ პირველყოფილ შემოქმედებაში, და აგრეთვე იმ ხელოვნების ნაწარმოებში, რომელიც მათ მიერ არ არის შექმნილი, მაგრამ შემდეგ მათ მიერ მიღებულია, როგორც მათთვის შესაფერისი მასალაა პირველ შემთხვევაში, ეს იმიტომ ხდება, რომ ხალხური შემოქმედება კოლლექტიურია, და მათი მონაწილენი თანასწორნი არიან; მეორე შემთხვევაში, მიღებული ხელოვნება ასეთივე მოქმედებას ახდენს.

ეს ხდება უფრო თვალსაჩინოდ, უფრო ხაზგასმით, განვითარების სხვა და სხვა პერიოდში, და იმ ნაწარმოებში, რომელიც შეთვისებული აქვს სხვა და სხვა ჯგუფებს, საზოგადოების ფენებს, და კულტურულ სხვა და სხვა ტიპებს.

ამით, და არა ტეხნიკის სიმძიმით აიხსნება ინტენსიობა სტილიზაციისა ხუროთმოძღვრებაში, რომელთა ნაწარმოები დანიშნულია ფართე საზოგადოებისათვის და მრავალ თაობისათვის.

ხალხური შემოქმედება იმდენათ განმსჭვალულია განსაზოგადოებრივობით, ტიპიზაციით, რომ მითი ინდივიდუალური ხაზებიც, ასეთივე მდგომარეობაშია. ამიტომ ხალხისათვის ხალხური შემოქმედება, ძალიან ახლო ნაცნობია და ადვილად ითვისებენ.

ფრესკებისადმი მისაბაძვის ტენდენცია, ესე იგი შეკუმშვა მარტივი მკაფიო გაგება და გადმოცემა წარმოადგენს ერთის მხრივ საკაცობრიო თვისებას, რომელიც ახასიათებს ყველა ხალხურ თქმულებათა და ლეგენდების გადმოცემებს.

ამ დაუღალავ, ელემენტალურ, სტიქიურ და ყველაფრის გარდამქმნელ ხალხურ ფანტაზიას ჩვენ ვხდებით მითოლოგიაში, გმირულ ეპოსში, ნაციონალურ ეპოსში, ხალხურ ზღაპრებში, ბალლადებში.

ის ხალხური ელემენტი, რომელიც ქმნის ხალხურ მონათესავე ნაწარმოებს ხალხისათვის გაგნეულია, დანაწილებულია ნაწარმოების რომელიმე ნაწილში, არავითარი საჭიროებას არ წარმოადგენს, სჯუეტის მთლიანობა, საკმარისია რომელიმე ხაზი, პატარა ნაწილი, ეპიზოდი, სიტყვანი, ბგერა და ჟესტი.

განსაკუთრებულ გამოკვლევას მოითხოვს, საზოგადოებრივი ძალთა წარმოშობის თავისებურობა, ძალების დამოკიდებულება მიმდინარე აქტუალურ საერთო განვითარებასთან, მის მოძრაობასთან და საჭირბოროტო მომენტებთან ხალხურ შემოქმედებაში.

ხალხური შემოქმედება უაღრესად ხალხური და აქტუალურია, თუმცა იგი ძლიერ ხშირად დროებითია, ვინაიდან მას ემთავრესად დასახული აქვს ელემენტარული, მოტივი ეცვლელი, მაგრამ ხალხისათვის მუდამ ამაღელვებელი.

ხალხურს შემოქმედებას ძლიერ უყვარს ანექდოტური, მაგრამ აუცილებლად ტიპიური სჯუეტი.

მოთხოვნილებაც, მიმდინარე აქტუალ ხელოვნებაში, ხალხის მიერ დაკმაყოფილებულია: სიმღერებში, ლექსებში; საჭირბოროტო ხალხურ შემოქმედებაში, რომელიც დაშორებულია ელემენტალურიდან, ტიპიურიდან, არამც თუ დროთ, სივრცითაც, იმ საზოგადოების ნაწილის მიმართ, რომლისთვინაც არის დანიშნული. აქასთანავე ეს სახე ხალხურ შემოქმედებისა უფრო განსაზღვრულია, ვიდრე თვით „ხალხური შემოქმედება". მაგრამ არსებობს აგრეთვე ხალხური შემოქმედების ასეთი დარგის უფრო ვიწრო რკალი (პროფესიონალური), მისი მნიშვნელობა ფართე გავლენის სფეროთი კი.არ ისაზღვრება, არამედ არსებობის გაძლეობით. ის რომ დაკავშირებულია სარწმუნოებასთან, სჩანს მითოლოგიდან, ლიტუოგიულ შემოქმედებაშიც (ლირიკა, ჰიმნი, დრამა) მღვთისმსახურებაში, პოეზიაში, მუსიკაში; სახვითი ხელოვნებაში: მხატვრობაში, ქანდაკებაში, ხუროთმოძღვერებაში.

ხალხური შემოქმედების საგანს შეადგენს ბუნება, სიყვარული, დაბადება, სიკვდილი, მოგზაურობა, ომიანობა და სხვ. აგრეთვე საზოგადოებრივი და ოჯაგური საკითხები.

მისი ფორმა შე'აძლებელია იყოს ფანტასტიური, ლირიული, მოთხრობითი მოძღვრებითი. რამდენათაც ფორმა ეთვისება, რომელიმე ეპოქას იმდენათ უფრო გარდამავალია, დროებითია.

კულტურის სხვა და სხვა დარგები და საფეხურები ერთნაირად ხელს არ უწყობენ ხალხური ხელოვნების სხვა და სხვა დარგებ ს განვითარებას, სოციალურ და კულტურულ პირობებს უნდა განმტკიცება, განწესება.

აგრეთვე საზოგადოების ნაწილები, ადგილის მიხედვით, სხვადასხვანაირ მონაწილეობას იღებენ შემოქმედებაში. ბუნებრივი პირობები იმდენად მოქმედებენ რამდენათაც საზოგადოების თვითეულ წევრის ცხოვრებას თავისებურად ასხვანაირებს. ასეთი ადგილობრივი პირობები, გარემო ბუნება, სხვა და სხვანაირად მოქმედებენ ხელოვნების ამა თუ იმ დარგზე.

ბ. ხალხი, როგორც ხელოვნების გამოსახვის ობიექტი.

საზოგადოების დაჩაგრული კლასი, განსხვავებული საზოგადოებრივი ფორმაციის მიერ, შესაძლებელია ხელოვნების საგნად გარდაქცეს:

1) როგორც დეკორაცია, გარემო.

2) როგორც განმარტებულ თემის, სერიოზული ფონი.

3) როგორც გადამწყვეტი ფაქტორი; გაკვრით მოხაზული, ბნელით მოცული ბედისწერა.

4). როგორც ძირითადი სუბიექტი: განმარტებული თემა.

იმის და მიხედვით, რამდენად გამსჭვალულია ხალხის არსებობის გაგებაში და მის როლში, რომელსაც გვიჩვენებს ხელოვნური გამოსახვა, უნდა გავარჩიოთ, თუ როგორი მიდგომით არის ხალხი გამოკვლეული:

1. როგორც უპიროვნო, არა-დიფერენციალური, დაბალ კვალიფიკაციის მასსა (ბარბო).

2, თუ როგორც ცალკე შემოხვევითი, მაგრამ შემოხვევითი დამახასიათებელი ტიპები, შესაფერისი საერთო ჩარჩოებისთვის.

3. როგორც სოციალური კატეგორია, (წოდების და კლასების მიხედვით) მისი ნაწილობრივი გამოყოფით მათი საზოგადოებრივი ფუნქციების მიხედვით. იმის და მიხედვით, თუ ავტორი თავის ნაწარმოებში რამდენათ გამოხატავს სოციალურ და პირად გრძნობებს ხალხისადმი, ეს ნაწარმოები განიყოფებიან: როგორც განხილულნი:

1. მასის თვალსაზრისით.

2. გარეგან გაბატონებულ კლასების თვალსაზრისით; უკანასკნელი თავის მხრივ განიყოფა ჯგუფებათ.

ა. ხალხისადმი შეწყალებითი ინტერესი, კეთილ განწყობილება, მისი გაჭირვებისადმი თანაგრძნობა, პატიოსანი თუ ყალბი, ბუნებრივი თუ ხელოვნური, სანტიმენტალური თუ სერიოზული, მიდრეკილების მიხედვით.

ბ. მტრული განწყობილება, მისწრაფება მის დასამცირებლად,—დამახინჯება.

გ. გალამაზებული ცვალებადობა. იმ მიზნით, რომ დაახშოს ხალხში საკუთარ მდგომარეობის უკმაყოფილება, მოატყუოს იგი, გაართოს გაბატონებული კლასები და საპიროებისდა მიხედვით დაამშვიდოს იგი.

დ. განდიდება კეთილ აზროვნების, (სასურველი და საქები საქმეების) რომ ამისდა მიხედვით ზეგავლენა მოახდინოს ხალხზე, და დაუმორჩილონ გაბატონებულ ფენებს.

ე. მისწრაფება ზნეობრივი და ალმზრდელობითი გავლენისადმი. (ჯარის

კაცთა სიმღერები, სამხედრო, პატრიოტული, სარწმუნოებრივი ლექსები და სხვა ამ გვარი მილიტარისტული ნაშთები.

ეს შეადგენს ტენდენციურ ხელოვნების ერთ-ერთ დარგს.

თუ იცვლება მდგომარეობა გაბატონებულ კლასის სოციალურ სტრუქტურაში—ამასთანავე იცვლება საკითხი ბურჟუაზიის დამოკიდებულებისა.

მეთვრამეტე საუკუნის ე. წ. ბურჟუაზიული დრამა აშენებულია ბურჟუაზიის და გაბატონებულ კლასთა შორის უკმაყოფილებაზედ და ამ ბრძოლიდან წარმოშობილ სარევოლიუციო ოპოზიციის პრობლემებზე და კომფლიკტებზე მორალური პიესები (სიყვარული და ვერაგობა) რევოლიუციონური პიესები „ყაჩაღები". ამ ეპოქის პოეზიაში, როცა გაბატონებულ კლასად ბურჟუაზია შეიქმნა, ხელოვნების სჯუეტები დაკავშირებულია თვით ბურჟუაზიის სამეურნეო, ზნეობრივ და კულტურულ ინტერესებთან იმ სახით, როგორც ისინი ვითარდებოდნენ მაშინ არსებულ საზოგადოებაში.

მაღალი წოდებანი სცენიდან ჩამოდიან თავის პრივილეგიებით და ემსახურებიან ბურჟუაზიის კულტურულ და რომანტიულ მისტრაფებებს.

განვითარებულ კაპიტალიზმის პოზიცია ბურჟუაზიულ პოეზიაში ძველი ფორმაციასთან შედარებით საწინააღმდეგოა.

რევოლიუციონულ პოზიციის ადგილი, უმაღლეს ჩამომავლობითი არისტოკრატიის მიმართ, იმ არისტოკრატიის, რომალსაც არავითარი გავლენა არა აქვს, ვინაიდან გაბატონებულია თვით ბურჟუაზია,—დაიკავა ანტირევოლიუციონურ მიმართულებამ პროლეტარიისადმი და მომავალ სოციალურ-რევოლიუციის პრობლემისადმი, რომელიც საზოგადოებათა სიღრმიდგან წარმოიშვება.

თარგმ. **მარიჯანის** და **ცქვიტისა.**

ბიბლიოგრაფია

პირველი და მეორე წიგნი. ვ. ძიძიგური ა. გვახარია. დასურათება ა. ქუთათელაძის და ს. ნადარეიშვილისა—რ. ნიკოლაძე-პოლიევკტოვის რედაქტორობით.

ქართული სკოლა ერთობ ღარიბია სახელმძღვანელოებით. თუ სხვა განათლებულ ერებში ერთ და იგივე საკითხზე რამდენიმე მოხდენილად შედგენილი სახელმძღვანელო მოიპოვება, ქართულ სკოლას ერთიც არ გააჩნია ჯერ-ჯეროობით მეთოდიურად დამუშავებული და მეცნიერულად სწორი სახელმძღვანელო. ამიტომ ყოველი ახალი სახელმძღვანელოს გამოსვლას უნდა მივესალმოთ. მაგრამ გვმართებს კრიტიკული შეფასება გადადგმულ ნაბიჯების, რომ შემდეგში თავიდან ავიცდინოთ დაშვებული შეცდომები. დასახელებული სახელმძღვანელოების შეფასებას მე მივუდგები **პედოლოგიური თვალსაზრისით,** აღვნიშნავ როგორც ნაკლს, ისე დადებითი მხარეებსაც.

1 **მეთოდი.** ყოველ სახელმძღვანელოს საფუძვლად უნდა ედოს მთლიან სისტემაში ჩამოყალიბებული მეთოდი. ეს საჭიროა დროსა და ენერგიის ეკონომიის დასაცავად. არსებობს ანბანის სწავლების ორი მეთოდი (ხედველობაში მაქვს სასკოლო ჰასაკი 7—8 წ.წ.). უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „მთლიან სახეთა“ მეთოდი ანბანის სწავლებისა. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ვითომდა პირველი ცდა არის ამ მიმართულებით; მაგრამ ცდა უნაყოფო. ამ მეთოდის სწავლებისთვის ადგენენ სიტყვების და მთლიან აზრების ისეთ კომბინაციას, რომელშიც შესწავლილი ასო ხან სიტყვის დასაწყისში გხვდება, ხან შუა ადგილას, ხან ბოლოში. ყოველი ასო შეისწავლება მთლიან სიტყვებში—გამოუყოფლად. ამ შემთხვევაში მასალის დალაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ სახელმძღვანელოში სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. განა საკმარისია მოწაფის წინ მოვათავსოთ სურათი, ან საგანი, მოუწეროთ ქვეშ მას მისი სახელი, რომ მოწაფემ სიტყვაში შემავალი ელემენტები შეისწავლოს? ვისაც ასე მარტივად წარმოუდგენია ანბანის სწავლება, ის ვერასოდეს ვერ ასწავლის, ყოველ შემთხვევაში ძალიან დიდი დრო მოუნდება ამისთვის.. მთელ ოთხ გვერდზე მეორდება ერთ და იგივე ფორმებში სიტყვა „სკა“. ესეც ისეთი სიტყვა, რომელიც შესდგება ორი თანმიმდევარი თანხმოვანებისაგან (გვ. 4—5—6—7). აბა გადაათვალიერეთ საუკეთესოდ შედგენილი რუსული „ანბანები“—მაგალ. Горобец-ის და სხვების. აქ პირველი გაკვეთილებისათვის აღებულია ისეთი სიტყვები, რომელნიც შესდგებიან თანაბრად ხმოვანებისგან და თანხმოვანებისგან, არც შემდეგი ასოებისათვის არის მოხდე-

ნილად შერჩეული მასალა. ასე რომ მეთოდიურად ნაკლებ მომზადებული სოფლის მასწავლებლის მდგომარეობა ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობის დროს არ იქნება მაინც და მაინც სახარბიელო.

მეთოდიურად სრულიად მიუღებელია მთელი დამატება—08-დან 85 გვერდამდე. ეს წიგნისათვის ზედმეტ ბარგად ჩაითვლება. სრულიად უმიზნოდ არის ამ შემთხვევაში დახარჯული ენერგია და ქაღალდი. აბა რა საჭირო იყო მთელი ალფაბეტის მოცემა 16 გვერდზე (ორი-სამი ასო თითო გვერდზე). ამის გამართლება შაიძლებოდა იმ შემთხვევაში, რომ მათგან მოძრავი ასოების გამოჭრა შეიძლებოდეს, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ასოები ორივე გვერდზეა ნაბეჭდი. თუმცა „ხ“ და „ს“ და „ი“ და „ა“ შედარება საჭიროა, მაგრამ ეს იქ უნდა ყოფილიყო მოცემული, სადაც მოწაფეებმა პირველად გაიცნეს ეს ასოები. აბა გადაშალეთ გვერ. 47. აქ აბნეულია ასოები და ქვეშ უწერია: „გამოიცანით, რა ასოები აკლია!“. არამც თუ პაწია ბავშვებისათვის, რომელთაც ეს არის შეისწავლეს ასოები, არაძედ ჩვენთვისაც, მოზრდილებისათვისაც ძნელია ასეთი ასოების დასახელება. რა საჭირო იყო ასეთი სპეკულიაცია? ასე რომ ამ წიგნში მეთოდის მხრივ სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

II ენა. სკოლაში სახმარებელი სახელმძღვანელო უნდა აკმაყოფილებდეს ლინგვისტიურ მოთხოვნილებათ. ლექსიკონის მხრივ განსაკუთრებული სიფაქიზეც საჭიროა. წიგნში ამ მხრივაც არის შეცდომები. ნახმარია ისეთი გამოთქმა (გვ. 31) „ციყვს თხილი სულ შეუსანსლავს“, თხილზე არ შეიძლება ითქვას „შეუსანსლავს“. „ვკრებთ“, თუ „ვკრეფთ“. 41 გვერდზე ნახმარია სიტყვა „ჩიტი“—„ფრინკელი“-ს მაგივრად. მართლია, სიტყვა „ჩიტი“ იხმარება ისეთ ფრინველების აღსანიშნავად როგორც სკვინჩა, ბეღურა, გულწითელა და სხვ., მაგრამ წეროს „ჩიტი“ დაუძახოთ, არ შეიძლება. 41 გვერდზეა ცაში წეროები მოსჩანან მწკრივად. „ყანას ვიღებთ, ღვინოს ვაყენებთ, თათარას, ფელამუშს კი—(უნდა იყოს) ვადუღებთ“. ასეთი შეცდომები წიგნში ბევრია. ეს კი წიგნს ღირებულებას უკარგავს.

III. ილიუსტრაცია. კარგი დასურათებას საბავშვო წიგნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმც მიცემული წიგნის დასურათება ზერელე გადათვალიერებით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, ბავშვებისათვის საინტერესო სიუჟეტებია აღებული, სურათები თანამედროების გამომხატველია, მაგრამ ტეხნიკური შესრულება არ არის უდეფექტო. მაგალითისათვის ავიღოთ, რომელიც გნებავს სურათი—თუხდაც „კალო“. დააკვირდით ხარების ჩლიქებს; განა კალოზე ხარების ჩლიქები ისე მოსჩანან, როგორც ქვაფენილზე? ეს სოფლის ბავშვს, რომელიც არა ერთხელ დამჯდარა კევრზე, მხედველობიდან არ გამოეპარება, ასეთივე შეუსაბამეობასთან გვაქვს საქმე 11 გვერდ. აბა დააკვირდით ბავშვს, რომელიც დაფას უკანიდან გადმოჰყურებია? როგორ სდგას იგი! ასეთია სხვა სურათებიც. შეიძლება ეს წვრილმანია, მაგრამ საქმის სიყვარულით შედგენილ სახელმძღვანელოში ასეთ წვრილმან შეცდომებსაც არ უნდა ჰქონდეთ ადგილი, საერთოდ დასახელებულ სახელმძღვანელოებში დასურათება ყველაფერია, იგი რომ გამოვაკლოთ, არაფერი დარჩება.

IV. **ჰიგიენური მხარეც** სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული. ავტორებს ძალიან მოსწონთ ფერად ფონზე შავი მელნით ნაბეჭდი. აბა გადაათვალიერეთ და სცადეთ წაიკითხოთ 60—39—26—21—41—42—43—45—გვერდები. ჰაწია ბავშვის ნორჩ თვალებისათვის ასეთ ფონზე დაბეჭდილის კითხვა ძალიან დამღალველია. შეიძლება ასეთი ფონი ბავშვებისათვის უფრო საინტერესო იყოს, მაგრამ ჯანმრთელობას ინტერესის მსხვერპლად ვერ გავხდით.

V. ბავშვებს ძალიან უყვართ მოძრაობა და ყველაფერი ის, რაც მოძრაობასთან არის დაკავშირებული; ალბათ ასეთი მოსაზრებიდან გამოდიოდნენ ავტორები, როცა ათავსებდნენ წიგნებში ასეთ ნიმუშებს, რომელნიც 50—51—57 და 16 გვერდებზეა მოთავსებული. მაგრამ, სამწუხაროდ, თუმცა ამ ნიმუშებში ასოები ხელფეხით არის შეიარაღებულნი, მაინც უძრავნი არიან; მოწაფეთა სურვილისამებრ მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადასმა შეუძლებელია. ამიტომ ასეთი ნიმუშების წიგნში მოთავსება უმიზნო და გაუმართლებელია. ამაში მე დამეთანხმება ყოველი მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ან ოდესმე უსწავლებია ბავშვებისათვის ანბანი. ესეც წიგნს ტყუილად ფასს მატებს, მაგრამ მოწაფეთა მუშაობას შინაარსს არ აძლევს.

VI. პედოლოგიაში არსებობს ასეთი შეხედულება: მოზარდის ენა უფრო გასაგებია მოზარდისათვის, ვიდრე მოზრდილის. თუ ეს შეიძლება გავიზიაროთ სიტყვითი აზროვნებაში, სრულიად მიუღებელია გრაფიულ ხელოვნებაში. საგნის გრაფიული გამოხატულება რაც უფრო ზედმიწევნითია, მით უფრო გასაგებია ბავშვისათვის. ამიტომ სახელმძღვანელოში მოთავსება ბავშვთა ნახატების და ნაწარების, რომლებშიაც არ შეიძლება შეცდომა არ იყოს, სრულიად მიუღებელია პედაგოგიური თვალსაზრისით. გადაათვალიერეთ გვერდი 68. აქ მოცემულია, თუ როგორ უნდა უსუფდად და შემცდარათ წეროს ბავშვმა. რასაკვირველია, შინაარსი საინტერესოა, მაგრამ გრაფიული მხარე სრულიად მიუღებელია. ასევე 49-გვერდზე. აქ რებუსებია გამოსაყვანი. სურათები ვითომდა ბავშვის მიერ არის ნახატი. როგორ უნდა გამოიცნოს ბავშვმა უკანასკნელი რებუსი, სადაც წერო უნდა იყოს დახატული, ნამდვილად კი ყანჩაა. ამავე გვერდზე ბავშვის ხელის მიბაძვაა მოცემული. დააკვირდით პირველ სტრიქონში ასო „ლ“. თუ ამ ბავშვმა, ამის დამწერმა ამ წიგნის შემწეობით ისწავლა წერა, სად არის წიგნში ასეთი „ლ“ მოცემული? საერთოდ წიგნში ბევრ ორიგინალობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ჩვენის აზრით, **ისევ მეცნიერული შაბლონი სჯობია, არა მეცნიერულ ორიგინალობას:**

VII. წიგნში ანგარიშისათვის თვალსაჩინო მასალაა მოცემული. პირველი ნიმუშები კარგია; ხოლო წრეებში ჩაწერილი რიცხვები ბავშვებში გაუგებრობას გამოიწვევს. ბავშვებს რომ ჰკითხოთ, თუ რა არის იქ მოცემული, გეტყვიან: „გველს, ბაყაყს, ქათამს... ბუშტები (შარები) დაუქერიათო“. —

ასე რომ ეს როგორც თვალსაჩინო მასალა, მიზანს ვერ აღწევს.

VIII. ქართულ ხელნაწერსა და ბეჭდურ ასოებს შორის ისეთი განსხვავება არ არის როგორც სხვა ენებში. ჩვენის აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებო-

და ორივეს პარალელური გაცნობა. წიგნში ბეჭდური ასოები მხოლოდ ბოლოშია მოცემული (გვ. 57).

IX. მე-II-ე ნაწილი გაცილებით უკეთესად არის შედგენილი: ა) მასალა როგორც შინაარსის, ისე დალაგების მხრივ კარგია, ბ) საინტერესო და ბავშვებისთვის სასარგებლო დავალებაა მოცემული. გ) წიგნი თანამედროვებით არის გაჟღენთილი (რაც უთუოდ დადებით მხარეს უნდა მივაკუთნოთ. დ) დასურათებაც საინტერესოა.

X. **ყდა,** მოცემული სახელმძღვანელოს ყდა საერთო ესთეტიურ ემოციას აღძრავს მოწაფეებში, მაგრამ შინაარსი ბავშვებისათვის არაფერი არა აქვს, როგორც ესთეტიურად, ისე შინაარსის მხრივ გაცილეპით მოგებული დარჩებოდნენ ბავშები, რომ ყდაზე ერთი კუდ მოგრეხილ კატის ფერადი სურათი რომ იყოს მოცემული (ან სხვა ცხოველის). ამას ინტერესიც მეტი ექნებოდა. ყდის შიგნითა მხარე კარგია.

დასასრულ რამოდენიმე სიტყვა გამომცემელთა საყურადღებოდ. წიგნის ფასი (1 მ. 80 კ.) ძალიან დიდია სოფლის ღარიბი მოწაფეთათვის. რატომღაც ნაწილები ცალცალკე არ იყიდება. შეიძლება ეს გამომცემლობისათვის მოსაგები იყოს, მაგრამ ზედ მეტი არ იქნებოდა სოფლის გაღატაკებულ გლეხების ჯიბეშიაც ჩაგვეხედა.

მასწავლებელი.

ნ. კეცხოველი. გელა და ცქვიტო. სახელგამი, 1926 წ.

უკანასკნელ ხანს სოც. აღზრდის მთავარმმარ. სალიტერ.-სამხატ. სექციამ გაახშირა საბავშო წიგნების გამოცემა. ეს გამოცემანი არიან ღირსშესანიშნავნი გარეგნობით: ყდა, და სურათები და ამასვე ამშვენებს თვით შინაარსი.

ერთი ასეთი წიგნია ნ. კეცხოველის ხსენებული მოთხრობა. ნ. კეცხოველის მოთხრობები ყოველთვის ნაზია და შინაარსიანი. უკანასკნელ ხანში მან საბავშო მწერლობის ასპარეზი აირჩია და გვგონია უნაყოფოთ არ ჩაივლის.

ამ მოთხრობაში ნ. კეცხოველი იძლევა, მრავალფეროვანობას. მთავარი, გმირი არის პაწია მწყემსი, რომელსაც უყვარს მთა, თავისი ძაღლი, თხები, განსაკუთრებით კი ცელქი, ონავარი ცქვიტო. ცქვიტო მოუსვენარი თხაა, ყველა საშიშ, ციცაბო კლდეებზე ცოცდება და გელა თითქმის საზღაპრო სასწაულებს სჩადის მის გადასარჩენად, ხშირად თვით აგდებს თავის თავს საბრალ-ხეშიც.

გელას თვალწინ ზაფხული მიიწურა. დგება შემოდგომა და ბარისაკენ მოუხდება წასვლა. მას ესტუმრება ვიღაც, სჩანს ბუნების მეტყველი, დაინტე-

რესებული მცენარეებით. გელა ცნობის მოყვარეობას იჩენს და ჰკითხავს მთე-ბის ამბავს. სტუმარი აწვდის ცნობებს: მთიელებზე, ხევსურებზე, თუშებზე, სვანებზე, ლეკებზე, ერთი სიტყვით საქართველოს ყველა კუთხეზე მის გეოგ-რაფიულ, სამეურნეო თვისებებს. ამ მხრივ ამ წიგნს მეცნიერული მნიშნელო-ბაც აქვს.

კარგია ზოგიერთი ადგილები, სახელდობრ წვიმიანი დღეების, ჭექა-ქუხილის გადმოცემა. ყდა ამ წიგნისა და საზოგადოთ დასურათება კარგია, მეტადრე ყდის ფონი, საერთოდ წიგნი კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს.

ანლანი

ქრონიკა

ელენე ახვლედიანი 1923 წლიდან იმყოფება პარიზში. მან თავისებური საინტერესო მუშაობით და ნიჭით დაიმსახურა საფრანგეთის საზოგადოების ყურადღება. ელ. ახვლედიანმა თავის საკუთარ ატელიეში მოაწყო გამოფენა. საინტერესო ცნობები ამ მხატვარ ქალის შესახებ ამოღებულია ფრანგული ჟურნალებიდან, რომელიც მიიღო **„ალმანახი“**-ს რედაქციამ საკუთარი კორესპონდენტისაგან.

—

„ელენე ახვლედიანი არის ქართველი ხელოვანი-ქალი, რომელმაც თავის სამშობლოდან მოიტანა მთელი რიგი სურათებისა, რომელნიც წარმოადგენენ სცენებს და მოშხიბლავ, მხატვრულ პეიზაჟებს. მისი ქმნილებანი დამუშავებულია თავისებური მანერით და გადმოგვცემენ იქ დასურათებულ არე-მარის დამახასიათებელ თვისებებს და საკმარისად დამატყვევებელ მშვენებას.

მაგრამ, მისი საფრანგეთში ჩამოსვლის შემდეგ, ელენე ახვლედიანმა მოვალეთ ჩასთვალა თავისი თავი და ამისათვის ნიადაგიცა ჰქონდა, — შეეწირა თავისი ეტნიური სინაზე ჩვენში სასტიკად გაბატონებულ მოდისათვის.

ჯერ კიდევ დაუმკვიდრებელი და საადგო ხელოვნებით, მაგრამ მომხიბლავი ბუნებით მიმადლებული ძალებით არის შესრულებული პარიზული პეიზაჟები და მონპარნასული ნატურ-მორტები, რომლებიც მწყობრად, ერთი-მეორეზედ ამართულან მათი უკვე ნახული სამხარეულოების კედლებზედ. და ივიწყებ პატარა ქართველ ხელოვან-ქალს, რომ იფიქრო საუკეთესო მოწაფეზედ აკადემიის მარცხეხა ნაპირისა. ეს ცოტა არ იყოს საწყენია!“.

M. R.
(„Politra“).

—

„Quatre Chemins“-ში, ევროპისა და აზიის გზა-ჯვარედინზე, ელენე ახვლედიანი აერთიანებს მშვენიერ კოლექციას ზოგი პარიზული და ზოგიც ქართული პეიზაჟებისას. პოეზია ქალაქის მიდამოებისა სხვებისაგანაც ყოფილა ასახული სიცხოველით, მაგრამ ატმოსფერა „ძველი ტფილისი“-სა ისე გვეჩვენება თითქოს პირველად ვისუნთქავთ მას ჩვენ. ჩამუქებული, ანალიტიური და ოდნავ მისტიური სურათი ელენე ახვლედიანისა ჩვენ გვეჩვენება დატვირთული მძიმე სურნელებით, გამსქვალული გულწრფელი ემოციებით. მისი ნახატები უაღრესად მომხიბლავნი არიან ამავე დროს თავისი სიმსუბუქითა და სიფაქიზით“.

15 ოქტომბერი, 1926 წ.
(„Journal de Debats“).

—

„ელენე ახვლედიანის გამოფენა ძალიან შორს არის იმაზედ, რომ ეთქმოდეს ინტერეს მოკლებულიაო. სიცხოველე და სისწორე პარიზის ზოგიერთი კუთხეების, გადმოცემაში გარანტიას იძლევა, რომ ასეთივე ქეშმარიტების გამომხატველნი არიან მისი ფრიად საინტერესო კავკასიური პეიზაჟებიც. განსაკუთრებით ძველი ტფილისი, რომელიც ხის დაუსრულებელ კიბეებათ აწყობილა უსწორ-მასწოროთ მაღალი გორაკის კალთებზედ, ზედ კი გადმოფენილან ჭრელი ხალიჩები, მოსჩანს ვიწრო, მწვანე და თეთრი ფანჯრები; ყველა ამას მიყენებული აქვს მუქი სინათლე.

მეორე ადგილას ნატურ-მორტი საუზმისა სავსეა ჰაერით, შუქით; ხალიჩები, ფაიანსი და ბროლი ბრწყინავს მწვანე მოლზე, გაურკვეველია ბუნდოვანი პერსონაჟები.

არის დაჯგუფება ხეებისა კარგათ შემჩნეული და გადმოცემული. დასასრულ ნახატებს ემჩნევა მრავალფერიანობა შინაარსისა და ერთგვარი მიმტაცველობა ყრუ აკკორდების თანდათანობით შეთანხმებაში“.

გუსტავ კონ.
(„Quotidien“)
12 ოქტომბერი, 1926 წ.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ქალი **ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა** უკვე ექვსი თვეა მძიმე ავადმყოფია.

—

სახელგამის მიერ გამოიცა ანასტასია ხოშტარია ერისთავის რომანი: „**მოლიპულ გზაზე**“; ნინო ნაკაშიძის პიესა: „**ვინ არის დამნაშავე**“; და ნინო თარიშვილის ლექსები „**მზეში**“.

—

ბაბილინას ლექსები მიღებულია სახელგამის მიერ და მოკლე ხანში დაიბეჭდება.

ლიდია მეგრელიძემ დასწერა რომანი „**დავით გულიაშვილი**“.

—

ანასტასია ხოშტარია-ერისთავმა დასწერა ახალი რომანი „**სალი**“.

—

ანიკო ღვინიაშვილის წერილი: „**ქართველი ქალი თანამედროვე ლიტერატურაში**“ შემდეგი „ალმანახში“ დაიბეჭდება.

—

ან. ღვინიაშვილმა დაამზადა წიგნი: „**ხაბავშო ლიტერატურის ისტორია**“ 1883—1925 წ.

პროვინციაში მყოფ ქართველ მწერალ ქალებს ვთხოვთ მოგვაწოდონ მასალები ამ მისამართით: **ტფილისი ჯუღაშვილის ქუჩა (ყოფ. რტიშჩევის) № 10 მარიამ ალექსიძეს „ალმანახისათვის“.**

შინაარსი

(ტვარები ანბანსე)

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
დარია ახვლედიანი—მუუხარე სხეიებიდან	5
* * *	6
ბანოვანი—ისრაელის ასულმა გაიმარჯვა	7
ეკ. გაბაშვილისა—სოფლის მევახშენი	13
ნინო თარიშვილი—სიკვდილი ლოდინით	23
„ „ თეთრი მძივები	24
მარიჯან—წიგნიდან: შემთხვევითი თემები	25
საფო მგელაძე—ქარიშხლის ფრთებზე	38
„ „ ნაწყვეტი პოემიდან	40
* * *	42
„ „	
ლიდია მეგრელიძე—ახალი მემკვიდრე	44
„ „ გამოთხოვება	67
„ „ დღეები ბორჯომში	68
„ „ თვალებში მთვარე და ფირუზები	69
ეკ. მესხი—ლიზა	70
ნინო ნაკაშიძე—სალდათი	86
ცქვიტი—ქალი	91

ახალგაზრდათა ფურცელი

ვალერია ახობაძე—გრძნეული ხმები	102
მაყვალა მრევლიშვილი—წერილი აბასთუმნიდან	103
გოგუცა ნიკოლაიშვილი—დაო, მეძავო	104

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ელო ანდრონიკაშვილი—თეატრი ბავშთათვის	107
ეკ. გაბაშვილისა—ნინო ორბელიანისა	112
თამარ გოგოლაშვილი—გერმანული ათინა	115
ელენე ვირსალაძე—სარა ბერნარ	119
თამარ თაქთაქიშვილი—ქალთა კონგრესი პარიზში	128
ან. ღვინიაშვილი—ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა	432

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

მარკ ტვენ—ჟანნას სიკვდილი თარგმანი: მ ა რ ი ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს ა	141
სოფ. სავინკოვა—დედის მოგონება თარგმანი: თ ე ო დ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ა	153
კარლ ლიბკნეხტ—ხელოვნება თარგმანი: მ ა რ ი ჯ ა ნ ი ს და ც ქ ვ ი ტ ი ს ა	178
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა	195
ქ რ ო ნ ი კ ა	200